# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 20 თებერვალი 2009 №4(82)

1516
2009



არჩილ ჯორჯაძის გზა მთაწმინდისაკენ

ბევრისთვის უცნობი სტურუა

ნინო ქევხიშვილის ლექსები

რელიგია და მეცნიერება

თათბირი ამერიკულად

ო' ჰენრის ნოველა

# ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი გთავაზობთ



















მისამართი: მერაბ კოსტავას 5 ტელეფონი: (+995 32) 99 53 00



26 თებერვალი
აკაკი შანიძის დღე

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ერი და ბედისწერა | 2 | პაატა ჩხეიძე ლომგული და ხმალსუსტი<br>(ორი ძმა — ორი მრწამსი) |
| ფიქრი და განსჯა | 4 | ბაჩანა ბრეგვაძე რელიგია და მეცნიერება<br>(მოკლე ისტორიული მიმოხილვა) |
| გამოხმაურება | 14 | ვახტანგ ამაღლობელი თათბირი ამერიკულად<br>(ჯონ კენედი და ჯონ სტაინბეკი) |
| პროზა | 16 | ლევან ლორია მე შენ მიყვარხარ |
| პირველი შთაბეჭდილება | 19 | მალხაზ ივანიძე დასასრულიდან სათაურამდე |
| პოეზია | 20 | ნინო ქევხიშვილი გუშინ ამ ქალაქში და სხვა ლექსები |
| ესეისტიკა | 24 | ბრუკ ალენი ჯონ აპდაიკი, გარეუბნისა და სქესის უმაღლესი ქურუმი |
| ნამცვრევი | 25 | ჩამოვართვათ ნობელის პრემია! |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 26 | ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია |
| | 29 | ჯეკ დონელი, როდა ჰაუარდი ადამიანის უფლებანი თანამედროვე მსოფლიოში |
| თეატრალური პორტრეტი | 35 | ნათელა არველაძე ბევრისთვის უცნობი სტურუა |
| რეპორტაჟი | 40 | ეკა ბუჯიაშვილი „კიდევ ერთი ხიდი ემიგრაციისაკენ" |
| ბედი კაცისა | 44 | გოჩა კუჭუხიძე წერილები „წიტრიის" წისქვილიდან |
| კრიტიკა | 49 | გია ხოფერია ალმავალი გზის ბინადარნი |
| პოეზიის მერიდიანები | 53 | ლუის დე კამოენსი სონეტები |
| უცხოეთის ნოველა | 56 | ო' ჰენრი მორფევსთან ძილში |
| ახალი წიგნები | 58 | გიორგი გოგოლაშვილი გადარჩენილი საჩინო |
| | 60 | იზა ჩანტლაძე სულის საოხი წიგნი |
| ლიტერატურული ცხოვრება | 62 | თეკლე ჯანელიძე „მე პირს არ ვიბან,<br>ლოყაზე გალაკტიონმა მაკოცა" |
| მოზაიკა | 63 | რა ღირს სიყვარული? |



დამფუძნებელი „ილიონი"
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 41-95-21
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

დაბეჭდილია სასტამბო "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62

გარეკანზე: ჯექსონ პოლოკი, კომპოზიცია
ნინო შარაშენიძე, ფოტოეტიუდი ცირა ბარბაქაძისა

„ჩვენი მწერლობის" მომდევნო ნომერი გამოვა 6 მარტს

პაატა ჩხეიძე

# ლომგული და ხმალსუსტი

*

## ორი ძმა — ორი მრწამსი

უოლტერ სკოტის "აივენჰო" ბავშვობაში წავიკითხე; მერე — მისი თითქმის ყველა რომანი, და თუმცა ვიცი, რომ სკოტის შემოქმედებაში "უევერლის" ციკლის რომანებს უჭირავს წარმმართველი ადგილი, "აივენჰო" ჩემს უსაყვარელეს წიგნად რჩება, ისევე, როგორც სკოტი — უსაყვარლეს მწერლად.

უოლტერ სკოტი რომანტიკოსი გახლდათ და, თუ ახალგაზრდობაში განმანათლებლურ სკოლებს ეკამათებოდა, სიბერეში ცხარე ცრემლით ტიროდა ბენთამისა და უტილიტარელების მძლავრობის მომსწრე.

"აივენჰო" ინგლისის ისტორიას შეეხება, აქ სკოტლენდელებს ვერსად ნახავთ, მგონი სკოტლენდი სულაც არ უნდა იყოს ნახსენები, ამიტომ ინგლისის ისტორიის მიუკერძოებელ ასახვას უნდა ველოდეთ, დიდი მწერლის კალმით, რომელსაც რომანტიკული მსოფლმხედველობა კი ამოძრავებდა, მაგრამ შეუფერადებელი, არაზღაპრული სიმართლის თქმა დაესახა მიზნად და ამ ტენდენციის გამო რეალისტური მეთოდი უცხო არ ყოფილა მისთვის. ამიტომაც, ერთი მხრივ თუ გასაგებია, რომ არსებულსა და გაბატონებულ თვალსაზრისს იზიარებდა XII საუკუნის ინგლისზე წერისას, მეორეს მხრივ იმას ველარ ვიგებ, თუ რას ერჩოდა საწყალ მეფე ჯონს, ასე რომ გაასწორა მიწასთან.

უილიამ შექსპირი ფრთხილად ეკიდებოდა მეფეებს, მოკრძალებასა და მოწიწებას არასოდეს კარგავდა მათი აღწერისას; და თუმცა რიჩარდ III არ დაინდო, რათა თავისი დედოფლისათვის ესიამოვნებინა, მის სიმამაცესა და გაბედულებას მაინც ხაზგასმით აღნიშნავდა. შექსპირს, ალბათ, ვერ გადაეწყვიტა, როგორი დაეხატა მეფე ჯონი, ვისაც უფლიწულობისას უმიწაწყლო შეარქვეს, იმიტომ, რომ მემკვიდრეობას არ იმეტებდნენ მისთვის, და მეფობისას კი — ხმალსუსტი, წაგებული ბრძოლებისა და საფრანგეთში დაკარგული ტერიტორიების გამო. შექსპირს მებრძოლი მეფეები უყვარდა, ვინც არათუ ინგლისს იცავდნენ, არამედ ნახევარ საფრანგეთსაც ინარჩუნებდნენ, როგორც კუთვნილს. ჯონი ამ საქმეში ვერ გამოდგა და შექსპირის გულს ამიტომაც ვერ მოიგებდა; თავისი ძმისშვილის სისხლშიც გაისვარა ხელი და ამას კი ვერ აპატიებდა დიდი ჰუმანისტი; მაგრამ რადგან ფრანგებს ებრძოდა და ინგლისისათვის გადაედო თავი, ამ "სუსტი" მეფისათვის ერთგვარი ხიბლის შესამატებლად რიჩარდ ლომგულის სული გააცოცხლა; მოიგონა მისი უკანონო ვაჟი, ბასტარდი, მამის მსგავსი, მამაცი, მძლავრი, შეუპოვარი მებრძოლი, გმირი რაინდი, და თითქოს ძმები, რიჩარდი და ჯონი, ერთად იბრძვიან ინგლისისათვის.

პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის მრავალი დეტალი, XII-XIII საუკუნეთა ინგლისისა, ზოგადსაკაცობრიო ნიშნებით გამოირჩევა. ასეთ ამბებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ისტორიაში შეხვდებით. ფეოდალური ბრძოლები, ცვალებადი შეთანხმებანი, ღალატი, ზურგში მახვილის ჩაცემა ყოფილი მოკავშირისათვის დღესაც ნიშანდობლივია მრავალი ქვეყნისათვის, თუ მაინცდამაინც ჩვენს ქვეყანას არ გამოვყოფთ.



ჯონ უმიწაწყლო

გადმოგვცემენ, რომ მამას, ჰენრი II-ს, შვილებიდან ყველაზე მეტად ჰყვარებია ჯონი და, მიუხედავად იმისა, რომ არც სიცოცხლეში გაუნებივრებიათ მამულებით და არც მემკვიდრეობით რგებია რამე, მამის წინააღმდეგ ამბოხებულ ძმებს შორის არასოდეს გარეულა.

ქრონიკები მოგვითხრობენ, რომ როცა რიჩარდ I ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად გაეშურა (1191), ინგლისში დარჩენილმა ჯონმა დააპატიმრა რიჩარდის მიერ დანიშნული ჯასთისიერი (უმაღლესი სასულიერო პირი და მოსამართლე), ელის ეპისკოპოსი უილიამ ლონგჩემპი. სწორედ ამ აქტმა წააქეზა მწერლები ჯონი არამზადად გამოეყვანათ და რობინ ჰუდის ლეგენდაც აქედან წარმოიშვა. ჯვაროსნული ომიდან დაბრუნებული რიჩარდი ავსტრიის ჰერცოგმა, ლეოპოლდ V-მ, დაატყვევა და, წმინდა რომის იმპერატორმა, ჰენრი VI-მ ციხეში ჩასვა. ამბობენ ჯონმა წერილი გაუგზავნა იმპერატორს რიჩარდი არ გამოუშვაო, მაგრამ ერთგულმა ბარონებმა გამოისყიდესო. ინგლისში დაბრუნებულმა რიჩარდმა ჯონს დანაშაული აპატია და მემკვიდრედაც კი გამოაცხადა.

გამოდის, რომ რიჩარდის დიდსულოვნებას საზღვარი არა აქვს. მან არა მარტო ღალატი შეუნდო, არამედ დააჯილდოვა კიდეც სულმოკლე და მუხანათი ჯონი; ამიტომაც არის რიჩარდის სახელი დიდებითა და სიყვარულით მოსილი. იგი რაინდობის საუკეთესო ნიმუშადაა დასახული.

მაგრამ ყველაფერი ისე არ უნდა იყოს, როგორც ქრონიკები მოგვითხრობენ. ქრონიკები ხომ ღვთის კარნახით არაა დაწერილი, ადამიანების შედგენილია. არ უნდა დაგვავიწყდეს ინგლისელი ბარონები, რომლებიც წელში გაწყვიტა ჯვაროსნული ლაშქრობებისა თუ საფრანგეთში ამტყდარი ომებისათვის დაწესებულმა გადასახადებმა. მათ არ მოსწონთ მეფეთა ხშირი ცვლა და სამეფო ოჯახში არსებული შუღლი და მკვლელობები.

ეს უკანონობანი ქვეყანაზე გადადის და ბარონებს, აზნაურებს, ვაჭრებს, ხელოსნებს, ყმებსა თუ ხიზნებს აწვებათ მძიმე ულლად: ახალი მეფე, ახალი განკარგულებანი, ახალი გადასახადები. გარდა ამისა, მეორე მხრივ, უმეფობა და უკანონობა ბარონებსაც აძლევს ხელს; ტახტის მაძიებელ ძმებს ერთმანეთს გადაჰკიდებენ, დანაშაულით სამართლიან ალშფოთებას საკუთარ ინტერესებს შეუხამებენ და ხელსაც გვარიანად მოითბობენ, თუკი გადარჩნენ ფეოდალურ ბრძოლებში. როცა რიჩარდი არ ჩანს, ჯონის მხარეზე არიან, როცა რიჩარდი გამოჩნდება, მისკენ გარბიან; საბრალო უფლისწულ არტურის მკვლელობით განრისხებულნი საფრანგეთის მეფეს შემოუძლევბიან ინგლისში და, როცა გაიგებენ, გამარჯვებული ფილიპი ამოწყვეტას გვიპირებსო, კვლავ ჯონისაკენ გარბიან.

რიჩარდის გარდაცვალებისთანავე (1199) გამოცოცხლდნენ ევროპელი მეფე-პრინცები და ათასი მიზეზით აყენებენ ეჭვქვეშ ჯონის უფლებას ტახტსა და კონტინენტზე არსებულ სამფლობელოებზე. განსაკუთრებით საფრანგეთის მეფე იდებს თავს — სურს განდევნოს გაინგლისელებული ნათესავები. არანაკლებ მძვინვარებს რომის პაპი, საფუძველშივე ატყობს განდგომის სურვილს ინგლისის მეფეებს.

გაუთავებელი ქიშპობა და ომები თხუთმეტი წელი გრძელდება. ეს გახლავთ ერთი უილბლო, მარცხიანი პერიოდთაგანი ინგლისის ისტორიაში. ჯონმა წააგო თითქმის ყველა ბრძოლა და დათმო თითქმის ყველა სადავო საკითხში; მაგრამ ესაა უმნიშვნელოვანესი პერიოდიც ინგლისისათვის, რადგან ამ დროს ჩაეყარა საფუძველი სახელმწიფოსა და კონსტიტუციას.

ინგლისი კუნძულია და მსოფლიოს უკავშირდება საზღვაო ფლოტის საშუალებით. მსოფლიოს მბრძანებლობა ინგლისს ამ მონაპოვარმა მოუტანა და დღესაც ამაყობს თავისი საუკეთესი სამხედრო-საზღვაო ფლოტით.

საფრანგეთში წარმოებული ომის მოსამარაგებლად ჯონმა1203 წელს ბრძანა, თვითეულ გემთმშენებელს ერთი ხომალდი მაინც აეგო ინგლისის სამეფოსათვის და პორტსმუტში დაეყენებინა. მანამდე გემების მთავარი სადგომი ჰასტინგსი გახლდათ. 1204 წლისათვის ჯონს უკვე ჰყავდა 45 დიდი ხომალდი და უფრო მეტსაც ელოდა. გემების სამართავად მან ოთხი ადმირალი გამოარჩია და სხვადასხვა ფუნქცია დააკისრა. გემთმშენებლობის პროცესში მრავალი სიახლე დაინერგა ამ დარგში. ამ ღვაწლისათვის მეფე ჯონს მრავალი ისტორიკოსი ინგლისის სამეფო ფლოტისა და საადმირალოს შემქმნელად აღიარებს.

ინგლისელ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჯონი იყო ურჩხული, ტირანი, ხარბი და გაუმაძღარი მმართველი; მეორე ნაწილი კი იცავს მას და აცხადებს, დიდი მმართველობითი და ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდაო; სამწუხაროდ, ტახტზე ასვლისთანავე ცდილობდნენ მის ჩამოგდებას მოლატეები და მემკვიდრეობის წართმევას; როცა ერთ მტერს გაუსწორდებოდა, უეცრად სხვები წამოჰყოფდნენ თავს. საფრანგეთის მეფეს მოურიგდებოდა, პაპი აუხირდებოდა, პაპს დააშოშმინებდა, ბარონები აუმხედრდებოდნენ, ბარონებს დაამშვიდებდა, უელსი ან ირლანდია წამოჰყოფდა თავს.

განათლებული კაცი გახლდათ, გამორჩეული ადმინისტრატორი და კარგად იცოდა სამხედრო ლაშქრობების დაგეგმვა, მაგრამ წვრილმანი, პერსონალური საკითხები უნგრევდა გეგმებს.

1211 წელს უელსელებს მოურიგდა, პაპთან არსებული დავა მორიგებამდე მიიყვანა, ევროპულ ომებს მიუბრუნდა და, რამდენიმე გამარჯვების შემდეგ, სწორედ აქ ინვნია მარცხი და იძულებული გახდა წამგებიანი ზავი დაედო ფრანგებთან.


რიჩარდ ლომგული

ამან საბოლოოდ აუმხედრა ბარონები და რამდენიმეთვიანი შუღლის შემდეგ არათუ მორიგებას მიაღწიეს, არამედ ინგლისის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სამართლებრივი დოკუმენტიც შეიქმნა. 1215 წლის 15 ივნისს, ლონდონთან ახლოს, რანიმედში, მეფე ჯონმა ხელი მოაწერა დიად ქარტიას, ლათინურად, Magna Carta.

ესეც კი არ დაუფასეს საბრალო ჯონს, ზოგი ამბობდა, წერა არ იცოდა და ხელი არ მოუწერია, მხოლოდ ბეჭედი დაუსვაო, სხვები ქირქილებდნენ, თვითონ შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია, უკმაყოფილო დარჩა და ქარტიის დარღვევაც კი მოინდომაო. ეს ყველაფერი ბოროტი ჭორები უნდა იყოს, რადგანაც არსებობს ცნობები, რომ ჯონი მართლაც ჭკვიანი და განათლებული კაცი ყოფილა და ქარტიის შედგენაშიც მას უნდა ეკისრა წარმმართველი როლი. თავის მიერ ხელმოწერილი კანონის დარღვევას კი როდისლა მოასწრებდა, თუ ხელმოწერიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. რას იზამ დამარცხებული არავის უყვარს, მათ შორის არც მწერალს, რადგან მარცხის ქება მკითხველს დააკარგვინებს.

მაგრამ ეს უქმი რიტორიკაა. მთავარი ის არის რომ მეფე ჯონის დროს შეიქმნა დიადი ქარტია, მეორე სამართლებრივი დოკუმენტი ინგლისში, თავისუფლების ქარტიის შემდეგ. და დიადი ქარტიის ოთხ მუხლს დღესაც კი იურიდიული ძალა აქვს.

აი, სამართლებრივი ძეგლი! აი, კონსტიტუცია!

უოლტერ სკოტს კი რატომ უნდა ჰყვარებოდა მეფე ჯონი, იგი ხომ დიდი ვერაფერი ვაჟკაცი, მეომარი თუ სარდალი იყო და ყოველნაირი — სამართლიანი თუ უსამართლო — ხერხით ინგლისის სამეფოს დაფუძნებას ცდილობდა — ეგაა და ეგ?!

რიჩარდ ლომგული კი სულ სხვა გახლდათ, უბადლო რაინდი, უძლეველი სარდალი, რომანტიკული მხედარი, და თანაც, რაც მთავარია, საყველპურო ინგლისურს ძლივს ამტვრევდა, მეფედ კურთხევის შემდეგ კი ინგლისში სულ რალაც ექვსიოდე თვე თუ გამოჩენილა.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაჩანა ბრეგვაძე

# რელიგია და მეცნიერება

*

## მოკლე ისტორიული მიმოხილვა

*მე დამწვავენ, მაგრამ ეს ეპიზოდია; ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს დავას მარადისობაში*
მიგელ სერვეტი

რა არის რელიგია?

საეჭვოა ვინმემ მოკლედ და ამომწურავად უპასუხოს ამ კითხვას, მით უმეტეს, დღეს, როცა მსოფლიო რელიგიურმა სისტემებმა ათასწლეულები მოიტოვეს უკან. „თვითეული მათგანი იმდენად მრავალგვაროვანი ელემენტებისაგან ჩამოყალიბდა, რომ ძნელია მათში მეორეული განვასხვავოთ ძირეულისგან, არსებითი — წარმავალისგან. — წერს ცნობილი ფრანგი მეცნიერი ემილ დიურკეიმი, — ავიღოთ, თუნდაც, ეგვიპტის, ინდოეთისა თუ ანტიკური საბერძნეთისა და რომის რელიგიები! ესაა ერთმანეთში ალუფხული და გავრცელების არეალთა მიხედვით ცვალებადი მრავალრიცხოვანი კულტების, ისევე, როგორც ტაძრების, თაობების, დინასტიების, შემოსევების თუ სხვა მისთანათა წნული. ხალხური ცრურწმენები მათში ერწყმის ყველაზე რაფინირებულ დოგმებს. არც რელიგიური აზროვნება და არც რელიგიური მოღვაწეობა აქ თანაბრად განაწილებული არ არის მორწმუნეთა შორის. ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებისა თუ წრეების მიერ და სხვადასხვა ვითარებაში რწმენაც და რიტუალებიც სხვადასხვაგვარად აღიქმებიან. ერთ შემთხვევაში ესენი არიან ქურუმები, მეორეში — მონაზვნები, მესამეში — ერისკაცები; გვხვდებიან მისტიკოსები და რაციონალისტები, თეოლოგები, წინასწარმეტყველნი და ა.შ. ამ პირობებში ძნელია მოვიხელთოთ ის ზოგადი, რაც საერთოა ყოველი მათგანისათვის... როგორ გამოვავლინოთ თეოლოგიური შეჯახებების, რიტუალთა ცვალებადობის, დაჯგუფებათა სიმრავლისა და ინდივიდთა ნაირგვარობის მიღმა რელიგიური ცხოვრებისათვის ნიშნეული ფუნდამენტური მდგომარეობანი?..“

ალბათ, ამიტომაცაა, რომ მსოფლიო რელიგიების მკვლევარნი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ათასწლეულების მიღმა ეძებენ ამ კითხვების პასუხს. „ისტორიული მიდგომა, შესაძლოა, არსად არ არის ისე აუცილებელი, როგორც რელიგიის შესწავლისას“, — წერს დიდი ინგლისელი ანთროპოლოგი და რელიგიათმცოდნე ედუარდ ტეილორი (1832—1917) თავის ეპოქალური მნიშვნელობის ნაშრომში „პირველყოფილი კულტურა“, რომლის მიხედვითაც, ყველა



რელიგიას საფუძვლად უდევს განვითარების პრიმიტიულ საფეხურზე მდგარი ტომების წარმოდგენა სულსა და სულიერ არსებებზე. ტეილორის აზრით, ამნაირი წარმოდგენისა და მასზე დამყარებული რწმენის საფუძველია სიზმრების, ჰალუცინაციების, ბნედის და სხვა მისთანათა მცდარი, თუმცაღა თანმიმდევრული ინტერპრეტაცია. ამ მოვლენებზე დაკვირვებას პირველყოფილი ფილოსოფოსი თუ თეოლოგი ადამიანის სულისა და სხეულის ურთიერთგანსხვავების იდეამდე მიჰყავდა. მისთვის ცხადი ხდებოდა, რომ სული სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსებობას, რადგანაც ის ადამიანს ევლინება ძილში, თავს იჩენს მის მოგონებებსა თუ ხილვებში და, როგორც ჩანს, გარკვეულ გავლენასაც ახდენს ცოცხალთა ბედზე. უმდიდრესი ეთნოგრაფიული მასალის გამოყენებით, რომელიც ჰარმონიულად იყო ჩაწნული მის რელიგიურ კონცეფციაში, ტეილორმა წამოაყენა ფორმულა: „ანიმიზმი არის რელიგიის განსაზღვრის მინიმუმი“. ეს ფორმულა მრავალრიცხოვანი დისკუსიების საგნად იქცა და მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი რელიგიათმცოდნეობის შემდგომდროინდელ განვითარებას.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს რელიგიათმცოდნეობის ძირითადი კონცეფციების, თეორიებისა თუ დოქტრინების მიმოხილვა და მხოლოდ ორიოდე მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას. აქ უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ სახელგანთქმული ინგლისელი ეთნოგრაფისა და შედარებითი რელიგიათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებლის ჯეიმს ფრეზერის (1854—1941) უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა „ოქროს რტო“ (I გამოც. 2 ტომად, 1890 წ; II გამოც. 3 ტ., 1900 წ; III გამოც. 12 ტ., 1911—1915 წ.). ტეილორისაგან განსხვავებით, ფრეზერი ამტკიცებდა, რომ რელიგიის ძირი და ფესვი ანიმიზმი კი არ არის, არამედ მაგია. კაცობრიობის ისტორიული განვითარება, არსებითად, სამ ეტაპს, სამ სტადიას გადის: მაგიას, რელიგიას, მეცნიერებას. მაგია ყველგან და ყოველთვის წინ უსწრებს რელიგიას და ამ უკანასკნელის ფორმირებასთან ერთად თანდათანობით დავიწყებას ეძლევა, ქრება (თუმცა განვითარების საწყის საფეხურზე თითქოს სამუდამოდ „გახევებულ“ ტომებში კვლავინდებურად ინარჩუნებს თავის ქმედით ძალას).

„ჯეიმს ფრეზერის „ოქროს რტო“ — დასაბამიერი მაგიის გრანდიოზული აღწერა, — შენიშნავს ფრეზერის მოწაფე, ცნობილი პოლონელ-ამერიკელი ანთროპოლოგი და ეთნოგრაფი ბრონისლავ მალინოვსკი (1884—1942) — თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ანიმიზმი არც ერთადერთი და არც დომინანტური რწმენაა პირველყოფილი კულტისა. ძველი ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკული მიზნით ცდილობდა ემართა ბუნების ძალები, რის მიღწევასაც რიტუალებითა და შელოცვებით ცდილობდა,

რათა თავისი ნებისთვის დაექვემდებარებინა ქარი და ამინდი, ცხოველები და მცენარეები. მხოლოდ გაცილებით უფრო გვიან, როცა აღმოაჩინა, რომ ის ყოვლისშემძლე არ არის, ადამიანი უკვე შიშით, იმედით თუ თხოვნა-ვედრებით მიმართავს უზენაეს არსებებს — დემონებს, წინაპართა სულებს ან ღმერთებს. ამ განსხვავებაში, ერთის მხრივ, ბუნებაზე უშუალო ზემოქმედებასა და, მეორეს მხრივ, უზენაეს ძალთა გულის მოლბობასა თუ მონადირებას შორის, სერ ჯეიმს ფრეზერი ხედავს მაგიისა და რელიგიის სხვაობას. მაგია იმაზეა დაფუძნებული, რომ ადამიანს სწამს, თითქოს მას შეუძლია უშუალო ზემოქმედება მოახდინოს ბუნებაზე. თუკი მის მმართველ კანონებს შეიცნობს, და, ამ მხრივ, ის მეცნიერებას ჰგავს. რელიგია კი ადამიანის მიერ, გარკვეულ შემთხვევებში, საკუთარი სისუსტის აღიარებას ეფუძნება, რაც მას მაგიაზე ამაღლებს, უფრო გვიან კი თავის დამოუკიდებლობას აფუძნებს მეცნიერებასთან ერთად, რომელთან შეჯახებისას მაგია უნდა დაიღუპოს.

მაგიისა და რელიგიის ეს თეორია ამოსავალ წერტილად იქცა ამ პრობლემატიკის თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობისათვის. პროფესორი პრაისი გერმანიაში, დოქტორი მარეტი ინგლისში, დოქტორები იუბერი და მოსი საფრანგეთში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გადმოგვცემენ თავიანთ შეხედულებებს, ისე, რომ ხან აკრიტიკებენ ფრეზერს, ხან კი ნაწილობრივ მისდევენ კვლევის მისეულ ხაზს. ეს ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მეცნიერება და მაგია, მათი გარეგნული მსგავსების მიუხედავად, არანაკლებ რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მეცნიერება ცდიდან იბადება, მაგიას კი ტრადიცია ქმნის. მეცნიერება გონებით ხელმძღვანელობს და დაკვირვების მეშვეობით განიცდის კორექტირებას. მაგია კი არც ერთს ექვემდებარება და არც მეორეს, ის მისტიციზმის სფეროში არსებობს. მეცნიერება ღიაა, ის მთელი საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურება; მაგია კი — ფარული, მას მხოლოდ მისტერიებს ზიარებულნი ეუფლებიან; ის თაობებიდან თაობებს, ან, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს ნათესავებს გადაეცემა. მეცნიერება ბუნების ძალთა წვდომასა და შემეცნებაზეა დაფუძნებული, მაგია კი ერთგვარი მისტიური, უპიროვნო ძალისაგან იღებს დასაბამს, რომელიც პირველყოფილ ადამიანთა უმრავლესობას სწამს. ამ ძალას ზოგიერთი მელანეზიელი „მანას“ უწოდებს, ზოგიერთი ავსტრალიური ტომი — „არუნგკვილატას“, ამერიკელ ინდიელთა ცალკეული ტომები — „ვაკანს“, „ორენდას“ თუ „მანიტუს“, ზოგან კი სულაც უსახელოა და ერთგვარ უნივერსალურ იდეად იქცევა“.

რელიგიის არსისა და რაობის განმსაზღვრელი სხვა თეორიებიდან აქვე უნდა მოვიხსენიოთ გამოჩენილი ამერიკელი ფილოსოფოსის უილიამ ჯემსის (1842—1910) დოქტრინა, ინდივიდუალური ცნობიერების, ადამიანის სუბიექტური განცდების ნაყოფად რომ წარმოგვიჩენს რელიგიას და მეცნიერების ისტორიაში „რელიგიის ფსიქოლოგიად“ იხსენიება, სახელგანთქმული ფრანგი მოაზროვნის ემილ დიურკეიმის (1857—1917) მოძღვრება კი „რელიგიის სოციოლოგიურ თეორიადაა“ სახელდებული, ხოლო ავსტრიელი ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის ზიგმუნდ ფროიდისა (1856—1939) — „ბიოლოგიზატორულ თეორიად“ და ა.შ... „რელიგიის ფილოსოფიისადმი მიძღვნილი წიგნების უმრავლესობა იმითი იწყება, რომ ცდილობს ზუსტად განსაზღვროს რელიგიის არსი. — შენიშნავს უილიამს ჯემსი, — ის ფაქტი, რომ ეს პრეტენციოზული განსაზღვრებანი ესოდენ მრავალრიცხოვანნი და ერთმანეთისაგან ასერიგად განსხვავებულნი არიან, სავსებით საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ სიტყვა „რელიგია“ შეუძლებელია ამა თუ იმ მარტივ პრინციპს ან არსს აღნიშნავდეს; არა, ის, უმალ, კრებითი ცნებაა. ესაა ძირი ყოველგვარი აბსოლუტიზაციისა და ცალმხრივი დოგმატიზმისა, რომლებმაც პირდაპირ წალეკეს ფილოსოფიაც და რელიგიაც“.

მოდით, ნუღარ ჩავუღრმავდებით „ცალმხრივი დოგმატიზმის“ ამ მორევს და პირწმინდად პრაქტიკული მიზნით მივმართოთ ეტიმოლოგიურ წიაღსვლას, რათა ძალზე მოკლედ და ზერელედ მაინც განვსაზღვროთ, რა არის რელიგია. ლათინური სიტყვა religio წარმოსდგება ზმნიდან religare, რაც „შეკვრას“, „შეერთებას“ ნიშნავს. ასე რომ „რელიგია“ მოიაზრება როგორც კავშირი წარმავალსა და წარუვალს, მიწიერსა და ზეციერს, მოკვდავსა და უკვდავს, ადამიანსა და ღმერთს შორის. ისე კი, რელიგიათმცოდნეობამ თავისი არსებობის მანძილზე დააგროვა „რელიგიის“ ორასზე მეტი განსაზღვრა, თუმცა ორასივე ერთადაც ვერ ასახავს მთელი სისრულით რელიგიური ცხოვრების უსასრულოდ მდიდარ შინაარსს. „ამ მხრივ, რელიგია დროს მოგვაგონებს, — ამბობს ამერიკელი მეცნიერი ბ. იერჰარტი, — ყველა გრძნობს, რა არის დრო, მაგრამ ადვილი როდია მოიხელთო მისი მნიშვნელობა და განსაზღვრო, მაინც რა არის იგი“.

ახლა კი, როცა ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგვექმნა რელიგიათმცოდნეობის საკვანძო მომენტებზე, მისი განვითარების ტენდენციებსა და ცალკეულ თეორიებზე, კვლავ მივუბრუნდეთ ჯეიმს ფრეზერის კონცეფციას, რომლის თანახმადაც კაცობრიობის სულიერი განვითარება ისტორიის გრძელსა და ნარეკლიან გზაზე სამ სხვადასხვა სტადიას გადის — მაგიას, რელიგიას და მეცნიერებას, რომელთა მსგავსებისა და განსხვავების წარმოსაჩენად მოკლედ გაგაცანით ფრეზერის მოწაფის ბრონისლავ მალინოვსკის აზრი. აქ კი მინდა ჩემი საკუთარი მოსაზრება გაგიზიაროთ რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების შესახებ, რისთვისაც მოვიტან ვრცელ ამონარიდს ჩემი ადრინდელი შრომიდან „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი (პლატონის „ტიმეოსი“):

„ნებისმიერი ცივილიზაცია, რომელიც იმის ღირსია, რომ ამ სახელით იწოდებოდეს, ჭეშმარიტების ძიებას ისახავს მიზნად. მოაზროვნე ადამიანებს შეუძლებელია არ ეცადათ გაეგოთ ბუნების მოვლენათა მრავალფეროვნება, გამოეცნოთ დედამიწაზე ადამიანის წარმოშობის საიდუმლოება, ჩაწვდომოდნენ სიცოცხლის აზრს და გაეცხადებინათ ადამიანის დანიშნულება. ყველა ძველ ცივილიზაციაში, გარდა ერთისა, ამ კითხვებზე რელიგიური ლიდერები იძლეოდნენ პასუხს, რომელსაც ყველა იღებდა და აღიარებდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო ძველი ბერძნების მიერ შექმნილი ცივილიზაცია. ბერძნებმა მოახდინეს უდიადესი აღმოჩენა, რომელიც ოდესმე მოუხდენია ადამიანს: მათ აღმოაჩინეს გონების ძალმოსილება“. ბუნების საიდუმლოებათა კვლევისას

ბერძნული გენია რწმენას კი არ ეყრდნობოდა, არამედ გონებას, სამყაროს შემეცნების ამ ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს თუ საშუალებას. მაგრამ ცნობიერების პირისპირ მდგარი მარადიული კითხვებისა თუ პრობლემების წინაშე, იქ, სადაც ეს ინსტრუმენტი აშკარად არასაკმარისი ჩანდა, ის უყოყმანოდ იშველიებდა რწმენას, რელიგიური მსოფლგაგების საკრალურ სისტემას, მითოლოგიური წარმოდგენების უსასრულოდ მდიდარ არსენალს. ბერძნული ცივილიზაციის წიაღში, ევროპის სულიერი ცხოვრების საწყის ეტაპზე, რელიგია და მითოლოგია კი არ უპირისპირდება ფილოსოფიას, არამედ მხარში უდგას, აღრმავებს და ამდიდრებს მას. მეცნიერებას ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია სისხლხორცეული კავშირი თავის პირველსაწყისთან — რელიგიასთან. მართებულად შენიშნავს პოლ ვალერი: „რელიგია რომ არ არსებულიყო, ალბათ, არც მეცნიერება იარსებებდა, ვინაიდან ადამიანის თავი ვერ შეძლებდა აბსტრაჰირებას იმ უშუალო და მუდმივი ემპირიზმისგან, რასაც მას უსაზღვრავს რეალობა".

თუმცა ვიდრე მეცნიერების საფუძვლად და საწყისად იქცეოდა, რელიგიამ თვითონ განვლო განვითარების რთული და ზიგზაგოვანი გზა. თავდაპირველად, სამყაროს ანიმისტური აღქმისამებრ, — ფეტიშიზმი (პორტუგალიური სიტყვა ფეტიზო „ავგაროზს" ნიშნავს), განღმრთობილ საგანთა კულტი. შემდეგ — ტოტემიზმი: ტერმინი წარმოსდგება სიტყვიდან „ოტ-ტემ", რაც ჩრდ. ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის — „ოჯიბვეს" ენაზე „მის გვარსა" ნიშნავს. ესაა რელიგიურ წარმოდგენათა სისტემა, რომლის მიხედვითაც, ადამიანთა ესა თუ ის ჯგუფი (ჩვეულებრივ, გვარი) ცხოველთა და მცენარეთა ამა თუ იმ სახეობას ენათესავება; ასე რომ, ტოტემისტურ რელიგიას ნოეს კიდობანივით ავსებს ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვანი სამყარო. უფრო გვიან — ანიმიზმი (ლათ. ანიმუს — გონივრული სასიცოცხლო ძალა, აზრი, სული) — წარმოდგენა სამყაროს მაცოცხლებელ და მასულდგმულებელ უპიროვნო ძალაზე, რომლის კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედ-იღბალი, მისი კეთილდღეობა, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, დოვლათი. და ბოლოს, რელიგიური გრძნობის თანდათანობითი დახვეწისა და რაფინირების შედეგად, — უკვდავ ღვთაებათა ხომლი, საკრალური ჰიერარქიის გვირგვინის, სამყაროს შემოქმედის, კაცთა მოდგმის მფარველი უზენაესი ღმერთის ჰეგემონობით, ვისი კულტის კულმინაციურ მომენტად პოლითეიზმის ადგილას მონოთეიზმის დამკვიდრება გვევლინება...

მაგიისაგან შობილმა რელიგიამ, თავის მხრივ, დასაბამი მისცა მეცნიერებას. სწორედ რელიგიის წიაღში დაირწა კოსმოგონიის, ასტრონომიის, მათემატიკის, ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვა დარგების აკვანი. ქურუმები არწევდნენ ამ აკვანს. „ცნობილია, რომ ადამიანის მიერ სამყაროსა და საკუთარი თავის შესაცნობად შექმნილი მეცნიერული სისტემები რელიგიური წარმომავლობისანი არიან. — წერს ემილ დიურკეიმი, — არ არსებობს რელიგია, მარტოოდენ ღვთაებრიობის კონტემპლაციად კი არა, იმავდროულად კოსმოლოგიადაც რომ არ გვევლინებოდეს. ფილოსოფია და მეცნიერება იმიტომ იშვა რელიგიისგან, რომ რელიგია, თავდაპირველად, ერთსაც ისევე ცვლიდა, როგორც მეორეს". ედუარდ ტეილორი კი რელიგიის ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ და პრიმიტიულ ფორმას — ანიმიზმს განსაზღვრავს, როგორც „ძველისძველსა და საყოველთაოდ გავრცელებულ ფილოსოფიას, რომლის თეორიულ ნაწილადაც რწმენა გვევლინება. პრაქტიკულად კი — თაყვანისცემა".

მაგრამ რელიგიისა და მეცნიერების ეს დასაბამიერი სინკრეტიზმი შეუძლებელია სამუდამოდ უცვლელი დარჩენილიყო, ერთის მხრივ, რელიგიურ წარმოდგენათა ფორმირების, მეორეს მხრივ კი სამყაროს რაციონალური აღქმნის ორი სხვადასხვა წყაროსა თუ უნარის გამო. „მეცნიერება თავის წარმოდგენებს აყალიბებს მოაზროვნე გონების მეშვეობით; — წერს ცნობილი გერმანელი რელიგიათმცოდნე ოტო პფლაიდერერი (1839—1908), — რაც უფრო ფხიზლად და ობიექტურად განიხილავს მოაზროვნე შესასწავლ საგანს, მით უფრო ნაკლებად დამოკიდებულია სუბიექტურ ნანამძღვრებზე, მიდრეკილებებსა თუ განწყობილებებზე, მით უფრო ზუსტად უახლოვდება საქმის რეალურ ვითარებას. რელიგიაში კი, პირიქით, გონება ასე არსებით როლს არ თამაშობს მოძღვრების ფორმირებაში, რომლის ჩამოყალიბებისთვისაც უფრო მნიშვნელოვანია შემოქმედებითი ფანტაზია, რელიგიური თქმულებების, მითებისა თუ ლეგენდების ძირითად ელემენტებს რომ ბადებს. წყაროთა არაერთგვაროვნება, რა თქმა უნდა, რელიგიური მოძღვრებისა და მეცნიერების არსებითი განსხვავების მიზეზი ხდება". ხოლო პასკალმა გაცილებით უფრო ადრე თქვა: „ღმერთს გული გრძნობს და არა გონება. აი, რა არის რწმენა: ღმერთი გრძნობადი გულისათვის, არა გონებისათვის... რწმენა ღვთიური ნიჭია. ნუ გგონიათ, თითქოს ჩვენ ვიტყვით, რომ ის ნიჭია აზროვნებისა... რწმენა განსხვავდება ცდისაგან. ერთი ადამიანური ნიჭია, ხოლო მეორე — ღვთაებრივი. Justus ex fide vivit („მართალი სარწმუნოებით ცხოვნდეს", — რომაელთა მიმართ, 10, 7)... მაგრამ ეს რწმენა გულშია და გვათქმევიმებს არა — Scio (ვიცი), არამედ — Credo (მწამს)".

აქედან იღებს დასაბამს გულისა და გონების ერთგვარი დუალიზმი, რწმენისა და ცოდნის სხვაობა, სულ უფრო და უფრო რომ ღრმავდება საუკუნეთა განმავლობაში და, ბოლოს, აშკარა ანტაგონიზმში გადაიზრდება, რაც თავს იჩენს რელიგიისა და მეცნიერების განვითარების ყველა მომდევნო საფეხურზე, ყველა რელიგიისა თუ ცივილიზაციის წიაღში. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ევროპული ცივილიზაციით შემოვიფარგლებით.

„პატარა ხალხს წილად ხვდა ყოფილიყო პროგრესის პრინციპის შემოქმედი; — წერს ინგლისელი სწავლული ჰენრი მენი, — ეს ხალხი ბერძნებია. ყველაფერი, ბუნების ბრმა ძალების გამოკლებით, რაც კი ამ ქვეყნად იძვრის, საბერძნეთისაგან იღებს დასაბამს". ჩვენც სწორედ საბერძნეთით უნდა დავიწყოთ, სადაც, ძველი წელთაღრიცხვის VI საუუნიდან მოყოლებული, მითოლოგიური აზროვნების პარალელურად თავს იჩენს და უჩვეულო სისწრაფით იკრებს ძალას მეცნიერული აზრი. ამ სისწრაფისა და მასშტაბურობის წარმოსადგენად საკმარისია დავუკვირდეთ თუნდაც ბერძნული ასტრონომიის, მათემატიკისა თუ ბუნებისმცოდნეობის მიერ განვლილ გზას თალესიდან (624—546) ევდოქსემდე (დაახლ. 408—355), პითაგორადან (დაახლ. 570—500) ევკლიდემდე

(365—300), ან, ვთქვათ, ანაქსიმანდრედან (დაახლ. 611—546 წელი) არისტოტელესა (384—322) თუ თეოფრასტემდე (372—288), რასაც სამი საუკუნეც კი არ დასჭირდა. მსოფლაღქმის ახალი პერსპექტივა თანდათანობით ცვლის და, გარკვეული აზრით, კიდევაც ჩრდილავს სამყაროს მითოლოგიურსა თუ რელიგიურ სურათს.

„მითიური სამყარო არსებობს, ასე ვთქვათ, უფრო მოძრავ და ცვალებად დონეზე, ვიდრე საგანთა და თვისებათა, არსთა თუ შემთხვევითობათა ჩვეულებრივი სამყარო. — წერს დიდი გერმანელი მეცნიერი ერნსტ კასირერი (1874—1945), — მითის სამყარო დრამატული სამყაროა, ქცევათა და ქმედებათა, ურთიერთსაპირისპირო ძალთა სამყარო. მითოლოგიური აღქმა ყოველთვის ამ ემოციური თავისებურებებითაა სავსე. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ, ანდა ვგრძნობთ, თავისებური ატმოსფეროთი — სიხარულისა თუ მწუხარების, ტანჯვისა თუ ნეტარების, სულიერი აღმაფრენისა თუ დათრგუნვილობის ატმოსფეროთია გარემოცული. აქ ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ „საგნებზე“ როგორც მკვდარსა და ინდიფერენტულ მასალაზე. ყველა საგანი კეთილია ან ბოროტი, მეგობრული თუ მტრული, ჩვეულებრივი თუ ზებუნებრივი, მომნუსხველი და დამატყვევებელი თუ ამაზრზენი და საშინელი“...

ახლა კი ვნახოთ, როგორ გვიხატავს პოლ ვალერი ამ ფეერიული თუ ფანტასმაგორიული სინამდვილის, ღმერთებისა და დემონების სამყაროს პირმცინარე ალიონს და, ბოლოს, მისი მზის ჩასვენებას, უჩვეულო სევდით, სინაზით და სიბრალულით მინავლულ და ფერმიხდილ მიმწუხრს თავის მშვენიერ ესსეში „პატარა წერილი მითების შესახებ“:

„...როგორც ახლად ამოწვერილი თუ დასავალად მიწურვილი მზე თავისი ჯადოქრობით აჯადოებს თვალსაწიერს და მომნუსხავი ხიბლითა თუ ხილვებით ავსებს პირმცინარი დღის აისს თუ დაისს, სამყაროს გარიჟრაჟიცა და მწუხრიც ასეთივე ფერებით იფერებიან, ასევე ინთებიან და ივსებიან სასწაულებით; დიახ, ზუსტად ისევე, როგორც მინაზე ოქროს ვარაყად მოფენილი სხივების ჩქერი განცვიფრებითა და ალტაცებით ავსებს ჩვენს მზერას, თვალწინ გვიხატავს ზღაპრულ სანახებს, მაგიურ ფერისცვალებებს, ცის თავანზე მორიალე გოლიათურ ფიგურებს, ფეერიულ ფორმებს, — მთელს ამ არაამქვეყნიურ ოქროცურვილ ხედებს, ქარვისფერი ქარაფებით, კამკამა ტბებით, სრა-სასახლეებით თუ ტახტებით, მცურავი მლვიმეებით, ზეციური გეენებითა და ფანტასმაგორიებითურთ; და როგორც ეს თვალისმომჭრელად მოელვარე სფეროები, ეს მირაჟები, ეს ურჩხულები თუ ჰაეროვანი ღვთაებები თანდათანობით ქრებიან მზის ალმაცერად გაფანტულ სხივებში და გარშემომდგარ ბინდბუნდში იძირებიან, ასეთია ყველა ღმერთისა და თვით ჩვენი აბსტრაქტული კერპების ხვედრიც: იმისიც, რაც იყო, იმისიც, რაც იქნება და იმისიც, რაც მნიფდება და ყალიბდება ჩვენგან დაშორებით“...

საკმარისია ერთმანეთს შევუდაროთ, ერთის მხრივ, ძველი წელთაღრიცხვის VIII—VI საუკუნეების სახელგანთქმულ ბერძენ შემოქმედთა — ჰესიოდეს, ფსევდო-ორფევსის, ფსევდო-მუსეოსის, ფსევდო-ლინოსისა თუ ეპიმენიდეს „თეოგონიები“, ხოლო მეორეს მხრივ, ძველი წ. ა. VI—V ს. ბერძნული ფილოსოფიური თუ მეცნიერული აზრის პირველი თვალსაჩინო წარმომადგენლების — თალეს მილეტელის, ანაქსიმანდრეს, ანაქსიმენეს, პითაგორას, ჰერაკლიტე ეფესელის, პარმენიდე ელეელის, ემპედოკლეს, ანაქსაგორას და სხვ. თხზულებები, რომელთა უმრავლესობასაც ანტიკური ტრადიცია ერთი და იმავე სახელით „ნათლავს“ — „ბუნებისათვის“, რათა დავრწმუნდეთ, რომ თვით სათაურებიც კი თვალნათლივ მოწმობენ ბერძნული სულიერი ორიენტაციის რადიკალურ ცვლილებას, თითქმის ერთდროულად რომ იხრება საკრალური, რელიგიურ-მითოლოგიური მსოფლმხედველობიდან სეკულარული მსოფლაღქმის მიმართულებით... ღმერთების გენეალოგიები, მათ მიერ სამყაროს მბრძანებლისა თუ არსთა გამრიგის სტატუსის მოსაპოვებლად გადახდილი გრანდიოზული ბრძოლები, კოსმოგონიური მითები, ქაოსის მრუმე წიაღიდან ამოზიდული, უთვალავ ფერად მოელვარე სხივცისკროვანი კოსმოსი, კაცთა მოდგმის გენეზისი, უკვდავთა მიერ მოკვდავთა ღვთისმოსაობის სანაცვლოდ თუ მკრეხელობის საზღაურად შექმნილი სამოთხე („ნეტართა კუნძულები“) და ჯოჯოხეთი („ჰადესი“), ცით მოვლენილ წარღვნათა თუ ხანძართა მძვინვარება, რომლებშიაც პერიოდულად ინთქმება და იღუპება მთელი სამყარო, რათა შემდეგ, ღმერთების ნებით, კვლავ დაიბადოს, სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილი, — მთელ ამ ფეერიულ თუ ფანტასმაგორიულ პანორამას ერთიმეორის მიყოლებით აფერმკრთალებს და თანდათანობით ცვლის კიდევაც ინტერესი რეალური სამყაროს, მატერიალური სინამდვილის, გრძნობად-კონკრეტულ საგანთა თუ სულიერ არსთა დაბადების, ზრდა-განვითარების და კვდომის უშუალო მიზეზთა თუ უნივერსალური ცვალებადობის ქმედით ფაქტორთა მიმართ.

მაგრამ აქ უთუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს ერთ საგულისხმო მომენტს: „მეცნიერების ახალ შუქზე — შენიშნავს ერნსტ კასირერი, — მითოლოგიური მსოფლაღქმა თანდათანობით ქრება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ფიზიოგნომიკური ცდის მონაცემები იშლებიან და დავიწყებას ეძლევიან. მათ დაკარგეს ყოველგვარი ობიექტური და კოსმოლოგიური ღირებულება, მაგრამ მათი ანთროპოლოგიური ღირებულება კვლავაც ინარჩუნებს თავის ქმედით ძალას. ჩვენს ადამიანურ სინამდვილეში შეუძლებელია მათი უარყოფაც და უგულებელყოფაც. ისინი თავიანთ ადგილს ინარჩუნებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობისას ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიშს არ ვუწევდეთ ამ გრძნობად მონაცემებს... მართალია, თავისი ამოცანის შესასრულებლად მეცნიერება ცდილობს აბსტრაჰირება მოახდინოს ამ გრძნობადი მონაცემებისაგან, მაგრამ ის კი არ შეუძლია, რომ მთლიანად გააქარწყლოს ისინი. მათი ფესვები და ტოტები უკვდავნი არიან. ისინი მხოლოდ თავიანთი საკუთარი სფეროთი არიან ზღვარდებულნი, სწორედ ამ ზღვარდებით ხასიათდება მეცნიერების საერთო გზა. მეცნიერება ადგენს მათი ობიექტურობის საზღვრებს, მაგრამ მას არ შეუძლია პირწმინდად წაშალოს მათი რეალურობა, რადგანაც ჩვენი ადამიანური ცდის ყველა ასპექტი აცხადებს რეალურობის პრეტენზიას“...

ასე რომ, მეცნიერების დასაბამი სულაც არ მოასწავებს რელიგიურ-მითოლოგიური მსოფლმხედველობის დასასრულს. ამიერიდან ისინი პარალელურად არსებობენ ძველ ბერძნულ სინამდვილეში, სადაც ახლად ფეხადგმულ მეცნიერებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია გენეტიკური კავშირი მითოლოგიასა და რელიგიასთან, თუმცა აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ზემოთვე მოკლედ მონიშნული არსებითი სსვადასხვაობა ამ ორ მსოფლმხედველობრივ სისტემას შორის, რაც, საბოლოო ანგარიშით, გარდუვალს ხდის მათ ანტაგონიზმს. ჩვენ აქ არც დრო გვაქვს და არც ადგილი ბერძნული კულტურისა და ცივილიზაციის ამ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემაში ჩასაღრმავებლად. მხოლოდ რამდენიმე ყველაზე მკაფიოდ გამოხატულ მაგალითზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

მილეტის ფილოსოფიური სკოლისა და, საერთოდ, ბერძნული ფილოსოფიის, ისევე, როგორც მეცნიერული აზრის პირველი თვალსაჩინო წარმომადგენლები — თალესი (624—546) და ანაქსიმენე (585—525), რომლებსაც არისტოტელე „ფიზიოლოგებს", ე.ი. „ბუნებისმეტყველებს" უწოდებს, სამყაროს ახსნას, VIII—VI ს. ავტორების — ჰესიოდეს, ფსევდო-ორფევსის, ფსევდომუსეოსისა და სხვათა მითოლოგიურ-თეოგონიური კონცეფციებისაგან განსხვავებით, ე.წ. „ღვთაებრივი მიზეზის" მეშვეობით კი არ ცდილობენ, არამედ „მატერიალურ მიზეზს" სახავენ ყოვლის საფუძვლად თუ პირველსაწყისად: კერძოდ, თალესს „წყალი" მიაჩნია ამ საწყისად, ანაქსიმენეს კი — „ჰაერი", ხოლო მათი უმცროსი თანამედროვე, გენიალური ჰერაკლიტე ეფესელი (დაახლ. 520 — დაახლ. 460) კიდევ ერთ მატერიალურ სტიქიონს — „ცეცხლს" აკისრებს კოსმოსის დასაბამიერი სუბსტრატის როლს („ეს სამყარო — ერთი და იგივე ყველა არსისთვის — არავის არ შეუქმნია, არც ღმერთთაგანს და არც კაცთაგანს, არამედ ყოველთვის იყო, არის და კვლავ იქნება როგორც მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც — თანაბარზომიერად — ხან იფეთქებს, ხან იშრიტება; „ცეცხლია ავსება და დავსება. მისი დავსება სამყაროს შექმნაა, ავსება — სამყაროს დანთქმა ხანძარში"; „ცეცხლზე იცვლება ყველაფერი და ცეცხლი — ყველაფერზე, როგორც ოქროზე — საქონელი და ოქრო — საქონელზე"; — ფრაგმ. 30, 65, 90, დილსი).

მეცნიერული აზრის გენეზისს უშუალოდ თან სდევს მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენების გადასინჯვა-გადაფასების შეუქცევადი პროცესი. ელეელთა ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელი ქსენოფანე კოლოფონელი (დაახლ. 570 — დაახლ. 478) ხელაღებით გმობს ჰომეროსს და ჰესიოდეს, ყოვლად უგვანი თვისებებით რომ „ამკობენ" და უკვდავთათვის ულირსი სახით წარმოგვიჩენენ ბერძნული პანთეონის ღვთაებებს: „ჰომეროსმა და ჰესიოდემ ღმერთებს მიაწერეს ყველაფერი, რაც სიბილწედ და სისაძაგლედ ჩანს ხალხის თვალში: პარვა, სიმრუშე, სიცრუე და პირის გატეხა". (ფრაგმ. 11, დილსი). ქსენოფანეს ღმერთი არაფრით არ მოგვაგონებს პოლითეისტური რელიგიის ანთროპომორფულ ღვთაებებს; ის მონოთეისტური რელიგიის აღმსარებელია. ღმერთი, ყველაფრის პირველსაწყისი თუ პირველმიზეზი, იმავე პრედიკატებით ხასიათდება, მილეტელი ნატურფილოსოფოსები რომ მიაწერენ სამყაროს სუბსტრატად დასახულ მატერიას: ის დაუსაბამოა და დაუსრულებელი (ფრაგმ. 23—26, დილსი). ღმერთი, არსებითად, იგივეა, რაც სამყარო, ასე რომ, ქსენოფანეს მონოთეიზმი, ვილჰელმ ვინდელბანდის სიტყვით, თეისტური კი არ არის, არამედ პანთეისტური. ეს მონოთეისტური ტენდენცია, რომელსაც შემოქმედებითად განავითარებს ელეელთა სკოლის თავკაცი პარმენიდე (დაიბ. დაახლ. ძვ. წ. ა. 540, სხვა ვერსიით, 515 წ.), თავის კულმინაციას აღწევს პლატონის (427—347) და დიდი ნეოპლატონისტის პლოტინის (205—270) მოძღვრებებში, პაგანიზმის წიაღში საფუძველს რომ უმზადებენ ქრისტიანობის ტრიუმფს.

თუმცა ყოველივე ეს ჯერჯერობით მხოლოდ პროლოგია იმ ისტორიული დრამისა, რომლის პირველი აქტის მთავარ გმირად სახელგანთქმული ბერძენი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი ანაქსაგორა კლაძომენელი (დაახლ. 500—428) გვევლინება. ახალგაზრდობის წლები ანაქსაგორამ თავის მშობლიურ ქალაქ კლაძომენეში (იონია) გაატარა, უფრო გვიან კი ათენში გადასახლდა, სადაც ათენის დემოკრატიის ბელადს პერიკლეს (დაახლ. 495—429) დაუმეგობრდა და მისი უახლოესი მრჩეველი გახდა. „პერიკლეს ყველაზე ახლობელი ადამიანი — გვაუწყებს პლუტარქე („პერიკლე", 4), — რომელმაც დიადი აზრები შთააგონა და ხალხის ჩვეულებრივი ბელადის დონესთან შედარებით წარმოუდგენლად აამაღლა, ხოლო მის ხასიათს იშვიათი ღირსება შესძინა, — ანაქსაგორა კლაძომენელი იყო, თანამედროვეთა მიერ „გონებად" („ნუს") სახელდებული, არ ვიცი, იმიტომ, რომ მისი მაღალი და არაჩვეულებრივი გონიერება უკვირდათ, რაც თავს იჩენდა ბუნების კვლევისას, თუ იმიტომ, რომ სამყაროული წესრიგის საწყისად შემთხვევითობა და აუცილებლობა კი არა, წმინდა და შეურყვნელი გონება მიაჩნდა".

მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ანაქსაგორას ნოოლოგიისა და ე. წ. „ჰომოიომერიის" პრინციპზე დაფუძნებული ონტოლოგიის განხილვას, რადგან აქ მხოლოდ მისი ასტრონომიული კონცეფცია გვაინტერესებს. როგორც ჩანს, დედამიწა — ტანჯვა-ვაების, სიმწრისა და სიმწირის ეს საუფლო კი არა, ცა უნდა ყოფილიყო მისი გატაცებისა და აღტაცების საგანი. არისტოტელე გადმოგვცემს: „ამბობენ, ერთხელ ვიღაცის გასაოცარ კითხვაზე, რისთვის უნდა გერჩიოს დაბადება არდაბადებას, ანაქსაგორას უპასუხნია: „ზეცისა და სამყაროული წესრიგის ჭვრეტისთვისო" („ევდემეს ეთიკა", 1216 a 11). ამასვე გვაუწყებს დიოგენე ლაერტელიც: „ერთხელ ჰკითხეს — რისთვის დაიბადე ამ ქვეყნადო, რაზედაც მან მიუგო: „მზის, მთვარისა და ცის საჭვრეტადო" („გამოჩენილ ფილოსოფოსთა ცხოვრება", II, 10), ამ მხრივ, ის აგრძელებდა ბერძნული ბუნებისმცოდნეობის საუკუნოვან ტრადიციას, რომელიც თალეს მილეტელისაგან იღებს დასაბამს.

ანაქსაგორას ასტრონომიული კონცეფციის წარმოსადგენად მეცნიერების ისტორიკოსები იძულებულნი არიან იმ ძუნწ ფრაგმენტებს დაეყრდნონ, რომლებიც უფრო გვიანდელი პერიოდის ბერძენმა თუ რომაელმა ავტორებმა შემოგვინახეს. ერთი ამ ავტორთაგანია კათოლიკური ეკლესიის მამა წმ. იპოლიტე (დაახლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

170—236), ვის თხზულებაშიც „ყველა ერესის უარყოფა“ (I, 8, 6—10) ვკითხულობთ: „ანაქსაგორას მიხედვით..., მზე, მთვარე და ვარსკვლავები ეთერის წრებრუნვაში ჩართული გავარვარებული ლოდებია. ვარსკვლავებს ქვემოთ ჩვენთვის უხილავი ერთგვარი სხეულები მზესა და მთვარესთან ერთად ბრუნავენ. ვარსკვლავთა სითბოს ჩვენ ვერ შევიგრძნობთ, რადგანაც ძალზე შორს არიან დედამიწიდან და ვერც მზეს შეედრებიან მხურვალებით, ვინაიდან ცის გაცილებით უფრო ცივი სფერო უჭირავთ. მთვარე მზის ქვემოთაა და უფრო ახლოა ჩვენთან. მზე სიდიდით პელოპონესს აღემატება. მთვარის სინათლე მისეული კი არა, მზისეულია. ვარსკვლავები დედამიწის ქვემოთ ბრუნავენ. მთვარის დაბნელება იმის შედეგია, რომ მას ეფარება დედამიწა, ზოგჯერ კი მთვარის ქვემოთ მბრუნავი სხეულები ფარავენ. ხოლო მზის დაბნელებას ის იწვევს, რომ მას მთვარე ფარავს ახალმთვარეობისას... ანაქსაგორამ პირველმა განსაზღვრა დაბნელებებისა და მთვარის ფაზების პირობები. მან თქვა, მთვარე დედამიწისებურია და მასზე დაბლობები და ბორცვებიაო. ირმის ნახტომი იმ ვარსკვლავთა ათინათია, რომელთაც მზე არ ანათებს. ცას მოწყვეტილი ვარსკვლავები კი თითქოს ნაპერწკლებია, ცარგვალს მოძრაობის შედეგად რომ ცვივიან ძირს“...



*ძველბერძნული ლარნაკი*

როგორც ვხედავთ, ძვ. წ. ა. V საუკუნის კვალობაზე მართლაც რომ განსაცვიფრებელ მეცნიერულ მიხვედრებს, მიგნებებს და აღმოჩენებს აქ არცთუ იშვიათად ენაცვლება პირწმინდად თვითნებური და წარმოსახვითი, ფსევდო-მეცნიერული კონსტრუქციები, და მაინც, სამყაროს რაციონალური შემეცნების გზაზე ეს იყო უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯი. აღარ მოვიტანთ ანაქსაგორას ანალოგიურ პასაჟებს თუ პერიფრაზებს პლუტარქეს (დაახლ. 46 — დაახლ. 119), იოსებ ფლავიუსის (37 — დაახლ. 100), დიოგენე ლაერტელის (III ს. ახ. წ. ა.), ოლიმპიოდორეს (VI ს. ახ. წ. ა.) და სხვათა თხზულებებიდან. მხოლოდ ვეცდებით დაგანახოთ, რა რეაქცია შეიძლება მოჰყოლოდა ამნაირი ასტრონომიული იდეების ქადაგებას იმდროინდელ ბერძნულ სინამდვილეში, სადაც მზე (ჰელიოსი), მთვარე (სელენე) და ვარსკვლავები (ასტერეს) „გავარვარებულ ლოდებად“ კი არა, სათაყვანებელ ღმერთებად იყვნენ მიჩნეული.

ჰელიოსი — ბერძნული პანთეონის ერთ-ერთი უძველესი ღვთაება, ტიტან ჰიპერიონისა და თეიას (ურანოსისა და გეას ასულის) ძე, სელენეს (მთვარის) ძმა, განთიადისას თავისი ბრწყინვალე ეტლით რომ ამოდის ოკეანიდან უკვდავთა და მოკვდავთა მნათად (ჰომეროსი, ოდისეა, III, 1—3; ჰომეროსული ჰიმნები, XXXI, „ჰელიოსისადმი“, 8—9), დღის განმავლობაში გადასერავს ცარგვალს, „ყოვლისმხედი და ყოვლისმსმენელი“ („ილიადა“, III, 277), საღამო ხანს კი დასავლეთით იმავე ოკეანეში ჩაესვენება, რათა ოქროს ნავით გადასეროს წყლის სიღრმე და დილაადრიან აღმოსავლეთით კვლავ ამობრწყინდეს ცის თავანზე. ჰელიოსის კულტი უფრო გვიან აპოლონ-ფოიბოსის კულტს შეერწყა („ფოიბოს“ — წმინდა, ნათელი, სხივოსანი), თუმცა მას კვლავინდებურად სცემდნენ თაყვანს მთელს ელადაში, განსაკუთრებით კი — კორინთოში, არგოსსა და ელიდაში, აგრეთვე კუნძულ როდოსზე, სადაც აღმართული იყო ჰელიოსის გრანდიოზული ქანდაკება, ე.წ. „როდოსის კოლოსი“ (ძველი მსოფლიოს ერთი შვიდ საოცრებათაგანი), ძველი წ. ა. 224 წელს რომ დაანგრია მიწისძვრამ.

სელენე — ჰიპერიონისა და თეიას ასული, ჰელიოსის და (სხვა ვერსიით — მეუღლე), მთვარის მქრქალი შუქის ღვთაება, მსუბუქ ბლონდებად რომ ეხვევა თავს ღამის ბინდბუნდში დანთქმულ კაცთა საცხოვრისს, ვერცხლისფერ ნათელს აფრქვევს ცადაზიდულ მთათა მწვერვალებს, უკიდეგანო ზღვების ზედაპირს, დედამიწის ფართო მკერდზე ფიანდაზად გაშლილ ველ-მინდვრებს და სხივებით უკოცნის სახეს ოლიმპოს თხემზე ძილქუშად მივარდნილ თავის მომხიბლავ მიჯნურს — ენდიმიონს. სელენე ამბივალენტურად აღიქმებოდა მთელ საბერძნეთში: ერთის მხრივ, მას აიგივებდნენ ნადირობის მარადქალწულ ღვთაებასთან — არტემიდესთან, მეორეს მხრივ კი ეს „ქერა ქალღმერთი“ (როგორც მას უწოდებს სელენესადმი მიძღვნილი ყველაზე ლირიული „ჰომეროსული ჰიმნი“ — XXXII, 18), იმავდროულად, ჰეკატედ — მოჩვენებების, ჯადოქრობის, ღამეული კოშმარების ქალღმერთად იყო მიჩნეული.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა ვარსკვლავების (ბერძნ. „ასტერეს“; მხ. რ. „ასტერ“) შესახებ. ანტიკური და ელინისტური ასტროლოგიურ-ასტრონომიული წარმოდგენები, ძირითადად, სამი სხვადასხვა მიმართულებით ყალიბდებოდა, ხოლო ამათგან პირველი იყო სწორედ ასტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტი, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის ცალკეული ვარსკვლავი ბერძნული პანთეონის ამა თუ იმ ღვთაებად მიიჩნეოდა. ეს ტენდენცია, რასაც აშკარად აჟყვია ძველი ბაბილონური ასტროლოგიის უშუალო გავლენის კვალი, განსაკუთრებით ცხადად ვლინდება პლანეტების ძველ ბერძნულ სახელწოდებათა მაგალითზე: ჰერმესი — მერკური; აფროდიტე — ვენერა; არესი — მარსი; კრონოსი — სატურნი; ზევსი — იუპიტერი.

ახლა წარმოიდგინეთ საუკუნეების განმავლობაში ანთროპომორფული პოლითეიზმის ტრადიციებზე აღზრდილ ძველ ბერძენ მორწმუნეთა სულიერი მდგომარეობა, რომელთაც მკრეხელური სიტყვით შეუბღალეს ოლიმპოს წმინდა თხემი, ხოლო სამყაროს საკრალური გუმბათი — ზეცა, ნეტარი ღმერთების სავანე, გავარვარებული ლოდებისა და ქვა-ღორღის სათავსად უქციეს. თუმცა ანაქსაგორა და მისი მცირერიცხოვანი თანამოაზრენი, რა თქმა უნდა, გრძნობდნენ მორწმუნეთა ამ საერთო განწყობილებას. გრძნობდნენ და ფრთხილობდნენ კიდეც: „პირველი, ვინც წერილობით გამოაქვეყნა დღესავით ნათელი და თამამი მოძღვრება მთვარის ფაზებისა და მისი დაბნელების შესახებ, ანაქსაგორა იყო. — წერს პლუტარქე („ნიკია“, 23), — მაგრამ ამ მოძღვრებას გარკვეული სიფრთხილით და წინდახედულობით, საიდუმლოდ ინახავდნენ, და ის მხოლოდ ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი. ეს იყო დრო, როცა ვერ იტანდნენ ბუნებისმეტყველებსა და „მეტეოროლესხებს“ („ზეცაზე მოლაყბეებს“), რადგანაც ისინი თითქოს უგონო მიზეზებთან, უმიზნოდ მოქმედ ძალებსა და ბუნებრივ მოვლენებთან აიგივებდნენ ღვთაებას“.

მაგრამ თქმულა: „არ არის საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდესო“. გამონაკლისი არც ეს საიდუმლო აღმოჩნდა და მაშინ გაშმაგებული ბრბოის რისხვა მთელი თავისი სისასტიკით თავს დაატყდა შემცოდეს: ანაქსაგორას დილეგში უკრეს თავი, შემდეგ კი სამსჯავროს წარუდგინეს და სიკვდილი მიუსაჯეს. „მისი სასამართლო პროცესის ამბავს სხვადასხვანაირად გადმოგვცემენ. — წერს დიოგენე ლაერტელი, — სოტიონი (ახ. წ. ა. II ს. ავტორი, — ბ. ბ.) „ფილოსოფოსთა ცვლაში“ ამბობს, რომ მას კლეონმა დასდო ბრალი, რადგანაც ამტკიცებდა, ჰელიოსი რკინის გავარვარებული ზოდიაო. მაგრამ რაკი ბრალდებულის დასაცავად სიტყვით გამოვიდა მისი მოწაფე პერიკლე, ანაქსაგორას მხოლოდ ჯარიმის — ხუთი ტალანტის გადახდა მიუსაჯეს და ათენიდან გააძევეს. სატიროსის (II ს. ძვ. წ. ა. — ბ. ბ.) „ბიოგრაფიების“ მიხედვით კი ანაქსაგორას წინააღმდეგ საქმე აღძრა პერიკლეს პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ თუკიდიდემ, რომელმაც არა მარტო ღვთისმგმობლობა დასწამა, არამედ სპარსოფილობაც, და ბრალდებულს დაუსწრებლად მიუსაჯეს სიკვდილი, ორი ცნობა — სასიკვდილო განაჩენისა და შვილების სიკვდილის შესახებ ერთდროულად მიიღო თურმე. განაჩენზე უთქვამს: „მეც და ჩემს მსაჯულებსაც ბუნებამ, უკვე დიდი ხანია მოგვისაჯა სიკვდილიო“, შვილების სიკვდილზე კი — „ვიცოდი, მოკვდავნი რომ გავაჩინეო“, და თავისი ხელით დაუმარხავს ისინი, როგორც გადმოგვცემს დემეტრიოს ფალერონელი (350—283, — ბ. ბ.) თავის წიგნში „სიბერისათვის“. ჰერმიპე (III ს. ძვ. წ. ა. — ბ. ბ.) თავის „ბიოგრაფიებში“ ამბობს, ანაქსაგორა უკვე ციხეში იჯდა და სიკვდილით დასჯას ელოდა, როდესაც პერიკლემ ხალხს ჰკითხა: ვის შეუძლია რაიმე მისაყვედუროსო, რაზედაც ხალხს მიუგია: არავისო, პერიკლეს კი პასუხად უთქვამს: ჰოდა, მე მისი მოწაფე ვარო. მაშინ გაუთავისუფლებიათ ანაქსაგორა, მაგრამ ბერიკაცს ვერ აუტანია შეურაცხყოფა და თავი მოუკლავს“.

ამასვე გვაუწყებს იოსებ ფლავიუსიც („აპიონის წინააღმდეგ“, II, 265): „ანაქსაგორა კლაძომენელი იყო, მაგრამ რადგანაც გავარვარებულ დოლაბად მიიჩნია მზე, რომელსაც ათენელები ღმერთად სახავდნენ და თაყვანს სცემდნენ, მათ, რამდენიმე ხმის უმეტესობით, სიკვდილი მიუსაჯეს მკრეხელობის გამო“. ხოლო სუდას (სვიდას) სახელით ცნობილ ლექსიკონში (დაახლ. 1000 წ. ახ. წ .ა.) ვკითხულობთ: „ანაქსაგორას გავარვარებულ ლოდად მიაჩნდა მზე, თუმცა ამის გამო კი არ მოუკლავთ, არამედ, პერიკლეს დაცვის წყალობით, ათენიდან გაძევებული ლამპსაკოსში დასახლდა, სადაც 70 წლისამ მოიკლა თავი, რადგანაც ათენელებმა ციხეში ჩასვეს იმის გამო, რომ ცდილობდა ხალხისთვის თავს მოეხვია რაღაც ახალი წარმოდგენა ღმერთზე“...

ანაქსაგორას სიკვდილიდან სამ ათეულ წელსაც არ გაევლო, რომ ათენის სასამართლომ, ანალოგიური ბრალდებით, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა დიდ ათენელ მოაზროვნეს სოკრატეს (470—399). ბრალდებამ, რომლის ავტორიც იყო ხელმოცარული ტრაგიკოსი პოეტი მელეტოსი, სიტყვასიტყვით მოაღწია ჩვენს დრომდე: „ეს დაწერა და ფიცით დაადასტურა მელეტოსმა, მელეტოსის ძემ, პიტთეისელმა, სოკრატეს, სოფრონისკეს ძის, ალოპეკელის წინააღმდეგ. სოკრატე მკრეხელობს, ვინაიდან არ აღიარებს ქალაქის ღმერთებს, ვინაიდან შემოჰყავს ახალი ღვთაებები და, ამრიგად, რყვნის ახალგაზრდობას. სასჯელი: სიკვდილი“.

აქ, სოკრატეს სასამართლო პროცესზე ერთხელ კიდევ გაისმა მისი უფროსი თანამედროვისა და მეგობრის ანაქსაგორას სახელი, რასაც გვიმოწმებს პლატონის ბრწყინვალე დიალოგი „სოკრატეს აპოლოგია“, რომელიც სწორედ მისი დიდი მასწავლებლის პროცესისადმია მიძღვნილი. ქვემოთ მოტანილ პასაჟში (26 de) ბრალდებულისა და ბრალმდებლის დიალოგია გადმოცემული:

„— გვითხარი, მელეტოს: შენი აზრით, მაინც როგორ ვრყვნი ახალგაზრდობას? თუ შენს ბრალდებას ვერწმუნებით, მე თითქოს ვასწავლი ათენელ ჭაბუკებს უარყონ ის ღმერთები, რომლებსაც თაყვანს სცემს ქალაქი, და მათ ნაცვლად ახალი ღვთაებები თუ დემონები* აღიარონ. ხომ ამას გულისხმობ, როცა ამტკიცებ, რომ მე ჩემი მოძღვრებით ვრყვნი ახალგაზრდობას?

— დიახ, სწორედ მაგას ვგულისხმობ.

— მაშ, გაფიცებ სწორედ ამ ღმერთებს, რომლებიც ესესაა ვახსენეთ, მელეტოს, უფრო ნათლად და, როგორც ჩემთვის, ისე, აი, ამ ხალხისთვისაც უფრო გასაგებად ილაპარაკე. რადგან მე ვერასდიდებით ვერ მივმხვდარვარ, რისი თქმა გსურს: იმას ამტკიცებ, თითქოს მე ვმოძღვრავ ახალგაზრდობას აღიაროს რომელიღაც ახალი ღვთაებანი

---

*** დემონი („დაიმონ”) ძველ ბერძნულში „ღმერთს”, „ღვთაებას” ნიშნავდა. მნიშვნელობა ქრისტიანობამ უცვალა.**

და, მაშასადამე, თვითონვე ვაღიარებ ღმერთების არსებობას, ასე რომ, არ შეიძლება პირწავარდნილი ულმერთო მეწოდოს და, ამრიგად, ამ მხრივ როდი ვცოდავ; მხოლოდ ეგაა, ვაღიარებ არა იმ ღმერთებს, რომლებსაც თაყვანს სცემს ქალაქი, და სწორედ ამაში მდებ ბრალს, — თუ იმის დამტკიცება გსურს, რომ მე საერთოდ უარვყოფ ღმერთებს, და არა მარტო თავად უარვყოფ, არამედ სხვებსაც ამასვე შევაგონებ?

— მე ვამტკიცებ, რომ შენ საერთოდ არა სცნობ ღმერთებს.

— საოცარი კაცი ხარ, მელეტოს! რატომ ამტკიცებ მაგას? მაშასადამე, მე სხვებისაგან განსხვავებით, ღმერთებად არა ვცნობ, ღმერთებად არა ვთვლი არც მზეს და არც მთვარეს?

— ვფიცავ ზევსს, მართლაც ასეა, მოსამართლენო: ის ამტკიცებს, რომ მზე ქვაა, მთვარე კი — მიწა.

— როგორც ჩანს, ანაქსაგორას ადანაშაულებ, ჩემო ძვირფასო მელეტოს, და ისე უბადრუკებად, ისე უვიცებად მიგაჩნია ჩვენი მოსამართლენი, რომ გგონია, თითქოს მათ არ იციან, ანაქსაგორა კლაძომენელის წიგნები ამნაირი აზრებით რომაა სავსე. ჩვენი ჭაბუკებიც, თურმე, ნუ იტყვით და, ჩემი წყალობით იგებენ ამას, თუმცა შეუძლიათ ორქესტრაში, სულ დიდი, ერთი დრამის ფასად შეიტყონ იგივე"...

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სოკრატე სკეპტიკურად იყო განწყობილი არა მარტო ანაქსაგორას ნატურფილოსოფიისა თუ კოსმოლოგიის, არამედ, საერთოდ, მთელი ბერძნული ბუნებისმცოდნეობის მიმართაც. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მინდა გაგაცნოთ ფრაგმენტი ჩემი ესსედან „სოკრატეს აპოლოგია" (იხ. წიგნში — პლატონი, ადრეული დიალოგები, თბ. 1997, გვ. 293—320; ქვემოთ მოხმობილი ფრაგმენტი — გვ. 292—293; 299—300):

„ბერძნული ნატურფილოსოფიის შინაგანმა წინააღმდეგობებმა განაპირობეს არა მარტო სოფისტიკის, არამედ სოკრატეს მსოფლმხედველობის ფორმირებაც. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩაღრმავებისას, სადაც ამდენ თამამ ჰიპოთეზას საფუძვლად ედო მხოლოდ ორიოდე ზუსტი, ინტუიტური წვდომით მიკვლეული ჭეშმარიტება და ზოგჯერ საკმაოდ საყურადღებო, მაგრამ ცდით შეუმოწმებელი დაკვირვება, — სოფისტებისა არ იყოს, სოკრატეც თანდათან სკეპტიკური სულით განიმსჭვალა ამ მეცნიერებების მიმართ — მის საღ ბუნებრივ აზრს აფრთხობდა ეს ინტელექტუალური ავანტურიზმი, რომელიც უცნაურად ამღვრევდა და აშფოთებდა მის ეთიკურსა თუ რელიგიურ მრწამსსაც. ყველა ძველ მოაზროვნეს ბრმად სწამდა ადამიანური გონების უსასრულო ძალმოსილება, ყველა ცდილობდა ჩასწვდომოდა საგანთა იდუმალ სიღრმეს, შეეცნო მათი პირველმიზეზი და აქედან გამოეყვანა მთელი ცდისეული სამყარო; ყველა ცალ-ცალკე განიხილავდა რომელიღაც განყენებულ საწყისს, სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს და, თანაც, ერთპიროვნულად იჩემებდა ჭეშმარიტების ცოდნას, მეტიც, თავისი აზროვნებით თვითონვე „ქმნიდა" ჭეშმარიტებას, სოკრატეს კი სწამდა, რომ ჭეშმარიტება აზროვნებაზე უწინარესია და საჭიროა მხოლოდ მისი მიკვლევა. სრულყოფილი ცოდნა სოკრატეს თვალში თანდათანობით იძენს ადამიანური ცნობიერებისათვის მიუწვდომელი იდეალის მნიშვნელობას. ჩვენ რომ მთელი ჭეშმარიტების მფლობელნი ვიყოთ, თვითონვე შევძლებდით საგანთა შექმნას; ბუნების კანონები, სამყაროს საიდუმლოებანი რომ ვიცოდეთ, თვითონვე ვიქნებოდით ღმერთები, რადგანაც აბსოლუტური ცოდნა მხოლოდ ღმერთების ხვედრია და არა ადამიანების...

ღვთისმეტყველება უშუალოდ გამომდინარეობს სოკრატეს მთელი მოძღვრებიდან. როგორც პლატონის „სოკრატეს აპოლოგია" გვიმოწმებს, ადამიანური სიბრძნის უმწეობისა და უბადრუკობის შეგნება თავისთავად ნიშნავს ღვთიური სიბრძნის უსასრულობის აღიარებას. კაცს, რომელიც ამტკიცებს, რომ არაფერი არ იცის, ურყევად სწამს ყოვლისმომცველი ცოდნის არსებობა. პირობითი და სასრული ცოდნა თავისთავად გულისხმობს უპირობო და უნივერსალურ ცოდნას, აბსოლუტურ სიბრძნეს, როგორც კერძო გულისხმობს ზოგადს. სულის სიცოცხლე, აზროვნება, ზნეობრივი თვითშეგნება, — აი, ის საძირკველი, რომელზედაც სოკრატე აფუძნებს ღმერთის ცნებას. თვით იდეალური ზოგადი მიზნის არსებობა ადამიანის სულში, თვით აზრის სწრაფვა ჭეშმარიტებისა და სიკეთისაკენ, თვით გონების ქმედითობის ეთიკური შინაარსი სოკრატესათვის სამყაროს შინაგანი სიმართლისა და სიკეთის, ზეპიროვნული და ზებუნებრივი გონივრული პირველსაწყისის — ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი საბუთებია. ადამიანის ყოველგვარი ცნობიერი ქცევა, ყოველგვარი შეგნებული მოქმედება თუ მოღვაწეობა ქვეცნობიერად გულისხმობს ჩვენი არსებობის ფარულ მიზანს, იმის უსიტყვო აღიარებას, რომ ამ არსებობას რაღაცა აზრი აქვს. მაგრამ ეს აზრი მარტოოდენ ადამიანური გონების სუბიექტური პრინციპი როდია: ჩვენსავ საკუთარ შეგნებაში ის უშუალოდ განიცდება როგორც კოსმიური პრინციპი. ჩვენი გონება, ჩვენი აზროვნების უნარი, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით თავისი არსებობის ფაქტითაც კი ცოცხალ პროტესტად გვევლინება სამყაროში აზრი ყოველგვარი ნიშანწყლის უარყოფის, ტოტალური უაზრობის წინააღმდეგ. სოკრატეს არა სწამს, რომ ჩვენი გონება ერთადერთი უცნაური გამონაკლისია მთელს სამყაროში, რომ ჩვენი აზრი სრულიად უცხო და უთვისტომო მოვლენაა აზრისაგან დაცლილ კოსმოსში. პირიქით, მისი ღრმა რწმენით, არსებობს ყოვლისმომცველი ცნობიერება, უნივერსალური აზრი, მთელი გრძნობად-კონკრეტული სინამდვილის მაფორმირებელი და მასულდგმულებელი უზენაესი საწყისი — ღმერთი, რომელიც აზრს ანიჭებს ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ცხოვრებას და საერთოდ სამყაროს არსებობასაც.

მაგრამ როგორ განსხვავდება სოკრატეს მრწამსი მითოლოგიური წარმოდგენებისა და პოპულარული სარწმუნოებისაგან; როგორ არა ჰგავს მისი ღმერთი ხალხის მიამიტური წარმოსახვით შექმნილ ღმერთებს, რომლებიც ადამიანებივით ჭამენ, სვამენ, ღრეობენ, მრუშობენ; ღმერთებს, რომლებსაც შიათ, სცივათ, სწყურიათ, სძულთ, შურთ და უყვართ; ღმერთებს, რომლებიც მრისხანებენ, შიშობენ, ეჭვიანობენ, იბრძვიან, მარცხდებიან და იმარჯვებენ; ღმერთებს, რომლებიც მხოლოდ იმით განსხვავდებიან ადამიანებისაგან, რომ მათი ვნებები უფრო მძაფრია; მიზნები — უფრო დიადი; თვალსაწიერი —

უფრო ფართო; აზრი — უფრო გამჭრიახი; ძალმოსილება — შეუმუსრავი; თვითრწმენა — ურყევი; არსებობა — წარუვალი... სოკრატეს თეოლოგია ძირეულად უპირისპირდება ამ მიამიტურ მრწამსს: ღმერთი, როგორც კოსმოსის უზენაესი კანონმდებელი, ბუნებასა და სინამდვილეზე ამაღლებული; ღმერთი, როგორც ეთიკური არსება, სამყაროს შინაგანი სიკეთე და სიმართლე; ღმერთი, როგორც სინიდისის სიწრფელე, ზნეობრივი საწყისის ზეობა ადამიანის სულში"...

„ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". — ამ სიტყვებს ოთხი საუკუნის შემდეგ წარმოსთქვამენ სულ სხვა ცის ქვეშ და სულ სხვა ხალხში, მაგრამ ისინი ზედმიწევნით ზუსტად ესადაგებიან ათენელ ბრძენკაცს და მის თანამედროვეობას. სიბრძნისა და სიკეთის თესლი იშვიათად დაცემულა უფრო მწირსა და უნაყოფო ნიადაგზე. მაბეზღარა სიკოფანტების, ცილისმწამებელი ბრალმდებლების, რეგვენი ჰელიასტების (ნაფიცი მსაჯულების) და გაქნილი დემაგოგების ბრმა იარაღის — გონებაჩლუნგი ბრბოის ერთობლივმა ძალისხმევამ, ვითომცდა ბრალდებულის მიერ შებღალული მათი „წმინდათა-წმინდა" მრწამსის დასაცავად, თავისი შედეგი გამოიღო: 501-დან 360-მა ჰელიასტმა სოკრატეს სიკდილი მიუსაჯა. ანაქსაგორა პერიკლემ იხსნა. მაგრამ ათენის დემოკრატიის ბელადი დიდი ხანია მიწაში იწვა, თვით ათენში კი ე.წ. „ოცდაათთა ტირანია" მძვინვარებდა, მუსრს რომ ავლებდა დემოკრატიის მომხრეებს. მართალია, მოწაფეები მზად იყვნენ ფულით დაეხსნათ ან ციხიდან გაეპარებინათ თავიანთი მოძღვარი, მაგრამ სოკრატემ ცივი უარი განაცხადა ამ გზით თავის გადარჩენაზე. როგორც პლატონის „ფედონი" გვაუწყებს, სასამართლო პროცესიდან ერთი თვის თავზე მსჯავრდადებულმა სულმოუთქმელად დასცალა საწამლავით სავსე ფიალა და, ამრიგად, საკუთარი ხელით აღასრულა საბერძნეთის ისტორიაში ყველაზე უსამართლო განაჩენი...

მასწავლებლის ტრაგიკულმა აღსასრულმა გარკვეულწილად შებოჭა და სრული გასაქანი არ მისცა მისი გენიალური მოწაფის — პლატონის (427—347) მცდელობას, როცა ის ძველი ბერძნული ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას — სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემის პირველ მეცნიერულ მოდელს უყრიდა საფუძველს. პლატონის ასტრონომიულ შეხედულებათა განვითარების თანმიმდევრულ ეტაპებს (გეოცენტრული და გეო-ჰელიოცენტრული წარმოდგენებიდან ჰელიოცენტრულ კონცეფციამდე) დაინტერესებული მკითხველი დაწვრილებით გაეცნობა ჩემს ვრცელ გამოკვლევაში „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი", რომელიც წინ უძღვის დიდი ბერძენი მოაზროვნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დიალოგს — იხ. პლატონი, ტიმეოსი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბ. 1994, გვ. 69—97. აქ კი ძალზე ზოგადად და სქემატურად გაგაცნობთ ამ გამოკვლევის ზოგიერთ საგულისხმო მომენტს.

ბერძენ მოაზროვნეთა შორის საუკუნეების მანძილზე არსებობდა აზრი იმის შესახებ, რომ სამყაროს სფეროს ფორმა აქვს. ეს აზრი განმტკიცებული იყო საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, რომლის თანახმადაც ყველაზე სრულქმნილ გეომეტრიულ სხეულად სფერო ითვლებოდა, ისევე, როგორც ყველაზე სრულყოფილ გეომეტრიულ ფიგურად წრეს მიიჩნევდნენ. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივი ჩანდა ვარაუდი, რომ სფერულ სამყაროში ყველა ციურ სხეულს წრიულ ორბიტაზე უნდა ემოძრავა. მაგრამ ამ ვარაუდს ამართლებდა მხოლოდ ე.წ. უძრავ ვარსკვლავთა გადაადგილება ცის თაღზე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. თვით მზისა და მთვარის ორბიტებიც კი გარკვეულ გადახრას ავლენდნენ მკაცრად წრიული ფორმიდან, ხოლო რაც შეეხება პლანეტებს (მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი, სატურნი), მათი მიმოქცევა უძრავ ვარსკვლავთა მიმართ ორი უცნაური მოძრაობის — წინსვლითი და უკუქცევითი მოძრაობის საერთო ჯამად წარმოუჩნდებოდა დამკვირვებლის თვალს, მათი ხილული ტრაექტორიები კი არანაკლებ უცნაურ მრუდებსა და მარყუჟებს შემოსწერდნენ ცის თაღზე. ეს იყო აშკარა ანომალია ციურ სხეულთა აბსოლუტური უმრავლესობის მოძრაობასთან შედარებით, სამყაროული კანონზომიერების უხეში რღვევა. და, აი, პლატონმა თავის მოწაფეებს დაუსახა ამოცანა — „ეხსნათ მოვლენა", ესე იგი, თანაბარზომიერ წრიულ მოძრაობათა კომბინაციების სახით წარმოედგინათ ყველა ციური სხეულის მოძრაობა ცის თაღზე.

ამ ურთულესი ამოცანის გადაჭრა ყველაზე უკეთ შესძლო პლატონის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა და მრავალმხრივ განსწავლულმა მოწაფემ, მათემატიკოსმა და ასტრონომმა, ისტორიკოსმა და გეოგრაფმა, მედიკოსმა, ფილოსოფოსმა და რიტორმა ევდოქსე კნიდოსელმა (დაახლ. 408—355). შეიძლება ითქვას, რომ მოწაფემ იშვიათი მახვილგონივრულობით შეასხა ხორცი მასწავლებლის შთანაფიქრს. ასე შეიქმნა გეოცენტრული სისტემის პირველი მეცნიერული მოდელი. „სულ 27 სფეროს მეშვეობით — წერს ამერიკელი სწავლული ერიკ როჯერსი, — ევდოქსემ ააგო სისტემა, რომელიც პლანეტათა მოძრაობის კარგ იმიტაციას იძლეოდა. მის სქემას საფუძვლად ედო მარტივი სფეროები, უცვლელი სიჩქარით რომ ბრუნავდნენ საერთო ცენტრის — დედამიწის ირგვლივ. ამ სისტემამ მოითხოვა რთული მათემატიკური გამოთვლები: საჭირო იყო ოთხი სხვადასხვა მოძრაობის განხილვა თვითეული პლანეტისათვის და ბრუნვის ღერძებისა და სიჩქარეების სათანადოდ შერჩევა, რათა მიგვეღო ხილული მოძრაობის შესატყვისი საბოლოო მოძრაობანი. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლო გახდა რთული გეომეტრიული აგებების წყალობით. ევდოქსე იყენებდა ერთგვარ ჰარმონიულ ანალიზს (სამგანზომილებიანი სახით!) ფურიემდე ორი ათასი წლით ადრე. ეს იყო კარგი თეორია".

ეს მართლაც კარგი თეორია იყო, მაგრამ მას თავისი ხარვეზებიც ჰქონდა. დაკვირვებისათვის მისაწვდომი არა ერთი და ორი მოვლენა აშკარად ვერ თავსდებოდა ევდოქსეს სქემის ჩარჩოში. სამყაროს გეოცენტრული სისტემის პირველი მეცნიერული მოდელის მთელი მანკიერება ყველაზე უმალ სწორედ ევდოქსეს მასწავლებელმა შეიგრძნო, რამაც კოსმიური კანონზომიერების არსში უფრო ღრმად წვდომისა და შემეცნების აუცილებლობისაკენ მიაქცია მისი მარად მაძიებელი აზრი. პლატონის დიალოგების ცალკეული პასაჟები, მისი თანამედროვე თუ მომდევნო ეპოქის მწერალთა და ფილოსოფოსთა ნაშრომებში

შემონახული ძუნწი, მაგრამ უაღრესად საყურადღებო ცნობები, ისტორიული დოკუმენტები ჩვენს თვალწინ აცოცხლებენ დიდი მოაზროვნის დაძაბული შემოქმედებითი ძიებების ზოგიერთ საგულისხმო დეტალს.

„ტიმეოსის" ატრონომიული კონცეფციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პლატონი ჯერ კიდევ აღიარებს გეოცენტრულ მოდელს, მაგრამ არსებითი ხასიათის კორექტივი შეაქვს მასში: სამყაროს ცენტრი — დედამიწა აბსოლუტურად უძრავი კი აღარაა, არამედ თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს, ასე რომ, პლანეტების ხილული მოძრაობის ანომალიური სურათი ორი სხვადასხვა მოძრაობის — საკუთრივ პლანეტების მოძრაობისა და თავისი ღერძის გარშემო დედამიწის ბრუნვის რეზულტატად აღიქმება დამკვირვებლის მიერ. შემდეგ კი, „ეპინომისში" პლატონი აყალიბებს სამყაროს ე.წ. გეო-ჰელიოცენტრულ მოდელს, რომლის თანახმადაც პლანეტები დედამიწის კი არა, მზის გარშემო ბრუნავენ და მხოლოდ მზე თავისი თანამგზავრებითურთ („სინდრომოი") მოძრაობს დედამიწის ირგვლივ; მოდელს, რომელსაც ცხრამეტი საუკუნის შემდეგ აღადგენს და შემოქმედებითად განავითარებს კეპლერის მასწავლებელი ტიხო ბრაჰე.

ასე, ძველის თანდათანობით უარყოფისა და ახლის დაუცხრომელი ძიების გზით მიდის პლატონი თავის დიად აღმოჩენამდე: იგულისხმება სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემის პირველი მეცნიერული მოდელი, რომელიც ყველაზე ზუსტად ჩამოყალიბებულია „კანონების" VII წიგნში (822 აბ), და რომლის ბრწყინვალე ანალიზიც XIX საუკუნეში მოგვცეს ცნობილმა იტალიელმა ასტრონომმა ჯ. სკიაპარელიმ და გერმანელმა სწავლულმა ო. გრუპემ, რამაც საშუალება მისცა ორივე მათგანს კოპერნიკის შორეულ წინამორბედად გამოეცხადებინათ პლატონი. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ძველი სამყაროს ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა, რასაც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მეცნიერული აზრის ტრიუმფი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პლატონის ღვაწლის აღიარებამ მთელი ათასწლეულობით დაიგვიანა, რაც საუკუნეების მანძილზე მრავალი ობიექტური (და არა მარტო ობიექტური) მიზეზის მოქმედებით გახლდათ გამოწვეული:

ჯერ ერთი, „კანონების" მთავარი გმირი — მხცოვანი ათენელი სტუმარი, ვისი სახითაც, პლატონისტების აზრით, დიალოგის ავტორს საკუთარი თავი გამოჰყავს, პირდაპირ უცხადებს თავის თანამოსაუბრეებს, რომ მხოლოდ სიბერეში მიაღწია ციურ სხეულთა მოძრაობის სრულიად ახლებურ გაგებას (იხ. „კანონები", VII, 821 e). როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, პლატონი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა „კანონებზე", რომელიც ცვილის ფირფიტებზე შავად დაწერილი დარჩა და უკვე ავტორის სიკვდილის შემდეგ მისმა უერთგულესმა მოწაფემ ფილიპე ოპუნტიელმა გადაათეთრა (იხ. დიოგენე ლაერტელი, III, 37). ასე რომ, პლატონი, რა თქმა უნდა, ვერ მოასწრებდა თავისი ახალი ასტრონომიული კონცეფციისთვის სათანადო მათემატიკური აპარატის მოძებნას და სამყაროული წრებრუნვის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი მოდელის შექმნას.

ვერ მოასწრებდა... ან იქნებ არც უნდოდა მოესწრო? ჰელიოცენტრული კონცეფცია ძვ. წ. ა. IV საუკუნის საბერძნეთში არანაკლებ საფრთხეს უქმნიდა მის ავტორს, ვიდრე კვატროჩენტოსა თუ ჩინკვეჩენტოს იტალიაში (საკმარისია ითქვას, რომ 434 წელს, პერიკლეს მმართველობისას, სახალხო სათათბირომ კანონის ძალა მიანიჭა დიოპიტეს წინადადებას, ყველა ღვთისმგმობი მთელი სიმკაცრით გაესამართლებინათ და სასტიკად დაესაჯათ, როგორც სახელმწიფო დამნაშავე). ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა „კანონების" ერთი ფრაგმენტი (VII, 821 b–d):

„ა თ ე ნ ე ლ ი. მეგობრებო, მე ვიტყოდი, რომ ამჟამად ჩვენ, ელინები, მცდარად აღვიქვამთ დიად ღმერთებს — მზესა და მთვარეს.

კ ლ ი ნ ი ა. როგორ თუ მცდარად?

ა თ ე ნ ე ლ ი. ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი არასოდეს არ მოძრაობენ ერთი და იმავე გზით, როგორც ზოგიერთი სხვა ვარსკვლავი, და ამიტომაც ცთომილებს ვუწოდებთ მათ.

კ ლ ი ნ ი ა. ვფიცავ ზევსს, მართალს ბრძანებ, უცხოელო, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში არაერთხელ დავკვირვებივარ, რომ ცისკრისა თუ მწუხრის ვარსკვლავი და ზოგიერთი სხვა მნათობიც არასოდეს არ მიმოიქცევიან ერთი და იმავე გზით, არამედ აქეთ-იქით დაეხეტებიან. მზე და მთვარე კი ისე მოძრაობენ, როგორც ჩვენ ყველანი ვხედავთ.

ა თ ე ნ ე ლ ი. ამიტომაც ვამტკიცებ მე, მეგილე და კლინია, რომ ყოველივე ეს ციური ღმერთების შესახებ იმდენად მაინც უნდა იცოდნენ ჩვენმა მოქალაქეებმა და ახალგაზრდებმა, რომ მათ გმობას კი არ მიჰყონ ხელი, არამედ მუდამ — მსხვერპლშეწირვისა თუ ლოცვავედრების დროსაც ინარჩუნებდნენ ღვთისმოსაობას".

ამას მოსდევს „კანონების" ზემოთ უკვე დამოწმებული პასაჟი (VII, 822 ab), რომელშიც ყველაზე სრულად და ამომწურავად გადმოცემულია პლატონის ჰელიოცენტრული მოძღვრების არსი. მაგრამ ჩვენ აქ უშუალოდ წინამდებარე ფრაგმენტი გვაინტერესებს: აუცილებელია ყველას ესმოდეს, — ამტკიცებს ათენელი სტუმარი (იგივე პლატონი), — თვითეულის შეგნებამდე იქნეს დაყვანილი ცთომილთა ხილული კი არა, რეალური მოძრაობის ცოდნა, მაგრამ მხოლოდ გარკვეული ოდენობითა თუ დოზით. მიზეზი ერთია: ათენელი შიშობს, რომ თუ ამ ცოდნას მთელი სიღრმითა და სისრულით დაეუფლება ყველა ელინი, ეს გარდუვალად გამოიწვევს ტრადიციული რელიგიური წარმოდგენების მსხვრევას. რაღა დარჩება რწმენისაგან, როცა ოლიმპო, ნეტარი ღმერთების მთელი დასითურთ, დედამიწასთან ერთად ციბრუტივით დაიწყებს ტრიალს, როგორც დისკობოლოსი (ბადროს მტყორცნელი) თავისი ბადროთი ტრიალებს ვიწროდ მოხაზულ წრეში? ადვილი შესაძლებელია, რომ ამას უშუალო შედეგად მოჰყვეს საყოველთაო ურწმუნოება, მკრეხელობა, ღვთისმგმობლობა. პლატონს, ღრმად მორწმუნე და ღვთისმოსავ კაცს, ყველაზე უმალ თვითონვე აძრწუნებს და თავზარსა სცემს ეს საზარელი პერსპექტივა. ეგეც არ იყოს, მას კარგად ახსოვს ანაქსაგორას სვედავსილობაც და სოკრატეს ტრაგიკული ხვედრიც. გაივლის საუკუნე და ანალოგიური იდეების ქადაგებით შეურაცხყოფილი ელინთა რელიგიური გრძნობა მრისხანედ მგრგვინავ ანათემად ერთხელ კიდევ დაატყდება თავს დიდ ბერძენ ასტრონომს არისტარქე სამოსელს. პაგანიზმი, ამ მხრივ, არანაკლებ ულმობელია და დაუნდობელი, ვიდრე ქრის-

ტიანიზმი. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ძველ საბერძნეთში თამაშდება ახალი ასტრონომიის დიდ მარტვილთა — ნიკოლოზ კოპერნიკისა და ტიხო ბრაჰეს, ჯორდანო ბრუნოს, გალილეო გალილეისა თუ იოჰან კეპლერის დრამის პირველი აქტი.

ამიტომ ცხოვრებისეული დიპლომატია დიდ სიფრთხილესა და წინდახედულებას მოითხოვს. ახალი ასტრონომიული კონცეფციის დამკვიდრებას გადაულახავ დაბრკოლებად ელობება წინ აზროვნების ინერცია და მეცნიერების განვითარების მაშინდელი დონეც. სწორედ ამით აიხსნება, რომ ბერძნული ასტრონომიული აზრის მთელი შემდგომი განვითარება კვლავინდებურად ტრადიციული მიმართულებით — გეოცენტრული მოდელის თანდათანობით დახვეწის, სრულყოფისა და, იმავდროულად, უკიდურესი გართულების ნიშნითაც წარიმართება, და მხოლოდ მცირერიცხოვანი რჩეულნი თუ გაჰყვებიან პლატონის მიერ ნაჩვენებ გზას. ყველაზე თამამი იდეები ყველაზე უთვისტომო და მიუსაფარი, ყველაზე ტრაგიკული იდეებია. არავინ იცის, რატომ იბადებიან მათთვის სრულიად უცხო და შეუფერებელ გარემოში, სადაც ისინი არავის სჭირდება, სადაც აშკარად არ არის მათი ადგილი, კომეტა, რომელიც წამით გაიელვებს ღამეულ ცაზე და თითქოს სამუდამოდ უჩინარდება უსასრულობის მრუმე წიაღში, რათა ათასწლეულის შემდეგ კვლავინდებურად მოიქცეს უკან და სამყაროს გონებამიუწვდომელ მისტერიაზე ერთხელ კიდევ დააფიქროს სულ სხვა ცივილიზაციის ადამიანი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გამოხმაურება

ვახტანგ ამაღლობელი

# თათბირი ამერიკულად

*

## ჯონ კენედი და ჯონ სტაინბეკი

ბატონო როსტომ!

გარკვეულ გარემოებათა გამო თქვენი ესეი: "ჯონ სტაინბეკის საიდუმლო" მხოლოდ ახლახან წავიკითხე. როგორც თქვენი მდიდარი შემოქმედება, ეს ესეიც სახელმწიფოებრივი აზროვნების ნათელი ნიმუშია. თუმცა ახალს რას ვამბობ?! ყველა ჭეშმარიტი მწერალი ხომ თავისთავად ერის კაცი და საზოგადო მოღვაწეა.

მინდა აღნიშნულ ესეიში გამოთქმულ რამდენიმე მოსაზრებას გამოვეხმაურო.

თქვენ ბრძანებთ, რომ ჯონ სტაინბეკის საქართველოში მეორე სტუმრობამდე კოლაუ ნადირაძე, რომელსაც უილიამ ბატლერ იეიტსის დიდტანიანი პოეტური კრებული ჩამოუვიდა უცხოეთიდან, გაკვირვებული გაიძახოდა: " — ნეტა ვინ გამომიგზავნა, ნეტა რატომ გამომიგზავნა?!." და იქვე სავსებით მართებულ ვარაუდს გამოთქვამთ: "ერთი პიროვნების საქციელს არა ჰგავდა. აშკარად გუნდი იგულისხმებოდა გამოგზავნის მიღმა, რამხელა გუნდი, ძნელია ეს ამოგეცნო, მაგრამ უთუოდ ადამიანთა კრებული და არცთუ მცირერიცხოვანი...

რა ჩაეფიქრებინათ ან რას ანიშნებდნენ?"

ნამდვილად რომ გუნდი იქნებოდა და თანაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი. ჩემი წარმოდგენით, ეს იქნებოდა ამერიკის პრეზიდენტის ჯონ კენედის მიერ შექმნილი გუნდი, რომელშიც პროფესიონალი პოლიტიკოსები და საუნივერსიტეტო აკადემიური წრეების წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებულნი, საბჭოთა სისტემის დასუსტება რომ ჰქონდათ ჩაფიქრებული. ამ ჩანაფიქრს თითქმის ყველა მომდევნო პრეზიდენტის გუნდი ახორციელებდა. ამგვარი მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო, რომ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში საბჭოთა სისტემას საბოლოოდ მოერყა საფუძველი და პრეზიდენტ მამა-ბუშის დროს კიდევაც დაიშალა.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ გუნდების მოქმედება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის თვალსაზრისით ყოველთვის წარმატებული ვერ იყო. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოდ მიმაჩნია ზბიგნევ ბჟეზინსკის მოსაზრება, რომელიც გამოთქმული აქვს ბესტსელერად ქცეულ წიგნში "მეორე ცდა". წიგნი ფაქტობრივად ამერიკის სამი პრეზიდენტის: მამა-ბუშის, ქლინტონისა და შვილი-ბუშის მოღვაწეობის კრიტიკული ანალიზია, რომელშიც მეცნიერულადაა შესწავლილი მათი მოღვაწეობა და პოლიტიკური შეფასებებიცაა გამოთქმული. ანალოგიური წიგნი, რომელიც ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობას შეისწავლის, ჰაერივით სჭირდება საქართველოს, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია ერის ერთობა და სახელმწიფოს შემდგომი მშენებლობა. ეროვნული განვითარების კონცეფციას კი არადა, ელემენტალურად ქვეყნის განვითარების გეგმას ვერ შეადგენ უამისოდ.

ბჟეზინსკიმ აღნიშნულ წიგნში არც მეტი არც ნაკლები შემდეგი აზრი გამოთქვა: "იდეა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირში წარმატებულად შეიქმნა საბჭოთა ეროვნული იდენტობა, განსაკუთრებით ფესვგადგმული იყო სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუროკრატიაში. 1970-იანი წლების ბოლოს პრეზიდენტის (კარტერის ვ.ა.) თანაშემწედ ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ რუსეთის იმპერიის აქილევსის ქუსლი მისი მრავალეთნიკურობა იყო. ამდენად წამოვაყენე წინადადება, შემუშავებულიყო ზომიერი ფარული პროგრამა საბჭოთა კავშირის იმ არარუსული ერების მხარდასაჭერად, რომლებიც დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფოდნენ. საპასუხოდ, სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოთა საქმეების წამყვანმა ექსპერტმა

დაარწმუნა სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანი (საირუს ვენსი ვ.ა.), რომ ამერიკის მსგავსად უკვე ფაქტობრივად არსებობდა საბჭოთა ერის მრავალეთნიკური ნაზავი და ასეთი მცდელობა უკუქმედებას გამოიწვევდა. ამ პროგრამამ მომავალში გადაინაცვლა."

ბჟეზინსკის აზრით, ამერიკის ადმინისტრაციის ამ მცდარი კონცეფციის ნათელი გამოხატულება იყო პრეზიდენტ ბუშის სამარცხვინო სიტყვა, წარმოთქმული კიევში, 1991 წლის აგვისტოს, რომელმაც დამოუკიდებლობის მოსურნე საბჭოთა რესპუბლიკებისათვის საბედისწერო როლი ითამაშა. კერძოდ ბუშმა აღნიშნა: "თავისუფლება დამოუკიდებლობას არ ნიშნავს. ამერიკელები მხარს არ დაუჭერენ მათ, რომელთაც დამოუკიდებლობის მოპოვება სურთ იმიტომ, რომ ტირანია ჩაანაცვლონ ადგილობრივი დესპოტიზმით. ისინი არ დაეხმარებიან მათ, რომლებიც ხელს უწყობენ მომაკვდინებელ ნაციონალიზმს, დაფუძნებულს ეთნიკურ სიძულვილზე." ალბათ გეცნოთ იმ ანტიქართული იდეოლოგიის დამახასიათებელი ფრაზეოლოგია, რომლითაც რუსული პროპაგანდისტული მანქანა მრავალი ათეული წლებია იბრძვის საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და დღესაც იმავე იდეოლოგიით ცდილობს გაამართლოს აგვისტოს ომი და მისი შედეგები.



ჯონ კენედი



ჯონ სტაინბეკი

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 70-90-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და პრეზიდენტის ცალკეული მრჩევლების საქართველოს ისტორიის "არ ცოდნამ", რბილად რომ ვთქვათ, ცუდი სამსახური გაუწია ახლადშექმნილ ქართულ სახელმწიფოს და მის პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ — რუსეთისგან განსხვავებით — ის ისტორიაში არ ჩარჩენილა და მომავლის ქვეყანაა. დღეს, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტებმა უკეთესად იციან საქართველოს ისტორია, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა.

შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი რუსეთივით წარსულშია ჩარჩენილი, ნაწილი კი ცდილობს წარსულის უგულვებელყოფით ააშენოს მომავალი. სულმნათი ილია ამბობდა "აწყმო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისაო". ამასთან დაკავშირებით მახსენდება აწ გარდაცვლილი, თვალსაჩინო ამერიკელი მეცნიერის სემუელ ჰანტინგტონის მოსაზრება, გამოთქმული წიგნში "ვინ ვართ ჩვენ?", რომელიც ამერიკელთა იდენტობის საკითხებს ეხება. ჰანტინგტონი განმარტავს: თანამედროვე ამერიკული კულტურის განვითარებას ანგლო-პროტესტანტიზმის ნაცვლად კათოლიციზმი რომ დადებოდა საფუძვლად, იგი დღეს ამერიკა კი არ იქნებოდა, არამედ საფრანგეთი, ბრაზილია ან კანადაო.

დავუბრუნდეთ ბჟეზინსკის. იყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამამ იგი მრჩევლად მიიწვია თავის გუნდში. თუ ეს ასეა, დამდგარა დრო ბჟეზინსკის მომავლისათვის გადანახული, გასული საუკუნის 70-იან წლებში, პრეზიდენტ ჯიმი კარტერისათვის წარდგენილი ფარული გეგმის განსახორციელებლად.

როგორც ჩანს, ამ პრობლემამ რუსეთი უკვე დააფიქრა. ამის დასტურია ის, რომ დღეს ზოგიერთი რუსი ანალიტიკოსის აზრით, მიხეილ გორბაჩოვის მიერ ეთნიკურ საკითხთა მნიშვნელობის სათანადოდ ვერ შეფასებამ იგი იქამდე მიიყვანა, რომ მისმა მოღვაწეობამ დაშალა საბჭოთა კავშირი. მათი აზრით, იგივე შეცდომა მოსდით დღევანდელ რუს ლიდერებს, რომლებიც ჯეროვნად ვერ აფასებენ ნაციონალურ საკითხებს, რაც საშიშროებას უქმნის რუსეთის ფედერაციის არსებობას.

ახლა მთავარი და უმთავრესი! პრეზიდენტ ბარაკ ობამას გუნდმა ადვილი შესაძლებელია "საბჭოთა კავშირის" აღდგენაზე მეოცნებე რუსეთის ფედერაციის ოცნებები დაამსხვრიოს, მაგრამ ვიქნებით კი მზად, რომ ეს ისტორიული მომენტი ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ? ცხადია, საუბარია საკუთარი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაზე.

სტაინბეკი ჩემი ესეის „... წაკითხვას რომ მოსწრებოდა, ისე გულიანად იცინებდა, საკუთარ თავსაც წააჭარბებდა. თუმც მალევე მოსხეპდა სიცილს, რადგანაც... განზრახვა ჯერაც აღუსრულებელი რჩებოდა"-ო ბრძანებთ. ჰაიდა, რომ მართალია და თანაც მწარე სიმართლეა. განზრახვა ჯერაც აღუსრულებელია. არადა, ჩვენს მაგივრად რომ არც არავინ აღასრულებს?! ყველა გუნდი თავის თამაშს თამაშობს. ჩვენი ეროვნული გუნდი უნდა გვყავდეს, მთელი ქართული საზოგადოება ერთ გუნდად უნდა შეიკრას, რათა საქართველო არ დარჩეს დერეფნად და პლაცდარმად მხოლოდ და მოსალოდნელ მსოფლიო კატაკლიზმებს გადავურჩეთ. ამისათვის, მინიმუმ ქართველი მწერლების სადარი მოაზროვნე პოლიტიკოსები გვჭირდება.

ლევან ლორია

# მე შენ მიყვარხარ

მამა ელჩი, დედა ელჩის ცოლი... რამდენი ეხვეწა ორივე, წამოდი ჩვენთან ერთად, ევროპას ნახავ, ხალხი ამაზე ოცნებობს, სკოლას იქ დაამთავრებ, მერე უმაღლესშიც იქ ჩააბარებო... სხვაგან სად ეყოლებოდა მეზობელი რომელიც ყოველ დილით ერთსა და იმავე დროს მოსწერდა მესიჯს, „ნიიია, ჩეეემთან ერთააად წამოხვალ თუ ნიიიიავს წააამოჰყვები“...

უარი თქვა წასვლაზე. გაუთხოვარი დეიდა გადმოვიდა მათთან სახლში, მარტო რომ არ ყოფილიყო...

ხო, მე ირაკლი მიყვარს, მაგრამ ამას ასი წელი არ ვეტყვი...

ირაკლი ჩემი კლასელია. არა, უფრო სწორად მე ვარ მისი კლასელი, იმიტომ რომ ჩვენს კლასს ყველა ირაკლის კლასს ეძახის...

სხვა კლასებს ხო ასე ეძახიან: მეათე „ა“, მეთერთმეტე „ა“ ან მეთორმეტე „ბე“. ჩვენ კლასს კი, მეთორთმეტე „ა“-ს არავინ ეძახის. ყველა ირაკლის კლასს ეძახის...

თვითონ ეს საერთოდ არ აინტერესებს. ერთხელ ვკითხე, იცი, რომ ჩვენ კლასს შენს კლასს ეძახიან-მეთქი და გაიღიმა და „ააარ ვიიიიცოდიო“, თქვა...

შეცდომა არ მომსვლია, ზუსტად ასე თქვა, „ააარ ვიიი-იცოდიო“. ის კი არადა რამდენიმე „ა“ მოვაკელი კიდეც. ირაკლის ცოტა ენა ებმის...

ცოტა კი არა საკმაოდ, მაგრამ ისე ლამაზად აკეთებს ამას და ისეთ საყვარელია, მგონი უხდება...

მგონი ირაკლი მიყვარს...

იმიტომ არა რომ ჩემი მეზობელია და ყოველ დილით ერთად მივდივართ სკოლაში...

არც იმიტომ რომ ენა ებორკება...

არ ვიცი, რატომ მიყვარს, მე არასდროს არ ვეტყვი ირაკლის, რომ მიყვარს...

ირაკლის არ ვიცი, ვინ უყვარს, ერთხელ ვკითხე, ვინ გიყვარს-მეთქი, და „დააააამკას“ როოოოოომ ვთააააამაშობ ჩეეეეემი მოოოოწინააღმდეგე მიიიიიყვარს, როოოომელ-საც თეეეეეთრი ქვეეეეები შააააავ უჯრეეეეებზე უუუუუ-ლაგია, და მეეეეე კიიი თეთრ უჯრეეეეეებზე როოო მიიიი-წყვია შააააავი ქვეეეები, იიიიმიტომ როოოომ ვეეეერ ვუუ-უუკლავ ქვეებსო...“

ვერაფერი ვერ გავიგე.

იმ დილით სკოლაში დავაგვიანეთ, ამიტომ ამის შემდეგ გადავწყვიტე მისთვის ასეთი რთული კითხვები არ დამესვა...

მართლა არ ვიცი, რატომ მიყვარს...

ხო, ასი წელი არ ვეტყვი ირაკლის, რომ მიყვარს...

იმიტომ, რომ თუ კაია, თვითონ მითხრას...

მერე რა რომ ენა ებორკება...

ისე მართლა რატო მიყვარს?!

იქნებ შევეჩვიე... ასე მგონია, სულ ერთად ვართ... ბაღშიც ერთად დავდიოდით... სკოლაშიც ერთად ვსხედვართ... უკვე ჩვიდმეტის წლის ვხდები და ყოველი დილა ირაკლით იწყება და მისი მესიჯით: „იიია, სკოლაში ჩეეემთან ერთააად წამოხვალ თუ ნიიიიავს წააამოყვები“...



ხანდახან მესიჯსაც ისე წერს ირაკლი, თი-თქოს ენა ებორკება, საკონტროლოც ქარ-თულში ასე დაწერა ერ-თხელ...

ქართულის მასწავ-ლებელს სამასწავლებ-ლოში უტირია...

ყველა სიტყვაში იყო შეცდომა...

ორიანი მაინც არ დაუწერა...

იქნებ მაშინ მივხვ-დი, რომ ირაკლი მიყვარს...

ან იქნებ, როცა ჩვენ შორის განსხვავება აღმოვაჩინე...

ეს ხუმრობით...

ახლაც მრცხვენია...

მაშინ ბაღში დავდიოდით. აბა მანახე ფეხებს შორის რა გაქვს-მეთქი...

კიდე კარგი ჯგუფში რატომღაც მარტონი ვიყავით, აღმზრდელიც გასული იყო. სულ არ მორიდებია, უცებ ჩაიხადა შარვალი და დავინახე: სოფელში ბებიასთან გოგრებს რომ აქვს ყუნწები, ისე ჰქონდა ჩამოკონწიალებული...

ნეტა სიარულში არ უშლის? ალბათ ენაც იმიტომ ებორკება-მეთქი, ესღა გავიფიქრე...

„აააახლა შეეენ მანააახეო“, ჩემს რეიტუზს წაეტანა...

არაფერსაც არ განახებ-მეთქი... ძლივს მოვიშორე...

(ნეტა მენახებინა, შეიძლება დღეს სკოლიდან არ გაპარულიყო...)

მერე აღმზრდელი შემოვიდა, კიდე კარგი შარვალი აწეული ჰქონდა... რა გაჩხუბებთ, როდის იყო თქვენ ჩხუბობდითო...

ირაკლის რაღაცის თქმა უნდოდა და მე პირზე ხელი ავაფარე...

ახლა ვნანობ, სულ ვფიქრობ ნეტა რას ეტყოდა.... ნეტა რა უნდა ეთქვა მაშინ...

არ ვიცი...

ხო სკოლაშიც ერთად დავდიოდით...

ერთხელ, მესამე კლასში რომ ვიყავით დირექტორს შეუვარდა სამასწავლებლოში: „ააქედან არ გააავალ, ცოცხალი თავით, თუ ოცდააათ ლააარს ააარ მოოოომ-ცემ, მუუუუშაობას როოომ დაააავიწყებ, დააგი-ბრუნებო“, — დირექტორს ეუბნება თურმე...

„ოოოცდაათი ლააარი რად გიიინდააააოოო“, — მოულოდნელობისაგან ენა დაბმია დირექტორსაც, ქალბა-ტონ ნინოს...

„საააქმე ეეეხება სიკვდილ-სიცოცხლის საააკითხსსსოო“, — უპასუხია...

მარტო მე ვიცოდი, რატომ უნდოდა ეს ოცდაათი ლარი...

იმ დილით სკოლაში რომ მივდიოდით, უზარმაზარი (მაშინდელი ზომებით) ჩანთიანი კენგურუ მოეტანათ სათამაშოების მაღაზიაში...

იდგა და გულუბრყვილო თვალებით იცქირებოდა...

რომ გავიარეთ, რა საყვარელია-მეთქი, ვთქვი... ზუს-ტად ოცდაათი ლარი ღირდა, ფასიც ეწერა ვიტრინაში...

დირექტორს მართლა მიუცია ოცდაათი ლარი...

იქიდან პირდაპირ მაღაზიაში გაქცეულა და გაკვეთილზე კენგურუთი შემოვიდა...

უფრო სწორად ჯერ კენგურუ შემოვიდა და მერე ირაკლი...

შემოვიდა და სიმღერა დაიწყო კენგურუსთან ერთად...

არადა საერთოდ არ მქონდა იმ დღეს დაბადების დღე... საიდან მოიგონა...

„რააა ლამააზი დღეააა
რა ლააამაზი მზეააა,
იმიიიტომ რომ იაას დაბადების დღეააააო..."

ხო, რო მღერის, ნაკლებად ემლება ენა...

ის გაკვეთილი ჩაიშალა...

უი, როგორი ბედნიერი იყო...

ისეთი ბედნიერი იყო ისეთი ბედნიერი, რომ ავტირდი...

მერე ირაკლი მოვიდა და ხვეწნა დამიწყო „იიიიია ააარ იიიიტირო და კეეენგურუს უუუუუკან წაააიყვანოოო..."

მეც შემეშინდა, მართლა უკან არ წაეყვანა და მეტი არ მიტირია...

ყველა ფიქრობდა რომ შეყვარებულები ვიყავით...

სანამ ამას გაარკვევდნენ სამი ბიჭი, რომლებმაც სიყვარულიო და რამე საუბარი დამიწყეს (მე რა თქმა უნდა ეს ირაკლის ვუთხარი), სულ დამეკარგნენ, თურმე სამივეს აუკრძალა ჩემზე 100 მეტრზე ახლოს მოახლოება...

რამდენჯერ გამიგონია, ბიჭები ერმანეთს რომ ეუბნებოდნენ ჩემზე, „ეს ირაკლის შეყვარებულიაო..."

ძალიან მიხაროდა ამას რომ ვისმენდი...

თუმცა ირაკლის არასდროს არ უთქვამს ჩემთვის, რომ ვუყვარვარ....

მე კი ასი წელი არ ვეტყვი ამას...

ხო, დღეს კი ჯერ ქართულის მასწავლებელს აუშალა ნერვები...

გაკვეთილი არ იცოდა...

„რატო უნდა ვისწავლო ვიიიიილაცის ლექსი, ეეეეეეგებ ეეეეს ლეეეეეექსი აააააარ მოოოომწონსო...

მეეე რაააც მოოომწონს იმას ვიიიტყვიო..."

აბა თქვიო, ქართულმა:

იმანაც დაიწყო:

„მიიივდივარ და მოოოომდევენ,
გვეეერდით აკაციები,
ვხეედავ აააქაც იიიები,
ვხედააავ იქაც იიიები,
აააიიიი იიააა იიიეებიო"...-ო, ჩემზე მიანიშნა...



*მხატვარი ნინო მამაცაშვილი*

ქართულმა, დატოვე კლასიო...

„ააარ დავტოვებ, უნდა წავიღოოო..."

მაინც გაეცინა ქართულს...

არაფერი უთქვამს...

ისტორიას აუხირდა, „რააამი მააააინტერესებს ნაააააპოლეონის აამბებიო... თქვეენ იის მიიითხარი, ჩვეეეენმა ჯააააარმა რატო წააააგო ომიო..."

„რას იზამ რუსეთთან ნაპოლეონმაც წააგოო ომიო", — თავი იმართლა ისტორიამ...

„ხოოდა მით უმეტეს რას გვასწავლი ნაპოლეონის ამბებს, შენ ის გვასწავლე, რუსებს როგორ მოვუგოთ, თუ მაგარი ხარო..."

იმანაც დატოვე კლასიო...

„ვეეერ გააავიგე ეს სკოოოლა ქაააააართულს დააავუტოვო თუ იიიისტორიასო, წააავედი აააბაო" და სიცილი დაიწყო...

და მართლა წავიდა...

ვიფიქრე კლასიდან გასვლის წინ გამოიხედავს-მეთქი (სულ ასე იცოდა)...

არ გამოუხედავს... ისე წავიდა...

მერე შესვენებაზე ვეძებე. არსად იყო, არც სკოლის მოედანზე, არც ბუფეტში, არც იქ სადაც ბიჭები საერთოდ ეწევიან, ვითომ მასწავლებლებმა არ დაგვინახონო...

ბიჭებს ვკითხე, სად წავიდა ირაკლი-მეთქი...

არ ვიცითო. თან ეშმაკურად იღიმოდნენ და ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს... მივხვდი მატყუებდნენ..

არც გაკვეთილების გამოსვლამდე მოსულა...

ჩანთა წამოვულე...

ირაკლის ჩანთას ირაკლის სუნი ასდის...

გზაზე საეჭვო ჩურჩული გამახსენდა...

და მაშინ დავინახე... მე ხო მისი ჩანთა მომქონდა, მას გოგო მოჰქონდა... არა, ხელში არ ჰყავდა აყვანილი, გზაზე მოდიოდა და რაღაცას უხსნიდა. ხმა არ მესმოდა, იმიტომ რომ საკმაოდ შორს იყო... თან აკოცა...

ის გოგო კი ვიცოდი, რომ ბოზი იყო, ჩემი კლასელი ბიჭების დამვაჟკაცებელი...

გოგოებმა ყველაფერი ვიცით...

მე შემეშინდა არ დამინახოს რომ ვხედავ მეთქი და გზის მეორე მხარეს გადასვლა დავაპირე და კინაღამ მანქანამ დამარტყა...

მის ჩანთა ავტობუსების მოსაცდელში დავტოვე იქვე...

და წამოვედი...

ერთი სული მქონდა მიმეხედა რას აკეთებდა, მაგრამ არ მიმიხედავს...

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩანთის ჯავრის სულ არ მჭირდა...

არც იმ ერთი რვეულის ჩანთაში რომ იდო...

მისი დანახვა მინდოდა და არ მივიხედე...

ხვალვე სოფელში წავალ, ბებიას ჩავეხუტები, მის ნაოჭებს მოვეფერები, დაკოჟრილ ხელებს დავუკოცნი, თბილი კალთაში თავს ჩავუდებს თავს და არაფერზე არ იფიქრებს, არც ირაკლიზე, ასე ჩავიძინებ...

არასდროს არ დავბრუნდები ამ ქალაქში...

არც ამ სახლს არ დავუბრუნდები არასდროს...

ნეტა წასულიყო მაშინ, მამა ელჩთან და დედა ელჩის ცოლთან ერთად...

ასე არასოდეს მონატრებია დედა და მამა... სულ მისი ბრალია...

არა, გახსენებაც არ მინდა მისი, სახელსაც არ ვიტყვი არასოდეს...

დეიდას ვეტყვი, რომ ბებია მომენატრა და ხვალ დილითვე ავტობუსს გავყვები სოფელში... დეიდა ვერ-აფერს იეჭვებს, ხვალ მაინც შაბათია და სწავლა არ არის...

* * *

— ნია, მოხდა რამე, რა სახე გაქვს, დეიდა გენაცვალოს?!

— არაფერი დეიდა, დავიღალე ეტყობა...

— მოდი, საჭმელს გაგიცხელებ...

— არ მინდა... ჩემს ოთახში შევალ...

— რაღაც არ მომწონხარ ნია, სიცხე უნდა გაგიზომო, აბა მაჩვენე შუბლი... თითქოს სიცხე არ უნდა გქონდეს... კარგი დაისვენე...

....

— შვილო, მოხდა რამე?! მითხარი შენ გენაცვალე, ხო იცი შენი თავი მე ჩამაბარეს, შენ რომ რამე დაგემართოს, რა თვალით შევხედო დედაშენს, მითხარი დეიდა რამე... თვალები ცრემლებით გაქვს სავსე...

— არაფერი არ მომხდარა, ეტყობა თვალში ჩამივარდა რაღაც...

— ხომ არ მიმალავ რამეს ია...

— არაფერი დეიდა, ბებია მომენატრა... ხვალ სოფელში წავალ, კარგი?

— კარგი დეიდა... წამოგყვე მეც? გადავრეკავ სამსახურში გოგოებს ვთხოვ შემცვალონ...

— რად მინდა დეიიდა წაყოლა...

— ხვიჩაიე იქნება ალბათ შოფერი და გაგაყოლებ დილით...

— კარგი დეიდა... დეიდა, ხვიჩაიას მოწონხარ ხო იცი, ამას წინათ რომ მოვყავდი სოფლიდან, სულ შენზე მეკითხებოდა რაღაცებს...

— დეილუპა მაი შტერი...

— რატოა დეიდა შტერი, ისეთი თბილი და კეთილია...

— თბილი და კეთილი რომ არის, იმიზაა შტერი...

— ჯერ ტელეფონმა დარეკა. ის იყო არ ვუპასუხე. 15-ჯერ დარეკა, მერე მესიჯი:

— როგორ ხარ ნია?

— კარგად.

— კაია.

— შენ როგორ ხარ?

— ცუდად...

— კაია, ალარ მომწერო მესიჯი და არც დამირეკო..."

საერთოდ გავთიშე ტელეფონი. მერე ფანჯარას მოადგა:

— ნიიიააა...

— დეიდა, ირაკლი გეძახის...

— არ არის სახლში თქო...

— იჩხუბეთ? რა მოხდა?!

— არაფერი...

— ნიიიიააააა..

— გააგიჟებს მეზობლებს... გახედე...

— არ გავხედავ, შენ გახედე... უთხარი არ არის სახლში-თქო...

— რო მკითხოს სად არის აბაო, რა ვუთხრა...

— ბებიაჩემთან-თქო...

* * *

— ხვიჩა, გაბარებ ამ ბალანას და ჩამიყვანე სოფელში!

— კაი, შენც წაგიყვან... თუ გინდა...

— ვმუშაობ ხვიჩა...

— კაი, მეორე გზაზე რომ ჩამოვალ ცოლად წაგიყვან მაშინ!

— გაქრი შენ, მიმიხედე ბალანას...

— ბალანე კი არა სამას ლარს მატანს აგერ კაცი!

— ხვიჩა, ხვიჩა, როის უნდა ისწავლო ჭკუა შენ...

— წამომყევი ცოლად და დავჭკვიანდები...

— ვითომ?! მეეჭვება რაღაც...

— ჩავატაროთ ექსპერიმენტი....

— ჩაგატარებ მე შენ...

უყვარს იას ეს ხალხი. სოფლის ავტობუსი სხვაა, აქ ყველა ერთმანეთს იცნობს, აქ ყველა ერთმანეთის ახლობელია...

— ვისი ხარ, ნენა, შენ...

— მურმან ჩიგოგიძის...

— ელჩი როა?!

— ლენჩი რავა იქნება, რას ჩივი ცა...

— ლენჩი კი არა ელჩი, რა კაი გაზრდილხარ... კესარიას ბადიში ხარ შენ? გაახარებ აბა კესარიას...

— გმადლობთ...

— ცირა, გეიწიე რომ ზიხარ დიოფალივით...

— გადაგიშობ ბეჩა და დაჯექი, გავათბე აი ადგილი უკვე...

— ფეჩი გაქ ცირა ჩართული, თუ რავა...

— მეისპე შენ...

— გოგო, რა ქნეს აი, სოფლის გზაზე რომ მინა დაყარეს ხრეშის მაგიერ, გეიგე...

— კაი ცა, მინას რავა დაყრიდნენ...

— არა, ურევია პაწა ქვაი მარა რაც იყო, ორჯერ უარე-სია ახლა... წვიმა რო წამოვა იმფერი ლაფოა, ურემი გეივლის მარტო, ისიც ცარელა..

— მერე რაიო გამგებელმა...

— რაიო, მაგას რო კითხო რამე, პასუხი მზად აქვს, „რრეეეის მაიაა, პპროოობლემებია ქვეყანა სოფელში, პროოობლემებიო..." გეტყვის... ენაც ეშლება და ჭკუაც...

ისევ ის... არა, არ იფიქრებს იმაზე... მორჩა...

— გოგო უყურე გუშინ როსაურას?

— ვუყურე, თავიდან, სილვანო ეუბნება ჟაკლინას, დამაყურე შენო!

— დამაყურე რას ნიშნავს... – ეს აშკარად თბილისელია...

— მომისმინეო, ხოდა მე-თქი ეტყვის რაცხას, ხო ყავდა მაგას ჟაკლინას დაი ცოლად?!

— ხოდა რაიო..

— რაიო და აკოცა, რაის ცოლისდაი იციენ მაგენმა, აკოცა გოგო დეეფსკვნა ზედ, დავახუჭიე ბალნებს თვალები, მარა ბებიაო აი რაია, უარესიც გვინახავს ჩვენო...

— მერე...

— რაი მერე, შემრცხვა და ისტევლე მე დავხუჭე თვალები...

— არა კინოში რაი მოხდა მერე...

— მერე არ ვიცი, დემეძინა...

— მე ვიცი, — ალაპარაკდა უკან მჯდომი, — ხო ქნეს საქნელი, ხოდა აი სილვანო ეუბნება, კაი ქალი ხარ, მარა ჩვენ ახლა ბალნები ხო არ ვართ, კაი ვირები ვართ უკვე... შენ კი გაკოცე, მარა როსაურა მიყვარსო... გაგიჟდა ამაზე ჟაკლინა, შე დურაქო, რეიზა სიგარეტს არ ვწევ, რომ სახლში ერთი პეპელნიცა მქონდეს რომ თავში გთხლიშოო ახლაო... ხოდა თლა ტინტალე გამოაგდო კარში...

* * *

ავტობუსიდან სანამ ჩამოვიდოდი ყვავილების თაიგული დავინახე, ვარდები იყო უამრავი, ვილაცას ეჭირა. ყიდიან ალბათ-მეთქი, ვიფიქრე... სოფელშიც დაუწყიათ ყვავილებით ვაჭრობა.. წელს დაბადების დღეზე ერთი ვარდი მომიტანა... სიტყვა დავარლვიე, კიდე იმაზე ვფიქრობ... არადა ყვავილები იმას ეჭირა ხელში და მიღიმოდა... მოდი და ნუ იფიქრებ...

— მე შენ მიყვარხარ.. – დედას გეფიცებით ასე თქვა, სულ არ დაბორკვია ენა...

— აბა კიდე თქვი...

— მე შენ მიყვარხარ...

ისევ ისე შეუცდომლად...

აბა კიდე-მეთქი...

— მე შენ მიყვარხარ...

უიმე, რა კარგი იყო, სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა და წამიღო შორს, შორს, შორს და რომ დავბრუნდი კიდე ერთხელ ვათქმევინე...

— მე შენ მიყვარხარ... – ყვიროდა უკვე...

მთელი სოფელი გვიყურებდა...

ამას ისე ვწერ, მოთხრობებში იციან ასე წერა, მთელი სოფელიო. რა მთელი სოფელია, 10-12 კაცი თუ იქნებოდა სოფლის ცენტრში, ძირითადად ავტობუსს ჩამოყოლილები და დამხვდურები, ხო ცოტა იქეთ კიდე „ბირჟავიკები".... მერე ირაკლი ბებიასთან წავიყვანე...

— ბებო, ეს ირაკლია...

— ვიცი ბებია, ამ დილით ჩამოვიდა, ღამით მატარებელს წამოყოლია... შენ გეძებდა... ეს ვარდები აგერ ეზოში დამიკრიფა ყველა... მე ვეუბნები იასთვის მინდა-მეთქი, აი მეუბნება, აბა მე კოოონდოლიზა რაააისასთვის კი არ მინდაო, ჩვენი გამგებელის არ იყოს, აიც ურევს პანა ენას...

— არ ურევს ბებია უკვე... ირაკლი, აბა თქვი, კონდოლიზა რაისი...

— კოოოონდოლოლიზა რააააიიისსსი...

— რა გჭირს ირაკლი... აბა თქვი: მე შენ მიყვარხარ....

— მე შენ მიყვარხარ...

## პირველი შთაბეჭდილება

# დასასრულიდან სათაურამდე

დიდი ხანი არ გასულა, რაც ლევან ლორია პირველად გამოჩნდა „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე. თუ არ ვცდები, ეს შარშან უნდა ყოფილიყო, ომამდე თუ ომის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ომმა ხელი ვერ შეგვიშალა, დაგვმახსოვრებოდა ეს ახალი სახელი, რომლის ალიტერაციულ-ასონანსური ჟღერადობა, რა თქმა უნდა, ვერ გადაფარავს რუსის ტანკის მუხლუხოთა ღრჭიალს, მაგრამ პერსპექტივა, როგორც სახელს და როგორც ხმას, უსათუოდ უკეთესი აქვს და ჩვენც ეს გვეიმედება...

თუმცა სხვათა სახელით რატომ ვლაპარაკობ. ეს ჩემი შთაბეჭდილებაა და თვითონვე ვეცდები მოკლედ გამოვთქვა ის, თუ რით იქცევს ყურადღებას ეს მართლაც არაორდინარული დებიუტანტი.

პირველი, არ არის ამბიციური.

როგორ, ნუთუ შეიძლება ახალგაზრდა, დამწყები პროზაიკოსი ამბიციური არ იყოს? შეიძლება და თანაც, იცით, როგორ?! როგორ და, ავტორი ხელს დაიბანს და მთელ ამბიციებს სიტყვაში ჩადებს, სიტყვას დააკისრებს პასუხისმგებლობას. ასე იქცევა ლევან ლორია. ეს ნიჭიერი მწერლის საქციელია: თვითონ განზე გადგეს და ყველაფერი სიტყვას დაუთმოს.

მეორე, არაფერს იგონებს. წერს იმაზე, რაც ხდება და რასაც ყველა ვუყურებთ, მაგრამ ვერ ვამჩნევთ. მას აქვს განსაკუთრებული უნარი, ტრივიალურსა თუ ბანალურში აღმოაჩინოს რაღაც არაჩვეულებრივი, თბილი და, რაც მთავარია, ადამიანური.

მესამე, და უთუოდ ყველაზე მთავარი, თავისუფალია.

თავისუფლების განსაკუთრებული ხარისხი იგრძნობა მის ხასიათში, მწერლურ ბუნებაში, მის მიერ თემების შერჩევაში, გამოხატვის მანერაში, მეტყველებაში, საგნებსა და მოვლენებთან დამოკიდებულებაში, საერთოდ, ყველაფერში, რითაც ნიჭიერი შემოქმედი იცნობა.

აი, თუნდაც ეს მოთხრობა.

„მე შენ მიყვარხარ". რა უნდა იყოს უფრო ტრივიალური, გაცვეთილი, არაფრისმთქმელი. სათაური — ნულოვანი მნიშვნელობის სინტაგმა. წაკითხვაც არ მოგინდება.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მოთხრობა სათაურით კი არა, ფინალით იწყება, ფინალში მჟღავნდება მთელი არსი ამ ამბისა, რომელიც მოსაყოლადაც არ ივარგებდა, რომ არა ლევან ლორიას „საფირმო ნომერი", თავისუფალი სათამაშო დისციპლინა, ცოცხალ ეპიზოდებად დალაგებული კურიოზი, რომელიც მის ხელში მშვენიერ, დასამახსოვრებელ მოთხრობად გადაიქცევა.

**მალხაზ ივანიძე**

ნინო ჰექსე — ამ ფსევდონიმით გაეცნო „ჩვენი მწერლობის“ მკითხველი ამ პოეტის დებიუტს. იმ წარმატებულმა გამოჩენამ კი ძალდაუტანებლად გამოიწვია ინტერესი და მოლოდინი მასთან ახალი შეხვედრისა.

პოეტი ნიღბავდა საკუთარ ვინაობასაც და გარეგნობასაც, რათა იდუმალების ბურუსიდან უფრო გულახდილად გაეზიარებინა მკითხველისათვის თავისი მღელვარე განცდები, უმეტესწილად ტკივილითა და სევდით განმსჭვალული.

ჟერჯერობით საჭიროდ სცნო ვინაობის გამჟღავნება, ხოლო ფოტოსურათის გამოქვეყნებისაგან კვლავაც თავს იკავებს, რადგანაც ემხრობა იმ შეხედულებას, რომ პოეტის საუკეთესო პორტრეტი მისივე ლექსებია, და დაე მკითხველმა თვითონვე შეიქმნას წარმოდგენა შემოქმედის გარეგნობაზე.

**ნინო ქევხიშვილი**

## მზის ამოსვლამდე

მე ყოველთვის ვიყავი
რამდენიმე წუთით წინ.
და მე ვასწრებდი,
დამეძახა შენი სახელი
და ჩემი ხმა იყო ისე ნამდვილი, როგორც
შენი არმოსვლა.

ვიცი, შეგრჩა
გაოცება თვალებში და
ვიცი, სიმართლე მხოლოდ ისევ იქ გეგულება,
სადამდეც შენი გათენებები
ვერასოდეს ვერ მიაღწევენ.

მე კი ყოველთვის
ერთი ნაბიჯით ვიყავი წინ და
როდესაც ზურგზე შენს სუნთქვას ვგრძნობდი,
ვხვდებოდი, რატომ ეშინიათ მომაკვდავებს
ამომავალი მზის სხივების.

## თუ სულ ერთია

თუ სულ ერთია
მაშინ მითხარი
აქ უახლოეს სადგურამდე სად ვნახო ტაქსი
და სად ვიყიდო სიგარეტი თუნდაც ღერობით

თუ სულ ერთია
მომიძებნე იმ ქვეყნის რუკა
და შემახსენე
თვითმფრინავის ფრენის განრიგი

თუ სულ ერთია
ამარიდე შენი ღიმილი
და დაიბრუნე უკან ყველა სიტყვა – დამარცვლით

თუ სულ ერთია
აუნიე ხმას და ოცნებებს
რომ გადაფარო ნაბიჯების ჩქარი ხმაური

თუ სულ ერთია
მოამტვრიე საათს ისრები
და გამოუშვი ჩემთან ერთად დრო სხვა ქალაქში –
და რამდენჯერაც
დახედავ შენს მარცხენა მაჯას
და რამდენჯერაც
გონებაში გადათვლი დღეებს
და რამდენჯერაც
დაგცინებენ ძილის წინ ცხვრები –

გამოვიგონებ იმდენ მიზეზს დაბრუნებისთვის

## გუშინ ამ ქალაქში

გუშინ ამ ქალაქში აფეთქება მოხდა და
მომწამვლელი აირები
გავრცელდა ქუჩებში
და ქარმა შემოახვია ისინი
დასახვრეტი პატიმრებივით თავდახრილ სახლებს
და ფანჯრები ისე იხურებოდნენ,
როგორც დასახვრეტი პატიმრების თვალები
და მინებს ისე ეკრობოდა შიში
როგორც დასახვრეტი პატიმრების ბოლო ნაბიჯი – მიწას
და მოძრავი სილუეტები ისე შეშდებოდნენ
როგორც დასახვრეტი პატიმრების კიდურები
და ხმები ისე გაიყინა ჰაერში
როგორც გასროლა

გუშინ ამ ქალაქში აფეთქება მოხდა და
მე და შენ ერთმანეთს
ველარ შევხვდებით

## სიტყვები

და იქნებ გჯერა,
რომ სიტყვები
სინამდვილეში არის ფესვები,
რომლებიც გადგმული გვაქვს ერთმანეთში,
რომლებითაც ჩავიზარდეთ ერთმანეთში,
რომლებსაც ვასაზრდოებთ ერთმანეთში,
და ნიადაგის გამოშრობის გამო,
და მინერალების ნაკლებობის გამო,
და უნალექო ზაფხულის გამო
ხშირად ვაშიშვლებთ.

და სიტყვები
სინამდვილეში არის მარწუხები,
რომლებითაც ვებღაუჭებით ერთმანეთს,
რომლებითაც ვებჯღდებით ერთმანეთს,
რომლებითაც სისხლს ვუსინჯავთ ერთმანეთს –

და რაკი გული არის საზღაური,
და რაკი სუნთქვა არის წინათგრძნობა,
და რაკი უფრო ახლოს არ არსებობს,
ხშირად გვჯერა კიდეც –

და სიტყვებით
სინამდვილეში მხოლოდ თავს ვიმართლებთ.

## ფსკერზე

თითქოს ეს დღეც გამოგონილი იყო –
კი არ გათენდა,
ზედ პლასტმასის მზე დაანათეს
და დადგეს მოძრავ პავილიონში –
გაზეთხული ტექსტებით და მყვირალა ხმებით.
ჩვენ კი როლებზე მიგვიწვიეს –
გზადაგზა ვიგებთ,
ქარის წისქვილებს უნდა ვებრძოლოთ,
თუ წყალქვეშ ათიათასობით მილი დავფაროთ
და გამოვიცნოთ ერთმანეთი
თევზებსა და უჟანგბადო ბალახებს შორის.

და მერე ფსკერზე
ზუსტად ისევე ვიგრძენი თავი,
როგორც შენი თვალებით საზღვრულ
ლაჱისფერ წრეში.
და თუნდაც დუბლი შემიცვალონ,
თუნდაც უარით გამისტუმრონ –
მითხრან, რომ ამ როლს
სიტყვებით სუნთქვამოწამლული ვერ შეასრულებს –
მე მაინც მოვალ,
და გადასაღებ მოედანზე
შენი თვალების ღამისფერ წრეს
მზერის შეუმცდარ რადიუსად გადავექცევი.

## Voice Conversation

ჩუმად –
აქ უშენოდ
თითქოს მარტივია ყოფნა –
აქ დღეები
ზამბარებივით სხლტება ხელიდან,
აქ ბავშვები
დათუნიებით მიდიან სკოლაში
და ცარციანი თითებით და ორჯერ ორით
გვიბრუნდებიან,
აქ ზოგჯერ ისე გვავიწყდები,
რომ შემწვარი კარტოფილის ბოლო ულუფას
დაუფიქრებლად ვუყრით დობის,
რომელიც მერე
კუდის ქიცინით და წკავწკავით გვილოკავს ხელებს.

შენ კი ხმას უწევ და შფოთავ, თითქოს
არ არსებობდეს ინტერნეტი და დალამება.

ჩუმად.
აქ ზოგჯერ უშენობა ბუნებრივია.

## ამო-

თუ ტკივილი ვარ –
შენს სივრცეებს დავემჩნიე, ვიცი, ლაქებად
და ხელისგულებს –კლაკნილ ხაზად,
რომელიც ყოველ წამს იცვლება
და ყოველი შეხებისას ინთება ვნებით.

ვერავინ გეტყვის,
ხვალ რა ფერი იქნება ზეცა
და კიდევ რამდენ დღეს გაატანს
შენი ტკივილი.

შენ კი ნაბიჯებს
უსამართლო სიდინჯით წელავ,
და აისხლიტავ შემხვედრ მზერებს,
როგორც ერთ დროს
მინიშნებას უგზოობაზე –
რადგან სავალი
გიმხელს ყველა შეუძლებლობას
და გვიანია რაიმის შეცვლა.

და მე თუ შენი ტკივილი ვარ –
ამომიმღერე,
ამომაყოლე ამოსუნთქვას, ამოძახილს, ამოყვირებას
და გაიგრილე
საკუთარი სურვილის ჩრდილში
მზით ამომწვარი ხელისგულები.

## გასაყარზე

იქნებ ესლა გვახსოვს –
მუჭებით ვეზიდებით ცეცხლს და
დღისა და ღამის გასაყარზე
ვაგროვებთ –
თუ ვერ გაგვათბობს,
ოდნავ მაინც ხომ გაგვანათებს.

ამ დროს
განსაკუთრებით საჭიროა ერთად ყოფნა
და ერთმანეთის ფეთქვაში
საკუთარი სახელის ამოკითხვა.

ამ დროს
თუ სისხლის გემოს იგრძნობ ენაზე,
დაირწმუნე თავი, რომ უბრალოდ
ტუჩი ჩაიკვნიტე –
ენაზე მომდგარ სიტყვასთან ერთად.

ამ დროს
ჯერ კიდევ არ არის ადრე და უკვე აღარ არის გვიან –

და ხელის ერთ გაწვდენაზე ხარ შენ –
ჯერ არა შორს, მაგრამ ახლოს უკვე აღარ.

ამ დროს
ზომიერია ყველაფერი –
და შიში, რომ საზღვრები უკვე გამოგვრჩა,
ასევე უსაშველოდ ზომიერია.

იქნებ ესლა გვახსოვს –
ვანთივართ.
დღისა და ღამის გასაყარზე.
ჩემსა და შენს გასაყარზე.
გასაყარზე.
და მოგონება დამცინავად გვიცვლის ფონად
კალენდრის ფურცლებს.

## -დან -მდე

ვიცი ეს გზა –
ჩემგან შენამდე –
ცხრა მთის იქით და
ცხრა ზღვის გაღმა და
აქვე:
როცა გადავწყვეტ,
უცნაური იქნება ისე,
როგორც გლობუსის დედამიწობა –
და ფეხაკრეფით,
თითის წვერებზე შემოვალ, რომ არ გაგაღვიძო,
და სასთუმალთან დაგიტოვებ
ჩემგან შენამდე გზის,
სამყაროს,
სიცოცხლის
მაკეტს.

## I. გზაზე

უკანმოუხედავადო, ამბობ და
უკვე სულ ერთია, საით ვიყურები –
ცამდე იმდენია, წლები რას მიქვია –
სიცოცხლეც არ კმარა.
შენამდე – ერთი ნაბიჯით მეტი.

უყოყმანოდო, ამბობ და
ისიც სულ ერთია, რას ვფიქრობ – ახლა
ჩემს ხსოვნას არტყია გარს შენი ეჭვები –
თავს ვერ მოვიტყუებ.

დაუნდობლადო, ამბობ და ალბათ
კვლავ სულ ერთია, რით ავხსნი სევდას –
მაინც ეტყობა ღამეებში გამოვლილ ღიმილს
შენი სიშორე.

მიუხედავად ყველაფრისაო,
ამბობ და ვიცი,
ნებისმიერი გზა სულ ერთია –
ბოლო ნაბიჯის გამოკლებით
და შენს გარეშე.

დაგელოდებიო, ამბობ.
მოვალ.

## II. ნაბიჯები

და ასეც ხდება:
გზაჯვარედინს რომ მივადექით,
ფიქრსაც დაეტყო გაცრეცილი წიგნის სურნელი.
და იმის შემდეგ
ნაბიჯები ჰგავს გადაფურცვლას –
ხან ფრთხილად, ხან კი გამალებით
დავეძებთ პასუხს,
მნიშვნელობას,
ახსნას,
სიმართლეს –
ან იქნებ თავის გამართლებას,
როგორც ყოველთვის.
ნაბიჯები ჰგავს გადაფურცვლას.

ერთი გვერდიდან მომდევნომდე –
მივყვეთ ერთმანეთს, ამბობ.
მივყვებით.
სქელტანიანი წიგნი არის,
დიდხანს გვეყოფა –
იქნებ სულ და
იქნებ ბოლომდეც.
ნუ მკითხავ ავტორს.
ნაბიჯები ჰგავს გადაფურცვლას.

ხანდახან უნდა შევისვენოთ, ამბობ.
ვისვენებთ.
სანიშნედ ჩვენი მზერაც კმარა –
ფურცელს ნუ კეცავ.
ფინალი ვიცი, მეუბნები.
იცი.
არ ვდაობ.
მაინც –
გზადაგზა კიდევ ბევრი რამე იცვლება.
ნუ აჩქარდები.
ნაბიჯები ჰგავს გადაფურცვლას.

რაკი გამოვცდით გზაჯვარედინს,
ვერ მივბრუნდებით.
ყველა მუქარა დავივიწყოთ, ამბობ.
ვივიწყებთ.
რაკი წაკითხულს აღარასდროს გავიმეორებთ,
არ დავიღლებით –
ან, უბრალოდ, გადავეჩვიეთ
უკან დახევას
და ზურგსუკან მაშველის ლოდინს.
არ დავიღლებით.
ნაბიჯები ჰგავს გადაფურცვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### III. იქით

ეს შენი ფიქრის საზღვარია,
ეს – საზღვარია:
შუბლზე ნაოჭი გიღრმავდება,
მზერა გიშრება,
თავს გადააქნევ –
უყოყმანოდ,
აუჩქარებლად:
ეს შენი ფიქრის საზღვარია
და ვერ გასცდები.

აღარც მე მიშვებ –
სულ ერთია – ამბობ,
ღამეა,
არავინ იცის, იქ რა ხდება –
ამბობ, შევჩერდეთ.
და როგორ გითხრა –
ნამყოფი ვარ,
იქ სიმშვიდეა,
რძისფრად თენდება, უფრო სავსედ –
არ დამიჯერებ.

და როგორ გითხრა –
უკვე შიშით
გითრთის თითები,
მკაცრად მოკუმულ ტუჩებს უჭირთ
ქცევა ღიმილად.
მაშინ შენ დარჩი – ეს წამომცდა,
მე იქით მინდა.
ეს საზღვარია – მიჩურჩულებ,
არ მიმატოვო...

და როგორ გითხრა,
რომ ჩვენ მხოლოდ იქით ვგრძელდებით,
რომ შეჩერება – ხსნა კი არა,
დასასრულია,
რომ უშენოდაც
აქეთ-იქით ბევრჯერ მივლია –
არ დამივიწყო, ამას ვამბობ.

გემშვიდობები.

### დამიმახსოვრე

მიპოვნე –
სულში ჩაქცეული ნოტების ექოდ.
ტროტუარების უვიწროეს ლაბირინთებში
დაანთე ჩემი ნაფეხურები.

დამიმახსოვრე –
თავახდილი როიალიდან
ამკრიფე, როგორც დამტვერილი კლავიატურის
შავ-თეთრი ჟღერა.

დამიმახსოვრე –
მერე მხოლოდ სმენით ამაწყობ:
ყველა აკორდი ჩემი ყოფნის რიტმში აიღე,
ბგერებს მოარგე ჩემი მინორი.

დამიმახსოვრე –
მონატრებით წალეკილ გზაზე
აცოცხლე ჩემი ნაფეხურები.
სივრცე ჩვენ შორის

ეს არის მხოლოდ
სივრცე ჩვენ შორის,
რომელშიც მუდამ ერთად ვართ, მაგრამ
არასდროს ვფრთხილობთ –

და ზოგჯერ, როცა გვევიწროება,
უბრალოდ ხელებს ვშლით და მივხვდებით,
ჩვენი საფრენი ისე ფართოა,
რომ ციდან ცამდეც ველარ ეტევა –

და ზოგჯერ, როცა გვეფართოება,
უბრალოდ ხელებს ვუწვდით ერთმანეთს
და ვხვდებით, ჩვენი სიახლოვისას
სხეულიც ხდება ჰაერგამტარი –

ეს არის მხოლოდ ჩვენ შორის სივრცე –
ვერც ვიმყოფინებთ
და ვერც გავცდებით.

### სიმღერა

იმღერე ჩემი –
როგორც სევდიდან ამომსკდარი მონატრება,
ისეთი მძლავრი,
როგორც დაკარგვა წლებისა და გზების ქაოსში,
ისე საშიში –
იმღერე ჩემი...

ვარ, განა არა –
თუ ჩემი ხმა ერთადერთობს,
თუ გახსენდები,
სათქმელი მაქვს და
საკოცნი მაქვს და
სატირალი მიფეთქავს სისხლში,
როგორც მიღმური საწამლავები.
იტირე ჩემი...

მჯერა –
სიმშვიდედ აკრეფილი შენი სახელი
მონიტორის სუფთა ფურცელზე.
იმღერე ჩემი
შემობრუნებების.

ბრუკ ალენი

# ჯონ აპდაიკი, გარეუბნისა და სქესის უმაღლესი ქურუმი

1997 წელს რომანისტმა დევიდ ფოსტერ უოლესმა საჯაროდ ამოანთხია ბოროტი სიხარული ჯონ აპდაიკის, ნორმან მეილერისა და ფილიპ როთის დაბერებისა და მოახლოებული აღსასრულის გამო. უწოდა მათ "დიდი მამრი ნარცისები, ვინც ბატონობდნენ ომისშემდგომ პროზაში; გამოჩენილი ალმწერნი, ალბათ, ერთადერთი ეგოცენტრული თაობისა ლუი XIV-ის შემდგომ." უოლესმა გააცამტვერა აპდაიკის ბოლო რომანი "დროის მიწურულისაკენ", ბერიკაცს "ლიტერატურული ფალოკრატიის ფალავანი უწოდა" და იკითხა, ბოლო-ბოლო ხომ არ უნდა დასრულდეს ამ ბრწყინვალე ნარცისთა დროო.



*მეგობრული შარჟი კენ ფელინისა*

იმედი გაუცრუვდა მისტერ უოლესს. თვითონ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე 2008 წელს და გადაასწრო ბატონებს როთსა და აპდაიკს. მრ. მეილერი 2007 წელს გარდაიცვალა, საყოველთაო აღიარებით გარემოცული, მიუხედავად უვარგისი ბოლო რომანისა. მრ. როთი აგრძელებს ბრწყინვალე შემოქმედებას, გარკვეული ინტერვალებით და განსაკუთრებული პატივი ერგო იმით, რომ ლაიბრარი ოფ ამერიკა (ამერიკის ბიბლიოთეკა) სიცოცხლეშივე გამოსცემს მის რჩეულს. ხოლო შეუპოვარმა, დაუმორჩილებელმა, უსაზღვროდ მრავალფეროვანმა ჯონ აპდაიკმა დაწერა კიდევ ექვსი ჩინებული რომანი, ნოველების ორი კრებული, პოეტური კრებული, და კრიტიკული წერილებისა და ესეების სამი ტომი მრ. უოლესის ბრალდებიდან (1997) გარდაცვალებამდე (2009 წლის 27 იანვარი).

ჯონ აპდაიკი დაიბადა 1932 წელს შილინგტონში (პენსილვანიის შტატი). მისი ადრეული რომანები — "ღარიბთა თავშესაფრის ბაზარი" (1959) და "კენტავრი" (1963) — პატარა ქალაქის ცხოვრებას შეეხებოდა. მოგვიანებით, იფსვიჩში (მასაჩუსეტსის შტატი) გადასვლის შემდეგ მიზანში ამოიღო საშუალო ფენის გარეუბანი. 60-იანი, 70-იანი და 80-იანი წლების რომანებში — "წყვილები", "გამომყევი ცოლად", "ისთუიკის კუდიანები" და "ბაჭიის" ციკლის უმრავლესობა — აპდაიკი გვევლინება სქესობრივი რევოლუციის უმაღლეს ქურუმად, აღწერს ღალატს, გაყრებს და შემწყნარებლობას ამგვარი რამეებისადმი. ასეთ დროს ბავშვები იტანჯებიან და მრ. უოლესი და მისი თანამოაზრენი მიიჩნევდნენ, რომ აპდაიკზე შეიძლებოდა გავრცელებულიყო დამკვიდრებული შეხედულება შვილების აღშფოთებისა მამების მიმართ. მაგრამ აპდაიკი არ აქეზებდა ასეთ მოვლენებს; განსხვავებით დევიდ ლორენსისაგან, იგი არ ყოფილა სექსის მადიდებელი. და თუმცა პროზაში ძნელად თუ ვინმე გაუტოლდება ეროტიკული ვნების აღწერაში, იგი თანაზომიერად გვიჩვენებდა სქესობრივი გრძნობების თანამდევ ზიზღს, ლექს, დანაშაულის შეგრძნებას, სიცარიელეს.

და თუმცა ყოველთვის გრძნობდა საკუთარ ქმნილებათა ნაკლს, აპდაიკი ყოველთვის ავლენდა სულიერ სიმშვიდეს, რაც, ცხადია, არამოდური გახლდათ ინტელექტუალურ წრეებში გასულ საუკუნესა თუ შემდგომ; იგი ყველაზე ნაკლებ განიცდიდა სინდისის ქენჯნას ჩვენს მოწინავე მწერლებს შორის. როგორც ეკლესიის ერთგული პროტესტანტი, მსოფლიოს აღიქვამდა არა მარტო სექსისა და სიკვდილის ზმანებად, რაც უთუოდ მისი მთავარი თემებია, არამედ აუცილებელ მოვალეობად, რაც ასე შეაჯამა: "ტკბები იმით, რომ ზრდი ბავშვებს, ეკუთვნი რომელიმე საზოგადოებას, იტან ყოველდღიურ უცნაურობებს, გრძნობ ზნეობრივ პასუხისმგებლობას, გააუმჯობესო ცხოვრების ყოველი ეტაპი, უკანასკნელის ჩათვლით." იგი გლოვობდა "ყოველდღიურობის ზედაპირულობას და თავდამცავ ირონიას, თუმცა თბილად დასცინოდა "ფსევდორელიგიურ არისტოკრატებს, ვისთვისაც ღმერთი ღარიბი ნათესავია და თან ახლავს არყოფნის სოციალური პრობლემები." მისმა აშკარად თეოლოგიურმა რომანმა "შროშანების სილამაზეში" (1996) განაცვიფრა ისინი, ვინც აპდაიკს მხოლოდ გარეუბნის ცოლქმრული ღალატის ალმწერად მიიჩნევდა.

აპდაიკის ლაღი დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი აღიზიანებდათ იმ კრიტიკოსებს, ვინც უფრო ენერგიულ და ანტაგონისტურ რელიგიურ პოზიციას მოითხოვენ დიდი მწერლებისაგან. პირქუში ჯეიმზ ვუდი ასე განსაზღვრავდა აპდაიკის "უცნაურ თეოლოგიურ სიმშვიდეს": "უეჭველია აპდაიკი ყველაზე ნაკლებად ტრაგიკულია მოწინავე მწერლებსა და საერთოდ თეოლოგიურ მწერლებს შორის; ამავე დროს ყველაზე თვითკმაყოფილიცაა ... მისთვის მსოფლიო არსებობს, უფრო როგორც ხილული ღვთაებრივი საჩუქარი, სიმშვიდისა და კმაყოფილების მომგვრელი, ვიდრე დასტური."

ალბათ სამართლიანი კრიტიკაა, მაგრამ რას გვეუბნება აპდაიკის ოსტატობის ნაკლოვანებაზე? ეგებ ეს ნაკლი მელვილსა და მილტონზე დაბლა აყენებს, მაგრამ სწორედ ამით არის უნიკალური აპდაიკი და მის უნარს, კავშირი გააბას "ღვთაებრივ ხილულ საჩუქართან", ცხვირს ვერ

ავუბზუებთ. მრ. აპდაიკის დახვეწილი, ელასტიური პროზა, სიხალისე, მოულოდნელი ბაროკოსებური ზედსართავები, ბანალურ საგნებსა და სახეებს რომ შემოვლებია, ყოვლად ჩვეულებრივ მოვლენას ექსტრავაგანტურ ხელოვნებად გადააქცევს. მხოლოდ ნაბოკოვმა შეძლო "ლოლიტაში" ემხილებინა, თუ როგორ ეჩვენებოდათ საშუალო ამერიკელებს სიბინძურე ბრწყინვალებად.

"ბაჭიის" ციკლის რომანები — "გაიქეცი, ბაჭია" (1960), "ბაჭიის დაბრუნება" (1971), "ბაჭია გამდიდრდა" (1981) და "ბაჭია ისვენებს" (1990), და მათ მოჰყვა ნოველაც "ბაჭიის ხსოვნა" (2001) — შეადგენს ყოველდღიურობის დასრულებულ ლიტერატურულ ტრანსფიგურაციას: "ეს არის ტეტრალოგია ჩემს შესახებ", ამბობდა აპდაიკი, "ამბავი ამერიკელი მოქალაქის ცხოვრებისა, ვინც გამოივლის ამერიკულ ყოფას, ახალგაზრდულ ვნებებს, თავისუფლებას, სქესობრივ ცხოვრებას, ეროვნულ ღიაობას და სწავლის სურვილს, იმპროვიზაციის ეროვნულ ჩვევას. იგი პროტესტანტია, ღმერთი ევლინება და ეს გამოვლენანი მიუწვდომელია, თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანი." ავტომანქანათა გაყიდვა, ფლორიდის კონდომინიუმი, კალათბურთის მოედანი, იაფი და უვარგისი საკვების გორები ანუ ბაჭიის ცხოვრება მთლიანად, ზიზღით კი არა არის აღწერილი, ან თანამედროვე ეკლიანი იუმორით, არამედ სიყვარულით: ისინი გველამაზებიან, რადგან ნაწილნი არიან უსაზღვროდ მშვენიერი სიცოცხლისა.



*ჯონ აპდაიკი*

ალბათ თვითკმაყოფილება, მრ. ვუდმა რომ იყნოსა აპდაიკის შემოქმედებაში, იმდენად თვითკმაყოფილება არ არის, რამდენადაც სიხარული, ფილოსოფიური აღქმა მსოფლიოსი ისეთისა, როგორიც არის, გამუდმებული აღქმა სიკვდილისა, როგორც სინანულისა და არა სიმწარისა. აპდაიკის სარკაზმიც კი არ ყოფილა მწარე. მას შეეძლო ეხალისა თავის კოლეგებზე " მანჰეტენის ინტელიგენციის ვიწრო წრეში, შხამიანი შურით, დაუნდობლობითა და მდაბალი იმპოტენციით გაჟღენთილ გარემოში", და როდესაც აქილიკებდა ამ სამყაროს თავის მხიარულ რომანებში, ამას სჩადიოდა უფრო სიყვარულით, ვიდრე სიძულვილით. განსხვავებით თავისი დროის ლიტერატურული კრიტიკოსებისაგან — და იგი საუკეთესო კრიტიკოსი გახლდათ თავის თაობაში — აპდაიკი უფრო აქებდა და ადიდებდა თავის კოლეგებს, ვიდრე აკნინებდა. იგი ძალზე დიდსულოვანი კრიტიკოსი იყო. რა თქმა უნდა, ტრიუმფალური სამწერლო კარიერიდან გამომდინარე — მიღებული ჰქონდა პულიცერის ორი პრემია, ნეშენალ ბუკის ორი ჯილდო, და სხვა მრავალი აღიარება მისი შემოქმედებისა — მას შეეძლო ყოფილიყო დიდსულოვანი; მაგრამ ეს პრინციპი ხომ ყოველთვის არ მოქმედებს. მისი ზოგიერთი ესეი — მაგალითად, ბოლოდროინდელი შეფასება ი. ბ. უაიტისა და კლასიკური შესხმა დორის დეისა — უკვდავია.

რადგან წერილი დევიდ ფოსტერ უოლესისეული პირქუში შეფასებით დავიწყე, ნება მიბოძეთ დავასრულო ნიკოლსონ ბეიკერის სიტყვებით. ეს სანიმუშო მწერალი დიდ პატივს სცემდა მრ. აპდაიკს და, როცა დონალდ ბართელმის სიკვდილზე წერდა, თვითგანმაქიქებელ წიგნში "შენ და მე", პანიკური შიში გამოხატა, იგივე არ დაემართოს ჯონ აპდაიკსაცო; "ყველაზე მეტად აპდაიკის უკვდავება მსურს... ვფიქრობ, იგი იყო მოდელი მეოცე საუკუნის ამერიკელი მწერლებისათვის: რაღა მისი სიკვდილი და რაღა ჩემი თაობის ლიტერატურასთან კავშირის დასამარება". დღეს მრავალი ჩვენგანი იზიარებს მის აზრს.

ქ-ნი ალენი მწერალია და ცხოვრობს ბრუკლინში.

უოლ სტრიტ ჯორნალი, 28 იანვარი, 2009 წელი.

## ნამცვრევი

### ჩამოვართვათ ნობელის პრემია!

გერმანელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, გიუნტერ გრასმა შარშანწინ გამოაქვეყნა თავისი მემუარები, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამლევს იგი მოხვედრილა ესესელთა ჯარის ნაწილებში. მოხალისე როდი ყოფილა, გაიწვიეს. ერთი ტყვიაც არ მისროლიაო, ამტკიცებს მწერალი. მაგრამ გერმანიაში ამას არ ათხოვეს ყური და მოითხოვეს ჩამორთმევა ნობელის პრემიისა(?!).

### ჩემი შენ გითხარიო

„სოლიდარობის“ ყოფილმა თავკაცმა, პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ განაცხადა, რომ ყოფილი ესესელი გიუნტერ გრასი უნდა გაირიცხოს ქ. გდანსკის საპატიო მოქალაქეთა რიგებიდან (გდანსკი ანუ გერმანულად დანციგი — მშობლიური ქალაქი ყოფილა გიუნტერ გრასისა).

ამასწინათ ვარშავის ეროვნული ხსოვნის (თუ მეხსიერების?) ინსტიტუტის თანამშრომლებმა სლავომირ ცენცკევიჩმა და პეტერ გონტარჩიკმა გამოსცეს წიგნი, სადაც აღნიშნულია, რომ ლეხ ვალენსა გასული საუკუნის 70-იან წლებში თანამშრომლობდა სოციალისტური პოლონეთის სპეცსამსახურებთან კონსპირაციული ფსევდონიმით „ბოლეკ“ (კნინობითი ფორმა გახლავთ სახელისა „ბოლესლავ“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

**მიღებული და გამოცხადებულია გენერალური ასამბლეის 217 ა (III) რეზოლუციით, 1948 წლის 10 დეკემბერს**

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა და გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის სრული ტექსტიც აქ არის მოცემული. მიიღო რა ეს ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება, ასამბლეამ მოწოდებით მიმართა ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს გამოაქვეყნონ დეკლარაციის ტექსტი და ყველაფერი იღონონ „მისი გავრცელების, საჯაროობისა და განმარტებისათვის, უმთავრესად სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, ქვეყნების ან ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსის განურჩევლად“.

### პრეამბულა

ვ ი ნ ა ი დ ა ნ ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბუჩად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს, და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია როგორც ადამიანთა მაღალი მისწრაფება; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას; და

ვ ი ნ ა ი დ ა ნ ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის.

### გენერალური ასამბლეა აცხადებს

ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მიისწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

*მუხლი 1*

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

*მუხლი 2*

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლება. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია — დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

*მუხლი 3*

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

*მუხლი 4*

არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

*მუხლი 5*

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

*მუხლი 6*

ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იმის უფლება აქვს, რომ აღიარებულ იქნეს მისი სამართალ სუბიექტობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 7

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.

მუხლი 8

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

მუხლი 9

არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

მუხლი 10

ყოველ ადამიანს მის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველზე, აქვს იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.



*მოქანდაკე ტონი მორა*
*სკულპტურა ეძღვნება ადამიანის უფლებათა*
*საყოველთაო დეკლარაციის იდეალს*

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე, ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომლებიც ჩადენის დროს არ შეადგენდა დანაშაულს ნაციონალური კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ის, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა ჩადენილ იქნა დანაშაული.

მუხლი 12

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 13

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახემწიფოს ფარგლებში.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მუხლი 14

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს დევნისგან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს ჩადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

მუხლი 16

1. სრულასაკოვნებას მოღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

მუხლი 17

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.

2. არავის არ უნდა ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა: ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა: ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.

2. არავის იძულება არ შეუძლია რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

მუხლი 21

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.

3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა: ეს ნება უნდა გამოხატავდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში, ფარული კენჭის ყრით ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შვებულების უფლების ჩათვლით.

მუხლი 25

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი — ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარისამებრ.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება აირჩიონ რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროცესში და სარგებლოდეს მისი სიკეთით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორს იგი წარმოადგენს.

მუხლი 28

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურსა და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვას, როგორიც კანონითაა დადგენილი მარტოოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პირებისათვის უფლებისა ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.

ჯეკ დონელი, როდა ჰაუარდი

# ადამიანის უფლებანი თანამედროვე მსოფლიოში*

ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო შეთანხმებაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით დაიდო და ძალაში შევიდა 1976 წელს, მითითებულია, რომ ადამიანის უფლებანი „გამომდინარეობს ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი ღირსებიდან". ადამიანის ღირსებისათვის ბრძოლა, ალბათ, თვით ცივილიზაციის საწყისიდან იღებს სათავეს, მაგრამ ადამიანის უფლებათა კონცეფცია, როგორც იარაღი მისი ღირსების დასაცავად — შედარებით ახალი მოვლენაა. ადამიანის უფლებათა დღე 10 დეკემბერს აღინიშნება, გაეროს მიერ 1948 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების წლისთავზე.

ადამიანის უფლებები მისი განსაზღვრების მიხედვით, არის ის უფლებანი, რომელიც ინდივიდს მინიჭებული აქვს ადამიანის მოდგმისადმი უბრალოდ მისი კუთვნილების გამო. მაგრამ ეს მარტივი და არსებითად უდავო განსაზღვრება სინამდვილეში იმაზე რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ის გაიაზრებს ადამიანის უფლებებს ამ სიტყვის სრული და ნამდვილი მნიშვნელობით და ადასტურებს, რომ ის ეკუთვნის ნებისმიერ ადამიანს.

დასავლური მორალური და პოლიტიკური ტრადიცია ეფუძნება მთელ რიგ თეორიებს, რომლებიც დამყარებულია ზნეობრივ სამართლიანობასა თუ ზნეობრივ ნორმებზე. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ბუნებითი სამართლის თეორია, რომელიც აღიარებს ღმერთის მიერ ბოძებულ ობიექტური ზნეობრივი კანონის არსებობას და რომელიც ათვისებულია ადამიანის გონების მიერ. ეს ბუნებითი სამართალი აუცილებელია ყოველი ადამიანისათვის და გამოყენებულია კრიტერიუმად ადამიანის ყოველნაირი მოღვაწეობის, მათ შორის პოლიტიკურის, შეფასებისათვის. მთავრობა, რომელიც არღვევს ბუნებით სამართალს, ჩადის სერიოზულ დანაშაულს, ხოლო ამ სამართლის განსაკუთრებული სისასტიკით ხელყოფის შემთხვევაში კარგავს თავის მორალურ და პოლიტიკურ კანონიერებას.

დასავლურ ცივილიზაციაში ასეთი თეორიები მომდინარეობენ ციცერონიდან (106-43 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ხოლო მათი ჩანასახები შეიძლება შევნიშნოთ ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებში. ამაზე მუშაობდნენ მომდევნო ხანაშიც: ჯონ ლოკმა, ერთ-ერთმა ადრეულმა და ყველაზე დიდმა თეორეტიკოსმა ბუნებით სამართალში, ამის შესახებ მწყობრი თეორია ჩამოაყალიბა. ჩვენს დროში ბუნებითი სამართლის იდეა მთელი რიგი გამოჩენილი ფილოსოფოსების მხარდაჭერით სარგებლობს და უაღრესად მიმზიდველი ძალის მქონეა, განსაკუთრებით გარკვეულ რელიგიურ წრეებში.

მეტიც, სამრეწველო რევოლუციამდე მსგავსი იდეები ნორმას წარმოადგენდა მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში. მაგალითად, ითვლებოდა, რომ ჩინეთის იმპერატორი ხელისუფლებას ზეციდან იღებდა და ამიტომ თავის მოქმედებებში ანგარიშვალდებული იყო ზეცის წინაშე. სწორედ ამგვარად, ყურანსა და შარიათის კანონებში გადმოცემულია დეტალურად დამუშავებული ძირითადი სამართლებრივი ნორმები, რომელთაც უნდა იცავდნენ ხელისუფალნი. მხოლოდ ზოგიერთ საზოგადოებაში მიიჩნეოდა ხელისუფალი აბსოლუტურ თვითმპყრობელად. ფრანგი მონარქებიც კი, რომლებიც თავს ღვთის მიერ ცხებულებად აცხადებდნენ, თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ ღვთაებრივი სამართლის კანონების დაცვა. როგორიც არ უნდა ყოფილიყო გადახვევა პრაქტიკაში, თითქმის ყველა ინდუსტრიამდელი ერის მმართველი მიჰყვებოდა სამართლის ნორმებს, რომელთაც დასავლეთში, ჩვეულებრივ, უწოდებდნენ ბუნებითს. უმეტეს ტრადიციულ საზოგადოებებში, როგორც დასავლეთში, ისე დანარჩენ მსოფლიოში, სამართლიანობა განიხილებოდა უპირველესად, როგორც რაღაც ძირითადი სამართლებრივი პრინციპების დაცვა (თუმცა ეს პრინციპები ჩვეულებრივ დადგენილი იყო არა გონებით, არამედ ტრადიციებით).

უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური ძალის მნიშვნელობაც, რომლითაც ბუნებითი სამართალი აღჭურავს მოქალაქეებს სახელმწიფოს ძალადობისაგან თავდასაცავად, ე.ი. შესაძლებლობას აძლევს მათ, ბუნებითი სამართლის ნორმების დამრღვევს პასუხი აგებინოს სამართლიანობის ობიექტური პრინციპების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის, და არა უბრალოდ ამა თუ იმ პირის, ან პირთა ჯგუფის დაჩაგვრისათვის. მაგალითად, შუასაუკუნეების ევროპასა და ჩინეთის იმპერიაში ტირანი შეიძლებოდა დამნაშავე ყოფილიყო მხოლოდ ღვთის, აგრეთვე კანონიერებისა და სამართლიანობის ობიექტური პრინციპების წინაშე, ესე იგი მმართველი ემორჩილებოდა ობიექტურ კრიტერიუმებს.

მოქალაქეს რომ არ ჰქონდეს ბუნებითი (ან იურიდიული) უფლებები ხელისუფლების წინაშე, იგი ვერ მიაღწევდა სამართლიანობას. ბუნებითი სამართალი თავისთავად არავის აძლევს უფლებას, მისი დაცვა მოითხოვოს. ამისათვის აუცილებელია ბუნებითი, ადამიანის (ან იურიდიული) უფლებები, რომელიც მას მისცემდა მოთხოვნის შესაძლებლობას. თუ ხელისუფლება არღვევს მოქალაქეთა უფლებებს, მათ უფლება აქვთ, არა მხოლოდ ამტკიცონ, რომ მათ მიმართ ჩადენილია უსამართლობა, არამედ იმისაც, რომ დარღვეულია მათი უფლებები. ამით კი მოთხოვნას ეძლევა განსაკუთრებული, დამატებითი ძალა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამართლიანობის აღდგენა ხდება თვით მოქალაქეთა კონტროლქვეშ, რომლებიც გამოდიან უფლებათა მფლობელების სახით და აქვთ სამართლიანობის მიღწევის კანონიერი საფუძველი. ხოლო იმ შემთხვე-

* International Handbook of Human Rights, Jack Donnely and Rhoda E. Howard, eds. (Greenwood Press, an imprint of Greenwood Publishing Group, Inc., Westport, CT, 1987. /2007/). Copyright 2007 by Jack Donnely and Rhoda E. Howard. Introduction translated and reprinted with permission of Greenwood Publishing Group, Inc.

ვებში, როდესაც ლაპარაკია ბუნებით სამართალზე (ადამიანის უფლებებზე), რომელიც ადამიანს მიღებული აქვს დაბადების შედეგად, დანაშაული იძენს უფრო მეტ მორალურ წონას.

ასეთი კონცეფცია სახელმწიფოსი, რომლის მოქმედებები შეზღუდულია მოქალაქეთა უფლებებით, — რომელიც უპირატესია მორალის თვალსაზრისით და დგას სახელმწიფოზე მაღლა, — შედარებით ახალია და ატარებს აშკარა „თანამედროვე“ ხასიათს. თომას გობსი თავის „ლევიათანში“ (1655) ლაპარაკობს ბუნებით სამართალზე, მაგრამ აშკარად უარყოფს, რომ ასეთი სამართალი ზღუდავს სუვერენის ძალაუფლებას. იმ დროისათვის, როდესაც ლოკმა გამოაქვეყნა „მეორე ტრაქტატი სახელმწიფოს მმართველობის შესახებ“ (1688), „ბუნებითი უფლებების“ ნათელი და არაორაზროვანი თეორია უკვე არსებობდა ტრადიციული „ბუნებითი სამართლის“ გვერდიგვერდ. ამერიკული და ფრანგული რევოლუციების ხანაში ბუნებითი უფლებების, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, ადამიანის უფლებების იდეა, არა მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში დადგა, არამედ ბუნებითი სამართალი შეცვალა რევოლუციურ ლექსიკონში და ისეთ მოღვაწეთა ნაშრომებში, როგორებიც იყვნენ თომას ჯეფერსონი და თომას პეინი.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ადამიანის უფლებათა ტრადიცია მჭიდროდაა დაკავშირებული, დასაწყისში მაინც, ხელშეკრულებითი სამართლის პოლიტიკურ თეორიასთან. „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ თეორიის თანახმად, ინდივიდი განიხილება, როგორც ბუნებითი უფლებების მფლობელი, რომელიც აბსოლუტურად დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან. მისი ძირითადი უფლებები გამომდინარეობენ ადამიანის ბუნებიდან და არ არის ბოძებული სახელმწიფოს, კანონის, პოლიტიკის ან ტრადიციების მიერ. სახელმწიფო (და საზოგადოება) განიხილება, როგორც ცალკეულ პიროვნებებს შორის ხელშეკრულების შედეგი ბუნებითი უფლებების დასაცავად და ისეთი სოციალურ-პოლიტიკური პირობების შესაქმნელად, რომელიც პიროვნებას აძლევს თავისი უფლებების რეალიზების საშუალებას. ამგვარად, სახელმწიფო კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პატივს სცემს ბუნებით უფლებებს, უზრუნველყოფს მის დაცვას და ხელს უწყობს მის სრულად გამოვლენას. თუ ის არ ასრულებს თავის ამ ვალდებულებებს და უხეშად და სისტემატურად არღვევს ადამიანის უფლებებს, მოქალაქეებს უფლება აქვთ, აჯანყდნენ როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად. მაგალითად, ლოკი აღიარებს და იცავს საზოგადოების უფლებას რევოლუციის მოსახდენად ისეთი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც სისტემატურად ფეხქვეშ თელავს ბუნებით უფლებებს. თომას ჯეფერსონი დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ამერიკულ რევოლუციას ამართლებს ბრიტანელ კოლონისტთა მიერ ბუნებითი უფლებების გაქელვით, ხოლო ადამიანის და მოქალაქის უფლებათა ფრანგულ დეკლარაციაში გარკვევით წერია რევოლუციის უფლების შესახებ.

ადამიანის უფლებები თავისი ბუნებით უნივერსალურია. ადამიანის უფლებათა დეკლარაციას ტყუილად არ ჰქვია „საყოველთაო“, რადგან ადამიანის უფლებები უკლებლივ ყველასთვისაა. ამიტომ ადამიანის უფლებათა ძირითადი ჩამონათვალი მეტ-ნაკლებად შეეხება ყველას. მაგრამ ადამიანის ბუნება და ქცევა გარკვეულწილად ფორმირდება იმ საზოგადოების სპეციფიკით, რომლის ნაწილიც ისაა. ამიტომ ადამიანის უფლებათა უნივერსალურობა უნდა განისაზღვროს, სულ მცირე, ორი ფაქტორით:

პირველი — ფორმებმა, რომლებშიც ფიქსირდება ადამიანის საყოველთაო უფლებანი, შეიძლება განიცადოს სახეცვლილება ბუნებითი, კულტურული და პოლიტიკური განსხვავებების გათვალისწინებით. მაგალითად, სახელმწიფოს მართვაში ხალხის მონაწილეობის ხარისხი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია.

მეორე — ადამიანის უფლებათა უნივერსალურობა მცირდება იმით, რომ ამ უფლებათა ნებისმიერი ჩამონათვალი, რაც უნდა ბევრმა ქვეყანამ და კულტურამ აღიაროს იგი, ასახავს კონკრეტული ეპოქის გარკვეულ, ისტორიულად განპირობებულ მსოფლმხედველობას. მაგალითად: XVII და XVIII საუკუნეებში ადამიანის უფლებებში გულისხმობდნენ მხოლოდ მამაკაცთა უფლებებს, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ საერთოდ არაფერი იყო ნათქვამი (თუ არ ჩავთვლით უფლებებს კერძო საკუთრებაზე). ამგვარად, ადამიანის უფლებათა საყოველთად აღიარებული ჩამონათვალიც კი შეიძლება თანდათანობით შეიცვალოს იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება ზოგადი გაგება ადამიანის ღირსებებისა და ზნეობრივი პიროვნების ხარისხისა ახალი იდეებისა და მატერიალური რესურსების შესაბამისად.

ჩვენს დროში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (დაბეჭდილია ჟურნალის ამავე ნომერში, რედ.), რომელიც გამოცხადებული იქნა 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, შეიცავს უფლებათა მინიმალურ ჩამონათვალს, თუმცა მასში დროდადრო შედიოდა დამატებები (კერძოდ, თვითგამორკვევის უფლების შესახებ), ხოლო მომავალში საყოველთაო დეკლარაციის უფლებათა ჩამონათვალს, შესაძლოა, ახალი უფლებები დაემატოს. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას აღიარებს მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო, ხოლო პოლიტიკურ პრაქტიკაში ის განიხილება, როგორც სრულიად ავტორიტეტული და მართლზომიერი დოკუმენტი.

ადამიანის უფლებები ჩვეულებრივ გაყოფილია ორ ძირითად ნაწილად: 1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და 2. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. ასეთი დაყოფა ძალზე პირობითია. იგი, ამასთან, ძალიან ხშირად, როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ, ბადებს უპირატესი დამოკიდებულების მოთხოვნილებას უფლებების ამა თუ იმ კატეგორიის მიმართ — მოთხოვნილებას, რომელიც არაიშვიათად გამოიყენება კვამლის ფარდად უფლებათა დარღვევის დაფარვის მიზნით. მიუხედავად ამისა, ამგვარი კლასიფიკაცია ყველასათვის მისაღები და მოსახერხებელია.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რომელიც შესულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, შეიცავს სიცოცხლის, მოქალაქეობის, სამართალსუბიექტად ცნობის უფლებას, დაცვის უფლებას სისასტიკის, დამცირების ან არაჰუმანური მოპყრობისა და სასჯელისაგან, აგრეთვე რასობრივი, ნაციონალური, სქესობრივი და რელიგიური დისკრიმინაციისაგან. მასშივე შედის იურიდიული უფლებები, ისეთი, როგორიცაა უფლებების აღდგენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითად უფლებათა დარღვევის შემთხვევაში; უდანაშაულობის პრეზუმპცია; მიუკერძოებელი საჯარო სასამართლო განხილვის გარანტია სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით; მსჯავრის დადება იმ მოქმედებისათის, რომელიც ჩადენის მომენტში არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, აგრეთვე იმაზე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე გამოყენებული იქნებოდა დანაშაულის ჩადენის დროს; თვითნებური დაპატიმრების, დაკავების და გაძევებისაგან დაცვა; თვითნებური ჩარევისაგან დაცვა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში; აგრეთვე პიროვნების რეპუტაციის შელახვის მცდელობისაგან დაცვა. საყოველთაო დეკლარაციის სამოქალაქო თავისუფლებათა ჩამონათვალში შედის აზრის, სინდისის, რელიგიის თავისუფლება, შეხედულებისა და მისი გამოხატვის თავისუფლება, გადაადგილებისა და საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის, მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების თავისუფლება. ბოლოს, პოლიტიკური უფლებები შეიცავს მმართველობაში მონაწილეობისა და პერიოდულ თავისუფალ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას საყოველთაო და თანაბარი საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე.

საყოველთაო დეკლარაციაში დაფიქსირებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები შეიცავს უფლებას ცხოვრების დონეზე, რომელიც აუცილებელია ადამიანისა და მისი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და კეთილდღეობისათვის; შრომის, დასვენებისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებას; განათლებისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას.

დროდადრო ისმის მტკიცება, რომ მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს უნდა ეწოდებოდეს უფლებანი. არსებობს სხვა, არანაკლებ ცალმხრივი თვალსაზრისი ეკონომიკური და სოციალური უფლებების პრიორიტეტის შესახებ. ამ თვალსაზრისს იზიარებენ ძირითადად კომუნისტები და მესამე ქვეყნების პოლიტიკოსები. მაგრამ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში გაზიარებულია შეხედულება, რომ ყველა უფლება, ჩამოთვლილი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ურთიერთდაკავშირებული და განუყოფელია.

ჩვენ არ ვეთანხმებით შეხედულებას, რომ ადამიანის უფლებების კონცეფცია გამოსაყენებელია მხოლოდ გარკვეულ დასავლურ საზოგადოებათათვის. არათანამედროვე ტრადიციულ საზოგადოებებში, რომელთაც არ ჰქონდათ თანამედროვე გაგების შესაბამისი სახელმწიფოებრიობა, არ იყო სოციალური პირობები ადამიანის უფლებათა აღიარებისა და რეალიზაციისათვის. იქ ადამიანები ვერ აცნობიერებდნენ თავის თავს ინდივიდებად და მათ არ ემუქრებოდათ ადამიანური ღირსებებისადმი ისეთი საფრთხეები, როგორიც მოდის თანამედროვე სახელმწიფოსაგან. მაგრამ დღეს არაა დარჩენილი არც ერთი საზოგადოება, სადაც არ ხდება თანამედროვე სახელმწიფოდ მათი გარდაქმნა.

მაგრამ შეიძლება თუ არა განვიხილოთ ყველა ადამიანი ინდივიდად? ადამიანის უფლებათა ჩვენი კონცეფცია ემყარება ინდივიდუალური უფლებების ცნებას, ე.ი. ცალკეული პიროვნებების უფლებებს და მათი და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პროცესები, ზოგჯერ წოდებული „მოდერნიზაციად“ და „ვესტერნიზაციად“, ატარებს საყოველთაო ხასიათს. ამის შედეგად, პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში არიან ადამიანები, რომლებიც თავის თავს ინდივიდებად განსაზღვრავენ და ობიექტურადაც ასეა, თუმცა საზოგადოების დიფერენციაციის პროცესი მიმდინარეობს გარკვეულ ქვეყნებში (მაგ. აშშ) უფრო ინტენსიურად, ვიდრე სხვა ქვეყნებში (მაგ. ჩინეთსა და იაპონიაში).

პიროვნება საზოგადოების ნაყოფია. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ძველ დროს და ძველ კულტურებში არსებობდნენ საზოგადოებანი, რომელშიც მისი წევრების მიმართ არ გამოიყენებოდა ცნება „პიროვნება“. ასევე შორს ვართ მტკიცებისაგან, რომ თანამედროვე საზოგადოება ზნეობრივი თვალსაზრისით რაიმეთი მაღლა დგას ძველზე. ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მოგვწონს თუ არა, ახლანდელ დროში ყველა ქვეყანა მნიშვნელოვნად მოდერნიზებულია.

ტრადიციულ საზოგადოებაში (ვგულისხმობთ ყველა ძველ საზოგადოებას) სოციალური როლები შედარებით არადიფერენცირებული იყო. გლეხი, რომელიც ქმრის მოვალეობას ასრულებდა, ასევე ასრულებდა მინათმოქმედის როლს და პატივისცემით სარგებლობდა თემის წევრთა შორის. მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც თუნდაც ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში არსებობს, სულ უფრო და უფრო ხდება სოციალური როლების დანაწილების ნორმად ქცევა. ადამიანის როლი ცხოვრების ერთ სფეროში სულაც არ უზრუნველყოფს მის როლს სხვა სფეროში. ქმრის, მეპატრონის და პოლიტიკოსის როლები ახლა დანაწილებულია. მზრუნველი მამა, რომელსაც ავადმყოფი შვილი ექიმთან მიჰყავს, მისი სამუშაოზე დამქირავებლის თვალში დაუდევარი მუშაკია, რომელიც სამსახურში აგვიანებს. თანდაყოლილი სტატუსი უკვე ვერ ამოწურავს ინდივიდის როლს. ინდოელი პარიის შვილი შეიძლება მინისტრი გახდეს, ქალი კი — კორპორაციის მმართველი. ცხოვრებისეული დანიშნულებისა და ინდივიდის როლის განმსაზღვრელი უკვე აღარაა სქესი და ასაკი, როგორც ძველ დროს. ახლა ადამიანის მდგომარეობა დამოკიდებულია მის განათლებაზე, პროფესიულ მიღწევებზე, კონკურენტულ ბრძოლაში წარმატებაზე პოლიტიკურ ცხოვრებაში

საზოგადოება, სადაც ადამიანი ცხოვრობს, ისეთივე რთულია, როგორც მასში შრომის დანაწილება. იგი ეთნიკურად ჭრელია და დაყოფილია ფენებად; მასში წარხოცილია სოციალური მდგომარეობით, ასაკითა და სქესით განსაზღვრული ტრადიციულად დადგენილი ნორმები. ასეთ პირობებში პიროვნების დამოკიდებულება პირველადი ჯგუფების მიმართ სუსტდება, ადამიანი სულ უფრო მეტად ეყრდნობა მეორადი ჯგუფების მხარდაჭერას, რომელთაც მიეკუთვნება არა ემოციურად ან ნათესაური კავშირების, არამედ საერთო მიზნების გათვალისწინებით. თანამედროვე ქალაქებში იქმნება ახალი ტიპის გაერთიანებები, რომელთა ჩამოყალიბება ხდება ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე და არა ბედის შემთხვევითობით. მეტისმეტად ურბანისტულ საზოგადოებაშიც კი, სადაც თითქოს ძლიერი გაუცხოება უნდა იყოს, ადამიანები ქმნიან თავიანთ წრეს ისეთი თანამედროვე ნიშნების საფუძველზე, როგორიცაა განათლების დონე ან პროფესიული ერთობა.

ურბანიზაცია მოდერნიზაციის პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია. ყველგან — ცენტრა-

ლურ თუ სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, აზიაში, დღეს კი ყოფილ აღმოსავლეთ ევროპაშიც — ურბანიზაცია ახდენს ადამიანების ამოგლეჯას მათი ძველი ოჯახურ-კლანურისოფლისეული ფესვებისაგან და ათავსებს მათ ჭრელ, მრავალეროვნულ და ახალ კულტურულ დამოკიდებულებათა გარემოში. ასეთი მიგრაცია განპირობებულია არა მხოლოდ სოფლიდან გაქცევის სურვილით, არამედ ქალაქის მიმზიდველობითაც. დედამიწის მრავალ ადგილას სოფლებში ცხოვრება სულ უფრო მძიმე ხდება. ქალაქის გარემო, მიუხედავად სამუშაოს შოვნის სიძნელისა, მთლიანობაში უფრო მიმზიდველია, ვიდრე სოფელი, რადგან ქალაქში მრავალი შესაძლებლობა არსებობს განათლების მისაღებად, სამედიცინო და სოციალური მომსახურებისათვის, უფრო საინტერესო კულტურულ ცხოვრებაში ჩაბმისათვის. ქალაქებში მეტია პიროვნული თავისუფლება, კინოში სიარულის, ახალი მუსიკის მოსმენის, ახალი ადამიანების გაცნობის შესაძლებლობა, და, რაც მთავარია, ოჯახისა და სოფლის თემის არაიშვიათად მძიმე მეურვეობისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობა. ადამიანებს ურჩევნიათ სოფლიდან წასვლა და როგორც კი ისინი ქალაქში აღმოჩნდებიან, მაშინვე ხდებიან უფრო მეტად ინდივიდუალიზირებულები.

თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირებას ხელს უწყობს აგრეთვე განათლებისა და ინფორმაციების ხელმისაწვდომობა. წიგნიერება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, ზოგჯერ კი აიძულებს კიდეც, აითვისოს ახალი იდეები. თუ სკოლა პირველ რიგში სამთავრობო პროპაგანდას ემსახურება, წიგნიერება ნებისმიერ შემთხვევაში ასტიმულირებს ადამიანის ფსიქოლოგიის თანამედროვე ასპექტების განვითარებას, აგრეთვე მის უნარს, კრიტიკულად შეაფასოს საზოგადოება, რომელშიც ის ცხოვრობს. მაგალითად, ინდოეთში კონკურენტული დემოკრატიის შედარებით ჯანსაღი სისტემა ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვან განათლებულ მოქალაქეთა წყალობით. რასაკვირველია, სკოლა მოზარდთა სანიმუშო მოქალაქეებად ჩამოყალიბების მექანიზმია სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი მოდელის მიხედვით, მაგრამ მოსწავლეებს შესწევთ უნარი, მათ მიერ ათვისებული იდეები მოარგონ საკუთარ მიზნებს.

წიგნიერი ადამიანი ინდივიდუალიზირებულია იმ აზრით, რომ იგი არა მხოლოდ დიდი მოცულობის ინფორმაციის ათვისების უნარს იძენს, არამედ შეუძლია აღმოაჩინოს მრავალნაირი და რთული მეთოდები აზროვნებისა და მისი გამოხატვისა, ამასთანავე შეუძლია აპელირება გაცილებით ფართო აუდიტორიით, ვიდრე იმას, ვისაც მხოლოდ ზეპირი სიტყვის აღქმის უნარი აქვს.

ურბანიზაციისა და წიგნიერების განმტკიცება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფართო გავრცელებით მთელ მსოფლიოში. რადიოსა და განსაკუთრებით ტელევიზიას შეუძლია, გააცნოს ახალი იდეები იმ ადამიანებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ უყვართ კითხვა. ურთიერთობის მნიშვნელოვანი იარაღია კინოც. „მესამე სამყაროს" ქალაქის მცხოვრები, რომელიც დასავლურ ფილმებს უყურებს, უფრო მეტად განიცდის მატერიალიზმისა და ინდივიდუალიზმის იდეების გავლენას, ვიდრე მისი სოფლელი მოძმე.

ინფორმაციის მასობრივი საშუალებების გავრცელება და განათლება მნიშვნელოვან სიძნელეს უქმნის რეპრესიულ რეჟიმებს, რომლებიც ცდილობენ, გარესამყაროსაგან იზოლაციაში ამოყოფონ საკუთარი მოქალაქეები. „მზარდი მოლოდინების რევოლუცია", რომელმაც სოციოლოგები შეაშფოთა 60-იან წლებში, იყო მატერიალური კეთილდღეობის მოლოდინის რევოლუცია. ყველას უნდოდა ეცხოვრა განვითარებული დასავლეთის მდიდარ მოქალაქეთა მსგავსად. ოღონდ შესაძლებლობა გაჩენილიყო.

ამავდროულად ხდება „ზნეობრივ მოლოდინთა რევოლუცია". მთელ მსოფლიოში იზრდება საკუთარი უფლებების გაცნობიერება ადამიანების მიერ. მათ სურთ არა მხოლოდ სიმდიდრე, არამედ თავისუფლებაც. არცერთი საზღვარგარეთელი აგიტატორი არ გამხდარა რევოლუციების მიზეზი ღარიბ ქვეყნებში და მღელვარებებისა უფრო მდიდარ, მაგრამ რეპრესიულ სახელმწიფოებში. ისინი ჩნდებიან თანამედროვე ადამიანების საერთაშორისო საზოგადოების ერთიან წიაღში, რომლებიც, რაც უნდა ღარიბები და დაჩაგრულები იყვნენ, სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ თავიანთ უბედურებათა ჭეშმარიტ მიზეზს წარმოადგენს სახელმწიფო. იდეათა თავისუფალი გაცვლა ისეთივე საშიშროებას წარმოადგენს მმართველთათვის, როგორც იარაღით თავისუფალი ვაჭრობა.

თანამედროვე პიროვნება ფიქცია კი არა, რეალობაა. და ასეთ პიროვნებას სჭირდება ადამიანის უფლებანი.

ადამიანის უფლებები, დაფუძნებულია სახელმწიფოსთან პიროვნების ურთიერთობის საფუძველზე. რა თქმა უნდა, ერთი ადამიანის უფლებები შეიძლება დაარღვიოს მეორე ადამიანმა. ადამიანი შეიძლება გაძარცვონ, როცა ის ქუჩაში მიდის სახლისაკენ, და ამით მისი თავისუფლება შეზღუდონ. მომუშავე ქალს შეიძლება შეუწყვიტონ დახმარება ფეხმძიმობის გამო და ამით დაარღვიონ მისი უფლება შრომის სამართლიან პირობებზე. მაგრამ სახელმწიფოს ფუნქცია სწორედ ის უნდა იყოს, რომ დაიცვას თავისი მოქალაქეების უფლებები მსგავსი დარღვევებისაგან: გააუმჯობესოს ქუჩის განათება და პოლიციელთა პატრულირება; უზრუნველყოს დედათა და ბავშვთა განსაკუთრებული უფლებები ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის თანახმად.

თუმცა მოქალაქეთა უფლებების მრავალი დარღვევა ხდება სახელმწიფოს მიერ თავისი კანონიერი უფლების განხორციელების საბაბით. მაგალითად, სახელმწიფო მოვალეა, დაიცვას თავისი მოსახლეობა და ტერიტორია გარე აგრესიისაგან, მაგრამ ამის საბაბით ხშირად ირღვევა ადამიანის მთელი რიგი უფლებანი.

სახელმწიფოს მიერ ქვეყნის შიგნით წესრიგის დაცვა შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ადამიანის უფლებებთან. წესრიგის დაცვა ისეთი საზოგადოებრივი აუცილებლობაა, რომელსაც თვით ყველაზე რეპრესიული ხელისუფლება უზრუნველყოფს თავისი კანონმორჩილი მოქალაქეებისათვის. მაგალითად, ადამიანები, რომლებმაც ნაციზმი გადაიტანეს, მაგრამ თავად არ გამხდარან მსხვერპლნი, ხშირად ამბობენ, რომ იმ დროს თავისუფლად მაინც შეიძლებოდა ქუჩაში სიარული. წესრიგის პატივისმცემლებს შეერთებული შტატები წარმოდგენილი ჰყავთ ისეთ ქვეყნად, სადაც უფლებებისადმი ერთგულება უაზრობამდე მიდის: დამნაშავეები დაცულნი არიან პოლიციისაგან, ხოლო საზოგადოება არაა დაცული დამნაშავეებისაგან. საქმე ისაა, რომ ადამიანის უფლებათა დამცველნი მაღალ

დამნაშავეობას განიხილავენ, როგორც საზღაურს, რომელსაც საზოგადოება იხდის კანონიერების სკრუპულოზური დაცვისათვის, ე.ი. მოქალაქეთა დაცვისათვის პოლიციის მხრიდან მათი უფლებების შესაძლო ხელყოფისაგან.

მაგრამ მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იცავს სახელმწიფო ყველა თავის ვალდებულებას ადამიანის უფლებათა სფეროში, ჩვეულებრივ, არის ის, რომ სახელმწიფო სრულიადაც არაა ნეიტრალური. პირიქით, ყველა საზოგადოებაში, ყველა იდეოლოგიურ რეჟიმებში სახელმწიფოს აკონტროლებს ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ მისი ორგანოებით მანიპულირებას საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ადამიანის უფლებათა საყოველთაობის აუცილებლობა ნაკარნახევია უნივერსალური კონტროლით, ანდა სახელმწიფოთი მანიპულირებით საზოგადოების გავლენიანი წრეების მხრიდან, რომლებიც თავიანთი ობიექტური ინტერესების შესაბამისად ცდილობენ სხვა ჯგუფების უფლებათა ხელყოფას.

მდიდართა ხელისუფლება საკუთარი სურვილით იშვიათად თმობს ძალაუფლებას, პირიქით, ყოველნაირად ცდილობს, საკუთარი ინტერესების, ასევე საკუთარ კლიენტთა და მეგობარ-ნათესავთა ინტერესების შესაბამისად გააფართოოს თავისი ძალაუფლების საზღვრები. თვით სოციალისტურ ქვეყნებშიც კი, სადაც პოლიტიკური ხელისუფლება პრინციპულად გამიჯნულია ეკონომიკურისაგან, არსებობს ძალაუფლების კონცენტრაციის მრავალი წყარო, განსაკუთრებით პარტიის, ბიუროკრატიული აპარატისა და არმიის კონტროლის საშუალებით. განვითარებად, (სუსტად განვითარებულ) ქვეყნებში უმაღლესი განათლების უბრალო დიპლომიც კი შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ძალაუფლების ხელში ჩაგდების იარაღი.

ამგვარად, ისინი, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს და უნდათ თავისი ძალაუფლების, სიმდიდრისა და მდგომარეობის გაფართოება, ბუნებრივია, არღვევენ ადამიანის უფლებებს. სოციალური ფენების ნებისმიერი სისტემა ადასტურებს, რომ ძირითად მატერიალურ რესურსებზე უფრო ადვილად მიუწვდებათ ხელი მდიდრებსა და გავლენიანებს, ვიდრე ღარიბებსა და სუსტებს. შეერთებულ შტატებშიც კი არსებობენ მოსახლეობის გარკვეული ფენები, რომლებიც შიმშილობენ და მოკლებულნი არიან ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას. ყველასათვის საკმარისი მატერიალური რესურსების არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების ყველა წევრისათვის გარანტირებულია ძირითადი უფლების დაცვა საარსებო მინიმუმზე.

ისინი, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს, არ იზღუდებიან უფლებების დარღვევით მხოლოდ ეკონომიკის სფეროში. ასევე ხშირად ირღვევა კულტურული თუ სათემო უფლებები რელიგიის, ენისა და წეს-ჩვეულებების შენარჩუნებისათვის, განსაკუთრებით „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, სადაც თვით პოლიტიკური ცხოვრების პრინციპი განაპირობებს, რომ შესაძლებელია ბრძოლის სიმწვავის შესუსტება კვების იმ პროდუქტებისათვის, რომელიც ყოველთვის არასაკმარისია და რომლის თანახმადაც შესაძლებელია შედარებით სუსტი ეთნიკური ჯგუფების იგნორირება და ვქეყნიდან გაძევებაც კი. ამის უკიდურეს გამოვლინებას წარმოადგენს გენოციდი. იმ ჯგუფების გამოყოფა, რომელთაც წილად ხვდათ უცხოთა, განტევების ვაცთა როლი; დადგინება „არამოქალაქეთა“ უუფლებო კატეგორიებისა; საზოგადოებიდან გარიყვა მთელი რიგი ფენებისა ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის ნიშნით, — ყოველივე ეს იწვევს ბრძოლის ლიმიტირებას მცირე მატერიალური სიკეთისთვისაც კი.

ამისივე ბუნებრივი შედეგია აქტიური პოლიტიკური ცხოვრებიდან ყველას ჩამოშორება, სახელმწიფოს მმართველთა და მათ მოკავშირეთა გარდა. მაშინაც კი, როცა მატერიალური რესურსები საკმარისია იმისათვის, რათა საზოგადოების ყველა წევრი უზრუნველყოფილ იქნას საარსებო მინიმუმით, მმართველებს აშინებთ ნებისმიერი ფორმის გადანაწილება, რადგან მათ სურთ, ყოველთვის ფლობდნენ პრივილეგიებს, ხელი მიუწვდებოდეთ მატერიალურ რესურსებსა და იძულების ბერკეტებზე. სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის პოლიტიკურ უფლებას იშვიათად იცავენ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც აღიარებულია ძირითადი ეკონომიკური უფლებები. მმართველ ელიტებს ურჩევნიათ, სახელმწიფოში არსებობდნენ დოვლათის დიდსულოვანი განმანაწილებლები, ვიდრე არსებობდეს ყოველი ადამიანის კანონიერი უფლებების ინსტიტუტი.

როდესაც პოლიტიკური უფლებების ხელყოფა ხდება, ჩვეულებრივ, ასევე ირღვევა სიტყვისა და შეკრებათა თავისუფლებაც. თავისუფალი პრესა და თავისუფალი პროფკავშირები ასევე სახიფათოა იმათთვის, რომელთა ხელშიც თავმოყრილია ძალაუფლება. ასეთი პოლიტიკური ორგანიზაციების დასათრგუნად სახელმწიფოს უნევს სამოქალაქო უფლებების დარღვევა. მაგალითად, პოლიტიკური რეპრესიები დაუყოვნებლივ იწვევს სამართლიანი მართლმსაჯულებისა და თვითნებური დაპატიმრებისაგან, წამებისა და არაკანონიერი სასჯელისაგან დაცვის უფლებების დარღვევას.

სახელმწიფო ტერორი, ესე იგი ხალხის სამოქალაქო უფლებების მასობრივი დარღვევა, არის უკანასკნელი საშუალება მმართველი ელიტისა, რომელიც ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას ქვემოდან ზეწოლის პირობებში, თუმცა ეს ზოგჯერ ძირითადი საშუალებაა შედარებით სასტიკი რეჟიმებისათვის.

ამგვარად, ადამიანის უფლებების პრობლემის სოციალური ანალიზისას მთავარი საკითხი ის კი არაა, თუ რატომ ირღვევა უფლებები, არამედ ის, თუ რატომ იცავენ მას. ხელისუფლება უკიდურესად იშვიათად იცავს ადამიანის უფლებებს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობენ გამაწონასწორებელი ძალები, რომელთაც მდიდართა ხელისუფლებამ ანგარიში უნდა გაუწიოს. სწორედ ამიტომაა დაცული ადამიანის უფლებები უფრო უკეთესად იმ სახელმწიფოებში, სადაც ხელისუფლების წყაროები დანაწილებულია. ხელისუფლების დანაწილებას ხელს უწყობს: პოლიტიკური სისტემისაგან გამიჯნული ეკონომიკური სისტემა; კონკურენტული პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლის უფლება აქვთ; დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოები; თავისუფალი პრესა; და ბოლოს, განსაკუთრებული ინტერესების მქონე სხვადასხვა ჯგუფების არსებობა. ხელისუფლების დანაწილება მოქალაქეს აიარაღებს საშუალებათა მთელი არსენალით სახელმწიფოსაგან თავდასაცავად, რომელიც უკეთეს შემთხვევაში, იგნორირებას უწევს ადამიანის უფლებებს, ხოლო უარეს შემთხვევაში, ხელყოფს მას.

მაგრამ არც ერთი სახელმწიფო სისტემა, არც ერთი პოლიტიკური რეჟიმი, არც ერთი პოლიტიკური ფილოსოფია არ წარმოადგენს ადამიანის უფლებების აბსოლუტურ გარანტს. ადამიანის უფლებები ყოველთვის არამდგრადია, მასზე ზეწოლას მუდმივად ახდენს სახელმწიფო. პიროვნება მსხვერპლი ხდება იმ სახელმწიფოსი, რომელიც მოწოდებულია მის დასაცავად. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის კონცეფცია ქმნის კანონიერ საფუძველს იმ იდეისათვის, რომ ადამიანს აქვს უფლება, მეტიც, მოვალეობა, დაიცვას თავი სახელმწიფოსაგან, რომელიც ცდილობს, წაართვას მას არსებობის საშუალებანი, ფიზიკური უსაფრთხოება და ინტელექტუალური დამოუკიდებლობა. ძალიან ხშირად ადამიანის უფლებათა საყოველთაო ხელყოფის კანონიერი დასაბუთება წარმოადგენს ხელსაყრელ იარაღს მმართველი ელიტების ხელში, რომელთა ნამდვილი განზრახვაა ადამიანისათვის მისი უფლებების პრაქტიკული ხელყოფა.

ინგლისურიდან თარგმნა
**ვახტანგ ბახტაძემ**

## მთარგმნელისაგან

ფეთქებად საშიში გამოთქმა „ადამიანის უფლებები“ თანამედროვე ე.წ. „რეალ-პოლიტიკაში“ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა (საბჭოთა კავშირთან მიმართებაში გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში) შემოიტანა. უფრო სწორად, აკადემიურობის ჩრდილიდან გამოიყვანა — „ჰელსინკის პროცესის“ მხარდაჭერის სახით და „დასავლეთის ბლოკის“ „აღმოსავლეთ ბლოკთან“, შესაბამისად, მეტროპოლიის ცენტრთან — კრემლთან პოლიტიკური დაპირისპირების ლოზუნგად გახადა. შემდგომ, შეერთებული შტატების ისტორიაში, ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა (1981-1988 წ.წ.) საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ უწოდა და მწვავე იდეოლოგიური დაპირისპირების ფონზე, საბჭოელებს „ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვის“ პრაქტიკაში შესრულება მკაცრად მოსთხოვა...

თავდაპირველად ანტიკომუნისტი პრეზიდენტის ეს მოწოდება „გულუბრყვილო ადამიანის“ ბოდვად მიიჩნიეს, მაგრამ შემდგომში, ამ „მოთხოვნას“ საბჭოელები თანდათანობით დაყვნენ და უკვე 80-იანი წლების მეორე ნახევარში გორბაჩოვისეულ პროექტ ე.წ. „პერესტროიკაში“, „ადამიანური სახის სოციალიზმი“ განსაკუთრებულ ელფერს იძენდა. „გორბიმ“ (როგორც მას დასავლეთში ეძახდნენ) ასობით პოლიტპატიმარი, სინდისის ტუსაღი, ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტი ციხეებიდან გამოუშვა... ეს პროცესი მეტროპოლიის გარდა, შეეხო აგრეთვე, ყოფილი აღმოსავლეთი ევროპის სატელიტ ქვეყნებსაც, რაც არსებითად გახდა კიდეც საბჭოთა იმპერიის რღვევის დაჩქარების მიზეზი...

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ გაერომ 1948 წელს მიიღო. იმისათვის, რომ ამ ზოგადი დოკუმენტის იურიდიული გამოყენებისათვის გამოსადეგი სახე მიეღო, 30 წლის შემდეგ დადებულ იქნა კიდევ ორი საერთაშორისო პაქტი: ერთი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, მეორე — ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. მსოფლიო, თითქოს, „იდეოლოგიურად“ (უფრო ზუსტად კი — პროპაგანდისტულად) გაიყო: „კაპიტალისტური“ ნაწილი ბრალს სდებდა „სოციალისტურს“, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ფეხქვეშ თელავთო, „სოციალისტური“ კი პასუხობდა: „ჩვენ ამ უფლებებზე უფრო წინ ეკონომიკურსა და სოციალურ უფლებებს ვაყენებთო“.

ჩინელებს, დიდწილად, დღესაც კი ეს პასუხი აქვთ მომარჯვებული. სოციალიზმის დამარცხებამდე მსოფლიო ორგანიზაციები აქცენტს აკეთებდნენ ადამიანის უფლებათა ამ პირველ კატეგორიაზე და წამების, უსაფუძვლო დაპატიმრების, მასობრივი გასახლებების და სხვა ამგვარი ძალადობების მხილებით ხშირად აიძულებდნენ დიქტატორებს, თავის პოლიტიკაში ცვლილებები შეეტანათ. დღეს წინ წამოვიდა უფლებათა მეორე კატეგორიის დაცვა, თუმცა არც ისე ძლიერი ფორმით, როგორც ადრე პოლიტიკურსა და სამოქალაქო უფლებებს იცავდნენ. ახლა ლაპარაკია ისეთ ქვეყნიურ სიკეთეთა ქონის საყოველთაო უფლებაზე, როგორიცაა ბინა, საკვები, ჯანდაცვა ან სამართლიანი ხელფასი... უფლებადაცვით ორგანიზაციებს დღეს იმედი აქვთ, დაარწმუნონ მთავრობები, რომ ბინის და სადილის უფლება ხმის მიცემის უფლების თანასწორია თავისი რანგით. თუ საკითხის დასმა ვინმეს სასაცილოდ ეჩვენება, უფლებადამცველებს ეს არ აშინებთ: „წამების მსხვერპლთა ქომაგობა რომ დავიწყეთ, მაშინ ღიმილით გვიყურებდნენ, მაგრამ ჩვენ სკეპტიციზმისა არ გვეშინიაო“.

ადამიანის უფლებანი ცოდნის ის დარგია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ფილოსოფიასთან, პირველ რიგში ეთიკასთან, იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებთან.

ადამიანის უფლებები ფუნდამენტური ხასიათის ის მორალური უფლებანია, რომელიც ეკუთვნის თითოეულ პიროვნებას სახელმწიფოსთან ურთიერთობაში.

ადამიანის უფლებათა კონცეფცია სამ ძირითად დებულებას ეყრდნობა:

1. თითოეული ხელისუფლება შეზღუდულია;
2. თითოეულ ადამიანს გააჩნია საკუთარი ავტონომიური სამყარო, რომელშიც ჩარევის უფლება არანაირ ხელისუფლებას არ აქვს;
3. თითოეულ ადამიანს შეუძლია პრეტენზიები წარუდგინოს ხელისუფლებას საკუთარ უფლებათა დასაცავად.

ადამიანის უფლებები მორალურ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება. ამასთან, ის მთელი რიგი ნიშნებით განსხვავდება სხვა მორალურ უფლებათაგან. ინდივიდუმს შეიძლება ეკუთვნოდეს მორალური უფლებები მისი მიღწევების ან სოციალური სტატუსის გამო. ადამიანის უფლებები კი უნივერსალურია; ის ეკუთვნის ყველა ადამიანს ნებისმიერ ვითარებაში და სოციალური სტატუსის მიუხედავად. თუ ზოგიერთი მორალური უფლება შეძენილია ადამიანის მიერ, ადამიანის უფლებები ეკუთვნის მას, როგორც ასეთს, რადგან თითოეული ადამიანი უკვე ამ უფლებებით აღჭურვილი მოევლინება ქვეყანას. ადამიანის უფლებები განუყოფელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს არ შეიძლება წაერთვას ეს უფლებანი. ის ვერც ნებაყოფლობით იტყვის მათზე უარს. მაშინ, როდესაც ადამიანს შეუძლია ნებაყოფლობით, ნაწილობრივ ან მთლიანად, დროებით ან სამუდამოდ თქვას უარი სხვა მორალურ უფლებებზე.

2008 წლის 10 დეკემბერს, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების საიუბილეო მესამოცე წლისთავი საზეიმოდ აღინიშნა აშშ-ს ქ. ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში.

ჩვენი ჟურნალი ამ მოვლენას ეხმაურება ადამიანის უფლებათა თვალსაჩინო ამერიკელი ექსპერტების ჯეკ დონელისა და როდა ჰაიუარდის სტატიის თარგმანით.

ნათელა არველაძე

# ბევრისთვის უცნობი სტურუა

თბილისს ჩამოსული თამარ წულუკიძე ჩვენთან ცხოვრობდა, მიმდინარე სათეატრო ყოფის თაობაზე ჩემი მეგობრების დებატებს გულისყურით ისმენდა. ბუნებრივია, მას ყველაზე მეტად რუსთაველის თეატრის მდგომარეობა აინტერესებდა. გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის რუსთაველის თეატრი და მისი ლიდერი უკვე საერთაშორისო სარბიელზე იყვნენ ცნობილნი. ერთხელ, როცა მარტონი დავრჩით, დედაჩემმა მისაყვედურა ფამილარულად მოიხსენიებთ რობერტ სტურუასო, ქალბატონმა თამარმა კი მითხრა – „ნუთუ რობიკო არც ახლა გახდება რობერტ სტურუა?" მაშინღა მივაქციე ყურადღება, რომ ჩვეულებისამებრ მას რობიკოდ მოვიხსენიებ-ხოლმე (როცა მასზე ვწერ, გულდასმით ვუკვირდები, რომ სტატიაში რობიკო არ გამეპაროს!) ჩვენთვის, მისი თანაკურსელების, თანაჯგუფელების, იმ პერიოდის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის, საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორი – რობიკოდ დარჩა.



ეს არ ხდება ფამილარობის მიზეზით, არც იმ მიზეზით, რომ მეგობრობის დემონსტრაციას ვახდენთ ან ახლობლობის ხაზგასმით წარმოვაჩენთ. არა! არც იმიტომ, რომ მივეჩვიეთ ასე მოვიხსენიოთ. უბრალოდ, რობიკომ ბედისა თუ განგების განჩინებით, შეინარჩუნა ბალღური სიანცე, სიკერპე, ცნობისწადილი... ონავრობის ნაპერწკალი უელავს თვალში და მხოლოდ „შეუმჩნეველი" ცბიერი ღიმილი გიმხელს, რომ ყმაწვილკაცობაშიც და ახლაც, შვიდ ათეულ წელს გადაბიჯებულს, ბალღური სიჯიუტით ძალუძს წამოიძახოს: „მეფე შიშველია!"

ის არ არის გულღია ადამიანი, მაგრამ გულწრფელია თავის შეფასებებში, იშვიათად ამხელს გულისნადებს, მაგრამ როცა აზრს გამოთქვამს, ხვდები – პირუთვნელად აღმოთქვამს ნაფიქრალს. უმდიდრესი გუმანისა და პირუთვნელობის წყალობით ზუსტად აფასებს მოვლენებს, ფაქტებს, ადამიანებს. რაღაც გრძნეული „რენტგენის სხივების" შემწეობით, შინაგანი ხედვის, „გამჭრიახი თვალის" შემწეობით ადვილად შეაღწევს ხოლმე მოვლენის, ფაქტის ადამიანის დაფარულ შრეებში, სიღრმეში, გულისგულში, შეუმცდარად აგნებს მოვლენების, ფაქტების, ადამიანების ბუნებას, არსს: მან ყველაზე ყველაფერი იცის და ამ „იდუმალი" ინფორმაციის ფლობა ათავისუფლებს „ითამაშოს" გაკიცხვა ან კეთილგანწყობა, თუმცა არც ამგვარი „თამაშია" მისთვის უცხო. არც ზურგს უკან ადამიანის გაკილვას გაურბის და არც მისთვის მიუღებელი ადამიანის დაზოგვას ცდილობს. ის ირონიული და დაუნდობელია მათი შეფასებისას, ვისაც ასეთად მიიჩნევს, დიდხანს, დიდხანს გაჰყვება წყენა და ტკივილი. რობიკო იოლად მიმტევებელი კაცი არ არის, თუმცა ადამიანის განირვა უმძიმს, თუმცა არც უამისოდ უვლია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის „ეკლიან გზაზე". მან უმტკივნეულოდ მოახდინა დასის „რეორგანიზაცია", ნახევარი საუკუნის წინ იგივე პროცესს ყალყზე შემართული შეხვდა საზოგადოების ნაწილი. რობიკოს ყველაფერი მიეტევება.

რობიკომ უკვე გამოკვეთილი ხელწერით, ლიდერის პოტენციითა და შემოქმედებითი ავტორიტეტით დაიწყო მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში. იუმორი და ირონია მხოლოდ მის სპექტაკლებში კი არა, გარესამყაროსთან ურთიერთობითაც და თეატრში ცხოვრების ყაიდითაც იგრძნობოდა, ცინიზმს კი თვითირონია „ათბობდა". ის, უწინარესად, ნიჭიერი, განსწავლული ადამიანია.

როგორც რუსთაველის თეატრის მუზეუმის გამგეს, მევალებოდა ჟურნალ-გაზეთების გამოწერა. რამდენიმე „პარტიული გამოცემის" გამოწერა სავალდებულო იყო, ზოგიერთი ჟურნალისა კი, მეტისმეტად ლიმიტირებული გახლდათ. ეროსი მანჯგალაძეს ვთხოვდი-ხოლმე და მომყვებოდა კავშირგაბმულობის უწყების თავკაცებთან. მას უარს ვერ ეუბნებოდნენ და თეატრი იღებდა ჟურნალებს: „ამერიკა", „ანგლია", „დივადლო" და სხვა. ამ იშვიათი ჟურნალების გაცნობას ორიოდ მსახიობი ცდილობდა. რობიკო იყო მათი მუდმივი მკითხველი.

ის თანაბარწილ ერკვევა მუსიკისა და მხატვრობის ნიუანსებშიც კი. თავადაც ხატავს. ვინც გასული საუკუნის 60-იან წლებში სტუმრობდა მიხეილ თუმანიშვილთან, უთუოდ, ეხსომება ლოჯიის კედელზე რობიკოს ნახატი. არა მარტო ფიგურები და კონტური, არამედ ფერთა შეხამებაც ამჟღავნებდა ავტორის ავანგარდულ მსოფლშეგრძნებას. ბატონი მიშა ამბობდა: „ეს რობიკოა, ის ასეთია, შინაგანი შეურიგებლობითა და გარემოსთან ადაპტაციის უნარითაც, ჭარბი სუბიექტურობითა და ირონიული თავდაცვითაც". თავდაცვით? – გავვოცდი და დავამატე: „ის ნიჭიერია, უნარი და ნიჭი, განა ეს ცოტაა?" ბატონმა მიშამ „დიაგნოზი" განმიმარტა: „ამ გარეგნული სიმშვიდისა და მიუკარებლობის შიგნით დაუცველი რობიკოა, დაეჭვება არ ჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული აღქმაა, შიგნით შეუთავსებლობის ქაოსია". მაშინ ვერ გავიგე რას გულისხმობდა, ზედმეტი შეკითხვისაგან თავი შევიკავე. დაუცველი რობიკო? ეს ვერაფრით დავუკავშირე თეატრის ახალ-

გაზრდებით (მსახიობებით, მხატვრებით, მუსიკოსებით) გარემოცულ, ზოგჯერ „გაბუტულ", ზოგჯერ გახსნილ, ზოგჯერ ჯიქურ, ზოგჯერ ცბიერად მომღიმარ, ბატონი მიშას საყვარელ მოწაფეს. ის თავიდანვე თეატრის კულისებს მიღმა ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი, გაბედული და მაძიებელი რეჟისორი გახლდათ. ურთიერთშეუთავსებლობა – მისი შინაგანი სამყაროს ხვეულებში ღრმად ჩაკირული ლავა მგონია. მისი ხასიათის, მოქმედების, შემოქმედების ამბივალენტობა, ასე მგონია, ამ ლავით არის განპირობებული. რობიკო პარადოქსების ოსტატია, თავადაა ასეთი, ასეთია მისი შემოქმედებაც.

მიხეილ თუმანიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა სასურველი განწყობის შექმნას რეპეტიციებზე. კონცერტმეისტერი თავიდანვე იყო ჩართული სარეპეტიციო პროცესში. მაშინ მცირე სცენის გახსნისათვის ემზადებოდა თეატრი. მუშაობდნენ მარსელ კარნეს კინოსცენარზე „მატყუარები" (1962 წელი. მერე მოიხსნა რეპეტიციები, მცირე სცენა გაიხსნა სპექტაკლით „ჭინჭრაქა", 1963 წელს) პიანისტის ავადმყოფობის მიზეზით, რობიკო მიუჯდა როიალს, რომელიც სცენის უკანა მხარეს იდგა, დარბაზში. ამ მოგრძო ოთახს რეპეტიციებისთვის იყენებდნენ. რობიკო თავისთვის უკრავდა, არც კი ადევნებდა თვალს მოფუსფუსე მსახიობებს, ბატონი მიშა დაბეჯითებით უხსნიდა რაღაცას მთავარი როლების შემსრულებლებს, სხვანი როიალის ირგვლივ მოკალათდნენ. „დავიწყოთ" – გაისმა დამდგმელის ხმა, რომელიც გადაფარა მჭექარე რიტმით, ონავრობითა და ხალისით აღსავსე ჯაზურმა მელოდიამ. მუსიკალური ფრაზა თავისით ხტოდა კლავიშებიდან, ცოცხზე ამხედრებული ჯადოქარივით ქროდა სივრცეში, კედლებს ეხეთქებოდა, თითქოს, ანცობისათვის უხმობდა შემსრულებლებს. გრძნეულმა თავაშვებულობამ და სიჩაუქემ ააცეტა მსახიობებიც, ისინი ცეკვავდნენ იმ დროისათვის „უცხო და საშიშ" ტვისტისა, ჩარლსტონისა თუ არგენტინული ტანგოს შმაგი ილეთების ნაზავს (ამ ეპიზოდს პირობითად, „მეჯლისი" შეარქვა რეჟისორმა, ახალგაზრდობა მალულად ილხენდა ერთ-ერთი პერსონაჟის რესპექტაბელური მშობლების აპარტამენტებში. რობიკოს იმპროვიზაციულმა შესრულებამ სპონტანურად დაბადა მბორგავი რიტმი, ახალგაზრდების ალტკინებული და ამ რესპექტაბელური გარემოსათვის შეუსაბამო, საცეკვაო ილეთები. მუსიკალურმა იმპროვიზაციამ შინაგანი სხივითა და გრძნეული ტემპით შეატორტმანა ეპიზოდი. მაშინ ჯაზით გატაცება დანაშაულად თუ არა, კოსმოპოლიტობის ნიშნად აღიქმებოდა. რობიკო, თითქოს, შეპყრობილი იყო ჯაზით. მერე გავაცნობიერე: ეს ერთგვარად, შეურიგებლობაც გახლდათ მკაცრ რეალობასთან, ერთგვარი პროტესტის გამოხატულებაც დამთრგუნველი რეჟიმის წინააღმდეგ. რობიკო თავის სუვერენობას ჟინიანად ავლენდა და იცავდა. ეს მძაფრი მუხტი თანდათან გამოიკვეთა და საფუძვლად დაედო მის „პოლიტიკურ თეატრ-ბალაგანს", სპექტაკლებს: „სეილემის პროცესი", „ყვარყვარე", „კავკასიური ცარცის წრე", „რიჩარდ მესამე", „მეფე ლირი", „მაკბეტი" და სხვა. მისი ნახატებიც, „მუზიცირებაც" თანამედროვე მსოფლშეგრძნებით იყო ნასაზრდოები და გამოხატავდა პოსტმოდერნული ეპოქის გარიჟრაჟზე აღმოცენებულ მაჯისცემას, მსოფლაღქმას, ირონიას, რეალობის – როგორც თამაშის და თეატრის, როგორც თამაშით თამაშის განცდასა და წარმოსახვას.

* * *

ეს შეურიგებლობა რეჟიმის მიმართ მხოლოდ სპექტაკლებით არ ვლინდება. რობიკო შეუპოვარია სამხატვრო საბჭოს სხდომებზეც, მეტადრე მაშინ, როდესაც თავს ესხმიან თეატრს კულტურის სამინისტროსა და, წინათ, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩინოვნიკები. ერთი ასეთი დაძაბული განხილვის დროს მეტისმეტად გაცხარდა კულტურის მინისტრი, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი, დაუნდობლად დაესხა თავს მიხეილ თუმანიშვილს ჟან ანუის „ანტიგონეს" ინტერპრეტაციის გამო (1968 წელი). სიმძაფრემ კულმინაციას რომ მიაღწია, გაისმა რობიკოს მკაცრი „განაჩენი": უბედურებაა, საქართველოს ასეთი ვერაგი მინისტრი რომ ჰყავსო. უხერხული პაუზა ჩამოწვა.

მახსენდება კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა. ალექსანდრე ჩხაიძის „ხიდის" მიხედვით დადგმული სპექტაკლის ე.წ. „ჩაბარების" დროს, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ მიხეილ თუმანიშვილს. თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძემ „დანაშაულად" ჩაუთვალა რეჟისორს „ამ პლაკატური პიესის, როგორც ფსიქოდრამის დადგმა", არც ის მოეწონა პროკურორსა და მის თანაშემწეს „ფსიქოლოგიური სვლებითა და ადამიანური თვისებების სიჭარბით" რომ თამაშობდნენ ეროსი მანჯგალაძე და იზა გიგოშვილი. რობიკო ჩემ გვერდით იდგა დირექტორის კაბინეტის ღია კარში, მკაცრად თქვა: „გასაოცარია, ეს ურღვევი კავშირი ცეკასა და კულტურის სამინისტროს შორისო" და გაეცალა დემონსტრაციულად ამ „აბსურდის თეატრს", რომელიც გათამაშდა კაბინეტში (1970 წელი).

რობიკო იყო ერთადერთი თეატრის მოღვაწეთა შორის, რომელმაც ე.წ. „გარდაქმნის" პერიოდში კონსტიტუციის რამდენიმე მუხლის შეცვლისათვის გამართულ თეატრის მოღვაწეთა კავშირის პლენუმზე გამოვიდა არა ემოციური, არამედ საზრიანი და საგულისხმო მოსაზრებებით. მან შეადარა შესაბამისი ასპექტი სხვადასხვა სახელმწიფოთა ძირითად კანონს და დასაბუთებულად წარმოადგინა თავისი ვერსია. ის თანამიმდევრულად იცავს თავის პრინციპებს, ანალიტიკური სიღრმით აფასებს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან მოვლენებს. რობიკო აქტიურია!

თავის დროზე, როცა საქართველოდან შიმშილსა და მიუსაფრობას, პროფესიულ დაუსაქმებლობასა და დაუცველობას არაერთი ადამიანი გაექცა და უცხოეთს შეაფარა თავი, რობიკოს ყველაზე იოლად შეეძლო ნებისმიერ ქვეყანაში გაეგრძელებინა წარმატებული მოღვაწეობა. ის მხოლოდ სპექტაკლებს დგამდა უცხოეთში, ვერ დატოვა საქართველო! მიუხედავად იმისა, რომ ვსაყვედურობდი თვეობით რომ იყო იძულებული დაეტოვებინა დასი, მაშინაც და ახლაც არ შემიძლია მადლიერება არ გამოვხატო ქართული თეატრისა და საქართველოს ერთგულებისათვის... და კიდევ, მოქალაქეობრივი მამაცობისათვის. ახლა, მან უარი განაცხადა რუსეთში მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაზე, რუსეთის აგრესიის შემდეგ. ეს არ არის პირველი შემთხვევა. რობიკო პროტესტს ავლენს რუსეთის ყოველ პოლიტიკურ ავანტიურაზე – უარს ამბობს მოსკოვში გამართულ ფესტივალზე მიიღოს მონაწილეობა, ან უარს ამბობს გასტროლებზე, ან ნებისმიერ მოწვევაზე. რობიკო მოქალაქეა!

ახლაც, პირველმა რობიკომ მიუთითა საზოგადოებას ჩვენი ყოფის უპირველეს სიმპტომზე – შიშზე!

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტი. ამ „ვარსკვლავომანიის“, ამ პროვინციალიზმის გამომხატველობას არ შეეპუა რობიკო და უარი განაცხადა რუსთაველის თეატრის კარიბჭესთან მისი ვარსკვლავის გახსნაზე. საერთოდ კი მინდა აღვნიშნო, გაოგნებული ვარ საზოგადოებისა და ჩემთვისაც მეტისმეტად პატივსაცემ, მართლაც გამორჩეულ ხელოვანთა ამ „ამბიციური სისუსტით“, ვერ გამიგია, როგორ თანხმდებიან ამ, ჩვენთვის უცხო და თავსმოხვეულ ცერემონიალს! სხვათა უხეირო მიმბაძველობა პროვინციალიზმისა და უგემოვნებობის ნიშანი მგონია. რობიკოს არ სჭირდება ისტორიაში ამგვარი დამკვიდრება, მან ამ ზღვარს უკვე გადააბიჯა, რობიკო ინტელექტუალური ბერიკაა!

* * *

რობიკო პარადოქსული სამყაროს, პარადოქსული ეპოქის შვილია, მასაც თეატრივით ორი ნიღაბი აქვს. თეატრს: ტრაგიკული და კომიკური; მას კი... ბრეხტის პერსონაჟივით ორი სახე-ნიღაბი აქვს: „კეთილი, მიამიტი“ და „სასტიკი, ცინიკური“; „გულწრფელი“ და „ცრუ“, „გულმხურვალე“ და „გულგრილი“... პარადოქსულობა მხოლოდ მისი თეატრის თვისება კი არა, მისი ქცევის რეალობაცაა... რობიკო რიხით ამბობს: რეჟისორ-დიქტატორი ვარო! მართლაც, ის თეატრის სრულუფლებიანი მმართველია, მაგრამ ამისათვის სხვებივით არ უბრძოლია, ეს თავისთავად მოხდა. რობიკო, როგორც პიროვნება კი დემოკრატია თხემით ტერფამდე! დიქტატორი შემოქმედებასა და დემოკრატი ყოფაში – ესეც პარადოქსია, ესეც შეუთავსებელთა შეთანხმებაა. რობიკოსთან ესეც თავისთავად ხდება.

ის არასოდეს კეკლუცობს განსწავლულობით, ნიჭიერების მრავალგვარობით, მიღწევებით, საუბრობს „მარტივად“, ყოველგვარი უცხოური ტერმინოლოგიით ჟონგლიორობის გარეშე, აზრს გამოხატავს ნათლად, გასაგებად, ირონიის შეფერილობით; მაგრამ უყვარს საზოგადოების პროვოცირება სენსაციური განცხადებებით, სკანდალური ინტერვიუებით (მაგალითად „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპრეტაციის თაობაზე ატეხილი სკანდალიც კმარა!), „შოკისმომგვრელი „მკრეხელური“ ნააზრევითაც კი. მას არ უყვარს ინტერვიუები, აბეზარა ჟურნალისტები, დემონსტრაციული გამოსვლები, დიდაქტიკური განსჯანი, მაგრამ ეხერხება მოსაუბრის გაოგნება მოულოდნელი და ფიქრიანი დაკვირვებებით, ჟურნალისტების „გაპამპულება“ – პარადოქსული, შეუთავსებელი, ორაზროვანი გამოსვლებით. ისიც შეუძლია, დასთანხმდეს მავანს ინტერვიუზე, მერე კი – „დაემალოს“. საერთოდ კი უყვარს თავის მიკროსამყაროში ჩაღრმავება, საკუთარ თავთან ურთიერთობა, განმარტოება, ან მეგობართა გარკვეულ, ვიწრო წრეში ყოფნა, მათთან დროსტარება, ახლა მიკრონადიმის ტრფიალი გახდა, ბოლოხანს ამით მეტისმეტად დაემსგავსა მამამისს, მხატვარ რობერტ სტურუას. და თუმცა, თითქმის, ყოველთვის გარშემორტყმულია მეგობრებით, ოჯახის წევრებით, ნათესავ-მოყვარეებითა და მეტად კორექტული, კეთილი მეუღლით, ის მაინც მარტოსული მგონია, თავის სულიერ სამყაროში ეულად ოდისეის მოსურნე. რობიკო ვერ იტანს შეზღუდვებს, დიდაქტიკას, იმპერატივს. სამოსიც ასეთი აქვს – თავისუფალი, ხალვათი, ჭრელაჭრულა, მაგრამ მოდური.

რობიკოს მეტად მკვრივი „ნიღაბი-ჯავშანი“ აქვს, მისი „აღება“ (როგორც „ციხის აღება“), შიგნით შეღწევა და გაშინაურება – რთულია, მისი ღიმილი მაცდურია, კეთილგანწყობა მოჩვენებითი, მაგრამ ყოველ მის ფრაზასა, საქციელსა თუ ქმედებაში მოფიქრალი ინტელექტუალი იგრძნობა, თუმცა, ბალღური ჭირვეულობაც შეინიშნება, ამიტომაც არ განიკითხავ, შეცდომებსაც შეუნდობ და მასთან ურთიერთობას ვერ წყვეტ.

რობიკო ინტელექტუალური თამაშის ოსტატია, თამაშია მისი უპირველესი სტიქია. ფედერიკო ფელინის განმარტებით, ორგვარი ჯამბაზი არსებობს: „მწითური“ და „თეთრი“. პირველი – გულმხურვალე, მიამიტი, კეთილი, ჩაგრული, სევდიანია; მეორე – უკარება, გულცივი, ქედმაღალი, შეუსმენელი და ბატონკაცურია. მეჩვენება, რომ რობიკო „მწითური“ ჯამბაზია! მაგრამ ზოგჯერ, უნებურად, მასში ჭიატებს ორივე ჯამბაზი – ერთდროულად, ერთ წრეში, ერთ სიბრტყეზე. პირველ შემთხვევაში მასთან მეტად იოლი და საინტერესოა ურთიერთობა, მაგრამ როცა (იშვიათად, მაგრამ მაინც!) მასში ორივეა შენივთული, ასეთ რობიკოსთან რთულია შეთვისება, გიჯობს ასეთს არ გადაეყარო!.. მაგრამ რობიკო – რობიკოა! ის თავისთვის, თავის პარტიას თამაშობს ურთულეს ცხოვრებისეულ და სათეატრო ყოფის საჭადრაკო დაფაზე, ის საკუთარ თავს ეთამაშება ჭადრაკს, პარტიის წაგების შემთხვევაში რობიკო მაინც მოგებულია. სასცენო რებუსებსაც, უწინარესად, თავისთვის ქმნის, თავად უგებს ინტელექტუალურ მახეს საკუთარ თავს. აქაც, „სასცენო რებუსების“ შემთხვევაშიც, ამოიხსნება იგი თუ არა, რობიკო მაინც მოგებული რჩება. ის ასეთია: ბალღურად მიამიტი და ყმაწვილკაცურად მაცდური – ცბიერიც, აზარტული მოთამაშეც. ის უნდა მიიღო ისეთი, როგორიც არის, პრეტენზიისა და ყოველგვარი ახსნა-განმარტების, ან მასთან ურთიერთობათა გარკვევის გარეშე. მას მაინც ბოლომდე ვერ გაუგებ, ვერ გაუშინაურდები, ვერ ენდობი, ვერ დაუჯერებ, თუმცა ვერ ელევი მასთან „მწითურ ჯამბაზთან“, ურთიერთობის სიამეს. ის ბაგქივით სკაბრეზულია (სპექტაკლებში ეს განსაკუთრებით იგრძნობა), ბერიკასავით ანცია, მარადიული მოთამაშესავით მოუხელთებელი და დაუზოგავია, მაგრამ სასახლის კარის „პამპულა-მასხარა“ არასოდეს ყოფილა, არც არის, არც იქნება!..

* * *

ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ კერძო პირთა ამბავი რომ იყოს, არ ვიკადრებდი მასზე საჯაროდ მსჯელობას (საერთოდ ვერიდები მოგონებათა შეთხზვას, სადაც ავტორი „მეზღაპრე“ უფროა, ვიდრე ობიექტურად აღმწერელი ფაქტებისა), ჩვენი ამბავიც ეპოქის „პროდუქტია“, მასში ორივე ვჩანვართ ისეთები, როგორებიც ვართ.

ჩვენ ერთ თაობას ვეკუთვნით, ერთდროულად დავიწყეთ მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში, ერთ „სათეატრო ენაზე“ ვლაპარაკობთ, ერთი მაესტრო გვაკავშირებს – მიხეილ თუმანიშვილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ერთგვარი სირთულე ახლავს ჩვენს ურთიერთობას. თავად

აღვიზარდე ოჯახში, სადაც ყოფილი თუ თანამედროვე „პარტიული ელიტის“ მიმართ იმდენად უარყოფითი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა, რომ უფროსი სტრუქტურებისადმი სიფრთხილე ძვალსა და რბილში მქონდა „ჩაჭედილი“. რობიკოს მამასთანაც, მომლხენ და მეტად საინტერესო ადამიანთანაც კი, შებოჭილი ვიყავი (ჩვენ ვხვდებოდით სანდრო ახმეტელის პირველი მეუღლის, ტასო როსტომაშვილის, ოჯახურ წვეულებებზე. რობერტ-უფროსი რეჟისორ ახმეტელის შუათანა ვაჟიშვილის, ჯიმშერის, მეგობარი იყო და მის საპატივცემულო ნადიმებს არ აკლდებოდა, ან ისე, სანახავად შემოუვლიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ თანაჯგუფელის დედას). მიუხედავად იმისა, რომ რობიკო თავისი პრინციპებით და სპექტაკლების პათოსით, ძირფესვიანად ემიჯნებოდა თავის უშუალო წინაპრებს, ეს შინაგანი შებოჭილობა ჩემდაუნებურად იჩენდა თავს. რობიკოსაც, უთუოდ, აქვს საამისო მიზეზი.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში რუსთაველის თეატრის თვისებრივი ფერისცვალების ერთი ეტაპი დასრულებული ჩანდა და იწყებოდა განახლების კიდევ ერთი პერიოდი. ამ ცვლილებებს საზოგადოებისა და თეატრმცოდნეთა ნაწილი გააფთრებული ვერ ურიგდებოდა, ისინი დაშვებული (საჯარო გამოსვლებით) და დაუშვებელი ფორმებით ებრძოდნენ თეატრს, განსაკუთრებით მიხეილ თუმანიშვილს, მსახიობთა გაერთიანება ე.წ. „შვიდკაცას“, ახალგაზრდებსაც, რობიკოსაც მათ შორის. ბუნებრივია, მას ჩამოუყალიბდა ნეგატიური დამოკიდებულება სათეატრო კრიტიკის მიმართ. თავად თეატრის მხარეზე ვიყავი და თეატრმცოდნეთა მიმართ თეატრის უარყოფით „განაჩენს“ მაშინ გადავურჩი.

გამოხდა ხანი. თეატრის სამხატვრო საბჭოზე, სპექტაკლ „ხანუმას“ განხილვის დროს, კრიტიკული შენიშვნები გამოვთქვი. მაშინ პირველად დაიძაბა ჩვენ შორის ურთიერთობა. პროფესიაზე უარს ხომ ვერ ვიტყოდი! ორიოდ სეზონის შემდეგ თეატრიდან წავედი.

როცა რობიკომ „კავკასიური ცარცის წრე“ დადგა (1975 წელი), სახელმწიფო უნივერსიტეტმა სპექტაკლის განხილვა მოაწყო. მაშინ იქ ვკითხულობდი ლექციებს და მთხოვეს, შეხვედრაში მიმეღო მონაწილეობა. თავიდან, როცა საერთო შეფასება გამოვხატე და შევაქე სპექტაკლი, ყველაფერი კარგად მიდიოდა. როცა ერთი ეპიზოდის „სკაბრეზულ“ გამოსახვის ფორმაზე მივუთითე, ვიგრძენი, რომ რობიკო უსიამოვნოდ შეიშმუშნა. დეზერტირი ჯარისკაცის კასრში დაბანის სცენა მქონდა მხედველობაში. მივუთითე, რომ აქცენტის შეცვლა, უფრო მასშტაბურს გახდიდა მოვლენას: თავდაპირველად ეს უნდა ყოფილიყო „განბანა“ და არა მხოლოდ ყოფითი სცენა – იოსების „დაბანა“. მაშინ იგივე გამოსახვის ფორმაც უკეთ წარმოაჩენდა ქვეტექსტის ქვეტექსტს. რობიკომ ტრიბუნაზე მყოფს გაშლილი წიგნი მომაწოდა, სადაც გახაზული ჰქონდა ბერტოლდ ბრეხტის მოსაზრება თეატრის ფუნქციაზე: „გაართე და შეაგონე“ (აღორძინების ეპოქის კომედია დელ'არტეს მსახიობის, ბელტრამეს, ცნობილ გამოთქმას მიმართავდა ბრეხტი), ვუპასუხე მას როგორც იმ სიტუაციაში იყო შესაძლებელი. რა თქმა უნდა, არ ვიყავი მართალი. ამგვარი სპეციფიკური გამოსვლის არც დრო იყო შესაფერისი და არც ადგილი. ასეთი წარმატებული სანახაობის გარჩევა, თანაც პრემიერიდან ორიოდ კვირის შემდეგ, თანაც იმგვარ აუდიტორიასთან, ჩემი მხრიდან მოცემული პირობების შეუფასებლობის ფაქტი და წინდაუხედაობა გახლდათ. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევა კარგად გამოიყენეს „კეთილისმსურველებმა“ და არ დაიშურეს ცეცხლზე ნავთის დასხმა. ჩვენ შორის დაძაბულობამ იმატა. ხშირი მივლინებების მიზეზით, ჩვენ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს.

1981 წელს ჩატარდა რუსთაველის თეატრის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. მოიწვიეს თამარ წულუკიძეც, მაგრამ მისთვის სიტყვით გამოსვლა არავის შეუთავაზებია. ქალბატონმა თამარმა კი შესანიშნავი სიტყვა მოამზადა, გადაწყვიტა სანდრო ახმეტელის პატარა ზარი ეჩუქებინა რობიკოსთვის. ამ ზარით იწყებდა რეჟისორი რეპეტიციას. რუსთაველის თეატრის სახელოვანი წარსულის შემსწრე მსახიობს, თეატრის წარმატებული აწმყოს, ამ დროთა კავშირის შინაგანი აღდგენა სურდა... მისმა წადილმა და რეალურმა ვითარებამ მაშინ არაერთი ადამიანი გააღიზიანა, ბევრი ურჩევდა ქალბატონ თამარს არ გადაეცა ზარი თეატრის ამჟამინდელი ლიდერისათვის: ხომ ხედავ, არად ჩაგაგდეს, სიტყვით გამოსვლა არც შემოგთავაზეს, ეს ხომ წარსულის არად ჩაგდებააო. თავად ქალბატონ თამარს ვუჭერდი მხარს და გადავწყვიტე რობიკოსთვის გამემხილა სინამდვილე, მეთხოვა შეხმიანებოდა ქალბატონ თამარს. როცა საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათების წასაღებად შევედი რობიკოს კაბინეტში, მომეჩვენა, რომ ის ცივად შემხვდა. აღარაფერი მითქვამს, გული დამწყდა ასეთი მიღების გამო, ვერ გავუმკლავდი ადამიანურ სისუსტეს, ვერ დავდექი წყენაზე მაღლა. მეორე დღეს, ბანკეტზე წასასვლელად გამზადებულ ქალბატონ თამარს ჩანთაში ჩემი ხელით ჩავუდე ზარი, ვთხოვე სიტყვით იქ მიემართა რობიკოსათვის. გადაწყვიტეთ, ემოქმედა სიტუაციის მიხედვით.

ქალბატონი თამარი ღელავდა. ვუთხარი, რომ ეს აუცილებლად უნდა გაეკეთებინა, ვერ აპატიებდა საკუთარ თავს, თავადაც სინდისი მქენჯნიდა გამოჩენილი სისუსტის გამო. ახმეტელის თეატრის წამყვანმა მსახიობმა დიდებული სიტყვით მიმართა დასს, რობიკოს, გადასცა მას ზარი, როგორც იმ სახელოვანი თეატრის მემკვიდრეს (ასე მიმართა კიდეც). სიტყვა დაასრულა თუ არა, აღფრთოვანებულმა საზოგადოებამ ტაში შეაგება, დასი გარს შემოეხვია ქალბატონ თამარს. რობიკომ ჩინებული სამადლობელო სიტყვით მიმართა, ანდერსენის ზღაპარი გაიხსენა, ძალზე თბილად გადაეხვია. არაერთი დამსწრე თვალცრემლიანი შეჰყურებდა ამ სცენას. რობიკომ დასასრულს ზარს შემოჰკრა და ფუნიკულიორის საბანკეტო დარბაზში თითქოს ნახევარი საუკუნის წინანდელი თეატრი, ახმეტელის თეატრი ახმიანდა. ეს იყო ყველაზე შთამბეჭდავი მომენტი ამ საიუბილეო დღეების ეპოპეისა. რობიკო მომიახლოვდა და მითხრა, რატომ არ გამანდე, რომ ქალბატონ თამარს სურდა სიტყვით გამოსვლა. ეს შესანიშნავი ჟესტი დაამშვენებდა საღამოსო. თავადაც გულდაწყვეტილმა ვუთხარი: ორი დღის წინ მეტად უგუნებოდ იყავი, შესაძლოა, არც მოგესმინა ჩემთვის-მეთქი. ორივე შეფიქრიანებულები ვიდექით, მერე თბილად გადავეხვიეთ ერთმანეთს. ჩვენ შორის ყინული გალღვა. დღესაც მაწუხებს და ვერ შევრიგებივარ, რომ ჩემი ბუნებისათვის შეუფერებელი საქციელი ჩავიდინე.

ჩვენ იშვიათად ვხვდებოდით. წარმატებას კი ყოველთვის ვულოცავდი, ახლაც სითბოთი და კეთილგანწყობით ვხვდები, ის კი იძაბება...

მოსკოვს გამართული თეატრის გასტროლები დიდი წარმატებით ჩატარდა, თურმე, მთელი ქალაქი ყალყზე იყო შემართული, შენობასთან, სადაც იმართებოდა სპექტაკლები, მილიციის კორდონი ვერ უძლებდა მოზღვავებულ მაყურებელს. თბილისს დაბრუნებულ რობიკოს ტელეფონით მივულოცე წარმატება. შეფიქრიანებულმა მიპასუხა: მადლობელი ვარ, მართლა მიხარია, რომ დამირეკე, მინდა იცოდე, რომ შენმა რამდენიმე კოლეგამ საპროტესტო წერილით მიმართა საკავშირო კულტურის სამინისტროს... ხვდები, უთუოდ, ვინც ჩაიდენდა ამასო.

ვუთხარი, რომ ისტორია გამეორდა, იგივე მოხდა 30-იან წლებშიც. რუსთაველის თეატრის წარმატებული გასტროლების დღეებში, ისევ ქართველი კრიტიკოსი ბობოქრობდა და პროტესტს დაუფარავად ამხელდა-მეთქი. ამ უგვანო შემთხვევის გამო ორივე შევფიქრიანდით, მაგრამ მაჟორულ ნოტზე დავასრულეთ დიალოგი. რობიკო ოპტიმისტია.

1987 თუ 1988 წელს მოსკოვში მეგობრობის თეატრი დაარსდა. გახსნის პატივი ერგო რუსთაველის თეატრს სპექტაკლით „მეფე ლირი“. დადგმა ზარ-ზეიმით მიიღეს და კრიტიკოსებმა საქებარი სიტყვები არ დაიშურეს განხილვის დროს. ქართული ხალხმრავალი დელეგაცია სიამაყით იღებდა მილოცვებს პარტერში. მეორე დღეს ვახტანგოვის თეატრში გაიმართა სარატოვის თეატრის სპექტაკლი – პლატონოვის პროზის ინტერპრეტაცია – „თოთხმეტი პატარა ქოხი“. ქართული ხალხმრავალი დელეგაცია, ეტყობა, გუშინდელ წარმატებას ზეიმობდა და ამ წარმოდგენას არავინ დასწრებია. მე საკავშირო თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიწვევით ვესწრებოდი ამ ფორუმს და მარტო აღმოვჩნდი იმ დღეს. ჩემს მეგობარ ლიტველებთან და ესტონელებთან ერთად ვიჯექი პარტერში განხილვის დროს. ექსცენტრულმა ახალგაზრდა კრიტიკოსმა, მინკინმა, თავისი გამოსვლა დაიწყო მკაცრად და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა გუშინდელი განხილვის მონაწილე კოლეგები და მათი ნაქები „მეფე ლირიც“. აღარავის ახსოვდა სარატოველთა დადგმა, გამომსვლელები ეპაექრებოდნენ გუშინდელ ტიტულოვან კრიტიკოსებს ქართული თეატრის შეფასებაში, მათთაგან დარბაზში არავინ იმყოფებოდა... განსაკუთრებულად მწვავე კრიტიკით გამოვიდა ლიტერატორი, დრამატურგ ვსევოლოდ ივანოვის ვაჟიშვილი. პლატონოვთან დაკავშირებით მან რეპრესიებიც გაიხსენა, სტალინსაც გადასწვდა, საქართველოსაც, ქართველ ერსაც, ეს არ იკმარა და მათ რუსთაველის თეატრიც მიაყოლა... მისი რისხვით აღსავსე სიტყვას უპასუხოდ ვერ დავტოვებდი. ძალზე მწვავედ გამოვედი. ბალტიის რესპუბლიკათა დელეგაციის წევრებმა, ჩემმა მეგობრებმა, არ მიმატოვეს, დილამდე აღვნიშნავდით ამ დაპირისპირებას რუს სათეატრო კრიტიკოს-რევანშისტებთან.

მეორე დღეს რუსთაველის თეატრმა ისევ წარუდგინა მოსკოველებს „მეფე ლირი“. სპექტაკლის დაწყებამდე კულისებს მივაშურე. არაფერი მითქვამს, მაგრამ მიღებაზე შევატყვე, რომ მონაწილეებმა ყველაფერი იცოდნენ. რობიკო მომიახლოვდა და ღიმილით მითხრა: „კარგი ერთი, რას იშლიდი ნერვებს, არ იცი კრიტიკოსების კლანის ამბავი? პირველ დღეს ვერ გაბედეს და მერე იხელთეს დრო. ამისთანა გამოხდომებს მე ყურადღებას არ ვაქცევ, შენ მრისხანედ გამოსულხარ...“ თავშეკავებული სითბო, კეთილგანწყობა და მადლიერებაც იგრძნობოდა მის სიტყვებში. მოკლედ ვუპასუხე, რომ ჩემი სამშობლოს, ქართველი ერის, ქართული თეატრის ავად ხსენებას ვერ მოვითმენდი, ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება და პროფესიის ღალატიც იქნებოდა, რომ თვინიერად ამეტანა მათი თავდასხმა. ქართული ხალხმრავალი დელეგაცია დუმდა, ვითომც არაფერი მომხდარა.

დრო გადის. ჩემი სამშობლოს პოლიტიკური ყოფა იძაბება, მისი სტატუსი იცვლება. რობიკო და მე ხან ბარიერის სხვადასხვა მხარეს, ხან კი ერთ მხარეს ვიმყოფებით. ის დგამს სპექტაკლებს, მე ვწერ კრიტიკულ წერილებს. რეჟისორებს, თეატრის ხელმძღვანელებს თავიანთი „თამაშის წესები“ აქვთ. ჩვენც, თეატრმცოდნეებსაც. ოღონდ ისაა, თეატრმცოდნეები მათი „თამაშის წესებს“ ვითვალისწინებთ, ისინი – არა. თავად ყოველთვის ვესწრები მის სპექტაკლებს, აზრს გამოვთქვამ ხან სატელევიზიო გამოსვლით, ხან პრესით. რობიკო ამბობს – კრიტიკოსების სტატიებს არ ვკითხულობო. თავად კრიტიკული შეფასების დროსაც კი არ მავიწყდება, რომ რობიკო გამორჩეულია ნიჭით, ოსტატობით, პიროვნული თვისებებით. მისი ირონია, მაინც ერთგვარი თავდაცვა მგონია, უთუოდ, მართალი იყო მიხეილ თუმანიშვილი, როცა რობიკოს ნახატი შეაფასა. თამარ წულუკიძის შენიშვნაც სამართლიანია – დროა, რობიკო იქცეს რობერტ სტურუად...

მაგრამ, რეალობასაც თავისი ლოგიკა, თავისი თამაშის წესები აქვს. პარადოქსული ეპოქის შვილია სტურუაც, დაღლილ-დაქანცულიც, სიჭარმაგეს მიღწეულიც ბოლომდე ჭირვეულია. ამიტომაც... რობიკო – რობიკოდ რჩება.

**საფრანგეთის პრესტიჟული ლიტერატურული პრემია**

ნოემბრის დასაწყისში საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემია „ინტერალიე“ (დაარსდა 1930 წლის დეკემბერში) მწერალ-ესეისტს სერჟ ბრამლის გადაეცა. მისი რომანი „პრინციპი პირველი, პრინციპი მეორე“ პრემიის ნომინანტთა შორის საუკეთესოდ დასახელდა. რომანი XX საუკუნის ბოლო 30 წლითა და პრინცესა დაიანას დაღუპვით იხსნება. შემდგომ კი მკითხველს შეხება უწევს მრავალ სახელმწიფო საიდუმლოს, სკანდალსა და ტრაგედიასთან.

ავტორის, 59 წლის მწერლის, ფოტოგრაფისა და მოგზაურის სერ ბრამლის თქმით, ეს რომანი შექმნილია XIX საუკუნის კლასიკოსთა სულისკვეთებით, რომლებიც გარდა საკუთარი წარმოსახვისა, „ცოცხალ ქსოვილსაც“ იყენებენ. “დიუმა და ჰიუგო, სიუჟეტებს თანამედროვე ცხოვრებიდან იღებდნენ და ცდილობდენ მათზე გაეშალათ დიდი ტილო”. – აღნიშნა ლაურეატმა. ბრამლი რიგი პოპულარული რომანების ავტორია. მათ შორისაა ბიოგრაფიული რომანი ლეონარდო და ვინჩიზე, შრომები ამერიკელ ინდიელთა შესახებ.

ეკა ბუჯიაშვილი

# „კიდევ ერთი ხიდი ემიგრაციისაკენ“

ასე შეაფასა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომების კრებული, რომელიც XX საუკუნის ქართულ ემიგრაციას ეხება. რუსუდან ნიშნიანიძის იდეითა და ძალისხმევით მომზადებული ამ ახალი გამოცემის წარდგინება ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმართა.

— ქალბატონ რუსუდანს შედგენილი აქვს ორტომეული, რომელშიც პირველად მოხერხდა ის, რომ ერთდროულად, ერთიან პროცესში დანახულიყო ქართველთა საზოგადოებრივ-კულტურული ყოფა სამანს აქეთ და იქით, უმთავრესად კი დასავლეთში, — აღნიშნა შეხვედრაზე როსტომ ჩხეიძემ — თანარედაქტორმა ამ ახალი კრებულისა, — და დადგა დრო, ახალგაზრდებიც ჩართულიყვნენ იმ სასიცოცხლო პროცესში, რასაც ჰქვია გამთლიანება ქართული კულტურისა ემიგრაციაში და აქ, ჩვენს მიწა-წყალზე.

კრებულში გამოქვეყნებულ მასალებს არაერთხელ დაუბრუნდებიან ახალგაზრდა მკვლევარები. ვერ ვიტყვი, რომ ყველა ეს ნაშრომი ერთი დონის არის, მაგრამ მთავარია ის, რომ თითოეულ მათგანს აქვს მეცნიერული ღირებულება და, შესაბამისად, ჩავარდნა არ არსებობს. ასეთი პირველივე განაცხადი აღარავის მისცემს საშუალებას, რომ ეს თამასა ქვემოთ დაუშვას. სწორედ ამიტომ კრებულს, თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, ეს ღირებულებაც აქვსო.

ქალბატონმა რუსუდან ნიშნიანიძემ კი შეხვედრაზე საინტერესოდ ისაუბრა ამ პროექტზე მუშაობის პროცესზეც და ემიგრაციის საკითხების კვლევის აუცილებლობაზეც.

**რუსუდან ნიშნიანიძე:**

„ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევა კარგა ხანია დაიწყო; არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ ბატონი გურამ შარაძის უზარმაზარი დამსახურება ამ საქმეში, რომელიც შემდგომმა თაობამ წარმატებით გააგრძელა და ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, როცა ამ დარბაზში ვხედავ ბ-ნ პაატა ნაცვლიშვილს, ქ-ნ რუსუდან დაუშვილს, ბ-ნ ოთარ ჯანელიძეს, ბ-ნ ავთანდილ ნიკოლეიშვილს... რასაკვირველია, თემა არის ძალიან რთული ბევრი თვალსაზრისითა და განზომილებით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იკითხება ორი სალექციო კურსი: ერთი ბაკალავრიატში: „ქართული ინტელექტუალური ემიგრაცია“ და მეორე მაგისტრატურაში: „XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა — კულტურათა გზაჯვარედინი“. მგონია, რომ ახალი თაობა სხვა თვალით წაიკითხავს ძალიან ბევრ რამეს.

მინდა ერთი ფაქტი გავიხსენო: ამ რამდენიმე წლის წინათ ბ-ნ რეჯებ ჟორდანიას შევხვდი, ერთ-ერთი ჩემი მაგისტრის, მზია კაპანაძის თაოსნობით და ორგანიზებით. ჩვენ ძალიან ბევრ თემაზე ვისაუბრეთ. სიტყვას მოჰყვა და ვუთხარი, რომ უნივერსიტეტში ასეთი კურსი იკითხებოდა. სასიამოვნოდ გაოცდა — თუ არ ვიტყვი, რომ სახტად დარჩა:

— როგორო, — მითხრა, — უნივერსიტეტში სტუდენტები მამაჩემის და გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიას გამოცდაზე გაბარებენო?! მისთვის ეს იყო სრულიად უჩვეულო და ძალიან კარგია, რომ იცვლება ბევრი რამ. თუმცა ისიც მინდა ვთქვა, რომ ერთ მითს — „რა ცუდები იყვნენ“, მეორე მითი არ უნდა ჩაენაცვლოს. აქ საჭიროა დიდი მოქალაქეობრივი სიფრთხილე, მეცნიერული ალღო და სიმშვიდე.

როცა ამ კრებულის გამოცემა გადავწყვიტე, ხელთ მქონდა უზარმაზარი მასალა. ძირითადად ეს იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაშრომები; მაგრამ ამასთანავე, მე დავუკავშირდი თბილისის ილია ჭავჭავაძის, ბათუმის შოთა რუსთაველის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, ჩემს კოლეგებს. ბ-ნ როსტომს შევთავაზე თანარედაქტორობა, ვიცოდი რა მისი დამოკიდებულება ყოველგვარი სიახლისადმი, ნიჭიერებისადმი და მხარში დგომისადმი.

აქვე გავიხსენებ: ამ რამდენიმე წლის წინათ ბ-ნმა თამაზ ნატროშვილმა არაჩვეულებრივად თარგმნა ედუარდ ჰეილის „უსამშობლო კაცი“. ჰეილი არ იყო მხოლოდ მწერალი, ის იყო სასულიერო პირი, რომელიც სენატში მსახურებდა. გახსოვთ ალბათ, შეკითხვაც და მწერლის კლასიკური პასუხიც:

— მისტერ ჰეილ, თქვენ ლოცულობთ სენატისათვის?

— მე ვუყურებ სენატორებს და ვლოცულობ ხალხისთვის.

გავიმეორებ: კლასიკური პასუხი, რომელიც შესაძლოა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ თქვას. როცა ჩემს სტუდენტებს ამ მოთხრობის წაკითხვა დავავალე, ძალიან მაინტერესებდა არა მარტო ის, როგორ შეაფასებდნენ ისინი ლიტერატურულ ტექსტს, არამედ ისიც, რას ნიშნავდა მათთვის „უსამშობლო კაცად“ ყოფნა.

*„მე სიკვდილს როდი შევუშინდები, იგი ძმა მუდამ ჩემს მხარეზეა, მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია“*, — დაწერს გალაკტიონი. ვიღაც უვიცი კი დასვამს კითხვას: რა შეიძლება იყოს სიკვდილზე უარესი? როგორც ჩანს, შეიძლება იყოს — როცა არ ცხოვრობ სამშობლოში ფიზიკურად, მაგრამ ცხოვრობ სამშობლოთი, სულიერად. გახსოვთ ალბათ, როგორ იბეჭდებოდა 17 სტუდენტის ნაშრომი გაგრძელებებით გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე... მოკლედ, შევუდექით ამ კრებულის მომზადებას ჩვენთვისაც. სირთულე იყო, ამოგვერჩია საუკეთესო ნაშრომები. ვეცადეთ, რომ პოლიტიკური, ლიტერატურული, ენათმეცნიერული თემები ერთმანეთის გვერდით ძალიან მწყობრად ყოფილიყო დალაგებული. ვფიქრობ, ეს მრავალფეროვნება კრავს მთელ კრებულს და საინტერესოს ხდის მას. მინდა აღვნიშნო სარედაქციო კოლეგიის მუშაობის შესახებაც. თავიდანვე შევთანხმდით, რომ: სტუდენტებიც ჩაგვერთო ამ საქმეში. ზოგიერთი ავტორი პირველად იბეჭდება, ეს მათი პირველი წარდგინებაა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე. მინდა დავასახელო თითოეული მათთაგანი: **ზაალ ჩხეიძე, მაია გულედანი, შალვა ურიადმყოფელი, მარიამ ქობალია, ნესტან მამუჭაძე, მაია თუთბერიძე, მზია კაპანაძე, თამთა გრიგოლია, სალომე ნანავა, იამზე ერქომაიშვილი, თამარ ჩაჩავა, ნათია კოდელაშვილი, მარინე გოგნელაშვილი, ნაზი ნატროშვილი, ვანდა რიჟამაძე, მადონა ხაჭაპურიძე, ანი გიორგაძე, ნათია ფურცელაძე, გივი ბარამიძე, ნუნუ ბალავაძე, გიორგი ასტამაძე,**

**დიმიტრი სილაქაძე, ლელა კოტორაშვილი, ნინო ხიდიშელი, ნინო მაჭარაშვილი, სოფიკო ძნელაძე.** ვფიქრობ, ამ ახალგაზრდებიდან რამდენიმე მათგანი მაინც გააგრძელებს სერიოზულ სამეცნიერო კვლევას. აქვე მინდა აღვნიშნო ჩემი კოლეგების წვლილი. საერთოდ, ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კარგად წაკითხული ლექცია, არამედ ის საჯარო ქცევა, რომლებსაც ახალგაზრდები ხედავენ. მინდა, მადლობა ვუთხრა პროფესორებს, ქალბატონებს — **ინგა შამილიშვილს, რუსუდან დაუშვილს, ლეილა გუგუჩაძეს, მარინე გიგაშვილს, ნანა გუნცაძეს;** ბატონებს — **ავთანდილ ნიკოლეიშვილს, გიორგი ქაჩლიშვილს, დიმიტრი შველიძეს.** მათ ძალიან დიდი წვლილი აქვთ ამ წერილების მომზადებაში.

ყოველი საქმე დარჩება განუხორციელებელ შესაძლებლობად, მხოლოდ კეთილ სურვილად (რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს) თუ მას ფინანსური მხარდაჭერა არ ექნა. დამეთანხმებით, კრებული პოლიგრაფიულადაც მაღალი ხარისხისაა, ჩართულია ფოტოსესია, ორიგინალურია წიგნის გარეკანი. იგი გამომცემლობა „უნივერსალში" დაიბეჭდა; და ეს ყველაფერი დარჩებოდა საქაღალდეში ჩადებულ კარგ ხელნაწერებად, თუ არა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და მისი ამჟამინდელი თავმჯდომარის, **გიორგი შამათავას** პირადი თანადგომა.

და კიდევ:

სივრცე, რომელზეც „კრებულშია" საუბარი, მხოლოდ გეოგრაფიულ არეალს არ მოიცავს, ეს კულტურული სივრცეც არის. საზოგადოება ყოველთვის სერიოზულად და ფრთხილად ეკიდება ფასეულობათა დაბრუნების — „ნამდვილი" ისტორიის აღდგენის და შესწავლის ეტაპებს. ეს სწორი დამოკიდებულებაა. XX საუკუნის ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა ღვაწლი არაერთი თვალსაწიერის გათვალისწინებას და, შესაბამისად, გაანალიზებას გულისხმობს. ჩვენ მიერ წარმოდგენილი „სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კრებული" ამ დიდი კონტექსტის გააზრების მცდელობაა".

* * *

— ეს შესანიშნავი კრებული იძლევა იმედს, რომ კვლევა ქართული ემიგრაციის თემისა, დიდი ხნის განმავლობაში ტაბუდადებულად რომ ითვლებოდა ჩვენთან, მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს წინ და ის ღვაწლი, რომელიც ქართველმა ემიგრანტებმა ჩვენი კულტურის ისტორიაში შეიტანეს, სათანადოდ იქნება წარმოჩენილი, — თქვა შეკრებაზე **ავთანდილ ნიკოლეიშვილმა,** ვისაც ასევე მიუძღვის წვლილი ამ კრებულის შედგენაში, — ჩვენ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ვცდილობთ ამ კუთხით აქტიურად ვიმუშაოთ. ემიგრაციის საკითხებზე ხშირად ვაძლევთ თემებს დასამუშავებლად მაგისტრანტებს. უნივერსიტეტში საგნად ისწავლება ქართული ემიგრანტული მწერლობის ისტორია და მე შევეცადე, რომ ამ მიმართულებით პირადადაც გამეკეთებინა რამე — გამოვეცი წიგნი, რომელიც ემიგრაციის საკითხებს ეძღვნება და შევეცადე წარმომეჩინა ისეთი პიროვნებები, რომელთა სახელიც და ღვაწლიც ჩვენთან ნაკლებად არის ცნობილი.



*რუსუდან ნიშნიანიძე და ავთანდილ ნიკოლეიშვილი*

ამ თვალსაზრისით, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ის, რისი გაკეთებაც შევძელით შარშან სტამბოლში ქუთაისის უნივერსიტეტთან ერთად. ყველამ ვიცით, რომ იქ არის ქართული სავანე — კათოლიკური ეკლესია, რომელიც XIX საუკუნეში აშენდა და მხოლოდ ტაძრის ფუნქციას არ ასრულებდა — იქვე არსებობდა ქართული კულტურის ცენტრი, რომელშიც დღესდღეობით უნიკალური მასალაა დაცული. ეს ცნობები კატალოგიზირებულიც არ არის და ძალზე დიდი სამუშაოა გასაწევი ამ არქივის მოსაწესრიგებლად. და აი, შარშან, ქუთაისის და ბათუმის უნივერსიტეტებიდან, მეცნიერთა ჯგუფი ხანმოკლე სამეცნიერო მივლინებით ვიყავით ამ მონასტერში და, მინდა გითხრათ, რაც იქ ვნახე და წავიკითხე, მოლოდინს გადააჭარბა. საცავში არის უნიკალური მასალა — წინასწარი ვარაუდით 83 000 ერთეულზე მეტი — და კაცმა არ იცის, რამდენ საინტერესო ცნობას შეიძლება წავაწყდეთ მისი კვლევისას.

მინდა ამ ახალგაზრდებმაც იცოდნენ ამის შესახებ. იქნებ ჩაერთონ კიდეც ამ უნიკალური არქივის შესწავლის საქმეშიო.

ბათუმის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა **ინგა შამილიშვილმა** კი აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც გაიხსნა გზა იმ სივრცესთან, ხელმისაწვდომი გახდა ის არქივები და შესაძლებლობა მოგვეცა „ჩვენებურებთან" დაახლოებისა და მათთან სტუმრობისა, გაიოლდა ემიგრაციის სფეროს კვლევა და ახლა ამ საქმეში სწორედ ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ. ბათუმის უნივერსიტეტი კი ძალიან დაინტერესდა ამ იდეით და მზად არის შემდგომი თანამშრომლობისთვის. კარგი იქნება, თუ საერთაშორისო კონფერენციაც ჩატარდება ემიგრაციის თემაზეო.

ქალბატონმა **მარინე გიგაშვილმა,** გორის უნივერსიტეტის სახელით, მადლობა გადაუხადა რუსუდან ნიშნიანიძეს იმ დიდი ძალისხმევის გამო, რომლის შედეგიც არის ეს კრებული და დასძინა:

— იყო დრო, გორში ემიგრანტული მწერლობის კი არა, გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენებაც არ შეიძლებოდა. ქართული ლიტერატურის კათედრას ნახევრად სამხედრო კაცი ხელმძღვანელობდა და ორი თემა გვქონდა გამზადებული, რათა თუ ის შემთხვევით შემოვიდოდა, რობაქიძე გვერდით გადაგვედო და სხვა ნაშრომი გვეჩვენებინა...

იყო ასეთი დროც...

დღეს კი შეგვიძლია ეს საკითხები მაგისტრანტებთან ცალკე საგნად ვასწავლოთ... ბევრი რამ ამ სფეროში გამოსაკვლევი და გამოსამზეურებელია, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ კრებულის მესვეურები მნიშვნელოვან საქმეს შეეჭიდნენ და ჩვენი უნივერსიტეტიც თავის მზადყოფნას გადმოგცემთ თანამშრომლობისათვისო.

— ემიგრანტების თემაზე თავად ქალბატონი რუსუდანიც მუშაობს და თანაც ძალიან ნაყოფიერად, — თქვა შეხვედრაზე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა **ლეილა გეგუჩაძემ,** — საერთოდ, ემიგრანტული ლიტერატურა მრავალმხრივია და ბევრნაირ მიდგომას და კვლევას მოითხოვს. აქ თავმოყრილი ნაშრომები კი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ეს მრავალმხრივობა აისახება მათში, აღნიშნული მასალა ძალზე საინტერესო მგონია ლინგვისტური თვალსაზრისით. ამ მხრივ, ჯერჯერობით, კიდევ „ყამირია". ბევრი რამ გაუკვალავია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ასეთი მიმართულებით მუშაობის გაგრძელება საინტერესო ფურცელს შეჰმატებს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას. კრებულში გამოქვეყნებული სტატიით კი პირველი ნაბიჯი, თუნდაც მოკრძალებული, მაგრამ თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანი, უკვე გადადგმულიაო.

* * *

— ჩვენი სტუდენტობისას ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი წიგნის გამოცემას მოვახერხებდით და ამ ახალგაზრდებს არანაირი დაბრკოლება არ შეხვდებოდათ მასზე მუშაობისას, — იტყვის შეკრებაზე ბატონი **ოთარ ჯანელიძე,** — მიხარია, რომ ეს თაობა ასე გაუშინაურდა ამ თემას. კარგია ის, რომ კრებულის შედგენის პროცესმა მთელი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები მოიცვა. ამასთანავე თვითონ ეს ნაშრომებიც არ არის ერთი მიმართულების — აქ წარმოდგენილია ლიტერატურაც, ხელოვნებათმცოდნეობაც, ისტორიაც, პოლიტოლოგიაც, ენათმეცნიერებაც... და ერთი სურვილი მაქვს: თუკი ეს კვლევები გაგრძელდება, იქნებ ამ ყველაფერს არქივის სუნიც აუვიდეს. ვფიქრობ, ეს კიდევ უფრო გააღრმავებს ასეთი კრებულების შინაარსსაც და მნიშვნელობასაცო.

ამ საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას საუბრისას ბატონი **პაატა ნაცვლიშვილი**, ვისაც, როსტომ ჩხეიძის თქმით, დიდი ღვაწლი მიუძღვის ისეთი თავისებური, სიმბოლური აქტის განხორციელებაში, როგორიც იყო ალექსანდრე სულხანიშვილის ჩამოსვლა საქართველოში — ქართულ მიწას დაუბრუნდა ემიგრანტი და აქ, სამშობლოში გარდაიცვალა.

— ალბათ ოცი წელიწადია, რაც აიხსნა ტაბუ, გაიხსნა არქივები და თუ ამ ყველაფერს ჩვენს გაკეთებულს, ჩვენს „მომკილს" შევადარებთ, ვნახავთ, რომ „სამკალი" უფრო მეტია. თუ გადავხედავთ რა დონეა ამ მხრივ პოსტსაბჭოური სივრცის სხვა რესპუბლიკებში (რუსეთი, ბალტიისპირეთი, უკრაინა, სომხეთი...). ვნახავთ, რომ სამწუხაროდ ძალიან ჩამოვრჩებით. ამიტომ მიხარია, რომ ემიგრაციის საკითხებით ახალგაზრდები დაინტერესდნენ. დღეს ყველაფერი ხელმისაწვდომია, გაიზარდა გეოგრაფიული არეალიც კვლევებისა და, დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერს მალე არქივის სუნიც აუვა და თითოეული ეს ახალგაზრდა, რომელიც ემიგრაციის განხრით იმუშავებს, პირველწყარომდეც მივა.

დღეს არ შეიძლება პირველწყაროდ ჩაითვალოს ის ნაშრომები (გინდ ჩემი, გინდ სხვისი), აი, იმ მასალების უქონლობის პერიოდში რომ გამოვიდა. მაშინ თვითონ ამ ნაშრომებისთვის ჭირდა ცნობების მოძიება, ამიტომ ისინი საფუძვლიან წყაროებად ვერ გამოდგება. და თუკი ეს ახალგაზრდები უფრო სიღრმეებში შევლენ, მაშინ კვლევაც და, შესაბამისად, ასეთი კრებულებიც გაცილებით მოიგებს.

ეს ახალი კრებული თავისი თემებით მრავალფეროვანია, მაგრამ როცა ჩვენ ვიცით, რამხელა ღვაწლი აქვთ ქართველ ემიგრანტებს არქიტექტურაში, სპორტში, მხატვრობაში... მგონია, რომ ამ ახალგაზრდებს უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ. მესმის, რომ ისინი ძირითადად ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები არიან და მათი ინტერესებიც უფრო ლიტერატურისკენ იხრება, მაგრამ კარგი იქნება თუ სხვა სასწავლებლების სტუდენტებსაც ჩავრთავთ ამ საქმეში — მოვიწვევთ ახალგაზრდებს კონსერვატორიიდან, სამხატვრო აკადემიიდან... მგონი საინტერესო იქნებოდა, რადგან ეს სფეროები შეუსწავლელია. მაგალითად, ცოტა რამ არის ცნობილი ბატონ კობახიძეზე, რომელიც დიდხანს იყო პარიზის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი... ან იაშვილების ოჯახზე რა ვიცით? არადა, ძალზე დიდი ღვაწლი აქვთ საფრანგეთის რაგბის ისტორიაში.

ცხადია, როცა ამას ვამბობ, კიდევ უფრო უკეთესის სურვილი მალაპარაკებს, თორემ რაც გაკეთდა, თავისთავად კარგია და ძალიან მახარებს... და თუ გავითვალისწინებთ, როგორი თაოსნები ჰყავს ამ საქმეს, დარწმუნებული ვარ, ის „კიდევ უფრო უკეთესიც" ძალიან მალე იქნებაო, — თქვა ბატონმა პაატამ.

ამ სურვილებს შეუერთდა ბატონი **გაიოზ კორძაძეც,** რომელმაც ახალგაზრდა ავტორებს კიდევ ერთი თემის იდეა მიაწოდა:

— იყო ასეთი პატრიოტი ქართველი კაცი ახმედ ოსკან მელაშვილი, რომელმაც თურქეთში გამოსცა წიგნი „გურჯისტანი". ამ გამოცემისთვის ის დააპატიმრეს, მაგრამ სასამართლომ გაათავისუფლა: აქ მხოლოდ ისტორიაა და მეტი არაფერიო, მაგრამ შემდეგ ის თურქმა ნაციონალისტებმა მოკლეს.

კარგი იქნება თუ მის შესახებაც მოიძიებთ ცნობებს. იქნებ ამ თემაზე სულაც ერთი კრებული მოამზადოთო.

* * *

— ვფიქრობ ის ხიბლი, რომელიც ამ კრებულს აქვს, შესაძლოა ბევრ სერიოზულ გამოცემასაც კი აკლდეს —

ის ძალზე ცოცხალი და საინტერესოა, — ასე შეაფასებს ახალგაზრდების ნაშრომებს ქალბატონი **მანანა გაბაშვილი** და თავის რჩევებსაც გაუზიარებს მათ:

— ჩემი აზრით, აუცილებელია განზოგადება პრობლემისა. აი, თუნდაც ეს საკითხი — ვინ არიან იმ პირველი ემიგრაციის წარმომადგენლები, როგორი საზოგადოების დატოვება მოუწიათ მათ და თავად რა მრწამსისა და ზნეობისანი იყვნენ.

სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარი ემიგრაცია არსებობდა. განსხვავებული იყო მიზეზებიც, ამიტომ საჭიროა შედარებითი ანალიზი იმისა, თუ ვინ რატომ ტოვებდა საქართველოს. თუ ეს არ გაკეთდა, თუ არ განზოგადდა, რა მოხდა მაშინ საქართველოში, ვერც იმ პერიოდს გავაცნობიერებთ და ვერც დღევანდელს. ისტორიაში ბევრი რამ დაფარული და გასაშიფრია. თუ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქვა, მაშინ ეს კვლევები მოყოლის დონეზე დარჩება მხოლოდ, არადა ის, რასაც თქვენ აკეთებთ, იმდენად საჭირო და აუცილებელია, შესაძლოა ერთ-ერთი გზაც აღმოჩნდეს საქართველოს გადარჩენისა.

— არის ასეთი კარგი განმარტება: „ემიგრაცია არ იყო არც დანაშაული, არც შეცდომა... ემიგრაცია გახლდათ დიდი უბედურება", — ასე გააგრძელებს ამ თემას ბატონი **გივი გამრეკელი,** — და როცა ეს ყველაფერი მომხდარია, ჩვენ ისღა დაგვრჩენია შევისწავლოთ ეს სფერო და გავამხნევოთ ის ავტორები, რომლებიც ამ საქმეს წარუძღვებიან. ჩემი მხრივ კი მათ ვაცნობებ, რომ მეტად საინტერესო პუბლიკაციები აქვს გრიგოლ რობაქიძეზე პროფესორ **იუნგეს** და კარგი იქნება თუ ქართველი მწერლის ბიოგრაფიით დაინტერესებული მკვლევარი მის წერილებსაც ჩაუღრმავდება.

ასევე უნდა მოგახსენოთ, რომ ბოლო პერიოდში რუსეთში გამოიცა არაერთი საყურადღებო წიგნი, რომლებშიც უამრავი ცნობაა ქართველების შესახებ. ვფიქრობ, ეს საკითხებიც ჯეროვნად უნდა დაამუშაონ შემდგომი კრებულის ავტორებმაო.

ქალბატონმა **ლია რუხაძემ** კი შეკრებილებს იმის შესახებ უამბო, თუ როგორ აღმოჩნდა წლების წინათ — ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს — საფრანგეთში:

— ამ მოგზაურობის შესაძლებლობა მომეცა იმის წყალობით, რომ ბიძა მყავდა იქ, ერთ-ერთი წარმომადგენელი იმ ავბედითი წლების ემიგრაციისა. მასთან მე მინახავს ის ადამიანები, რომელთა შესახებაც ახლა ემიგრაციულ მასალებში ვკითხულობთ.

მინახავს ნოე ცინცაძე... ქრისტეფორე იმნაიშვილი... მახსოვს ის ქართული რესტორანიც — „ოქროს საწმისი" — რომელიც დღეს სამწუხაროდ აღარ არსებობს, მაშინ კი იმ ქართველობისათვის ის მეორე ოჯახური კერა იყო.

სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა და სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდი იმ წარმოუდგენელ სამყაროში და ის, რისი წამოღებაც შეიძლებოდა იქიდან (ცხადია, მატერიალურს არ ვგულისხმობ) ვერ წამოვიღე, არადა, რამდენი საინტერესო მასალის შეგროვება და ჩაწერა შეიძლებოდა. ამის გამო ძალიან მწყდება გული.

არ შემიძლია არ მოვიგონო ამბავი, რომელიც გამორჩეულად ჩამრჩა გულში. მე ნაციონალისტი არ ვარ, უბრალოდ ფაქტს გიყვებით მხოლოდ:

30-იან წლებში ჩვენს ემიგრაციას მოუნდომებია ქართული კულტურის გამომზეურება საფრანგეთში, რათა ეჩვენებინათ მათთვის თუ ვინ ვართ და რა ტრადიციები გვაქვს. დაუქირავებიათ თეატრალური დარბაზი, მოუწვევიათ საბალეტო რეჟისორი და უნდა დაედგათ სპექტაკლი „ვეფხისტყაოსნის" თემაზე. მუსიკაც საგანგებოდ დაუკვეთიათ კომპოზიტორისთვის. ყველაფერი მაღალ დონეზე გაუკეთებიათ (ცხადია, საკუთარი ფინანსებით და ეს პატარა თანხა არ იყო). დადგა პრემიერის დღე. წინასწარ ყველა ბილეთი გაყიდულია. ანშლაგს ელოდებიან და... დარბაზი ცარიელი აღმოჩნდა, საშინელი სკანდალი მოხდა. სამწუხაროდ, ძალიან, ძალიან სამწუხაროდ, მერე გაირკვა, რომ ყველა ბილეთი წინასწარ შეუძენია სომხურ დიასპორას, რათა ეს სპექტაკლი მაყურებლის გარეშე დაეტოვებინათ.

ბიძაჩემის არქივში დარჩა ბევრი საინტერესო მასალა და თუ ვინმე გადაწყვეტს იმუშაოს ჩვენი ემიგრაციის კულტურის საკითხებზე, მინდა მივაწოდო ცნობა, რომ იმ წლების ქართულ ემიგრაციაში იყო ასეთი შესანიშნავი მხატვარი — ფელიქს ვარლამიშვილი...

**როსტომ ჩხეიძე:**

— ქუთაისში მისი სახელობის ქუჩაც არსებობს...

**ლია რუხაძე:**

— ვფიქრობ, ეს მხატვარი იმსახურებს იმას, რომ უფრო მეტი რამ ვიცოდეთ მის შესახებ.

* * *

კრებულის ახალგაზრდა ავტორებმა მადლიერება გამოთქვეს ქალბატონი რუსუდან ნიშნიანიძის, საერთოდ, ამ პროექტის მესვეურების მიმართ.

— ჩვენთვის საინტერესო იყო ემიგრაციის საკითხებზე მუშაობა და გვიხარია, რომ ახალგაზრდა თაობას მოგვეცით საშუალება ასეთ მნიშვნელოვან თემებს შევჭიდებოდითო, — აღნიშნეს შეკრებაზე **მაია გულედანმა, შალვა ურიადმყოფელმა, ნინო ხიდიშელმა, თამთა გრიგოლიამ...**

რუსუდან დაუშვილმა, ვისაც ასევე თავისი წვლილი აქვს ამ გამოცემის მომზადებაში, აღნიშნა:

— საერთოდ, სამეცნიერო კრებულის შედგენა ძალზე დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ეს კრებული საგულისხმოა იმით, რომ მასში წარმოდგენილია ფართო სპექტრი ემიგრაციული ცხოვრებისა. ძალზე მნიშვნელოვანია და საინტერესო ის თემები, რომელსაც ეჭიდებიან ახალგაზრდები. ეს მეტად რთული საქმეა, ამიტომ ნუ ვიქნებით მკაცრები. პირველი ნაბიჯი გადადგმულია. მასალა ამ სფეროში ძალზე ვრცელია, წარმოუდგენელი სამუშაოა ჩასატარებელი. ემიგრაციის კვლევას ბევრი თვალი და ყური სჭირდება, ჩვენი თანადგომა კი მათთვის არის აუცილებელი, ვინც ამ საჭირო საქმეში ჩაერთვებაო.

ბატონმა როსტომ ჩხეიძემ კი:

— ეს მსჯელობა მოწმობს იმას, რომ კრებულს მალევე უნდა მოჰყვეს გაგრძელება... და ასეც იქნება. ამ წიგნში უკვე დასახულია მიმართულებები, თუ როგორ და რა საკითხებზე უნდა გაგრძელდეს მუშაობა. დარწმუნებული ვარ, ამ ახალგაზრდებისგან არაერთი შერჩება ამ სფეროს და ქართული ემიგრაციის ისტორია ბევრ საინტერესო ნაშრომს შეიძენსო.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების განზრახვის ალსრულება — დაემკვიდროს არჩილ ჯორჯაძის ნეშტი მთაწმინდის პანთეონში — ერთი უმნიშვნელოვანესი აქციათაგანი იქნება ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჯერ საერთოდაც, და მითუმეტეს ამჟამად, როდესაც აგვისტოს ომმა კიდევ უფრო შეგვიკვეცა მიწა-წყალი და კინალამ სასწორზე შეაგდო ჩვენი სახელმწიფოებრიობის ბედი.

ასეთი ადამიანების სასახელო საქმენი გვჭირდება ორიენტირად, როგორიც არჩილ ჯორჯაძეა, ერისა და ეროვნების მეცნიერული სიღრმითა და წინასწარმეტყველური გზნებით გამომრკვევი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განმაახლებელი, სახელმწიფოებრიობისათვის თავგადაკლული მებრძოლი და უდიდესი ავტორიტეტი საუკუნის წინათ.

მოურჩენელი სენი რომ არა, იგი გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და არც ქარს გაატანდა სოციალ-დემოკრატებივით, რომელთაც სიცოცხლე გაუმწარეს ილია ჭავჭავაძეს, როგორ თუ დრომოჭმულ ეროვნულობას ქადაგებ და საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობ, როდესაც ჩვენი არსებობა სამუდამოდ რუსეთთან უნდა იყოს გადაჯაჭვულიო; მერე კი, ხელისუფლების წყურვილით, სწორედ ილიას ახდენილ ოცნებას დაეუფლნენ.

საქართველოს რა არგეს, თორემ...

რისი შემნარჩუნებლებიც არ იყვნენ, ვერც შეინარჩუნებდნენ.

არჩილ ჯორჯაძის პრეზიდენტობა სულ სხვაგვარად შეაბრუნებდა საქართველოს ბედისწერას, ისეთ მტკიცე ბალავარს ჩაყრიდა, ისე მომართავდა საზოგადოებრივ შეგნებასა და მორალს, რომ ადვილად ვერავინ გატეხდა. თვითონ კი ან დაირეკავდა თბილისს მომდგარ ურდოს, ანდა დედაქალაქის კართან დაეცემოდა და დიდი ზნეობრივი მაგალითით აღაფრთოვანებდა ერს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

ეს ყოველივე მაინც ვარაუდებია? ცხადია, ასეა, მაგრამ ამ ვარაუდებს ჰკვებავს არჩილ ჯორჯაძის პიროვნების, ცხოვრების გზისა და მოღვაწეობის ზუსტი და შეუმცდარი შეფასება, რაც არეკლილია თუნდაც ამ ბიოგრაფიულ რომანში, რომლის ანალიტიკური განსჯითაც მკვლევარი და კრიტიკოსი გოჩა კუჭუხიძე არსებითად ეხმაურება იმ იდეას, რომელიც საყოველთაოდ უნდა გადაიქცეს — მიეჩინოს არჩილ ჯორჯაძის ნეშტს ის ადგილი, რომელიც მისთვის ყველაზე შესაფერისია.

ამ შემთხვევაში ასე ვუერთგულებთ სახარებისეულ ჭეშმარიტებას: მიეცეს კეისარს კეისრისა და ღვთისა ღმერთსა...

გოჩა კუჭუხიძე

# წერილები „ნიტრიის" წისქვილიდან

ალფონს დოდეს მოთხრობების კრებულში, რომელსაც ავტორმა „წერილები ჩემი წისქვილიდან" დაარქვა, სიყმაწვილიდან განსაკუთრებულად ორი მოთხრობა მიყვარდა, ერთს — „დასახლება" ჰქვია და მეორეს — „ვარსკვლავები".

პროვანსის ერთი სოფლის ძველ წისქვილში დასახლებულა ალფონს დოდე, მაინცადამაინც იმ დროს შედის წისქვილში, როცა ბაჭიები მთვარის შუქზე სხედან და თათებს ითბობენ, სტუმარი მათაც ურღვევს მყუდროებას და იქვე მცხოვრებ ბუსაც, რომელსაც, რა თქმა უნდა, მოაზროვნის გამომეტყველება აქვს და დიდად არ ეპიტნავება დაუპატიჟებელი სტუმარი. მერე კი ალფონს დოდე მთიდან ცხვრების ფარის დაბრუნებას აღწერს; ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია, ეს ყველაფერი! — მთიდან ფარის დაბრუნებას ელოდებიან, სიჩუმეა, სიჩუმე გამეფებულა ირგვლივ... მერე კი ერთბაშად გამოჩნდებიან და უცბად ატყდება სოფელში ხმაური და ალიაქოთი, მოდიან ცხვრები, მოიჩქარიან, საქმიანად მოაბიჯებენ; გზაში დაბადებული კრავები გაოცებულნი იცქირებიან, დედა ცხვრები კი საქმიანი იერით მობაკუნობენ, მოიჩქარიან; დაბრუნდნენ სამშობლოში, — როგორც იქნა, ჩამოვიდნენ, მოაღწიეს სახლში, რამდენი რამ გარდახდათ, რამდენი რამაა მოსაყოლი... ძაღლები ისევ მოვალეობის გრძნობით არიან აღსავსენი, დინჯად მოაცილებენ შინ მშვიდობიანად დაბრუნებულთ... მოდიან და ერთი გნიასია სოფელში, ზანზალაკები რეკენ და ვარდებისა და მზის ფერებით ივსება პროვანსის ერთი ულამაზესი სოფელი...

მეორე მოთხრობაში კი პროვანსელი მწყემსია დახატული, — მთებში გადაკარგული მწყემსი, რომელსაც თავისი პატრონების ქალიშვილი უყვარს, — ის, რომელიც ბარში ცხოვრობს, ვისზედაც სულ ფიქრობს და ვინაც ერთ დღეს მოულოდნელად დაადგება თავზე, — საჭმელს მოუტანს მთაში. მწყემსს ასე ახლოს არასოდეს უნახავს იგი. მერე ქალიშვილს მდინარის ადიდება შეუშლის ხელს, ღამით მთაში უწევს დარჩენა. მწყემსს ახლოს ნახვა პირველად ეღირსა მისი და თანაც ამ ღამეს მის გვერდით იქნება ქალიშვილი. ოჰ, რა ღამეა! მის უნებართვოდ არაფერს კადრებს მწყემსი საყვარელ გოგონას, მხოლოდ იმას ბედავს, რომ თავის სამშობლოს ათვალიერებინებს... მისი სამშობლო კი ის ზეცაა, ის ციური ბილიკებია, ღამეულ ვარსკვლავებს რომ გაუნათებიათ... აგერ წმინდა იაკობის გზა, ვარსკვლავების შუქით გაბრდღვიალებული, აგერ, ცოტა მოშორებით — მეეტლე დაბრძანებულა, — მარცხნივ რომ ნაზად დგას, იმ ვარსკვლავს ხედავთ? — ამ კაშკაშა და ნაზ მნათობს მაგელონი ჰქვია, ოქროსფერი ბილიკის ბოლოში რომ დგას, ამაყ პიერ პროვანსელზე მოგახსენებთ, მაგ მნათობს უყვარს და ცოლად უნდა გაყვეს მას ქალბატონი მაგელონი... ასცქერის ქალიშვილი აბრდღვიალებულ ზეცას და გაოცებით ეკითხება მწყემსს: — „ვარსკვლავებიც ქორწინდებიან, მწყემსო?" — „დიახ, ქალბატონო!"; და მერე მწყემსი შესცქერის ცაზე ცხვრებივით ერთად შეგროვილ ვარსკვლავებს, რომელთაგან ყველაზე უფრო ნაზს, ყველაზე უფრო უმანკოსა და სუფთას, თითქოს გზა არევიაო და მწყემსის მხარზე თავჩამოდებულს სძინავს, ეს მისი სტეფანეტაა, მის მხარზე ჩამოსძინებია უმშვენიერეს გოგონას; ცეცხლის ენები ელაციცებიან მიდამოს, ღამეულ ტყეს, და ამ ღამით, ერთ ღამეს მაინც, თავის უმანკო კრავს უდარაჯებს მწყემსი...

მაპატიოს ალფონს დოდემ, ზუსტად ვერ გადმოვეცი მისი მოთხრობის შინაარსი, ზოგი რამ მივამატე; ცოტა მეტად რომ მიმეშვა სადავეები თხრობისა, ვიცი, სულ სხვა სამყაროში გადავიჭრებოდი, სხვა სამყაროში აღმოვჩნდებოდი, არ ვიცი, კარგს თუ ცუდს, მაგრამ ნოველას დავწერ-

დი, სჯობდა მეთქვა, რომ ის ნოველა თვითონ დამაწერინებდა თავს, ცოტა ხნით მიმავიწყდებოდა ალფონს დოდე, და ისიც დამიგვიანდებოდა, გამოხმაურება დამეწერა როსტომ ჩხეიძის ახალ შესანიშნავ წიგნზე, რომლისთვისაც ავტორს „წერილები იტრიის წისქვილიდან“ დაურქმევია და რომელიც ალფონს დოდეს სწორედ იმ მოთხრობის გახსენებით იწყება, წერილის თავში რომ ვახსენე, — „დასახლებაზე“ მოგახსენებთ.

არჩილ ჯორჯაძეც ცხოვრობდა წისქვილში, წისქვილიდან ისიც აკვირდებოდა ცხოვრებას, ამ ქვეყნის ცხოვრებასაც აკვირდებოდა და ზეციურზეც ფიქრობდა, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, სხვაგვარად ვერ იზამდა; ალბათ დააკვირდებოდა, ალბათ კი არა, — უთუოდ დააკვირდებოდა, ზეციურზეც იფიქრებდა და ქვეყნიურზეც; იფიქრებდა და განსჯიდა; ისიც არის სავარაუდო (დიახ, სწორედ ასეთი გამოთქმა ვიხმარე — „სავარაუდო“, ქვემოთ მიხვდება მკითხველი, თუ — რატომ), რომ ალფონს დოდეს მწყემსივით ცის ბილიკებს თუ არ გადაანწვდენდა მზერას, ერთ დროს, ტოლსტოის ფილოსოფიით გატაცებული, სამყაროს შეუცნობლობაზე ისევ დაფიქრდებოდა და სოფლის ყოფითი ცხოვრებითაც გაახარებდა თვალს; თავის სიყვარულს არ გაიხსენებდა?! უთუოდ გაიხსენებდა... ალფონს დოდეს ეს მოთხრობებიც გაახსენდებოდა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ალფონს დოდეზეც ბევრს იფიქრებდა... მერე მასპინძელ მწყემსსაც გაუბამდა საუბარს... აუცილებლად გაუბამდა, მხოლოდ ყოფით ცხოვრებაზე არ დაელაპარაკებოდა, ერთი-ორ სიტყვას წუთისოფლის ყოფაზეც ჩამოუგდებდა, დოლაბის დუდუნიც აყვებოდათ და სევდაც მოეძალებოდათ, სხვაგვარად ვერ მოხდებოდა...



*არჩილ ჯორჯაძე*

როსტომ ჩხეიძე წერს: „ნეტა არჩილ ჯორჯაძესაც თუ სპექტაკლებს მოაგონებდა ცხვრის ფარის ხილვა და ჩუმად ჩაადუდუნებდა: „არ გავცვლიო?“ წყლის ჩხრიალსა და სარეკელას რაკუნში, დოლაბის ტრიალსა და წუთისოფლის გამოცანების მარცვალ-მარცვალ ჩამოფქვაში უეცრად რაღაც იელვებდა და, გადაიკარგებოდა თუ არა, გონების თვალისათვის საჩინო და ხელმისაწვდომი შეიქმნებოდა: ხის ჯვარედინი წამომართულიყო. ერთი გაფიქრება გაიფიქრებდა არჩილ ჯორჯაძე, ნეტა სიცოცხლის აზრის ძიებაში არ გამომეტარებინა ჩემი წუთისოფელი, შექცევა და მხიარულება გამეხადა არსებობის შინაარსად, მაშინ ეს ჯვარედინი ხე ასე ძალიან აღარ ამაფორიქებდაო, მაგრამ მეორე წამსვე ირონიულად შეხედავდა საკუთარ თავს“...

არჩილ ჯორჯაძეზე ბიოგრაფიული რომანის წერისას ავტორს მისი ცხოვრების ის პერიოდი გახსენებია, როცა იტრიაში წისქვილთან ახლოს დასახლებულიყო არჩილი და ამ ფაქტმა კი ალფონს დოდე მოაგონა; მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე რისთვის უნდა წავიდეს წისქვილში, თუ არა იმისთვის, რომ ცხოვრებისაგან ცოტა მაინც დაისვენოს (არჩილი ჯანმრთელობის მომაგრებასაც ცდილობდა) და ისევ ცხოვრებაზე დაფიქრდეს?! განვლილსა და მოსალოდნელსაც გაავლებს ალბათ წისქვილში ცხოვრებისას კაცი თვალს; როსტომ ჩხეიძესაც იმიტომ გაუმახვილებია არჩილ ჯორჯაძის ცხოვრების ამ პერიოდისადმი ყურადღება, რომ არჩილთან ერთად გადახედოს მის ცხოვრებას... გადახედავს და აღწერს, რასაც წარმოსახვით დაინახავს, რაც ზუსტად იცის, რომ მოხდა და რასაც ვარაუდობს, რომ ალბათ ასე მოხდებოდა... აღწერს და ჩვენს თვალწინ მსუბუქ თხრობაში არჩილ ჯორჯაძის მთელი ცხოვრება დაიწყებს წარმოჩენას, ამ მსუბუქი თხრობის მიღმა ბიოგრაფიის შესწავლისას გაწეული კოლოსალური, მძიმე შრომის კვალი გამოჩნდება... წისქვილის სარკმლიდან ჯვარედინი ხე დაუხატავს ავტორს და კარგი სიმბოლიკისთვისაც მიუგნია, — არჩილის ცხოვრება მრავალის ცხოვრებასთან ერთად ჯვარცმასა ჰგავდა; თანაც ეს ცხოვრება ზეცაზე ფიქრითაც იყო სავსე და სამშობლოზე ზრუნვითაც; წიგნის შესავალმა ალფონს დოდეს ის ორი მოთხრობა გამახსენა, რომელშიც ცასა და ქვეყანაზე გულანთებულ, ცისა თუ მიწის მკვიდრ მშვენიერ ასულზე შეყვარებულ ადამიანს ვხედავ და მეც ბიოგრაფიული რომანის ავტორივით ალფონს დოდეს გახსენებით დავიწყე წერა.

სანამ სხვა საკითხებზე მოგახსენებდეთ, როსტომ ჩხეიძის სტილზე მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა. მაინც რატომ წერს ავტორი სულ ხოლმეობითითა თუ თურმეობითით? იშვიათად იპოვით ასეთ სიტყვებს: „იფიქრა, თქვა, გაიღიმა, გაეხარდა, გაოცდა“... როსტომ ჩხეიძესთან, უმეტეს შემთხვევაში, ამგვარ ფორმებს შეიძლება შეხვდეთ: „იფიქრებდა, იტყოდა, გაიღიმებდა, გაეხარდებოდა, გაოცდებოდა“... იქნებ თვითონ ავტორს აღარც კი ახსოვდეს, მაგრამ, როცა ბიოგრაფიული რომანის ჟანრს ულრმავდებოდა, როცა პავლე ინგოროყვას შესახებ წერილებს აქვეყნებდა „ლიტერატურულ საქართველოში“, ეტყობა, მაშინ გაისიგრძეგანა, როგორ პასუხისმგებლობას ილებდა ბიოგრაფიული რომანის წერისას სიტყვის ისეთი ფორმების ხმარებით, რომელიც შენს მოსაზრებას კი არ გამოხატავს, რომლიდანაც შენი ნაფიქრი კი არ მოჩანს, რომლითაც იმას კი ვერ ვხედავთ, რომ ეს სურათები შენს წარმოდგენაში არსებობს, არამედ იმას, რომ სიტყვებს მომხდარის აბსოლუტური სიზუსტით აღწერის პრეტენზია აქვთ; როცა ბიოგრაფიულ რომანში დაწერ: „არჩილმა იფიქრა“, — ამით ბიოგრაფიულობის ელე-

მენტებს აცილებ რომანს და ჩვეულებრივი მხატვრული ლიტერატურისას უმატებ (არ იფიქროთ, რომ ბიოგრაფიულ რომანში არ მომწონდეს ეს სტილი, — ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერლის — შტეფან ცვაიგის ბიოგრაფიული რომანები სწორედ ასეა დაწერილი), მაგრამ, როცა იტყვი, — „ჩანს, არჩილი ასე და ასე იფიქრებდაო, ჩემი აზრით, არჩილი ამას და ამას იტყოდა, ვვარაუდობ, რომ ასეთ მომენტში გარეგნულად მშვიდი არჩილიც კი გამოხატავდა გაბრაზებასაო“, — მკითხველს ამით განსხვავებულ ცოცხალ პროცესში ჩართავ, — მასაც განსჯას დაანყებინებ, მასაც დააფიქრებ, — ყველაფერი მართლა ასე მოხდა, თუ არაო, — დაანახვებ, რომ ეს შენი აზრია, შენი დანახული არჩილ ჯორჯაძეა, გააგებინებ, რომ ასე გაქვს წარმოდგენილი მომხდარი; ყოველთვის ისეთი გამოთქმები რომ დაამატო წინადადებებს, როგორებიცაა „ჩემი აზრით“, „როგორც ჩანს“, „ვვარაუდობ, რომ“, „საფიქრებელია“... — ხომ მართალია, რომ არ მოუხდება მხატვრულ ტექსტს?! სამეცნიეროს ან ნახევრად სამეცნიეროსა და ნახევრად — მხატვრულს მოუხდება, მხატვრული მანერიზმით დატვირთული თუ იქნება, მაშინ მხატვრულ ტექსტშიც გაამართლებს ასეთი გამოთქმები... როსტომ ჩხეიძემ, ალბათ, იმიტომ დაიწყო ასეთი ფორმებით წერა, რათა წარმოეჩინა, რომ ეს მისი აზრია, მისი დანახული სურათებია, განსჯისა და ცოცხალი დიალოგისათვის განაწყო მკითხველი, შინაგანად სწორედ ეს განწყობილება ჰქონდა, როცა ბიოგრაფიული რომანის წერას იწყებდა (ვისაც ჩემი არ სჯერა, ჰკითხოს მწერალს...), შემდეგ კი ასეთი ფორმები უკვე ყველა შემთხვევაში ჩვეული გაუხდა და უმეტესად სწორედ მას მიმართავს ავტორი (თუ უარყო და თქვა, რომ ვცდები, მაშინ მე ვიტყვი, რომ მას ქვეცნობიერად სწორედ ეს განწყობა ჰქონდა და თვითონაც ვერ აცნობიერებდა... ახლა რატომღაც იუმორის ნიაღვისაკენ აპირებს კალამი გადანავარდებას და ისევ მტკიცედ უნდა დავიჭირო, რათა არ გადასცდეს იმ სტილის საზღვრებს, რასაც „რეცენზია“, ან „რეცენზიის მაგივრად“, ან „გამოხმაურება“ შეიძლება ეწოდოს); ასე რომ, ხელოვნურად ნაძებნი არ არის როსტომის სტილი, არამედ ბუნებრივი მიზეზებით არის აღმოცენებული (ეს საკამათო არც არის), ვფიქრობ, მიზეზი ისაა, რომ ავტორს სურს გვითხრას, — „ალბათ, ასე მოხდებოდა“, „მე ვფიქრობ, რომ ეს ასე იქნებოდა“... ამ ფორმას მე „ალბათობითს“ დავარქმევდი... თუ ადამიანის სულის სიღრმეში მომხდარ ან რაიმე ისეთ მოვლენაზე მაშინ ვწერთ, როცა არ ვართ დარწმუნებული, რომ ზუსტად ასე მოხდა, მაშინ უნდა მივმართოთ ასეთ სტილს, ვფიქრობ, ბიოგრაფიულ რომანს ძალიან უხდება ეს ცოცხალი სტილი, მაგრამ, ცხადია, ამგვარ ფორმას ჩვეულებრივ მხატვრულ ტექსტში (როცა ეს მთელი ტექსტის შინაგანი სტილიდან, ერთიანობის საჭიროებიდან, მხატვრული მანერიზმის მოთხოვნებიდან არ გამომდინარეობს) არ უნდა მივმართოთ, მაგალითად, — განსაკუთრებული მხატვრული დატვირთვა თუ არ აქვს, ალბათ, არავინ დაწერს ასეთ სიტყვებს, — „ილია ჭავჭავაძე 1837 წელს დაიბადებოდა, 1837 წელს მოვიდოდა ამქვეყნად“... როსტომ ჩხეიძის სტილზე საუბრისათვის არაერთხელ მომიკრავს ყური და ამიტომ ჩამოვაგდე სიტყვა... ახლა ამ საკითხს თავს დავანებებ და მოკლედ ვიტყვი, თუ როგორ ხედავს როსტომი ამ ერთ-ერთი ჯვარცმულის — არჩილ ჯორჯაძის ცხოვრებას.

ჯვარცმული იმიტომ იყო, რომ, როგორც ავტორი კარგად წარმოაჩენს, ერთ დროს მხიარული, იქნებ ზედმეტად ცელქი ბიჭუნა მხიარულებისა და ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ხალისისათვის სულიერად მოკვდა და მოღვაწედ იქცა. ალბათ, ადრეულმა ტრაგედიამ (როცა ორი და მდინარეში დაეღრჩო, ამას ზედ კი ისიც დაერთო, რომ ცალი ხელი დაკარგა) მაინც იქონია მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა, ნუთუ, ეს სასჯელი იყო მისთვის საჭირო, რომ ონავარი და ამქვეყნიური ხალისით სავსე ბიჭუნა დინჯ, აკადემიურ მოღვაწედ ჩამოყალიბებულიყო, ფილოსოფოსი გამხდარიყო?!

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, რომ ქართველთა უბედურება მაშინ დაიწყო, როცა უცხო წესები შეურიეს ქართველებმა თავიანთ სულიერ ცხოვრებას, „შერევნა“ მოხდაო, — ასე წერდა ვახუშტი და, ცხადია, საფიქრებელია, რომ შემთხვევით არ იხმარდა ამ სიტყვას, — „შერევნა“ ხომ ბაბილონს დაერქვა მას შემდეგ, რაც ერთმანეთისათვის გაუგებარ ენებზე ალაპარაკდნენ გოდოლის მშენებლები... ერთმანეთისათვის გაუგებარ ენებზე ლაპარაკობდნენ არჩილ ჯორჯაძის საქართველოში, სოციალ-დემოკრატებს კლასთა ბრძოლა, მხოლოდ სოციალური პრობლემების გადაწყვეტა მიაჩნდათ საჭიროდ, ეროვნებას დრომოჭმულ რაობად მიიჩნევდნენ და პროგრესის მტრად შეერაცხათ ილია ჭავჭავაძე, რომელიც ჯერ ეროვნების გადარჩენას და შემდეგ სოციალური პრობლემების მოგვარებას სახავდა მიზნად; უფრო თუ ჩავუკვირდებით, ილიასთან შევიგრძნობთ აზრს, რომ სოციალური პრობლემების გადაჭრის საწყისები ქართული სულის აღდგინების, არა ფარისევლური, არამედ მართლა ქრისტიანული, ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობების გაცოცხლების შემდეგ შეიძლება წარმოჩნდეს, ეროვნული სულის გაცოცხლება სოციალური პრობლემების გადაჭრასაც გულისხმობს... სოციალური თეორიებისაგან დღესაც იმდენად არის მრავალი ადამიანის გონება დაბნეული თუ დაბინდული, რომ გულუბრყვილობად მოეჩვენება, თუ ეტყვი, რომ არა ფარისევლური, არამედ მართლა ქრისტიანულ ურთიერთობათა დამკვიდრება გადაწყვეტს სოციალურ პრობლემებს, სხვა ქვეყნებიც უბრალოდ მოერიდებიან შენს წყენინებას, თუ იგრძნობენ, რომ ამ ხალხში მართლა ღმერთი დამკვიდრებულა... ილია ჭავჭავაძის სურათს რომ შეხედავს, ძალიან ბევრი იგრძნობს, რა დიდი სიკეთე გადმოდის ამ კაცის კეთილი და ნათელი სახიდან, უცნაურიც არის, — როგორი მკაცრი პოლემიკა სჩვეოდა ილიას, მაგრამ იმდენად კეთილი იყო ეს ადამიანი, ზოგჯერ გეგონება, რადგან თავისიანს ეკამათება, რადგან თავისი ოჯახის წევრად მიაჩნია იგი, ვისაც ეკამათება, ჰგონია, რომ ძალიან არ უწყენენ ამ, ხშირ შემთხვევაში, შეურაცხყოფამდე მისულ პოლემიკასაც კი, „კარგი გული“ იგრძნობს „რაოდენიც სიყვარულია“ ამ „სიძულვილშიო“ (ილიას მიერ გაკრიტიკებულ რევაზ ერისთავს, მართლა კარგი გული ჰქონია, — დაეთანხმა, რომ ძალიან უხეირო იყო მის მიერ „კაზლოვითგან“ შესრულებული თარგმანი)... თითქოს სიმბოლურიც არის სიკვდილის წინ ილიას მიერ წამოძახებული: „მე ილია ვარ“, — „როგორ მიმეტებთ, ადამიანებო, მე ხომ ის ვარ, ვისაც უყვარხართ“, — ეს განწყობაც ისმის ილიას უკანასკნელ სიტყვებში... ისიც მშვენივრად იცის, რომ არ დაინდობენ, მაინც მოკლავენ და აქ უკვე მას ჰგავს

ილია, ვისაც ჯვარზე აკრავდნენ და ის კი ჯვარმცმელთა პატიებას შესთხოვდა მამას... „მე ხომ ილია ვარ, გაიაზრეთ, ვინ მოკალით“, — თითქოს დამუნათებაც იგრძნობა იმ ბოლო სიტყვებში, რომლებიც ყურში სულ უნდა უდგეს ქართველს, რომ ასეთი გასროლები, რაც ქრისტეს სხეულში ლურსმნების გაყრას ჰგავს, აღარ მეორდებოდეს...

ილიამ არჩილ ჯორჯაძეც ძალიან მკაცრად გააკრიტიკა; გააკრიტიკა მაშინ, როცა უცნაურმა სოციალურმა თეორიებმა გაიტაცა არჩილი; მაგრამ ილიას მტრად კი არ იქცა არჩილ ჯორჯაძე, არამედ სოციალისტ-ფედერალისტური პარტია დააარსა (ბოლოს კი ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის დაწერას აპირებდა); როსტომ ჩხეიძეს კარგად აქვს წარმოჩენილი, რომ ფედერალიზმის თეორია პირველი საფეხური იყო, რასაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა მოჰყოლოდა; როსტომ ჩხეიძე არ მიეკუთვნება ისეთ მწერლებს, რომლებიც ან მხოლოდ აქებენ, ან მხოლოდ აძაგებენ ვინმეს, მართლა აინტერესებს, თუ რა უნდა მომხდარიყო ამა თუ იმ პიროვნების სულში; ისეთ მარტივ სურათს არ ხატავს, თითქოს არჩილ ჯორჯაძემ ილიას წერილის შემდეგ კარგად გაიაზრა თავისი შეცდომები, მიხვდა, რომ მართლაც დიდი უაზრობა იყო ამქვეყნად ყაზარმული (უოჯახო) საზოგადოების დამყარებაზე ფიქრი (ოდესლაც თვითონ რომ გადაწყვიტა ოჯახის შექმნაზე უარის თქმა, მაშინ ხომ არ დაეწყო ამ იდეებით გატაცება?) და გამოსწორდა; მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ბოლოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას, ეროვნული კულტურის, ტრადიციების აღორძინებას შეალია სიცოცხლე, გარკვეულწილად (ალბათ, არა — მთლიანად) ილიას მიმდევრად იქცა და იქნებ ილიას წერილის მიერ ერთ დროს დათესილმა თესლმა გამოიღო ნაყოფი? ამ საკითხებზე მსჯელობა ახლა არ მინდა, მოკლედ ვიტყვი, — ალბათ, მაინც სჯობდა, შეურაცხმყოფელი წერილები არ დამკვიდრებულიყო ქართულ კრიტიკაში, ტაქტიანი შენიშვნების ხელოვნება გამომუშავებულიყო, მაგრამ ძნელი იყო ეს მაშინ, როცა საქართველოს უცნაური ცდების ჩასატარებელ ლაბორატორიად უპირებდნენ გადაქცევას.

როსტომ ჩხეიძე თავისთვის უსაყვარლეს პიროვნებაზე წერისას მის სისუსტეებსა და შეცდომებსაც წარმოაჩენს ხოლმე, რადგან იცის, რომ შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს; მწერალს სულიერი სიღრმეები აინტერესებს, ცდილობს ჩასწვდეს ამ სიღრმეებს, არ ამბობს, რომ უტყუარი პორტრეტი დახატა ამა თუ იმ ადამიანისა (ეს შეუძლებელიცაა), მაგრამ პიროვნებისადმი ინტერესს აღვიძებს; ამ ენერგეტიკითაა დამუხტული მისი ბიოგრაფიული რომანები. ადამიანის სულიერ სიღრმეთა გახსნის ინტერესი, საერთოდ, ბიოგრაფიული ჟანრისადმი ძლიერი სიყვარული იგრძნობა მის რომანებში (ბიოგრაფიული რომანის წერისას ადამიანის შინაგან სამყაროზე წერის დროს ძალიან დიდი შინაგანი კულტურაა საჭირო, რათა რაიმე ტკივილი არ მიაყენო ამა თუ იმ ადამიანს — ამქვეყნად მყოფსა თუ უკვე სულეთში დამკვიდრებულს, მის შთამომავლებს...); პავლე ინგოროყვაზე დაწერილი ბიოგრაფიული რომანის კითხვისას იგრძნობა, თუ რა ძალიან უყვარს როსტომ ჩხეიძეს პავლე ინგოროყვა, შემდგომ თითქოს უკვე თვით ბიოგრაფიული ჟანრისადმი შეიგრძნო განსაკუთრებული სიყვარული და შემდგომი რომანები უკვე ორმაგი ენერგეტიკით არის დამუხტული, — თვით ბიოგრაფიული რომანისა და ამა თუ იმ პიროვნების სიყვარულით; მთავარი გმირების გარდა, სხვა გმირებიც გამოჩნდებიან მის რომანებში, ზოგჯერ მხოლოდ გაიელვებს მათი სახეები (ამ რომანში გალაკტიონის სულიც წარმოჩნდა; ჩანს, რომ გალაკტიონზეც ბევრს ფიქრობს როსტომი), ზოგჯერ მეტი სისავსით ჩნდებიან ეს სხვა გმირებიც; როსტომ ჩხეიძე ეპოქის სულის დახატვასაც ცდილობს ხოლმე, ამ რომანში რელიგიურსა თუ ეროვნულ, ფილოსოფიურსა თუ სოციალურ საკითხებზე გადააქვს ხშირად მსჯელობა.

არჩილ ჯორჯაძე ტოლსტოის იდეებით იყო გატაცებული და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას ერთგვარ თემურ წყობილებაში ხედავდა; პირველი ქრისტიანული თემები აინტერესებდა; არჩილისეული ფილოსოფიის თანახმად, ღვთაებრივი გონი განსაზღვრავს სამყაროს განვითარებას, ქიმიური ელემენტებიც ღვთაებრივი გონით იცვლება (ეზოთერულ მეცნიერებებშია წარმოჩენილი აზრი, რომ ცოცხალია მთელი სამყარო, ფიზიკურ სამყაროსაც ღვთაებრივი გონი წარმართავს, ასტრალური სამყაროს სული მართავს ქვასაც და ხესაც, ანუ — ასტრალურ საუფლოში დამკვიდრებული პიროვნული სული ქვისა და ხისა... არჩილ ჯორჯაძესთან, ისევე, როგორც ლევ ტოლსტოისთან, ერთგვარი ეზოთერული მეცნიერების სულიც სუნთქავს...); მიჩნეულია, რომ არჩილ ჯორჯაძის ცნობიერებაში მკვეთრი ცვლილება მოხდა და იგი კოსმოპოლიტიზმიდან ეროვნულ პოზიციებზე გადავიდა; ალბათ, კოსმოპოლიტიზმის სწორი განვითარება ადრე თუ გვიან ეროვნულობამდე მიიყვანს ადამიანს, კოსმოპოლიტიზმიდან შეითვისებს იმას, რაც ზოგადია, შემდეგ კი მიხვდება, რომ ამქვეყნად ყველა ერი უნდა გიყვარდეს, რომ „უთვალავი ფერითაა“ სავსე სამყარო მშვენიერი; ნამდვილი ეროვნულობა სხვა ერის სიყვარულსაც, მისი კულტურის გაფრთხილებასაც გულისხმობს; მცნება „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, იმასაც ხომ გულისხმობს, რომ შენი მოყვასის კულტურაც გიყვარდეს, როგორც საკუთარი, სხვაგვარად ქრისტიანობაზე როგორღა გაქვს პრეტენზია?!

რომანიდან ფართო პლანით მოჩანს არჩილ ჯორჯაძის ცხოვრება და ხედავ, რომ ჯანმრთელი ადამიანის სულში კოსმოპოლიტიზმი და ეროვნულობა ადრე თუ გვიან აღარ შეეწინააღმდეგება ერთმანეთს (კარგი იქნებოდა, რომ არჩილის ცნობიერებაში ადრევე დამყარებული ვაჟა-ფშაველასეული ჰარმონია და მაშინ ილიას რისხვასაც გადაურჩებოდა); როსტომ ჩხეიძეს კარგად აქვს ნაჩვენები, რომ არჩილ ჯორჯაძისათვის ფედერალისტობა ის საფეხური იყო, რომელსაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა მოჰყოლოდა, ქრისტიანული თემის მსგავსი საზოგადოება თუ დაარსდებოდა, მაშინ ურთიერთსიყვარულზე დაფუძნებული საზოგადოება გამეფდებოდა, ურთიერთზრუნვა გაძლიერდებოდა, სოციალური პრობლემებიც მოგვარდებოდა, ადამიანები მატერიალურ ქონებაზე აღარ იქნებოდნენ მიჯაჭვულნი, სულიერ ამაღლებაზე იფიქრებდნენ, რადგან, რაც უნდა ბედნიერი სახელმწიფო დაარსდეს ამქვეყნად, ვიდრე ადამიანი მოკვდავია, ბედნიერი მაინც ვერ იქნება... ვისაც სულიერ სიმაღლეთაკენ სწრაფვა არ დააინტერესებდა, თემი არც მის „დემოკრატიულ უფლებებს“ არ შეზღუდავდა... ცოტა მეტი მაინც რომ ეცოცხლა არჩილ ჯორჯაძეს, დაახლოებით, ალბათ,

ასე ჩამოყალიბდებოდა და შემდეგ კი სულ უფრო განვითარდებოდა მისი საოცნებო საქართველოს სახე; არჩილმა მთავარი მაინც მოასწრო, საქართველოს სოციალური და ეროვნული მოწყობის სამომავლო გზა ერთ მთლიანობაში განიხილა და ამით ილია ჭავჭავაძის (საქართველოს) გზაზე დადგა და მართლა მთელი გულით გამოავლინა ილიასადმი სიყვარული; სოციალური მოწყობის სამომავლო გზების კონტურებიც დასახა... როსტომ ჩხეიძეს კარგად აქვს ნაჩვენები, რომ არჩილ ჯორჯაძე საქართველოს მთის თემებში ხედავდა ერთგვარი „სოციალიზმის" ნიშნებს; წარმოჩენილი აქვს, რომ არჩილ ჯორჯაძის დიდი სულიერი ძალა სუსტ ფიზიკურ სხეულში ცხოვრობდა, სამწუხაროდ, ის არ ყოფილა რენესანსული ტიპის ადამიანი, როცა შემოქმედის ძალა ფიზიკურ პლანშიც უფრო მეტი სრულყოფილებით ვლინდება ხოლმე და მეტის გაკეთება ველარ მოასწრო.

1991 წელს მიუნხენში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი უკანასკნელი ემიგრანტი წარმომადგენლის, — 90 წელს მიტანებული ილია კუჭუხიძის კაბინეტში ილია ჭავჭავაძის, არჩილ ჯორჯაძისა და ზვიად გამსახურდიას სურათები კედელზე ერთად გამოკრული ვნახე, — აღარ გამახსენდა მეკითხა, — რა ნიშნით გამოარჩია ეს სამნი; იქნებ ყველაფერი შემთხვევითი იყო, ან იქნებ იმ ნიშნით იყვნენ გამორჩეულნი, რომ მე-19 და მე-20 საუკუნეების მოღვაწეთა შორის ქრისტიანობა, ეროვნულობა და სოციალური პრობლემები ამ სამისათვის განსაკუთრებულად იყო საზრუნავი (სხვებიც ზრუნავდნენ, ცხადია, ოღონდ, ესენი ძალიან დიდ გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივ აზრზე); ძველ საქართველოში დავითის, თამარ მეფის, სხვათა სახეებიცაა ამ ნიშნით გამორჩეული (თამარის სურათიც იყო იმ კაბინეტში); მაინც რატომ აშინებდათ ამ პერიოდის მოღვაწეთა შორის არჩილ ჯორჯაძის სახელი თითქოს ზედმეტად ძლიერად? ფაქტია, რომ დიდხანს აშინებდათ...

ალბათ, ამ შემთხვევაში ცოტა სუბიექტური ვარ, მაგრამ მინდა გავიხსენო ილია კუჭუხიძის მიერ 1985 წელს მიუნხენში გამოცემული მოგონებების წიგნის („სამაგიდო რვეულიდან") ერთი ფრაგმენტი, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ იდევნებოდა არჩილ ჯორჯაძე გარდაცვალების შემდეგაც: წიგნში ბათუმის 1922 წლის გამოსვლებია ნახსენები, მასში სოციალისტ-ფედერალისტები აქტიურად მონაწილეობდნენ, შემდეგ წერია: „1924 წელს ბათომში დაიწყო მასობრივი დაპატიმრებანი და მეც გავები. შუაღამისას კარებზე დააკაკუნეს. ესენი იყვნენ ჩეკას თანამშრომლები. ერთი რუსი იყო, მეორე სომეხი. „აქ ცხოვრობს მოქალაქე კუჭუხიძე?" — „მე გახლავართ-მეთქი". უნდოდათ რაიმე საბუთი ეგდოთ ხელთ. ჩემს ოთახში კედელზე არჩილ ჯორჯაძის დიდი სურათი ეკიდა. ჩეკისტები მალმალ გახედავდნენ ხოლმე სურათს. რუსმა ჩეკისტმა შემომიყვირა: „თქვენ ქართველი ხალხის მტერი ხართ!" — „ვითომ?! ჩემი ხალხი თქვენზე უფრო მე მიყვარს და ეს სავსებით ბუნებრივია". წამიყვანეს. ჩემთან ერთად დააპატიმრეს არჩილ ჯორჯაძის სურათიც. საწყალი არჩილი! — გავიფიქრე, — ცარისტულ მთავრობას გადაურჩა და ეხლა მოჰყვა პატიმრობაში-მეთქი".

ილია კუჭუხიძე, ალბათ — არჩილ ჯორჯაძის სურათთან ერთად, ერთ თვეზე მეტი იყო დაპატიმრებული (მიუნხენში „პატიმრობა" აღარ ემუქრებოდა არჩილის სურათს) ავტორი ახსენებს ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატს დავით ხარისჭირაშვილს, ოსმან ფაღავას, ფილიპე შარაძეს, — ახალგაზრდა ფედერალისტების არალეგარული ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბათომში... საერთოდ, არჩილ ჯორჯაძეს შემდგომშიც რომ არ სწყალობდნენ, მისი პიროვნული სიდიადე დღემდე მკაფიოდ რომ არ არის გაცნობიერებული, ამას როსტომ ჩხეიძე კარგად გვიჩვენებს, ალბათ, მართლა ქრისტიანული საქართველოს განახლების იდეა აშინებდათ არჩილ ჯორჯაძეში ასე ძლიერად... კეთილი საქმე გააკეთა როსტომ ჩხეიძემ, რომ ფართო პლანით წარმოაჩინა ეს პიროვნება...

როსტომ ჩხეიძე, მწერალი და მეცნიერი, ამ შემთხვევაში უფრო მწერლად გვევლინება, მაგრამ სოციალურ და ისტორიულ საკითხებზე მსჯელობისას მეცნიერიც წარმოჩნდება ხოლმე მასში. ერთ ადგილას იტრიის ეტიმოლოგიაზე მსჯელობს და უბრალოდ, თითქოს სასხვათაშორისოდ, დასძენს, — ეს ტოპონიმი, ალბათ, „ნიტრიიდან" მოდისო. მართლაცდა საისტორიო წყაროშიც გვქონია „ნიტრია"; ეგვიპტის ნიტრიაში ბერთა სავანეები იყო და, ჩანს, ოდესღაც ბერთა სავანეები ყოფილა იმ ადგილასაც, სადაც არჩილ ჯორჯაძე დასასვენებლად გაემართა და წერდა „წერილებს იტრიის წისქვილიდან"; იტრია „ქართველთა ნიტრია" ყოფილა (ნეტა, „ქობულეთიც" მსგავსი წარმოშობის ტოპონიმია? — „ქვაბულეთიდან" მოდის? ბერების საცხოვრისი ქვაბულები, გამოქვაბულები იყო იქ სადმე? სოფელი „სავანე" მართლა დასასვენებელ ადგილს ნიშნავს, თუ იქაც ბერების თუ ბერის საცხოვრისი იყო ოდესღაც, ისევე, როგორც — სენაკში? საქართველოში ბეთლემიც გვაქვს და სიონიც... ნიტრიაც გვქონია); „იტრიის" ეტიმოლოგიისას სავსებით მართალი მგონია როსტომ ჩხეიძე, ეს ტოპონიმი მართლაც „ნიტრიიდან" უნდა მოდიოდეს...

ლირიკული გადახვევა: მიკვირს კიდეც, — როდის ასწრებს როსტომი ასეთი დიდტანიანი წიგნების წერას (ეს წიგნი 600 გვერდიანია), ცხოვრებაში ხალისი არ აკლია, ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე პოლემიკაშიც არცთუ იშვიათად ერთვება, ქართლური პირდაპირობა ახასიათებს, სულის სიღრმეში კარგად დაინახავ, რომ მართლა მთელი სულით უყვარს ისინი, ვისზეც რომანებს წერს, სევდასაც მალავს ამ სულის სიღრმეში (ამ სიტყვებს იმათ საყურადღებოდ ვწერ, ვისაც თვით როსტომ ჩხეიძის სულიერი პორტრეტი აინტერესებს), — იმ სევდას, რაც სამშობლოს მართლა მოყვარე ბევრ ქართველს ძალიან შემოეძალა ამ ბოლო წლებში, ჟურნალსაც ხელმძღვანელობს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში თეიმურაზ დოიაშვილის მიერ დაარსებულ „გალაკტიონოლოგიის" განყოფილებასაც... ალბათ, როცა არჩილ ჯორჯაძისა თუ იაკობ გოგებაშვილისა და სხვა მოღვაწეების შესახებ წიგნებს წერდა, სევდაც შემოეძალებოდა ხოლმე, ჩაუჯდებოდა ამ ადამიანებზე სხვების მიერ დაწერილს, იფიქრებდა, ბევრს იფიქრებდა, მანამ იფიქრებდა, სანამ ესა თუ ის გმირი ცოცხლად არ გამოხედავდა სულიერი სამყაროდან და მერე აიღებდა კალამს, სწრაფად დაიწყებდა წერას, სწრაფად, თითქოს შეეშინდებოდა, ამ გმირის სახე არ დაიკარგოს, სადმე არ გაიქცესო; გმირი კი დაიცდიდა, მანამ დაიცდიდა, სანამ მთლიანად არ წარმოუდგენდა თავის ცხოვრებას, და მერე სულიერად საკუთარ „ნიტრიის წისქვილ-

ში" წარმოიდგენდა როსტომი თავს... ძველი ბერივით ილვაწებდა იმ საათებში განმარტოებული, თავის გმირებთან მარტო დარჩენილი... დაამთავრებდა მერე წიგნს, ლიტერატურულ შეხვედრასაც მოაწყობდა, სულიერებამიმქრალ ყოფაში გამოაცოცხლებდა ლიტერატურულ ცხოვრებას, აალაპარაკებდა ბევრს, მოყვარესაც და მოშურნესაც, და თვითონ კი უკვე ნაფიქრ ახალ წიგნზე დაიწყებდა მუშაობას; ასე იწერებოდა როსტომის წიგნები და ასე დაიწერა, ალბათ, წიგნიც, რომელიც არჩილ ჯორჯაძეს ეძღვნება...

ზემოთ ალფონს დოდეს ორი მოთხრობა ვახსენე, — არჩილ ჯორჯაძეს უთუოდ გაახსენდებოდა ალფონს დოდეს მიერ დახატული ის უმშვენიერესი პროვინცია, რომელშიც მთიდან დაბრუნებული ცხვრის ფარა მოჩანს (მოთხრობების მთარგმნელზე — გერონტი ქიქოძეზე ასევე დიდი სიყვარულით წერს როსტომ ჩხეიძე)... არჩილს ის მოთხრობაც გაახსენდებოდა, რომელშიც მთაში განმარტოებულ მწყემსთან მისი საოცნებო სატრფოს უეცარი სტუმრობაა აღწერილი, აღწერილია, თუ როგორ ათვალიერებინებს მწყემსი ვაჟი თავის სატრფოს ზეციურ, აკაშკაშებულ ბილიკებს, და ეჩვენება, რომ მის გვერდით მჯდომი გოგონა გზააბნეული ვარსკვლავია... არჩილ ჯორჯაძე ამ ქვეყანასაც ევლებოდა ფიქრით და ზეცასაც გადააწვდენდა ხოლმე მზერას, ღვთაებრივ წესრიგზე ფიქრობდა. მის ცხოვრებაში იყო იდუმალი ქალი, რომელიც უყვარდა. წერილებში არჩილი არიგებს ქალს, ასწავლის, რომ დეპრესიაში ყოფნა არ არის კარგი, რომ ბევრი იმუშაოს. ამ ქალის პიროვნება გაასაიდუმლოეს, — იმიტომ, რომ ცნობილი მოღვაწე ყოფილა. თქვენობით ელაპარაკება არჩილი ამ ქალს, პროვანსელი მწყემსივით მოკრძალებულს ჰგავს; წერილები მხოლოდ ფრაგმენტულად არის ცნობილი და ბევრს ვერაფერს ამბობს როსტომ ჩხეიძე არჩილის სიყვარულზე; მაგრამ ჩანს, რომ არჩილის ცხოვრებაში ყოფილა ქალი, რომელიც განათებული ბილიკებიდან ჩამოსულ გზააბნეულ ვარსკვლავად თუ არ ეჩვენებოდა, მისი სიცოცხლის გამათბობელი მაინც ყოფილა, და დასანანია, რომ არაფერი ვიცით მასზე; პიროვნებას თუ დაგვიმალავდნენ, წერილები მაინც გამოემზეურებინათ ბოლომდე, როსტომ ჩხეიძის წიგნსაც უფრო გაათბობდა ეს წერილები... გაასაიდუმლოეს ამ ქალის ვინაობა. ძალიან ხშირად ხდება, რომ ქალი ხდება შთამაგონებელი, მისადმი სიყვარული აწერინებს კაცს, და ამ ქალზე კი არაფერი ვიცით. როსტომს შეეძლო ინტრიგა გაეძლიერებინა და წიგნის ფურცლებზე დაეწყო ამ იდუმალის ქალის ვინაობის ძიება; მაგრამ შინაგანი კულტურა არ აძლევს ნებას იაფფასიანი ინტრიგები შეიტანოს წიგნში, მისი დონის წიგნს ეს არ სჭირდება და იქნებ იდუმალება ამშვენიერებს კიდეც არჩილ ჯორჯაძის ცხოვრებას. როსტომმა იქნებ ეჭვით მაინც იცის, თუ ვინ უნდა იყოს ეს ქალი, მაგრამ ამ საკითხზე ისიც მდუმარებს.

კარგი წიგნი დაგვიწერა როსტომ ჩხეიძემ, დიდი სიყვარულით გააცოცხლა რჩეული მოღვაწის სახე... ჩვენ ისღა დაგვრჩენია მადლობა ვუთხრათ ავტორს და დაველოდოთ, მომავალში ვის სულიერ პორტრეტს წარმოგვიდგენს მისი კალამი.

კრიტიკა

გია ხოფერია

# ალმავალი გზის ბინადარი

რამდენჯერმე გადავდე, ცირა ყურაშვილის მოთხრობებზე ჩემი მოსაზრებანი წერილობით გამომეხატა. ვშიშობდი, იმდენად დიდი იყო განცდა თითოეული მათგანის წაკითხვისას, ქაღალდზე გადატანას არ გაეფუჭებინა, არ დაეკნინებინა ამ ტკივილების პირველყოფილება და სიცხოველე. არადა, ავტორის „მწერლურ სიხშირეზე გასვლამ" იმდენად ამაფორიაქა, რასაც თან დაერთო ამ მოთხრობებში ასახული ზოგიერთი გარემოებათა ჩემთვის ნაცნობ-ახლობლობა, საკუთარი თავის ამოცნობასთან ერთად, ერთი სული მქონდა, თანდათანობითი მძაფრი შემოტევები გამეხმიანებინა.

ცირას მოთხრობები ცალ-ცალკე ადრეც წამიკითხავს, მაგრამ ამჯერად, თითქმის სულ ახლახან, მათ ერთ წიგნში თავი რომ მოიყარეს და შეთქმულებივით ავტორი სრულიად გაამხილეს, არც მე, მკითხველს, დამაყარეს კარგი დღე. ლაპარაკია ძირითადად სამ ნაწარმოებზე: "უკან არ მიიხედო", "კუჩიელას ქალი" და "მასწავლე, როგორ გავხდე მწერალი". აქვე სხვა მომცრო მხატვრული ქმნილებებიცაა, თუმცა სიპატარავის გამო არცერთი იოლად არ დაგვაჩაგვრინებს თავს.

ხსენებული მოთხრობების ავტორიტეტის "გაზრდის" მიზნით მწერალმა იმავე წიგნში მოათავსა მარსიანის, ლელა სამნიაშვილისა და მაია ჯალიაშვილის შესანიშნავი წერილები. ასე რომ, პაციენტიც ადგილზეა და რეცეპტებიც სწორადაა გამოწერილი.

როგორც აღვნიშნე, ცირას მოთხრობებმა ზოგიერთი რამ გამახსენა ჩავლილი წლებიდან, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს არა საბაბს, არამედ ლიტერატურული ტექსტის აზურში მოყვანას, თუნდაც საკუთარი ცხოვრების მწერლურად წაკითხვას, როცა გვარიანად კი იშოლტები, მაგრამ არც სხვა რჩება ნაკლებად დასჯილი.

ცირა ყურაშვილი შეუბრალებელია მკითხველის მიმართ. მისი მთავარი გმირი, როგორც ამბობენ, მისივე ალტერეგო, იმდენად მოულოდნელ წინააღმდეგობებს აწყდება, იმდენად რთულ ხლართებში აღმოჩნდება, როგორადაც სასოწარკვეთილი ბუზი ობობას ქსელში. ეს გარემოებანი ცხელი, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, გავარვარებული სალტეს დაუნდობლად შემოჭერის იმიტაციას ჰქმნიან, როცა გასაქანის მოძიებაზე კი არა, ნორმალურად აზროვნების შენარჩუნებაზე გიხდება ფიქრი. თუმცა ამის თავდებადაც ვერავინ დაგიდგება, რადგან ძალიან ბნელ ღამეში უწევს ცირას გმირს ხელისცეცებით სიარული და, ვინ იცის, რა დარდუბალა ელოდება წინ, სად გადაიჩეხება, სად გადაიკარგება.

ალბათ, ოდნავადც ვერ გამოხატავს სიტყვა თანაგრძნობა, ცირას გმირის სულში აღმოცენებულ ტკივილებთან მიახლოებას. ჩვენ მხოლოდ განცდების გამძაფრება შეგვიძლია, მაგრამ ეს არ აღმოჩნდება საკმარისი, ამით ამ გმირის შესაძლო ან შორეულ ნათესავად შეიძლება გამოვჩნდეთ. იქნებ მისმა ჩვენში განმეორებამ გვიშველოს, მაგრამ ვის უნდა ამოდენა გოლგოთის ხვედრი?!

სამივე მოთხრობა ერთმანეთზეა გადაბმული, ერთმანეთის შემვსები და გამგრძელებელია. ისინი ერთ დრამატულ სივრცეს კრავენ. ეტყობა ავტორმა მოიწადინა, რკალი ისე შეეკრა, არც მთავარი ამბავი დაგვვიწყებოდა და მხედველობიდანაც არ გამოგვრჩენოდა მისი გადაწყვეტილება — ყოფითი ჯოჯოხეთიდან სვლა ამაღლებისკენ.

ბუნებრივია, არავის სურს ლოტის ცოლის გზაზე ყოფნა. რომელი სულიერი იფიქრებს ასეთ გზაზე, მაგრამ როცა მწვავე ფაქტის წინაშე დგები, რაც უნდა სუსტი და უძალო იყო, მხოლოდ ცრემლების ღვარღვარი ვერ გიხსნის, ვერ ამოგიზიდავს ზნეობაჩამკვდარ წკვარამეთიდან. ადამიანურობა წარეცხილი შენი წილი სინამდვილიდან გასაქცევი ყოველთვის მოინახება, რაც უნდა დაზარალდე, მაინც უნდა იარო, თუნდაც უდაბნოში, იმ რწმენით, მოიმედეობით, რომ უდაბნოსაც აქვს დასასრული, რომ წალკოტი მაინც, თუნდაც ათასჯერ დაღლილს, მოგგვრის შვებას და უმალ თუ არა, ნელ-ნელა აუცილებლად იგრძნობ გამაწამებელი ტვირთის მოცილებას. ასედაც იქცევა ლოტის ცოლი.

მოთხრობა "უკან არ მიიხედო" მისი წამების დასაწყისია. იმ წამებისა, რომელიც მოჩვენებითი რომანტიკულობის შემდეგ დაიწყო. საერთოდ, რომანტიკულობა მოუზომავობის, სიფრთხილისა და აწონ-დაწონვის დაკარგვის, ლამაზი ფერად-ფერადი ფიქრების, სიზმრებისა და გატაცებებით ანგარების მომტანი ქარია. თუმცა ისიც მართალია, რომ ქარის მოტანილს, ქარივე წაიღებს. აქაც ასე მოხდა. ქმრის, რომლისადმი სიყვარულის ზენიტს მისივე ფეხების გულში ჩახუტებით გამოხატავდა ცოლი, საავდრო ახირებანი უკვე სამშვილიანი დედისთვის ხორცის საკეპ მანქანაში მოხვედრად გადაიქცა. სამივე შვილი გოგონაა და ამან გადარია ლოტი. გასაგებია, რომ მას ძე, მემკვიდრე უნდა, მაგრამ საკითხავია, ვინ დაუშალა! რაც დათესა, ის მოიმკა. გოგონების დამბადებელ ცოლს ბოზობის პოპულიზატორი უწოდო, თუ გახუმრებას ჰგავს, არაა ხუმრობა, თუ გაგულისებას, არც გაგულისებაა, უფრო მძიმე ეპითეტია მოსაძებნი, რისთვისაც უზნეობათა ლექსიკონში ღრმად მომიწევს ჩახედვა.

რა თქმა უნდა, ამ ცოტაოდენი მინიშნებების გარდა, არც მიფიქრია შავისა და თეთრის გარჩევაზე საუბარი. სამივე მოთხრობაში ყოველ დეტალთან სარკე ახლოსაა მიტანილი და ბრმაც მშვენივრად დაინახავს დასანახავს. არავისა და არაფრის გადაკეთება-გადმოკეთებაზე, შესწორება-გადასწორებაზე ან მიმხრობა-მომხრობაზე არ გავმეცადინდები. ჩემთვის მთავარია ლოტის ცოლის გზა, მისი მხატრული ინტენსივობა, რომელიც გაჯერებულია თვითგვემის, გოდებისა და გამძლეობის ჰაგიოგრაფიული ნიშანწყლებით.

როგორც ჩანს, დიდი მეხთატეხა თუ არ განიცადა ადამიანმა, ძნელია მისი ტრანსფორმირება, მისი ნამდვილი მეს გამოვლინება, რომელიც ჩვეულებრივობისას ხშირად მიჩუმათებულია და ცხრა ფარდის უკან უპატრონოდ ოხრავს. უარყოფილი და მიწასთან გასწორებული ლოტის ცოლი, ერთბაშად იძაბება, მისი გონების ყველა მექანიზმი ერთბაშად ამუშავდება, რომ ერთმანეთში შეცომებული უამრავი მედან საუკეთესო გამოირჩეს ანუ ბონკოდან, იგივე მისთვის დამამცრობელი და უცხო გარემოდან, იმ განედლებული მეთი წამოვიდეს, რომელსაც მომავალში, მისი ხანგძლივი დაცემის შემდეგ, აღდგომა მოჰყვება.

ავტორი ძალზედ თავგამოდებულია წერის პროცესში და იმდენად ითანგება, მგონი, ზღვარიც კი ეშლება გმირსა და თავის თავს შორის. მან იმდენად კარგად იცის, რის შესახებაც წერს, ძარღვებში მიღებულ ნორმაზე მეტი სიჩქარით დაურბის სისხლი და, როგორც იტყვიან, ქვას ქვაზე ადუღებს. აი, თუნდაც, ერთი დეტალი:

"წავალ, - ვთქვი მე, - აღარც მე მინდა თქვენთან ყოფნა. ძროხების დაკვლა გიყვარდათ თქვენ, თქვენი მოამაგე, თქვენი და თქვენი შვილების გამზრდელი ძროხების. ნორჩი ხბოების დაკონსერვება გიყვართ კიდე ქილებში. არ მიყვარია თქვენი მუცლის ამოყორვის ცქერა, ნედლი ხორცის სისხლი რომ მოგდით ტუჩების კუთხეებიდან, თქვე ნადირებო, თქვენ და გაურეცხავი ქვევრის სუნი მოგდით კანის ყოველი უჯრედიდან და გაოფლილი, ამყრალებული წინდებიდანაც კი. ღმერთთან თანაზიარი მეგონეთ მე, სიტყვა გქონდათ, მეგონა... აღარ მინდა ამდენი ნადირული სიტყვის მოსმენა. დამელალა ყური ამდენი სიბინძურით. ღმერთის სიტყვას თუ არ იტყვით ის სიტყვები მაინც თქვით, ქალაქში და სოფელში რომ საუბრობთ, სამსახურში, ავტობუსში, წყლის წისქვილში, დასაფლავებაზე... არ მინდა ლოთობის დროს, დომინოს ჯახაჯუხისას და დასაკლავი ღორის დაკვლის წინ ნახმარი სიტყვები. აღარ მინდა ეს სიტყვები, დამღალა ამ სიტყვებმა, აღარც მე მინდა თქვენთან ყოფნა..."

სოდომში ანუ ქუთაისში (ასე აიგივებს ავტორი) დაბრუნებული ლოტის ცოლი უმცროს მირანდურინასთან ერთად კიდევ უფრო მეტ გაჭირვებაში აღმოჩნდება. რომ იტყვიან, სული კბილით უჭირავს. თავის გადარჩენის მიზნით, საშოვარზეც გადის - მწვანილს ჰყიდის, რედაქციაშიც მუშაობს, მაგრამ ყველგან ხელი მოეცარება. იგი მარტოობის საშინელებას განიცდის. თუმცა ქალაქში, სადაც ორმოცდაათი ან უფრო ნაკლები მართალი ცხოვრობს, ხანდახან მაინც პოულობს შვებას, ზოგჯერ შეივლის ხოლმე მარსიანის სახელოსნოში და სხვებთან ერთად მწერლობაზე საუბრობს.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ შორია სინათლის შუქის გამოჩენამდე. ლოტის ცოლის ჩაგლეჯილ გულს კიდევ უფრო ამძიმებს სოდომისა და გომორის (თბილისისა და ქუთაისის, კიდევ სხვა ქალაქების) ბოროტად აყალყება. თითქოს თავისი უბედურება არ კმაროდა. ახლა მთელი ქვეყანა აიშალა და ეკლიან სივრცედ იქცა. ძალიან შორიდან იცქირება ბავშვობისდროინდელი სილაღე, მოხშირდა "კაცთაკვლები და მიწისძურანი". "მიდის ქარავანი ბნელი ქვესკნელის, ჩვენ გადაგვცილდა შარავანდი, ჩვენ ვართ წაშლილი, ჩვენ ვართ წაშლილი ფრესკები... მამა!" - სასოწარკვეთით წამოიძახებს იგი სტრიქონებს მწერალი თავისივე ლექსიდან.

სოფლიდან ჩამობრუნებულ ლოტის მირანდულინებისა და ცოლის განრიდება სურს "მრუში ქალაქიდან", რადგან მას ეჩვენება, რომ " მარადიული სასჯელი მოდის". ქალაქს ძალით განშორებულ ქალს სურვილი აქვს ერთხე-

ლაც მიიხედოს უკან ბიბლიური ლოტის ცოლის მსგავსად, რომ ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს მისი მოგზაურობა სატანჯველიდან სატანჯველში. მიუხედავად ანგელოზის აკრძალვისა, მაინც მიიხედა მან ქალაქისკენ და ყინულის "თეთრ სვეტად" იქცა. მანამდე კი მოასწრო უკანმოუხედავად გაქცეული ლოტისათვის თვალგადევნებულმა შემოლანდებოდა ოდესღაც ბედნიერი დრო: „ველის ყვავილები მოჰქონდა მას ჩემთვის დამალულად პიჯაკის უბით. პატარები, პატარა ღეროებით, ლამის გვირგვინთან მიწყვეტილები, ამოჰქონდა პიჯაკის უბის ჯიბიდან, მოჰქონდა ჩემთვის დამალულად ცისფერები და ყვითლები და ამ დროს არავინ იცოდა, თუ მე ყვავილებს მიძღვნიდა ვინმე". წავიდა ლოტი მირანდულინებთან ერთად, როგორც მართალი კაცი, და დარჩა ყინულის სვეტად მისი ცოლი.



მოთხრობის გმირი ადგილს, ნავსაყუდელს, ვერსად პოულობს. იგი ბედნიერი არსად და არასდროსაა, მაგრამ ბონკოს გველებიანი ღამის საშინელება და ლოტის მოულოდნელი ღვარძლგაჩენილობა სოდომ-ქალაქს "ფუფუნებად" უქცევს და "უყვარს" მას "მრუში ქალაქის ქალწული უბე, სადაც მას ვირუსული სურდოების კატალოგები ჰქონდა ჩალაგებული".

"კუჩიელას ქალი" განსხვავებული კონსტრუქციის მოთხრობაა. იგი პატარ-პატარა ჩანაწერებისაგან შედგება და თითოეული მათგანის სათაური გვაიძულებს შევისვენოთ, პაუზა გავაკეთოთ და ვიფიქროთ არაერთი იმპრესიონისტული შემოლანდების ავტორისეულ განზრახვებზე. აქაც გრძელდება ძიება, საკუთარი თავის გვემა, ყველაზე ძვირფასის – ლექსის, ხელოვნების დროდადრო შეძულება-შეძაგება, თითქოს რაღაც დიდი გამოსასყიდი დაკისრებია ლოტის ცოლყოფილს და განრისხებული ცდილობს ჯავრით გასიებული გულის ამორეცხვას. იგი ანგარიშს უსწორებს გააფთრებულ ცხოვრებას მომეტებული ტანჯვის გამო და გაჩაღებული აქვს ორთაბრძოლა მასთან. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს შერკინება, რომ არ გამოჩენილიყო ძალა პროტესტისა, ზურგშექცევისა, ძალა, რომელიც ნელ-ნელა იზიდავდა ქალისკენ ჯერ კიდევ გაურკვევლად გამოჩენილ შუქს სინათლისას. სწორედ ამან გადააწყვეტინა მას ამქვეყნიურ სურვილებზე უარის თქმა. იგი უკვე გამოილია, გამოიფიტა, დაილალა, სრულ სიცარიელედ იქცა და მხოლოდ ერთი გზისკენ უჭირავს თვალი. ესაა ქრისტიანული სიწმინდის დაბრუნება, შემზადება ღვთიური საუფლოსთვის.

მანამდე კი განუწყვეტელი ბურღვა სჭირს გონებისა, თუ სად ჩამორჩა, თუ სად უმტყუნა ბედის ფეხმა. იგი თითქმის მიბნედილი გაჰყურებს თავისივე ცხოვრების ჩავლილ ღრუბლებს, საიდანაც დროდადრო გამოჩნდება უკვე მიუწვდომელი მელნისფერთმიანი ბიჭი, რომელიც ახლა შავპალტოიან კაცადაა გარდაქნილი და სიყვარულით ანთებული თვალებით იყურება. თითქოს შემობრუნებას უნდა ველოდეთ ქალისგან, იქნებ ოდესღაც არსებულმა ნამდვილმა სიყვარულმა შეიკედლოს, მაგრამ როგორც ადრე არ მოსვლია აზრად, აეხედა იმ ბიჭის სახისთვის, არც ამჟამად ემორჩილება სიყვარულჩამკვდარი გული თანაგრძნობისთვის. თუმცა აფორიაქებით მაინც აფორიაქდება, რადგან გრძნობს ჭეშმარიტი სიყვარულის სილამაზეს. მხოლოდ გრძნობს და მეტი არაფერი. შავპალტოიანსაც ბედნიერად მიაჩნია თავი, მარტოოდენ ცქერის უფლება რომ მიიღო.

ამ მოთხრობაში მელნისფერთმიანი ბიჭი, შავპალტოიანი კაცი და თავადი ერთი და იგივე სახეა, ოღონდ სხვადასხვა გარემოებაში ვლინდებიან და ლოტის ცოლყოფილი ამ მსგავსებას იოლად ვერ ამჩნევს, თუმცა გრძნობს, ქმრისგან ხელნაკრავს, მიუსაფარსა და გზად ატორლიალებულს ახალი პატრონი გამოუჩნდა. პატრონი - თავშესაფარი ჭეშმარიტი სიყვარულისა და სათნოებისა.

ამ გამოცხადების პარალელურად კი სრული ქაოსი მოიცავს ხოლმე მას და ისტერიკულად წამოიყვირებს: "აღარ მინდა, აღარაფერი აღარ მინდა... აღარც სიცოცხლე, აღარც სიკვდილი, აღარც ის რაღაც სხვა, არც მუშაობა, არც დასვენება, არც ხალისი, რომელიც ისედაც დიდი ხანია მოკვდა..." ამგვარი ტკივილებისაგან შეჭმულმა მრავალჯერ მოიარა საიქიო, მრავალჯერ მოკვდა და ერთხელაც თითქოს ქვესკნელგავლილი თავადს უბინო მოქალაქეობის ნებართვას რომ სთხოვს, მისივე პასუხით ნასალბუნევი, სულ მალე, რწმუნდება, რომ თავადი და შავპალტოიანი კაცი ერთი და იგივეა. სახეგაბრწყინებულს მალამოსავით ედება გულზე თავადის თბილი სიტყვები: "როგორც ხატს, ისე გიყურებდი მთელი სიცოცხლე, სხვისთვის სათქვლეფი მე დასანახად მენატრებოდი".

დაგვიანებული სიყვარული ზოგჯერ თითქმის არაფრის მთქმელია. მისი ჩანასახი თუ არ განვითარებულა, რა ბედენაა მასთან შეხვედრა, ძნელად თუ იმოქმედებს დაუნდობლად გაშოლტილი ქალის სამყაროზე, მით უმეტეს ლოტის ცოლყოფილი მოთხრობის ფინალში ერთი პირობა მაცდურსა და ეშმაკს ამოიკითხავს შავპალტოიან კაცში. ოდესღაც ამ ქალის სულში მოღუღუნე ცეცხლიდან ერთი ნაპერწკალიც არაა დარჩენილი კვლავ ანთებისა, რაც არ უნდა სანდო იყოს მისი შემოძალება. მთლიანად უარყოფილია მისგან ცხოვრება და მსაჯულის წინაშე წარდგომის მოლოდინში აღმოთქვამს: "თვითეული ნაკოცნი მამხელს, — ვიფიქრე, — ყველა ნაკოცნი მამხელს და აყვირდება... ყველაფერი უკუღმა დატრიალდება, — ვიფიქრე, — დედამიწაც უკუღმა დატრიალდება, — ვიფიქრე, — მზე და მთვარეც უკუღმა დატრიალდება, — ვიფიქრე, — ვარსკვლავთა სიმრავლეც ჩამოიყრება, — ვიფიქრე, — ცოცხალი ძმებიც დამიწყდებიან, — ვიფიქრე, — შვილებიც დამეხოცება, — ვიფიქრე, — მე შავი ჭირი დამემართება და მოვკვდები სამუდამოდ".

თუმცა რამდენიმე წინადადების შემდეგ საბოლოოდ ირკვევა, რომ ლოტის ცოლყოფილს თვით უფალი გამოცხადებია, თუმცა იგი კვლავ შავპალტოიან კაცად მოიხსენიება. ქალი ბაგეებით შეეხო მის სინათლიან საფეთქლებს, " მის ნაზ თმებს, რომელიც აღარ იყო მელნისფე-

რი, შევეხე და, როცა მის თმებში სახე ჩავმალე, გული ჩამწყდა, იმ თმებს უცხო სახლის სუნი ჰქონდა".

ძნელია თქმა, რატომ დაარქვა ამ მოთხრობას ცირა ყურაშვილმა "კუჩიელას ქალი". იქნებ გამართლდეს ვარაუდი – უდარდელობა ან ყველაფრის დავიწყება ჩანს ნაწარმოების არც ერთ კადრში შემოუსვლელი გმირის ამ ერთ სტრიქონიან წამღერებაში, ანდა გაუცნობიერებლობაც იყოს იქნებ სინამდვილისა, ან საერთოდ აღარაფერზე ფიქრი. ლოტის ცოლყოფილს კი ლამის ნერვები დააწყდეს გამოულეველი უბედურებათაგან. კუჩიელას ქალი თავის არაფრისთქმელობას ერთ სტრიქონში ატევს, ეს კი ორი მოთხრობის სივრცეში კითხულობს და კითხულობს თავის ჩამოქუფრულობას.

დაბოლოს, "მასწავლე, როგორ გავხდე მწერალი". ეს მოთხრობა კარგად დადგმული სიზმარ-ცხადია. მწერლობის სწავლის მოსურნე სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის მითითებით მიაგნებს იოანის, რომელიც ითავებს გზამკვლეობას ქრისტემდე, ˙რათა სრულყოფილად აეხილოს მის თანამგზავრს გულის თვალები. მთავარი აზრი ამ სიზმარ-ცხადისა სიყვარულის ძირის მიგნებაა, უფრო სწორად, მისი მიგნებისა და ათვისებისათვის უფლების მოპოვება, რაც არც ისე იოლია. ერთი ფეხის დაკვრით იქ ვერ მიხვალ. ყურადღებით უნდა უსმინო იოანის, ვინც შესანიშნავად იცის უფლისკენ მიმავალი გზის ავან-ჩავანი. ყინულოვან სვეტიდან კვლავ ცოცხალქალად ქცეული ლოტის ცოლი, ახლა უკვე ივდითის შემართებით აღვსილი დიდი მონდომების შემდეგ ახერხებს იოანის დარიგების სწორად განხორციელებას. იგი გზადაგზა მართლად აზროვნების ანუ უფლისმიერი გულისხმიერების ჩამქოლავ მტრებს ანადგურებს თავისივე სინდისის, სინანულის, სიფხიზლისა და გონიერების წყალობით. სიზმრიდან სიზმარში, როგორც ავტორი ამბობს, გადასვლა ახალ მოულოდნელობათა, უცხო სამყაროსთან შეხვედრის სინონიმებია. ისინი მას არასდროს უნახავს ადრე და ამიტომაცაა სიზმართან გაიგივებული. რაც გინდათ ის იყოს, ხილვა, ცხადი, თუ ისევ სიზმარი, ოღონდ ნუ იქნება ხელის მოცარვა და ნამდვილი მწერლური ჟინის მაძიებელს მხოლოდ ზღაპრულ სამყაროში ნუ მოუწევს სიარული. ნამდვილობას კი უამრავი მტერი ჰყოლია. ნამდვილი და ჭეშმარიტი მხოლოდ უფალია, რომლის სიახლოვეს მაცდურსახიანი გველები დასრიალებენ, რათა ჭეშმარიტებისაკენ მავალთ გზა გადაუკეტონ. მათი შემუსვრა აუცილებელია. საკუთარ ბაღში ანუ საკუთარ დაცლილ სამყაროში შეყვანილ მგზავრს როცა იოანიმ უთხრა – "ეს ბაღი შენი დაუდევრობის გამო გადახმა, რადგან აღზევდი შენს ფიქრებში, შეჭამე შენი ფოთლები, დალუპე შენი ნაყოფი და დარჩი გამხმარი ხესავით", სიმართლე უთხრა ამით და ასწავლა, როგორ მოეწყო სათნოებათა ბაღი, რაც შეასრულა კიდეც მგზავრმა და ამით თითქმის ნახევარი მისია შესრულებული იყო, გამოიკვეთა, როგორ ემოქმედა ახალი ძალმოსილებით აღჭურვილს. წვრილ-წვრილი სარეველებისა და ქვეწარმავლების განადგურებისათვის კი არ გადაეყოლებინა მთელი შრომა, არამედ სათნოების მთავარ მტერს შერკინებოდა. " ეს იყო უმძიმესი საქმე, უძნელესი, მათ შორის, რომელიც კი მე ოდესმე მიკეთებია. თავბედს ვიწყევლიდი ამ გვირაბში, ამ ბაღში შემოსვლისათვის, იმისთვის, რომ ხელი მოვკიდე ისეთ საქმეს, რომელიც მავალდებულებდა მტრისთვის თავები კიდეც მომეჭრა, კიდეც დამეთვალა და აღმეწერა. ეს მოითხოვდა ჩემში ბევრ ივდითს, მე კი ერთი ივდითიც არ ვიყავი" – ამბობს მოთხრობის გმირი.

გარჯამ შედეგი გამოიღო, საბოლოოდ დასამარდა სიძვის გველი და ამით სამუდამოდ გადაეკეტა ცხრა კარი ქალის "მგრძნობელობით ვნებას", ცოტა ხნის შემდეგ კი ივდითის (ანუ ივდითად ქცეული მოთხრობის გმირის) მახვილით განიგმირა ოლომფრე, მთავარი სიძვის გველი, რომელიც აცდუნებდა ივდითს და უთითებდა, ჯვარს ეცვა უფალი. ასე რომ, გზა უფლისკენ გაიწმინდა, საბოლოოდ დაივანა მოთხრობის გმირმა სათნოების ბაღში, რომელსაც, ალბათ, არასოდეს დაავიწყდება თავისი მასწავლებლის ბოლო თქმა: " გაიხედე და თავადის დაქსოვილი ფარდაგები იხილე, მისი სიტყვით დაქსოვილი ხალიჩები იხილე, მისი სიტყვით შემოსილი ცა და მიწა იხილე, რადგან ის არის უპირველესი ხელოვანი, მისია პირველი სიტყვა და გეშინოდეს სიტყვის..."

მითითებული მოთხრობების ძირითადი მონახაზი თითქმის გაკეთებულია, მაგრამ მათთან განშორება ასე იოლად არ გამოვა.

ცირა ყურაშვილმა შეძლო მკითხველის განცვიფრება, რაც მისთვის დიდი ბედნიერებაა. თავგანწირული შრომისა და წვალების შემდეგ მან, გარდასახულმა თავისივე გმირებში, ჩვენს მწერლობას ახალი სიხშირე შესძინა. ცირა იმ თაობასთან ერთად წამოიზარდა, რომლის წარმომადგენლებსაც არაერთხელ ახსენებს თავის მოთხრობებში და არცთუ უსაფუძვლოდ. სწორედ მარსიანის ოთახში ანუ როგორც მწერალი ამბობს, სახელოსნოში, არაერთი მაღალმხატვრული ქმნილება წაკითხულა, რომელთა არსებობა ჯერ კიდევ არ იციან ქუთაისს გარეთ.

ახალ სიხშირეზე მოგახსენებდით. ცირამ რთული გზა აირჩია, არც ისე რთული, თვითონვე ვერ მორეოდა ან რაღაც კროსვორდული მანერებით დაებნია ვინმე. უბრალოდ, ტარანზე წავიდა, არ მოერიდა თამამად წერა და -სიმწრისაგან აღშფოთებული თავისივე თავში ამობრუნდა, შიგნიდან გაშიშვლდა. იგი პატარა მირანდულინებთან ერთად ჯიქურ დადგა ყოვლის წამლეკავი და ხახაანერწყვებული სინამდვილის წინაშე. დადგა და უშიშრად მიახალა საკადრისი სათქმელი, თანაც ძალზედ დასამახსოვრებელი მწერლური ლექსიკით, რომლის გამოყენების უფლება სწორედ იმ ღვთიური ძალმოსილებითა და ნიჭიერებით მოიპოვა, რაც თვითონვე ღმერთმა აღმოაჩენინა თავის თავში.

ცირა ყურაშვილის მოთხრობების სიძლიერეზე საუბარი ციტირებების ხარჯზე ყოველთვის დაგვაზარალებს. მათი შენობის ყოველი დეტალი მკვიდრადაა ერთმანეთთან შერწყმული და არა მგონია, რომელიმე მალე გამისაცვლელი იყოს. ამ წერილში მოხმობილი მოთხრობების სტილური ელფერის განსხვავებულობაც, ალბათ, ბევრს მეტყველებს მწერლის მრავალმხრივ შესაძლებლობებზე.

როგორც თავიდანვე ვახსენე, წიგნში რამდენიმე მომცრო მხატვრული ტექსტიცაა შეტანილი: " ნუ დაუცდი მზის ჩასვლას", "ცეკვის ჩუსტები", "სიყვარული წვიმაში", "ზეზვა და მზია" და "ჟორაზე დავწერ". მარჯვედ მიგნებული თემებია ამ ნოველებში. ღმერთო, რა პატარები არიან ისინი და... რა დიდები!



ლუის კამოენსი პორტუგალიის აღორძინების ხანის უდიდესი პოეტი და დრამატურგია (დაბადების თარიღი მერყეობს 1507, 1523 და 1525 წლებს შორის, გარდაცვალებისა დადგენილია: 1580 წელი). მის სონეტებსა და კანცონებში მკვეთრია ბედისწერის თემა, ნიშანდობლივია ტრაგიკული ელფერი, გაორება და სულიერი რღვევის ნიშნები. ხშირად სესხულობდა თემებსა და სახეებს ძველი და ახალი აღთქმიდან, ამასთან, ეყრდნობოდა ხალხურ პოეტურ ტრადიციას.

მისი უმთავრესი მხატვრული ქმნილებაა „ლუზიადები“, ჩაფიქრებული „ოდისეასა“ და „ენეიდას“ ბადალ ეპიკურ ქმნილებად, რათა ჰომეროსისა და ვერგილიუსის შემდგომ თვითონაც დაემტკიცებინა სამყაროსთვის მათი რანგის შემოქმედობა. ეს სახელწოდება — „ლუზიადები“ რას ნიშნავს? თანამემამულეებს, პორტუგალიელებს გულისხმობს, როგორც ლეგენდარული მეფის, ლუზას, შთამომავლებს. პოემა განადიდებდა ვასკო და გამას მოგზაურობას. თუმც სიუჟეტი გახვეულია მითოლოგიურ საბურველში, მაგრამ ისევე სანდოა რეალისტური დეტალების შემონახვის მხრივ, როგორც სახელოვანმა არქეოლოგმა შლიმანმა აღმოაჩინა ტროა „ილიადაზე“ დაყრდნობით.

მკვლევარებმა საგანგებო ყურადღება მიაქციეს, რომ კამოენსი ამ ეპიკურ ქმნილებაში ხშირად იხსენიებს კოლხეთსა და იბერიას, პორტუგალიის ისტორიიდან ზოგიერთ ეპიზოდს საერთოს უძებნის არგონავტების თქმულებაში მოთხრობილ ამბავთან, აღნიშნავს პომპეუსის ლაშქრობას იბერიაში, მოუწოდებს ევროპის ქრისტიან ხალხებს, დაიცვან ქართველი ერი ოსმალო და სპარსი დამპყრობლებისაგან...

ჯერ მარტო ამის გამო ვართ მოვალენი ლუის კამოენსის წინაშე, კარგად ვიცნობდეთ და ვაფასებდეთ მის პოეტურ მემკვიდრეობას.

პორტუგალიელები დიდად უმადლიან კამოენსს ენობრივი ნორმების ჩამოყალიბებასა და სალიტერატურო ენის დახვეწას, რაც უპირველესად „ლუზიადების“ დამსახურებაა.

პიესებით („ამფიტრიონის ასული“, „მეფე სელევკე“, „ფილოდემო“) ცდილობდა რენესანსული ყაიდის მეცნიერულ-ჰუმანისტური დრამის დამკვიდრებას მშობლიურ თეატრში.

საგულისხმოა, რომ კამოენსის სონეტების ქართულად ამეტყველება მოინდომა ჯემალ ინჯიამ, ამ ჟანრის ერთ-ერთმა ოსტატმა ჩვენს სინამდვილეში, სონეტებთან ერთად სონეტების გვირგვინებითაც რომ მიიპყრო მკითხველის ყურადღება და ამიტომაც ბუნებრივია ამ მცდელობის წარმატებული ნაყოფი.

„ლუზიადები“ ის საკაცობრიო ქმნილებაა, რომლის არსებობაც აუცილებელია ყველა ცივილიზებული ლიტერატურის ენაზე, და სასიხარულოა, რომ ჯემალ ინჯიას გასრულებული აქვს ამ პოემის თარგმნაც, რომლის გამოცემაც ბევრწილადაა დამოკიდებული ჩვენი სამწერლო ცხოვრების გაუკეთესებაზე, როდესაც ბამბის ჩხრიალი უკან დაიხევს ჭეშმარიტ სულიერ ფასეულობათა წინაშე.

ლუის დე კამოენსი

# სონეტები

* * *

ო, ქალბატონო, მოგახსენებთ სიტყვას უვნებელს:
დიდი მნათობი დააბრმავეს განა ლიბრებმა, —
თქვენი თვალების ბრწყინვალება მზეს ეჯიბრება,
მე მაგათ მიმცეს ტკბილ ოცნებებს და უსურვებენ.

ჩემს გონს და გრძნობებს კეთილ სიზმრებს,
აუსრულებელს.
თქვენი სიწმინდე ემბაზივით ირგვლივ ილვრება,
სამყაროს შექმნის უმაღლესი როგორც სიმღერა —
ბნელ უპეთაგან — შექმნაზე და ცოცხალ სულებზე.

მაგრამ, როგორც კი ჩემი მზერა თქვენს თვალებს ხვდება,
მრისხანე ელვა ენივთება დიდ სიამაყეს.
სწორედაც ნათელ ამ თვალებთან ომი მინდოდა,

არ იმსახურებს თუმცა ჩემი სისუსტე ქებას.
ჩემდამი თქვენი ზიზღი როცა ასე მამაღლებს,
რომ გყვარებოდით, მაშინ რაღა მომივიდოდა?!

* * *

მე, ქალბატონო, ავადმყოფი სულით დავდივარ.
ვერ მივეჩვიე მოურჩენელ ამ ჩემს იარას,
რომლისაც დღემდე ვერაფერი გამიგია რა.
ეს ყოველივე თქვენგანა მჭირს, თქვენგან, ნამდვილად.

ბევრს ტკივილები თანაგრძნობამ გაუადვილა,
მე კი შიგ სულში მიმიზნებენ სუსხის იარაღს.
ჩემი მორჩენა ვისაც ძალუძს, მან ჩაიარა.
უიმედობამ სიყვარული მიცნო ბათილად.

თქვენ მე თვალებს მჭრით და ვერ ვუძლებ ამ შემოხედვას,
ზებუნებრივი ჯადოთი მკრავთ და უფალს შევთხოვ,
შემაკაზმვინოს შურისგების ერთი მერანი.

მე თქვენ გაფრთხილებთ: მოინელებთ ამ ჩემს ოხერ თავს
გეენის ცეცხლით და გვიანღა იქნება შემდგომ
ჩემს სატირალში ერთერთ ლამაზ თითზე კბენანი.

* * *

ცაში აიჭერ, იზეიმე, ჩემო ოცნებავ,
ისეთ წუთს იშვი, რომ უკეთესს ვერაფერს იზამ.
შენ იფურჩქნები და უთუოდ მიაღწევ მიზანს,
თვალწინ რომ გიკრთის, როგორც ცისკრის გასხივოსნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდ სიმაღლეებს შეგახვედრა პატიოსნებამ
და თუ მზეც შეგხვდა, გაუსწორე თვალები მის ალს.
ისე დალაშქრე კაბადონი უსაზღვრო ცისა,
როგორც იციან არწივებმა, ლაღმა ფრთოსნებმა.

ბედისწერისგან განსაზღვრული არის შედეგი.
უკანდახევა გძულდეს, მხარში წინსვლას ედექი,
გაიმარჯვებ და უსათუოდ გიძღვნიან ქებას.

გულო, არ გინდა საგულეში უნდილად დება!
არ დაგიმალავ, სახიფათო გზაზე შედექი,
მაგრამ არ შედრკე-შენი კოჭი ალჩუზე ჯდება.

* * *

იმას რა ვუთხრა, სიყვარული ვისაც არ ესმის?!
ბოროტიაო, ვერაგიო და ცარიელი.
არ მიუგვრია ამურს მისთვის ტრფობა ძლიერი,
სხვა რა სასჯელი უნდა შეხვდეს მას უარესი?!

მაგრამ თუ იცი სიყვარულის გემო, ალერსის,
მას ვერასოდეს დაივიწყებ, ხარ მადლიერი.
ცილისწამების გადაიტანს ის ბევრ იერიშს.
ღმერთებისა და მოკვდავების რისხვის ხმა მესმის.

თუკი ავი ხარ, სიყვარულო, მოდი, იავე,
მომკალ მარტო მე, მოაშორე ჩემი თავი ტანს,
მოეშვი ყველას — ნალოთარებს და ნაქურდალებს.

მე შენს სიამეს არასოდეს გავანიავებ,
შენს სიავეს კი ჭირთა თმენით კვლავაც ავიტან
და მას ამ ქვეყნად არაფერზე დავახურდავებ.

* * *

ფარი, როგორც კი ორთაბრძოლა დავიწყეთ, ხელად
გადავისროლე და დავყარე ძირს იარაღიც.
ვთქვი, დატყვევება არ ამცდება. ბრძოლა არა ღირს.
ვინც გაგისწორებთ თვალებს, ასე მოუვა ყველას.

ჩემი შერცხვენა დაამძიმეთ, ვერ ვმალავ წყენას,
მედიდურად რომ დამცქეროდით, ვით პატარა მღილს.
ვიბრძოდი მედგრად, მაგრამ ვიცი, რა მკლავს და რა
მღლის, —
ვერ გავუძელი მაგ დამწველი თვალების ცქერას.

და ჭირვეული დამადექით თავზე, ართვალი.
დავნებდი ძალას, დაუძლეველს, კაბა-თავშლიანს,
ბედისწერისგან დაწყევლილი, არშელოცვილი.

ცას კი თავისი სამსჯავრო აქვს და სამართალი:
თქვენ გაიმარჯვეთ და დიდება არ გაგაჩნიათ,
მე დავმარცხდი და დიდებით ვარ გარშემოსილი.

* * *

რაღაც ისეთი შემეყარა, პაპანაქება
სიცხეც რომ იდგეს, უსაშველო სიცივე მიტანს.
ცრემლით ვიცინი. ცხოვრებაში ყველაფრით მდიდარს.
უეჭველია, მემუქრება გაჩანაგება.

თუ რა გრძნობები მეუფლება, მიჭირს გაგება.
ბუნდოვნად ცეცხლი მახსენდება, სითბოს რომ მგვრიდა,
სანამ სიზმრებში დავფრინავდი ნებაზე, რითაც
ვსუნთქავდი, მაგრამ გალვიძებულს მებრძვის განგება.

ვხედავ: საწუთროდ გაიწელა ერთი საათი
(სინამდვილეში საწუთროა საათი მხოლოდ),
ცა ჩამოიქცა და ღრუბლებად იქცნენ მინანი.

უკურნებელ სენს ვერ მომირჩენს ეს მასლაათი.
მჯერა კი — ვიტან ამ სატანჯველს, ბოლოს და ბოლოს,
იმის შემდეგ, რაც, ქალბატონო, თქვენ გაგიცანით.

* * *

შემოსილი გაქვთ ოქრომკედით თეთრი ხელები.
მათ სიქათქათეს, ახლაც მიკვირს, როგორ ვუძლებდი.
ხელები, მათში მინაბული ვარდის ფურცლები,
როგორ გახადეთ აგრერიგად მომხიბვლელები?

თქვენი თვალების ბრწყინვალებას ვერ შეველევი.
გადაკარგულსაც მინათებს გზას მზერა უცვლელი.
ახლოს რომ გყავდით, ამანთებდით უმალ, თუ ცრემლი
მეძალებოდა, თქვენ იყავით ჩემი მშველელი.

ასე მგონია ნაპერწკლებს ჰყრის თქვენი სიცილი,
მარგალიტების ნიჟარიდან რასაც აშუქებთ,
ხშირად ჩემს სულში რომ გაჰქონდა ჟღერა ნებივრად.

მოგონებები მანუგეშებს, მათ არ ვიცილებ.
რა მოგივათ თუ თქვენი ხილვით დამასაჩუქრებთ?
ო, ნეტავ ერთხელ თქვენთვის თვალი შემავლებინა

* * *

ო, გულკეთილო ქალბატონო, მუხლმოყრით ვდგები
მე თქვენ წინაშე. მაპატიეთ ცოდვილს შეცდომა.
მოვიწადინე უგუნურმა თქვენი შეწვდომა
და შემიყვარდით ყოვლისშემძლე ამურის ნებით.

საკუთარ თავში სულაც არ ვარ ჩამხშობი ვნების.
თქვენი ერთგული ასაზრდოებს გული ჩემს ნდომას.
თუ მაინც გნებავთ, მოჰკლათ და არ შერჩეს ეს დრო მას,
მე აგაჩქარებთ, რომ დამამხოთ ეგ მძიმე ნები.

ოლონდ ტკივილი, რომელიც სულს გიფორიაქებთ,
არ გადაიქცეს ჩვენს გამთიშველ სიცივედ, თორემ
ნუ შეიცხადებთ, ჭორებმა რომ გაინანაონ.

მერე იმ ნისლებს რა გაფანტავს, იმ ბორიაყებს —
მადლიერება დაავიწყდა ქალბატონს სწორედ
და სატრფოსათვის შეწყნარება დაინანაო.

* * *

ჰერაკლეს მკაცრი ძე დასჭრა მან, ვისაც თეტიდა
აბანავებდა სტიქსში, მერე მძლეს და ბობოქარს,
ვერ უკაწრავდა ტანს მტრის შუბი და მან როგორღაც
დაჭრა ტელეფე. გადმოუსკდა სისხლი ფერდიდან.

დაჭრილს ეს უთხრა ორაკულმა: დაგაცქერდი და
მივხვდი, ბალახის არ გიშველის წასმა, ოღონდაც
დაიჭერ ისევ იმავ ნესტრით, რაც მტერს მოჰქონდა,
ამოიკვნესე, რომ ტკივილი მოგწყდეს გვერდიდან.

მეც ტელეფე ვარ, წერამ თქვენი თავი მომგვარა,
რომ სილამაზით დაგეჭერით და მაინც მინდა,
ვიხილო თქვენი ტანადობა, მზერა, წარბები,

რომ მოვრჩე, თორემ წყალმანკიან სნეულს მოვგავარ:
(გამიმიზეზდა სიყვარულის იარა წმინდა)
მით უფრო ვხმები, რაც უფრო ბევრ წყალს ვეწაფები.

* * *

ცვილის სავარძელს მინდობილი აინთო ალი,
აღდგა, გასწორდა, შეუერთდა სიყვარულის ალს,
როცა შეხედა თქვენს მშვენებას — სიხარულისა
და სილამაზის ნაზავს, მზეს რომ სჯობნიდა ძალით.

მას არ შეეძლო, დაენახა ასეთი ქალი
და შეეწყვიტა ცახცახი და კრთომა სულისა.
სურდა, მხურვალედ მოხვეოდა ტანს ასულისას,
რომ ცხელი კოცნით დაეტოვა ნაზ კანზე კვალი.

კურთხეულია ვნება, რომლის სიცხოვლე დავა
იმ თვალებამდის, სამყაროსთან ერთად რომ თონის
სიმხურვალით მეც დამხანძრეს და გადამიარეს.

ო, თქვენ უყვარხართ, ქალბატონო, სტიქიებს თავად,
ამიტომ დასწვა თქვენს სხეულზე სანთელმა თოვლი,
თოვლი, რომლითაც გულს უთუთქავთ ადამიანებს.

* * *

ო, მშვენიერო კიბელა, რას იტყვით ამაზე:
როგორ იფრქვევა ამოდენა სიწმინდე თქვენგან,
რომ თვით ბუნება ცდილობს, რათა მუდამ და ყველგან
თქვენს სილამაზეს ირეკლავდეს, თქვენს სილამაზეს.

თავდაჯერება, როცა გიმზერთ, როგორ განაზებთ.
ამაოება ეძალება თვითეულ ჩვენგანს

და მე ვკითხულობ: უპირებს კი უფალი შექმნას
თქვენი ტრფობისგან დაზღვეულ კაცს ამ ქვეყანაზე?

გადულახავი წინალობის ვითომ დამძლევი
ამ აზრს მივადექ, მაგრამ არ ვარ გადამლახავი.
გონება გრძნობამ დამიბინდა, ჩანს, ამ თავნებამ.

თუ თავხედურად მოგეჩვენოთ ეს ნააზრევი,
შურისძიება განუმზადეთ იმ წლებს ახალი,
რა წლებიც დამრჩა წუთისოფლის ჩასამთავრებლად.

* * *

ნაიადებო, მიწას რომ რწყავთ გრილი აირით,
წყლის ბინადრებო, თქვენ ხომ თვალებს არასდროს
ხუჭავთ
და კარგად იცით, რა ღვარღვარით მეღვრება ფუჭად
სულ სხვა ნაკადი თვალებიდან, სულ სხვანაირი.

ო, დრიადებო, ტყეს მშვილდ-ისრით რომ გადაივლით,
შავი დღე უდგას ირემს, ბექზე შემომდგარს ურჩად.
თქვენ სხვა თვალებით დაგინახავთ, ისინი უჩანს
ჩემი გულის მკვლელს, გადმომხედავს როცა აივნით.

ნიმფებო, თუკი გინდათ, კაცის ტანჯვას უმზიროთ.
თქვენი მშვილდები მიატოვეთ. წყლით რომ ივსებით,
აქ მოდით, სადაც ყველა დღეა ფერნამკრთალები.

აქ მოდით, სადაც ყველა ღამე არის უძილო,
მაგრამ დაგხვდებათ ქალბატონის თვალთა ისრები
და სულ წყლიანი (ხომ გითხარით) ჩემი თვალები.

* * *

ნიმფა სილვიას ტყე-ჭალაში უსეირნია,
ჩამორჩენია სიარულში თავის დაქალებს
და ხის ერთ ტოტზე, ნიავი რომ მიმოაქანებს,
ამძვრალა თურმე ყვავილისთვის ნიმფა სილვია.

აქაურობა სხვა ადგილზე უფრო გრილია. —
ასე ჩათვალა კუპიდონმა, მანაც აქავე
დაკიდა ხეზე მშვილდ-ისარი (ტოტი აკავებს),
ჩათვლიმა, ეყო, რაც გულები გაუგმირია.

ნიმფამ იხელთა დრო, დასწია ხიდან ტოტი რამ,
(ის ტოტი იყო, სადაც ყვავილს წაეპოტინა),
მერე ჩამოხსნა მშვილდ-ისარი. იგი მისია!

ნიმფას თვალები უკვე ვნების ისრებს ისვრიან.
მწყემსებო, სანამ ცოცხლები ხართ, მსწრაფლ
აიცოცხეთ!
აქ მე დავრჩები — სიკვდილშია ჩემი სიცოცხლე.

თარგმნა
**ჯემალ ინჯიამ**

ო' ჰენრი

# მორფევსთან* ჭიდილში

ჩემი მეგობარი ტომ ჰოპკინსი დეიდისგან დიდძალი მემკვიდრეობის მიღებამდე მთელი სემესტრი სამედიცინო კოლეჯში მუშაობდა და ძლიერ თერაპევტად ითვლებოდა. ამიტომაც ვერაფრით ავხსენი ის მძიმე შეცდომა, მას რომ მოუვიდა.

იმ საღამოს ერთმანეთი მოვიკითხეთ, მერე ტომმა თავის მდიდრულ აპარტამენტებში დაბრუნებამდე ჩემთან შემოირბინა მოსაწევად და სალაყბოდ. ერთი წუთით მეორე ოთახში გავედი და უცბად ტომის ხმა მომესმა: "ოჰ, ბილი, მთლად გავლურჯდი, მაყრიალებს. მგონი, ავად ვხდები. ოთხი გრანულა ქინაქინა არ გექნება?"

"როგორ არა," - გამოვძახე ტომს. - "მეორე თაროზეა ბოთლში. ერთი კოვზი ევკალიპტის ელექსირიც დააყოლე, ძალიან რომ არ გემწაროს".

ოთახში შემოვბრუნდი. ბუხართან დავსხედით და საუბარი განვაგრძეთ. დაახლოებით რვა წუთში გულწასული ტომი უკან გადავარდა.

მაშინვე წამლების ყუთს მივაშურე და ელდა მეცა.

"ოჰ, რა იდიოტი ხარ!" - შევყვირე გულმოსულმა - "ასე როგორ გაგილაყა ტვინი ფულმა!"

თაროზე მორფის გახსნილი ბოთლი იდგა, მის გვერდით ტომს ახდილი საცობი დაეტოვებინა.

სასწრაფოდ პრაქტიკანტი ექიმი ვიხმე, სართულით ზემოთ რომ ბინადრობდა, და ორი კვარტლის მოშორებით მცხოვრებ გამოცდილ დოქტორ გეილსთან გავგზავნე, - უმდიდრეს ტომ ჰოპკინსს საიმისო არაფერი სჭირდა, მხოლოდ დამწყებ ექიმს რომ ემკურნალა მისთვის.

მალე მოხუცი გეილსიც გამოჩნდა. ტომს ძვირადღირებული მკურნალობის კურსი ჩავუტარეთ მედიცინის მთელ შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ძლიერმოქმედი წამლების შემდეგ დიდი დოზით კოფეინის ციტრატი და მაგარი ყავა დავალევინეთ და ორ სართულს შორის კიბეზე ზევით-ქვევით ვატარეთ. გეილსმა ტომს უჩქმიტა კიდეც და სახეზეც სილა შემოჰკრა - ის თავს არ ზოგავდა სავარაუდო, სოლიდურ თანხაზე გამოწერილი ჩეკის მოლოდინში. ზემო სართულზე მოსახლე ახალგაზრდა ექიმმა კი ტომს ერთი ლაზათიანი წიხლი უთავაზა და თან მომიბოდიშა.

"თავი ვერ შევიკავე," - მითხრა მან, - „არასოდეს ამომიკრავს პანჩური მილიონერისთვის. ასეთი შანსი ალბათ აღარასოდეს მომეცემა."

"ახლა უკვე არა უშავს რა, – დამამშვიდა ექიმმა ორიოდე საათის შემდეგ, – მაგრამ ერთი საათი მაინც არ უნდა დაეძინოს. ელაპარაკეთ და დროდადრო ანჯღრიეთ, რათა გამოფხიზლდეს. როცა მაჯისცემა და სუნთქვა ნორმალური გაუხდება, მხოლოდ მაშინ მიეცით ძილის უფლება. აბა, თქვენს იმედად ვტოვებ.



მარტო დავრჩი დივანზე წამოწოლილ ტომთან. საკმაოდ მშვიდად იწვა და თვალები სანახევროდ დაეხუჭა. მთელი ჩემი ძალისხმევა იქით მივმართე, რომ არ ჩასძინებოდა.

"ასე რომ, ძველო მეგობარო," – ვუთხარი – "დიდ საფრთხეს გამოგტაცეთ, კინაღამ ფეხები ფშიკე. ოჰ, ტომ, როცა ლექციებს ესწრებოდი, ნუთუ არც ერთ პროფესორს არასოდეს წამოსცდენია, რომ მ–ო–რ–ფ–ი ისე არ გამოითქმის, როგორც "ქინაქინა", ისიც ოთხგრანულიანი დოზით? შენ ფარმაცევტი უნდა ყოფილიყავი, ისე მშვენივრად ერკვევი რეცეპტების გამოწერაში! მაგრამ ამას თავი ვანებოთ, ახლა მთავარია ფეხზე დაგაყენო".

ტომმა უნიათოდ და სულელურად გამიღიმა.

"ბილ...ლი",– წაილუღლუღა მან, –"ასე მგ..გონია, ჩიტი ვარ და სა...აუცხოო ვარდის ბუჩ...ჩქებს ვუფრენ ირ...რგვლივ. ნუ მაღ...ღვიძებ. მეძინება".

ორ წუთში ჩაიძინა. მხრებში ვეცი და შევანჯღრიე.

"რას სჩადი, ტომ?"– მივაძახე მკაცრად. – "გამოცდილმა ექიმმა დაგვიბარა, რომ სულ ცოტა ერთი საათი არ უნდა დაგეძინოს. გაახილე თვალი. იცოდე, ჯერ მთლად გამობრუნებული არა ხარ საიქიოდან. გაიღვიძე-მეთქი".

მან თვლემამორეული ღიმილით შემომხედა და ღრმა ძილს მისცა თავი. მინდოდა წამომეყენებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ისევე შეუძლებელი იყო, როგორც კლეოპატრას ნემსთან** ვალსის ცეკვა - ტომ ჰოპკინსი ასოთხმოცდათვრამეტ ფუნტს იწონიდა. მალე სუნთქვა გაუჭირდა, ეს კი მორფით მოწამვლის საშიშროებას მოასწავებდა.

საგონებელში ჩავვარდი. რადგან ადგილიდან ვერ დავძარი, სხვა რამ უნდა მეღონა, თუნდაც მის გონებაზე მემოქმედა. "უნდა გავაბრაზო"- გამიელვა უნებურად თავში.

"ძალიან კარგი" - გავიფიქრე, – "მაგრამ როგორ? ტომს ვერაფერს უსაყვედურებდით. ძვირფასი მეგობარი! რა კარგი ბუნებისა იყო, გალანტური ჯენტლმენი, კეთილ-

---

*** ბერძნულ მითოლოგიაში: ძილისა და სიზმრის მომავლინებელი ღვთაება, ძილის ღმერთის — ჰიპნოსის — შვილი.**

**** ფარაონ თუთმოს მესამის მიერ ქრისტეს დაბადებამდე 1500 წელს აგებული ორი ობელისკის დასახელება, რომელთაგან ერთი ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში დგას, მეორე კი ლონდონში, ტემზის სანაპიროზე. ისინი წამოღებულია ეგვიპტიდან. კლეოპატრასთან მხოლოდ ის აკავშირებთ, რომ მისი სამეფოს დედაქალაქ ალექსანდრიაში იყვნენ აღმართულნი.**

შობილი, მართალი და სუფთა, როგორც ჭიქა წყალი! სამხრეთის რომელიღაც პროვინციიდან ჩამოვიდა. იქაურ მკვიდრთ ჯერ კიდევ აქვთ იდეალები და ეთიკის კოდექსი. ნიუ–იორკმა მოაჯადოვა, მაგრამ ვერ გააფუჭა ტომი. მას შემორჩენოდა ის ძველმოდული რაინდული პატივისცემა ქალებისადმი, რომელიც..." – ევრიკა! – თავში ერთმა აზრმა გამიელვა. ორიოდე წუთი კიდევ ვიფიქრე და გუნებაში ჩავიცინე იმ ეშმაკური იდეისათვის, ძველი მეგობრის გადასარჩენად რომ გამიჩნდა. შემდეგ მხარში ვწვდი და ვანჯღრიე მანამ, სანამ ქუთუთოები არ შეენძრა და ზანტად თვალი არ გაახილა. სახეზე ზიზღისა და უპატივცემლობის გამომეტყველება მივიღე და მისი ცხვირისკენ ორი დუიმის დაშორებაზე თითი გავიშვირე.

"მისმინე, ჰოპკინს", – მივმართე მკვეთრი და მკაფიო ტონით, – "ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით, მაგრამ მინდა იცოდე, რომ ამიერიდან ჩემი სახლის კარი დახშულია შენნაირი ნაძირალასათვის".

ტომი თითქოს ოდნავ დაინტერესდა.

"რა მოხდა, ბილი?" – მშვიდად ნაიბუტბუტა მან – "რა ბზიკმა გიკბინა?"

"შენს ადგილზე რომ ვიყო" – განვაგრძე მე – "რისგანაც ღმერთმა დამიფარა, შემეშინდებოდა, თვალები დამეხუჭა. აბა, მითხარი, რას ფიქრობ იმ გოგოზე, სამხრეთის სევდისმომგვრელ ფიჭვნარში რომ დატოვე და ამდენხანს ალოდინებ – იმ საბრალოზე, მას შემდეგ რომ დაივიწყე, რაც დიდძალი ფული იშოვე? კარგად ვიცი, რაც დაგემართა. სამედიცინო კოლეჯის უბრალო სტუდენტს ის მოგწონდა, მაგრამ ახლა, როცა მილიონერი გახდი, ყველაფერი შეიცვალა. ნეტავ რას ფიქრობს ის საწყალი სამხრეთელი ჯენტლმენების – ადამიანთა ამ განსაკუთრებული კლასის — შესახებ, ერთდროს სიკეთისათვის რომ უთრთოლებდა გულს? – ვწუხვარ, ჰოპკინს, რომ იძულებული ვარ მკვახედ გელაპარაკო, მაგრამ ისე საუცხოოდ ინილბებოდი, ისე მშვენივრად თამაშობდი შენს როლს, რომ, მეგონა, ასეთ არაადამიანურ ხრიკებზე მაღლა იდექი".

საწყალი ტომი. სიცილისგან ძლივს შევიკავე თავი, როცა დავინახე, როგორ ებრძოდა ნარკოტიკს. მიზანს მივაღწიე - იგი აშკარად გაბრაზებული იყო, რისთვისაც ვერ გავკიცხავდი. ტომი სამხრეთული ტემპერამენტით გამოირჩეოდა. მისი გახელილი თვალები ცეცხლის ორ ნაპერწკლად ენთო ახლა, თუმცა წამლისგან გონება ჯერ კიდევ დაბინდოდა და ენაბრგვილობდა.



მხატვარი გიგა ზაალიშვილი

"ეშმ...მაკსაც ნაუღიხარ",– ბორძიკით ჩაიდუდღუნა – "არ შეგარჩენ, იცოდე."

ტომი შეეცადა დივანიდან წამომდგარიყო. მთელი თავისი ბუმბერაზობის მიუხედავად ახლა ძალიან სუსტი იყო. ცალი მკლავი ზურგიდან ვკარი და კვლავ მივაწვინე. მწოლარე ტომი მახეში გაბმულ მძვინვარე ლომს ჰგავდა.

"ეს ცოტახანს გაგაჩერებს, გამოუსწორებელო ბრიყვო", – ჩავილაპარაკე ჩემთვის. მოწევა მომინდა, ავდექი, ჩიბუხს მოვუკიდე. შემდეგ ცოტა გავიარ–გამოვიარე და საკუთარ თავს მივულოცე ბრწყინვალე იდეის მოფიქრება.

ხვრინვა შემომესმა. მოვიხედე. ტომს კვლავ ჩასძინებოდა. მისკენ გავემართე და ყბაში მუშტი გავუქანე. მან იდიოტის კმაყოფილი და უწყინარი სახით შემომხედა. ჩიბუხი მოვწიე და ძლიერად ჩავარტყი.

"გონს მოდი და ჩემი ოთახი სასწრაფოდ დატოვე" – ვუთხარი ვითომ შეურაცხყოფილმა - "უკვე გითხარი, რასაც ვფიქრობ შენზე. პატიოსნებისა და ღირსების ნატამალი თუ მაინც შეგრჩენია, კარგად უნდა დაფიქრდე, სანამ კვლავ ჯენტლმენებში გაერევი. ის საწყალი გოგოა, არა?" – დავცინე – "უბრალო და ჩვენთვის შეუფერებელი მას შემდეგ, რაც გავმდიდრდებით? სათაკილოა, არა, მასთან ერთად მეხუთე ავენიუზე გასეირნება? ჰოპკინს, უკანასკნელ ხეპრეზე უარესად იქცევი. ვის სჭირდება შენი სიმდიდრე? მე ნამდვილად არა. სანაძლეოს დავდებ, არც იმ გოგოს. ფული რომ არ გქონოდა, ალბათ, ასე უღირსად არ მოიქცეოდი და" - გავიფიქრე, რომ ამის თქმა შესძრავდა – "ერთგულ გოგოს გულს არ მოუკლავდი (ტომ ჰოპკინსი და ერთგული გოგოსთვის გულის მოკვლა!). ერთი სული მაქვს, როდის მოგიშორებ".

ტომს ზურგი ვაქციე და სარკეში საკუთარ ანარეკლს თვალი ჩავუკარი. უცბად ხმაური გავიგონე და საჩქაროდ კვლავ შემოვტრიალდი - არავითარი სურვილი არ გამაჩნდა ას ოთხმოცდათვრამეტი ფუნტი სიმძიმე ზურგზე დამცემოდა. თუმცა ტომი მხოლოდ ნაწილობრივ შემოტრიალებულიყო და ერთი მკლავი სახეზე აეფარებინა. მან რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა უწინდელზე ცოტა მკაფიოდ.

"მე ა...ასე არასოდეს მოგმართავდი, კიდეც რომ გა....მეგო, რომ ხალხი ცილს გწამებს" – ტომი კვლავ ენაბორძიკობდა – მაგ...გრამ, როგორც კი წა....ამოდგომას შევძლებ, მაშინვე კ...კისერს მოგიგრეხ, იცოდე".

სინდისმა შემაწუხა. მაგრამ ამას ხომ მეგობრის გადარჩენის სურვილით ვაკეთებდი! თავი იმით დავიმშვიდე, დილით, როცა ყველაფერს ავუხსნი, მომხდარზე ერთად ვიხარხარებთ-მეთქი.

დაახლოებით ათ წუთში ტომმა ჯანსაღი მსუბუქი თვლემა იწყო. პულსი გავუსინჯე, სუნთქვას მოვუსმინე და ძილის ნება მივეცი. ყველაფერი წესრიგში ჰქონდა - ტომი გადარჩა. მეორე ოთახში გავედი და საწოლზე დავეცი.

დილას რომ გავიღვიძე, ტომი უკვე ამდგარი და ჩაცმული დამხვდა. კვლავ ძველებური ტომი იყო, მოშლილ ნერვებს და ენაბრგვილობას თუ არ ჩავთვლით.

"იდიოტივით მოვიქეცი" – წარმოთქვა ჩაფიქრებულმა. – "მახსოვს, როცა ქინაქინას ვსვამდი, ბოთლი რაღაც საეჭვოდ მეჩვენა. ძალიან შეგაწუხე, მეგობარო?"

შეწუხება ვიუარე. ტომს კარგად არ ახსოვდა მომხდარი. ჩავთვალე, რომ არც იყო საჭირო სცოდნოდა, რა ოინს მივმართე მის გადასარჩენად, და გადავწყვიტე არაფერი მეთქვა. სხვა დროს ოდესმე, როცა თავს უკეთ იგრძნობდა, ვეტყოდი, და ამაზე ორივენი გულიანად ვიცინებდით.

წასასვლელად გამზადებული ტომი გამოღებულ კარში შედგა და ხელი ჩამომართვა.

"დიდად მადლობელი ვარ, ძველო მეგობარო," – მითხრა მშვიდად – "იმისთვის, რომ ასე იზრუნე ჩემზე და იმისთვისაც, რაც მითხარი. ეხლა დაბლა ჩავდივარ, იმ პატარა გოგოს უნდა ვუდეპეშო".

ინგლისურიდან თარგმნა
**მაია ცერცვაძე**

## ახალი წიგნები

გიორგი გოგოლაშვილი

# გადარჩენილი საჩინო

ხელთა მაქვს ნინო შარაშენიძის წიგნი „საჩინოური ქართული“ (2008 წ.) საჩინო რა არის? — ერთი ლამაზი კუთხეა ქვემო იმერეთში, ვანის რაიონის ცენტრალური ნაწილი, რომელიც რამდენიმე სოფელს მოიცავს. ერთ-ერთი არის ავტორის მშობლიური სოფელი გადიდი. სწორედ აქ, საჩინოში, გადიდში, არის წლების მანძილზე ჩაწერილი ის მასალა, რომელიც ამ წიგნშია წარმოდგენილი; და რომლის ანალიზის შედეგადაც დაიწერა აქ დაბეჭდილი გამოკვლევები.

ამ წიგნში მე-20 საუკუნის 80-იანი წლების საჩინოს შეხვდებით. „თქმაი ვიცით ასე, ბებია, ქვეყანა რო დეიმშეს, საჩინომ არჩინოსო“, — უთქვამს ავტორისათვის მთავარ „ინფორმატორს“ — მის ბებიას — ნინა დვალიშვილ-შარაშენიძეს. დიდი ფირნიშიც ხვდებოდა თურმე იქ ჩასულს — „საჩინომ გადაარჩინოს!“ ჰოდა არჩენდა საჩინო, ინახავდა საჩინოურ ქართულს... დღეს აღარაა ის საჩინო, ამ წიგნში რომ არის დახატული... დღეს სამწუხაროდ სხვანაირია იმერეთი... მაგრამ ამ წიგნის წყალობით საჩინო დარჩა ისეთივე... ამიტომ სიამაყით ამბობს ავტორი: „ამ წიგნში ჩვეულებრივი, ყოველდღიურობით სავსე ჩემი საჩინოა გადარჩენილიო...“

ასეთი წიგნი ქართულ დიალექტოლოგიაში მეორე არ მეგულება. კი, მართალია, ქართულ დიალექტოლოგიას საუკუნოვანი ისტორია აქვს და ღვთის მადლით, კლასიკური ნაშრომებიც საძებარი არა გვაქვს (მარტო ა. შანიძის, ა. ჩიქობავას, ვ. თოფურიას თუ სხვათა სახელების გახსენებაც კმარა), მაგრამ როცა ვამბობ, ასეთი წიგნი იშვიათია-მეთქი, სხვა რამეს ვგულისხმობ: ეს წიგნი ანალოგიას უფრო ცნობილი მწერლის — გიორგი შატბერაშვილის — წიგნთან იპოვის. გახსოვთ, ცხადია ასეთი წიგნი — „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“... დამეთანხმებით, ესაა ჭეშმარიტად ქართველი მწერლის მიერ თქმული სადიდებელი დედაენისა... ოღონდ ეს არაა პროფესიონალი ენათმეცნიერის ნაშრომი (ეს ოდნავაც არ აკნინებს მას)...

„საჩინოური ქართული“ პროფესიონალი ენათმეცნიერის შექმნილი წიგნია... იმერეთის ერთი ლამაზი კუთხის ქართულს დაუდგა ძეგლი ენათმეცნიერმა ნინო შარაშენიძემ! საჩინოური ქართულის ძეგლია ეს წიგნი.

ნინო შარაშენიძეს დიდი ხანია ვიცნობ. ვიცოდი, რომ საშუალი ქართული ენის პრობლემებზე მუშაობდა, ქართული ენის ისტორიას იკვლევდა...

„საენათმეცნიერო საუბრებზე“ მოხსენება წაიკითხა — „წევე კავშირიანი ერთი თავისებური სახის წინადადებისათვის ქვემოიმერულში“. ოკრიბაში დავიბადე და გავიზარდე. „წევე დიდი ვინმე იყო... წევე ქე იშონება რამე... წევე ქე მაქ მეტი... წევე უკეთებდე რამეს...“ ჩემთვის ეს ფრაზები ბუნებრივია და შინაარსიც ნათელი, მაგრამ არასოდეს გამჩენია ფიქრი ამ ნაწილაკის თაობაზე.

გაოცებული დავრჩი, როცა ნ. შარაშენიძის ეს მოხსენება მოვისმინე: მახვილგონიერება მკვლევარისა, საოცრად ფაქიზი ლინგვისტური ანალიზი, ფართო გააზრება საკვლევი ენობრივი ფაქტისა, პროფესიონალიზმი ახალგაზრდა მკვლევარისა. ვთქვი მაშინაც და დღესაც ვიმეორებ: ეს იყო სამუშაო გამოკვლევა. ამაში ამ წიგნის მკითხველიც დამერწმუნება. ამ შრომით გავეცანი მის სერიოზულ ინტერესს საჩინოური ქართულის მიმართ...

უჩვეულოდ ორიგინალური წიგნია „საჩინოური ქართული“. ვთქვით, საბედნიეროდ, პირველხარისხოვანი დიალექტოლოგიური გამოკვლევების ნაკლებობას არ განვიცდით, მაგრამ ასეთი რამ არ გვხვდება ამ გამოკვლევებში: წიგნის საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი უჭირავს ზმნის უღლებისა და სახელის ბრუნების პარადიგმებს; მცირე კომენტარებით ვრცელი პარადიგმების წარმოდგენა დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას მისცემს სრულად გაიაზროს სისტემა და აქაური ქართულის დამახასიათებელ თავისებურებათა ადგილი ამ სისტემაში. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში არაა არსებითი გრამატიკული ანალიზი პარადიგმის ცალკეული წევრისა...

შემდგომში შეიძლება გახდეს ანალიზის საგანი... ეს სიახლეა დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში და საქებარი ორიგინალობა...

უდავოდ ორიგინალურია და საინტერესო წიგნში შეტანილი გამოკვლევა რელიგიურ ცნებათა შემცველი შედარებებისა და ფრაზეოლოგიზმების გამოყენების შესახებ ხალხურ მეტყველებაში. ასეთი გამოთქმები თითქმის ყველასთვის ნაცნობია:

მამაო ჩვენოსავით აქვს გაზეპირებული;
მამაო ჩვენოსავით იცის;
წავალ ახლა, მეალილოსავით ჩამოვუვლი მალაზიებს;
რჯულის კანონზე დავალაგე ყველაფერი;
ეს ჩურჩხელა იმისთანა მაგარია, ურიას რო კრა, მოაქრისტიანებს.

რა არის აქ „საჩინოური?“ დიალექტური? თითქმის არაფერი. ესაა საჩინოში დადასტურებული ხალხური გამოთქმები, რომლებიც სხვა კუთხეებშიც შეიძლება შეგვხვდეს... აქ საინტერესოა ამ მასალაზე გაკეთებული დასკვნები: ხალხის მსოფლმხედველობაზე რა გავლენას ახდენს რელიგიური ცნობიერება. საზოგადოების ქცევის ნორმები როგორაა განპირობებული რელიგიური ცნობიერებით. „კოლექტივის აზროვნება და ენის ბუნება“ როგორ წარმოჩნდება ფრაზეოლოგიზმებში და მისთანანი...

დიახ, ავტორი საჩინოში ჩაწერილი ფრაზეოლოგიზმებისა და ხალხური გამოთქმების მაგალითებით საუბრობს ამ უაღრესად საინტერესო საკითხებზე.



*ნინო შარაშენიძე*

ვამბობთ: დიალექტი არის სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო. აქ არ იგულისხმება წმინდა დიალექტიკური ფორმები, მხოლოდ ლექსიკური ერთეულები... ენას ამდიდრებს ყოველივე ის, რაც ამა თუ იმ კუთხემ, სოფელმა, უბანმა შემოინახა: ესაა ფრაზეოლოგიზმები, ლოცვები თუ ანდაზები, ლექსი თუ თქმულება, ლეგენდა თუ ზღაპარი...

და ეს ძალიან კარგად დაადასტურა ამ წიგნმა, თუ რა სიმდიდრეა ხალხური მეტყველება. ჩვენთვის ვაზუსტებთ: ეს არაა მხოლოდ საჩინოური; ესაა საჩინოში დადასტურებული, საჩინოში ჩაწერილი სიმდიდრე ქართული ენისა. რაც უფრო მეტი იქნება მსგავსი მასალა, მით უფრო მდიდარი იქნება ქართული ენა!..

სიახლე არაა, მაგრამ უდავოდ ამშვენებს წიგნს „ნაწყვეტ-ნაწყვეტი“ ფრაზები და ყურმოკრული საუბრები...“ 20-25 წლის წინათ ჩაწერილი ეს ფრაზები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როცა, საუბედუროდ ჩვენდა, ქართული სოფელი თითქმის დაიცალა... თურმე საჩინოში ცოტალა შემორჩა ასე მოსაუბრე... ის საფრთხე, რომელიც ქართულ სოფელს დღეს დაემუქრა, საჩინოსათვის მწარე სიმართლეა: აღარც ასე საუბრობენ და არც ამ თემებზე საუბრობენ — დაცარიელდა ქართული სოფელი (როცა წიგნის წარდგინებაზე ამ თემაზე ვსაუბრობდი, დათო ტურაშვილმა იხუმრა — სამაგიეროდ არიზონას შტატში შეიქმნა კომპაქტური ქართული დასახლებაო...).

წიგნის ამ მონაკვეთს რომ ვკითხულობდი, თავი ჩემი ბავშვობის იმერეთში მეგონა და იმ ღიმილს ვხედავდი, ის ეშმაკური სიცილი, ის ქირქილი, ის ჯანსაღი იუმორი მესმოდა და იმ თვალის ჩაკვრასაც ვხედავდი, იმერელს რომ ახასიათებს...

საოცარი გემოვნება და კულტურა მასალის შერჩევისა და დალაგებისა... ეს კლდიაშვილის იმერეთია, ნიკო ლორთქიფანიძის იმერეთი.

ამ საუბარში გვერდს ვერ ავუვლი ფრაზეოლოგიზმებს. საოცარი ფრაზეოლოგიზმებია, იმერული ხასიათების გამოვლენა:

ააყუდა ყალიონი...
აქედანა და აჭარა...
ყვაჭიჭე გამეიყვანა თავში...
ძვალმოტეხილი წყალი...
ნანათხორები ნუთისოფელი...
და სხვა და სხვა.

რას ნიშნავს ეს გამოთქმები? საჩინოში რას გულისხმობენ? ამ კითხვებზე პასუხს წიგნი გაგცემთ კულტურულად შერჩეული ილუსტრაციებით, მაგალითებით... ხალხური აზროვნების მეტაფორულობის, სიცხადის, სიღიადის ნიმუშია ეს ყოველივე.

საინტერესო სიახლეა და ორიგინალობა თემატურად დალაგებული ფრაზები და გამოთქმები: მასალები სახელის მრავლობითობის გამოხატვისათვის ზმნაში; მასალები სტატიკურ ზმნათა ფორმაწარმოებისათვის... მახვილი თვალის ლინგვისტის მონაგონია ეს და საინტერესოც... ანალიზი შემდეგი საქმეაო... მე მახსენდება: ერთი ლინგვისტისათვის უკითხავთ, ასეთი და ასეთი ფორმა ხომ არ შეგხვედრია ძველ ქართულშიო და პასუხად მიულია: კი მაგრამ ეს ვალუტააო და არ უთქვამს სად შეხვედრია, რომელ ძეგლში...

ნინო შარაშენიძეს ამისი არ ეშინია. მასალა გამოაქვეყნა; სხვამაც იფიქროს და თუ დასჭირდება, გამოიყენოსო...

დიდი ნაწილი წიგნისა ქვემოიმერულის სალექსიკონო მასალაა (გვ. 305-475). ქვემოიმერული ლექსიკა შესწავლის საგანი არაერთგზის ყოფილა; მარტო ამ სახელების გახსენებაც ბევრის მთქმელია ენათმეცნიერთათვის: ი. ქავთარაძე, ქ. ძოწენიძე, პ. გაჩეჩილაძე, ვ. ბერიძე, პ. ჯაჯანიძე, მ. ალავიძე... ყველა არსებული ლექსიკონის გათვალისწინებით შედგა ეს 170 გვერდიანი ლექსიკონი ოსტატურად, მაღალი პროფესიონალიზმით შერჩეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუსტრაციებით. აქ წარმოდგენილია ისეთი სიტყვები, რომელიც არაა დადასტურებული სხვა ლექსიკონებში, ანდა განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ყოველივე ეს ძვირფასი შენაძენია ქართული ლექსიკოლოგიისა...

ამ თითქმის 500-გვერდიან წიგნში დიდად საინტერესო სხვაც ბევრი რამეა; თუნდაც დარგობრივი ლექსიკა, ლოცვები და ხალხური ლექსები, ონომასტიკისა და ტოპონიმიკის მასალები, გაბმული ტექსტები... ფოლკლორისტი თუ ეთნოგრაფი, ლიტერატორი და ენათმეცნიერი თავისთვის საინტერესო არაერთ ფაქტს იპოვის ამ წიგნში...

ეს წიგნი არის ნინო შარაშენიძის ერთგვარი ანგარიშგება მშობლიური სოფლის, მშობლიური გარემოს, მშობლიური ენის, მშობლიური კულტურის წინაშე. სტუდენტი გოგონას გაუწაფავი ხელით ჩაწერილი მასალა თუ პროფესიონალი ენათმეცნიერის თვალით დანახული იმერეთია ამ წიგნში წარმოდგენილი... მე-20 საუკუნის დასასრულის ქვემოიმერეთია ამ წიგნში დახატული... იმერეთი თავისი განუმეორებელი იმერლებით...

გადარჩენილი საჩინოა ამ წიგნში. და ეს წიგნი დასტურია იმისა, თუ რა საშური საქმეა სოფელ-სოფელ, კუთხე-კუთხე აღწერა საქართველოსი.

გვაქვს წიგნი თვალადურ ქართულზე...

გვაქვს წიგნი საჩინოურ ქართულზე...

მინდა ბევრი ასეთი წიგნი!..

---

იზა ჩანტლაძე

# სულის საოხი წიგნი

ლექსემა სა-ჩინ-ო ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობისაა, მათ შორისაა „სხივიც“, „გონებაც“. მართლაც თვალისჩინივით გამორჩეული ნაშრომი შექმნა და ქართველოლოგებს საახალწლოდ არაჩვეულებრივი საჩუქარი გვიძღვნა ნინო შარაშენიძემ. სახელოვანი წინაპრებისადმი საოცარი სიყვარულით გამთბარი სტრიქონებიდან მკითხველის თვალწინ ილვრება უცხოენოვან სამყაროთა არასასურველ გავლენას აცდენილი ქართული მეტყველება, რომელსაც გადაშენება არ უწერია, თუ „საჩინოური ქართულის“ მსგავსი მკვლევრები და მასზე მოსაუბრე ადამიანები გვეყოლებიან.

ავტორის მშობლიური სოფლის — გადიდის მკვიდრთაგან ჩაწერილი ტექსტებია წარმოდგენილი მრავალწლოვანი რუდუნებით შექმნილ წიგნში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტერდისციპლინარული (ლინგვოკულტუროლოგიური) თვალსაზრისით. 475 გვერდის მომცველ ნაშრომში დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ანალიზია მოცემული და ამომწურავადაა განხილული სრულიად ბუნებრივ პირობებში მოპოვებული უხვი საილუსტრაციო მასალის არაერთი ფონოლოგიურ-გრამატიკული თავისებურება, სინტაქსური კონსტრუქცია თუ სპეციფიკური ლექსიკა. ამ მხრივ გამოვყოფდით „ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებსა და ყურმოკრულ საუბრებს“, რომლებშიც არაერთი მივიწყებული ქართული სიტყვაა გაცოცხლებული.

ცნობილია, რომ გრძელ ხმოვანთა სისტემა, როგორც ფონოლოგიური ღირებულების მოვლენა, ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანურს ახასიათებს (შდრ. ბალსზემოურ-ლაშხური მა-რე „კაცი“, ერთი მხრივ, და მარე „მაგრამ“, მეორე მხრივ), თუმცა კომპენსატორული თუ ინტონაციური სიგრძე შეინიშნება მთიულურ, მესხურ-ჯავახურსა და აჭარულ დიალექტებში (არნოლდ ჩიქობავა, ქეთევან ძოწენიძე, ბესარიონ ჯორბენაძე, კლარა კუბლაშვილი, შუქრი ნიჟარაძე...). ნინო შარაშენიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გამოავლინა კონკრეტული პოზიცია: — მდე/-მდის თანდებულიან ფორმებში, სალიტერატურო ქართულის საპირისპიროდ, ვითარებითი ბრუნვის მორფემის თანხმოვნითი ელემენტის დაკარგვის კომპენსაცია იძლევა ა (ჩვეულებრივი) და ე, ო (შედარებით იშვიათად) ხმოვანთა დაგრძელების შთაბეჭდილებას, მაგრამ იმის გამო, რომ ხმოვანთა სიგრძე ქართულში არარელევანტურია, ქვემოიმერულ მონაცემთა ფიქსაციისას ანალოგიურ შემთხვევებში ორი იდენტური ხმოვანია ხოლმე წარმოდგენილი (წელ-ა-ა-მდი, ღელე-ე-მდი...) — გვ. 88-94.

სამართლიანად აღნიშნავს მონოგრაფიის ავტორი — ქართული დიალექტოლოგიის კურსის ერთ-ერთ შესავსებ სფეროს პარადიგმების აღწერა წარმოადგენსო (გვ. 43) — და ამის დასტურად გვთავაზობს ქვემოიმერული ბრუნება-უღვლილების პარადიგმატულ ერთეულთა თავისებურ სისტემას, რომელშიც სხვა დიალექტებისაგან განსხვავებული პროცესები მიმდინარეობს; ერთ-ერთი მათგანია - დ - თანხმოვნის ჩავარდნა -ოდ სავრცობიანი ზმნების უღლებისას (უ-ძახ-ო-ი-თ, დე-ვ-ი-არ-ებ-ო-ი...).

საინტერესოდ გვეჩვენება სტატიკურ ზმნათა პარადიგმები, განსაკუთრებით კი მათი აწმყოსა და ე.წ. IV სერიის ფორმები — ერთ-ერთი ურთულესი უბანი ქართველოლოგიისა (გვ. 65-70, 298).

დიალექტი რომ ლექსიკური მარაგის ამოუწურავი წყაროა, რომელშიც შესანიშნავად ვლინდება ენობრივი ფენომენის ყველა პოტენციალი, კარგად ჩანს ნინო შარაშენიძის მონოგრაფიის ერთი თავიდან; მასში განხილულია ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებული ლექსემები ალ-ხუმ-ა/ა-ხმ-ა („ალება, ალმართვა“), რომელიც უკვე კარგა ხანია მივიწყებულია თანამედროვე მეტყველებაში, მაგრამ მათ შესაძლოა „უკავშირდებოდეს ერთმანეთისგან ძალზე დაშორებულ ქვემოიმერულ და ქიზიყურ დიალექტებში დღემდე დაცული სიტყვა ახმი („ფეხის ტერფის უმაღლესი ნაწილი, ფეხის ზურგის სიმაღლე“) — ზუსტი ქართული შესატყვისი რუსიციზმისა „подъём“.

ყველასათვის მისაბაძია მშობლიური (იმავდროულად სახელმწიფო) ენის საოცარი სიყვარულით გამთბარი მოკრძალებული მსჯელობა ავტორისა: „ახმი ისევე კონკრეტულად წარმოაჩენს აღსანიშნ ობიექტს, როგორც ჩვენთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიულებელი ბარბარიზმი..., მაგრამ ენას თავისი კანონები აქვს. იგი თავად ქმნის ლექსიკურ მარაგს. ენის ნორმალურ მდინარებაში ჩარევა ერთობ ძნელია, მაგრამ არაერთხელ ყოფილა იმის მაგალითიც, როცა მის წიაღში თავშენახული სიტყვა გამოუმზეურებიათ ერთეულ ადამიანებს და მერე იგი საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვად ქცეულა. ჩვენ ამგვარი თამამი განზრახვა არ გვაქვს, მაგრამ მორიდებული სურვილი მაინც გვიჩნდება იმისა, რომ დიალექტის ვიწრო ჩარჩოებიდან გამოვიტანოთ სიტყვა და სამზეოზე დავდოთ. ჩვენ მიმწოდებლის როლი ვიკისრეთ მხოლოდ, დანარჩენს კი თავად ენა გაარკვევს... ქმედების მიზანი კეთილია — ბარბარიზმის ნაცვლად ქართული სიტყვის დამკვიდრების უდიდესი სურვილი" (გვ. 101 — ხაზი ჩვენია, ი.ჩ.).




„საჩინოს ქართულში" წარმოდგენილი სიკეთით, სიყვარულითა და მადლით აღსავსე ტექსტები თუ მათი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი გამოადგებათ არა მხოლოდ ენათმეცნიერებს, არამედ: ისტორიკოსებს, გეოგრაფოსებს, ფოლკლორისტებს, ეთნოლოგებს, სამედიცინო დარგისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს, რელიგიის მკვლევრებს.

არეალური ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება ერთი „არეკის" (ბელთაძეებმა ძროხა კინაღამ სხვენზე რომ აიყვანეს დასაკლავად) ორი სხვადასხვა ვარიანტი. წიგნის ავტორს მივაწვდით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურიას მიერ 1939 წელს გამოცემული სვანური პროზაული ტექსტების პირველ ტომში დაბეჭდილია ერთი სალაღობო — ეს გახლავთ („ხარის დაკვლა სხვენზე"), რომელშიც მოთხრობილია ლაბსყალდელთა მიერ ხარის სხვენში აყვანის ამბავი, რადგანაც თურმე იქ იდო მისი დასაკლავი დანა. როგორც ჩანს, მსგავსი რამ საჩინოელებს არ გაუმეორებიათ გამჭრიახი პატარძლის წყალობით.

ერთი და იმავე ტექსტის ორივე ვარიანტი (სხვადასხვა ინფორმატორის გადმოცემული — გვ. 187 და 190) ყურადღებას იქცევს როგორც ფონოლოგიური, ისე მორფოსინტაქსური და ლექსიკოლოგიურ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით: პირველ მათგანში გვხვდება თავანი, ხოლო მეორე მთქმელი შემდეგ განმარტებას აძლევს ტექსტის ჩამწერს: „სხვენს უძახოდნენ უწინ, ი თავანი როა აკრული ახლა". მართლაც ასეა! *სხუან — არქეტიპი აღდგება მხოლოდ ქართულ-მეგრულ-ლაზურ ენათა დონეზე (ნიკო მარი, ზურაბ სარჯველაძე, ჰაინც ფერნიხი...), რადგანაც სვანური ცხუენ, კარლ ჰორსტ შმიდტის თვალსაზრისის მიხედვით, ნასესხებია ქართულიდან (შდრ. შგილ), თუმცა გიორგი კლიმოვი საერთოქართველური დონისთვის ვარაუდობს *სხუენ — ძირს. რაც შეეხება თავანს, ის ჩვენთვის ცნობილ არცერთ ძველ ქართულ ტექსტში იხმარება — შესაბამისად, არც სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაშია" დადასტურებული.

საანალიზო რეგიონში რომ ოდესღაც ზანურენოვანი („მეგრელიას") მოსახლეობა ცხოვრობდა, ეს შესანიშნავად ჩანს ნინო შარაშენიძის მიერ წარმოდგენილ ტოპონიმთა ანალიზისას (გვ. 299-304) და ცალკეულ სიტყვათა ეტიმოლოგიებში (გვ. 77-87), სადაც ახლებურადაა გააზრებული ქართველურ ენათა მონაცემები — თითქოს მართლაც ახალი სხივითაა გაბრწყინებული სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე არსებული შეხედულებები; საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ მცენარის სახელწოდება ო-ნ-ტკოფ-ა, რომლის ძირი შედარებულია ძველ ქართულ ტკუელფ-ვ-ა („დასკდომა, დაკოჟრება"), მეგრულ გე-ნ-ტყვაფ-ა და სვანურ ლი-ტყბ-ე (შეწვა, შებრაწვა") ლექსემებთან. მშვენიერი დაკავშირებაა, თუმცა ავტორისათვის ზოგადად დამახასიათებელი მოკრძალებული სტილით (მხოლოდ საკითხის დასმის წესით!) წარმოდგენილი. თუ გავიხსენებთ ლენტეხური დიალექტის ფორმას ლი-ტყა-ბი, მაშინ მსჯელობა საერთო ქართველური ფუძეენის დონეზე უფრო საინტერესო და დამაჯერებელი გამოვა.

ყურადღებას იქცევს ნინო შარაშენიძის მიერ ქვემო იმერეთში ფიქსირებული ფრაზეოლოგია (გვ. 126-136) და არა მხოლოდ ცალკეულ ლექსემათა, არამედ გარკვეულ მნიშვნელოვან სინტაგმათა შემცველი ლექსიკონი (გვ. 305-475), რომლებიც დღემდე ქართველოლოგიაში ცნობილ ყველა ლექსიკონთანაა შედარებულ-შეჯერებული. ზოგ გამონათქვამში არეკლილია ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართი ისტორიის ქარტეხილები:

ალიე და ოსმანე ორვე თათარია („ორივე თანაბრად ცუდია")

ნანათხორები წუთისოფელი (ე.ი. „ამქვეყნიური ცხოვრება")

სამოყვრო გზა (ე.ი. „ძალიან შორსაა")

და სხვა მრავალი.

წიგნში არაერთხელაა დასმული და ხშირ შემთხვევაში სწორადაა გადაწყვეტილი თეორიული, ზოგადლინგვისტური საკითხები.

უკანასკნელ ხანებში საქართველოში წარმოქმნილი უმძიმესი სოციალ-პოლიტიკური ვითარების გამო, სხვა სოფლებივით შეთხელდა საჩინო; ამ წიგნში წარმოდგენილი მთქმელებიც უკვე კარგა ხანია „სულეთს" გადასახლდნენ, მაგრამ ჩვენს და მომავალ თაობებს სამაგალითოდ დარჩა დიდებული მეტყველება, რომლითაც ქართველი ხალხის ათასგვარი ჭირ-ვარამი თუ, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, ნათელი იუმორით გასხივოსნებული ჩვეულებრივი ყოფა-ცხოვრებაა გადმოცემული.

„საჩინოურ ქართულს" ნინო შარაშენიძე „თავისი ცხოვრების წიგნს" უწოდებს, ამიტომაც მაღაზიებში დასადებად არ ემეტება — „მთელი ტირაჟი უნდა გავაჩუქოო"; ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს შესანიშნავი ნაშრომი ქვემო იმერეთის ერთ-ერთი უსაჩინოესი მხარის ცხოვრების წიგნიცაა, რადგანაც მისი შემქმნელი მთქმელები, რომელთაგან დღეს ცოცხალი აღარავინაა, სულ ამას ამბობდნენ: „ერთი კალათე მიწა ვარ და რეიტო ვაწყენიო ვინმეს?.." (გვ. 259) — ეს იყო მათი ცხოვრების კრედო! ვაგლახ, რომ ზოგი ჩვენი თანამედროვე თანამემამულე კარგა ხანია ვეღარ სწვდება ამ ფრაზის ფილოსოფიურ სიღრმეს!

თეკლე ჯანელიძე

# „მე პირს არ ვიბან, ლოყაზე გალაქტიონმა მაკოცა"




გამომცემლობა "ინტელექტი" განაგრძობს წიგნების გამოცემას სერიით "პოეტის 100 ლექსი." 4 თებერვალს გაიმართა ამ სერიის მორიგი კრებულის, ვახტანგ ჯავახაძის წიგნის წარდგინება. შეხვედრას უძღვებოდა კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე. მან აღნიშნა, რომ სასიამოვნოდ უკვირს ხოლმე ავტორის გონებამახვილობის ფეიერვერკის ხილვა, რომელიც არ მთავრდება. ბატონ ვახტანგს მიესალმა და წიგნის გამოცემა მიულოცა ბავშვობისა და სტუდენტობის მეგობარმა ჯანსუღ ჩარკვიანმა. მან ამასთან მადლობა გადაუხადა "ინტელექტის" მესვეურებს ამ უთუოდ კარგი პროექტისთვის.

ავტორმა გაიხსენა, რომ როცა თავისი ახალგამოცემული "უცნობი" წააკითხა ბესიკ ხარანაულს, მან უთხრა: "აწი შენ დაგივიწყებენ, როგორც პოეტს და ყოველთვის იქნები "უცნობის" ავტორიო". ეს წინასწარმეტყველება ნაწილობრივ ახდა, ხოლო როცა მის ლექსებს გაიხსენებს ვინმე, ბატონი ვახტანგი თურმე ორმაგად ბედნიერია. მან გულწრფელი მადლობა გადაუხადა გამომცემლებს ოპერატიულობისა და საერთოდ, კარგი საქმეებისთვის. სხვათა შორის, ისიც აღნიშნა, რომ — ძალიან გაუჭირდა 100 ლექსის ამორჩევა, თუმცა დასძინა, რომ გალაქტიონის გარდა — ყველა პოეტისთვის საკმარისია ლექსების ეს რაოდენობა, რათა მკითხველს საუკეთესოდ გააცნოს თავი. ამიტომ, სასურველია, ასეთი წიგნები თვით ავტორმა შეადგინოს, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოხდა.

ტარიელ ჭანტურიას განსხვავებული შეხედულება ჰქონდა იმის შესახებ, თუ რამდენი ლექსი სჭირდება ამა თუ იმ პოეტს საკუთარი პოეზიის, ხმისა და ფერის სრულად წარმოსაჩენად. მაგრამ ისარგებლა კონფუცის სიბრძნით, რომელიც გვეუბნება, 60 წელს გადაცილებულმა ადამიანმა აღარ უნდა იკამათოსო, და ამ თემაზე საუბარი აღარ გააგრძელებია. ბატონი ტარიელი გადამდები დამაჯერებლობით ბრძანებდა, პოეზია არასოდეს არ მოკვდება, თუ ოდესმე ლექსის ავტორმა დაკარგა, ის მაინც იცოცხლებს კინოში, თეატრში, შოუშიო... მანვე დიდი კმაყოფილება გამოთქვა ამ სერიის დაარსების გამო, პოეზიის გამოსარჩლებად მიიჩნია და ისიც აღნიშნა, რომ ამ სერიის ლოგიკურ დასასრულად ქართული პოეზიის ანთოლოგია ესახება.

ფრიდონ ხალვაშმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ როგორც წყალი აცოცხლებს, და აშრიალებს ფოთლებს, ისე აცოცხლებს, ყოფას უფერადებს და უხანგრძლივებს სიცოცხლეს ვახტანგ ჯავახაძის ლექსები.

ერთგულმა მკითხველმა, ჟურნალისტმა ვილენ მარდალეიშვილმა ისიც კი გაიხსენა, თუ რა ერქვა ბატონი ვახტანგის პირველ წიგნს –"საყვარელი ქარები".

ავტორმა დამსწრე საზოგადოებას თავისი რამდენიმე, ყველაზე საყვარელი ლექსი წაუკითხა. ბატონ ვახტანგს საკუთარი ლექსით მიესალმა ციალა ხუციშვილი.

იოსებ ჭუმბურიძის თქმით, პოეზია ისაა, რაც ახსნას არ ექვემდებარება. ლექსის იმდენნაირი წაკითხვა და გააზრება შეიძლება, რამდენი ადამიანიც არსებობს. ნიჭიერება ამართლებს ყოველგვარ რისკს. საკუთარი ხელწერა კი, რომელიც ვახტანგ ჯავახაძეს სხვათაგან გამოარჩევს, სწორედ ნიჭიერებითაა აღბეჭდილი. ხოლო იმათ, ვინც ვახტანგ ჯავახაძის ფასი არ იცის, პოეტისავე სიტყვები შეახსენა –"და თუ გეპატარავები, შეაბრუნე ჭოგრიტი".

როსტომ ჩხეიძეს მწერალში მაძიებლობის ჟინი ხიბლავს. ამ ნიჭით გამორჩეული პოეტია ვახტანგ ჯავახაძე. გადაშლი მის ლექსებს და უთუოდ წააწყდები ეფექტურ, მოულოდნელ ფრაზას, აზრს, რითაც გიზიდავს და გაჯადოებს მწერალი. თვალშისაცემია მისი ლექსების სიღრმე და იუმორი. ბატონმა როსტომმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ვახტანგ ჯავახაძის "უცნობზე" და პოეტს საჩუქრად გადასცა გალაქტიონოლოგიის მეოთხე ტომი, რომლის ერთ-ერთი ავტორი ვახტანგ ჯავახაძეცაა.

გივი ალხაზიშვილმაც მადლობა გადაუხადა "ინტელექტს", გაიხსენა გასული საუკუნის 60-იანი წლები, ერთმანეთთან მეგობრობის ჯაჭვით დაკავშირებული პოეტები, რომლებიც კიდეც ჰგავდნენ ერთმანეთს და, როცა საკუთარი ხმა იპოვეს, კიდეც გამოირჩნენ განსაკუთრებული ფორმითაც და შინაარსითაც. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი ვახტანგ ჯავახაძე, - აღნიშნა მან.

მაკა ჯოხაძეს ვახტანგ ჯავახაძის პოეზია ყოველთვის აინტერესებს, რადგან მუდამ რაღაც სიახლეს აღმოაჩენს ხოლმე მასში. პოეტის მიმართება სიტყვასთან მას ბავშვურ თამაშს აგონებს. ბატონ ვახტანგს შენარჩუნებული აქვს მნიშვნელოვანი განძი –ბავშვობა.

გივი შაჰნაზარმა ისაუბრა ვახტანგ ჯავახაძეზე, როგორც პიროვნებაზე, რომელიც მისაბაძი ადამიანი, საუკეთესო ოჯახის პატრონი, ყოველთვის გაწონასწორებული და მართალია. დასძინა ისიც, ბატონი ვახტანგი უთარგმნელი პოეტია, ის ქვეტექსტები, განუმეორებელია და სხვა ენაზე ზუსტად ვერ გადავა.

დასასრულ პროექტის ავტორმა, კახმეგ კუდავამ მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას, ავტორსა და საერთოდ მკითხველს, რომელთა ინტერესმა ბევრწილად განსაზღვრა ამ სერიის დონეც და გამოცემის ტემპიც.

# რა ღირს სიყვარული?

ჰოლივუდის ბრჭყვიალა ულელში შებმული სკოტ ფიცჯერალდი იძულებულია გამუდმებით განუმარტავდეს თავის წამოჩიტულ ასულს, რომელიც სახელგანთქმული მამისგან გაუთავებლად ითხოვს ჯიბის ფულს, დოლარები და ცენტები ციდან არ ცვივაო.

დახეთ, როგორი ანგარიშიანი გამხდარა „სატერდეი ივნინგ პოსტის“ მსუყე ჰონორარებით (თითო მოთხრობაში — 3500 დოლარი) ერთხანს განებივრებული მწერალი, ათი წლის წინათ პარიზის რესტორნებსა და ბარებში დაუთვლელად და უანგარიშოდ რომ ფანტავდა ფულს. მაშინ რატომ არ ფიქრობდა, დოლარები ციდან არ ცვივაო?! ცხოვრებამ, ჩანს, მასაც აგემა თავისი ულმობელი ბრჭყალები.

18 წლის სკოტის (ასე ეძახდა თავის ასულს) სწერს: ჩემო ტკბილო, ვიცი, უწინარეს ყოვლისა, თვალი გაგექცა ჩეკში აღნიშნული თანხისაკენ, მაგრამ არ ვაპირებ ფულზე გელაპარაკო, ძალიან დაღლილი ვარ და შენთან კამათი გამიჭირდებაო.

ჰოლივუდის ულელში შებმული სკოტ ფიცჯერალდი, ავტორი XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო რომანისა, „დიდი გეტსბი“ რომ ჰქვია, 1938 წლის შემოდგომაზე სწერს თავის ასულს: „ჩემო სკოტი, უსაშველოდ დაკავებული ვარ. ორ კვირაში უნდა ჩავაბარო „მადამ კიურის“ სცენარი და გადაწყდება, განაახლებენ თუ არა ჩემთან კონტრაქტს. გასაგებია, რომ ვირივით ვმუშაობ, თუმცა შენ, შესაძლოა, ეს არც გესმის. განსაკუთრებით მღლის აუცილებლობა, რომ უნდა ავუხსნა ჩემს თავქარიან შვილს ის, რაც აუხსნელადაც ცხადი უნდა იყოს“.



სკოტ ფიცჯერალდი შვილთან ერთად

ცოლი — ფსიქიატრულ კლინიკაში (ე.ი. საგიჟეთში), შვილი — პრესტიჟულ კოლეჯში. მუქთად არავინ უმკურნალებდა ზელდას, მუქთად არავინ ასწავლიდა სკოტის.

საყვედურობს შვილს, თამბაქოს წევა დაგიწყიაო; საყვედურობს, იმაზე მეტს ხარჯავ, ვიდრე გაქვსო.

არწმუნებს: „შენ რეგულარულად იღებ შენს ყოველკვირეულ 13, 85-ს. თუკი ამაში ეჭვი გეპარება, მზად ვარ, გამოგიგზავნო ჩემი ჩეკების ასლი“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

ენატრება შვილი. დიდიხანია, აღარაფერი ისმის შენგან და გთხოვ, ორიოდე სიტყვით მაინც მომწერო, ყველაფერი რიგზეა თუ არა, მინდა ვიცოდე, ხომ არ ავადმყოფობ, როგორ მიდის სწავლის საქმე და როგორ გუნებაზე ხარო.

15 წლისა რომ იყო, სკოტის მოთხრობა დაუწერია! მამა ამხნევებს, ცხვირს ნუ ჩამოუშვებ, უხეირო რომ გამოვიდაო. რა ვქნა, ყასიდად ვერ შეგაქებო.

პოლიტიკაზეც კი ელაპარაკება: ძალიან მეწყინება, თუკი შენ ნაცისტთა მხარეზე აღმოჩნდები ანდა იმათთან, ვისაც წითლები სძულსო.

უკიდურესი (და ალბათ უადგილო) გულახდილობა: დედაშენი ცოლად რომ შევირთე, შეცდომა იყოო!

ისევ და ისევ საყვედურობს: ორი წელიწადი სრულიად უქმად გაატარე, არც გონებრივად ვითარდები და არც ფიზიკურად, აუტანელია იმის ყურება, თუ როგორ სულელურად და უმსგავსოდ ფლანგავ დროსო.

აუწყებს, როდესაც ვხედავ შენს სერიოზულ მისწრაფებას, სერიოზული ცხოვრების ნადილს, მთელს ქვეყანაზე არავინ არის, ვისთანაც ყოფნა შენთან ყოფნაზე უფრო მენატრებოდესო.

1940 წლის დამდეგს სწერს შვილს: „შენი წყალობით ამ კვირაში ცოტაოდენი ფული ვიშოვე. გავყიდე ეკრანიზაციის უფლება მოთხრობაზე „ისევ ბაბილონი“, სადაც შენ ერთ-ერთი პერსონაჟი ბრძანდები. ამ მშვენიერ მოთხრობაში ულირსი თანხა გადამიხადეს, ის დამამცირებელია ჩემთვისაც და შენთვისაც, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა დავთანხმებულიყავი“.

„ისევ ბაბილონი“, ალბათ, საუკეთესო მოთხრობაა ფიცჯერალდისა. 800 დოლარი გადაუხდიათ — ძალზე ცოტაა ჰოლივუდის კვალობაზეო, სწერს მაქსუელ პერკინსს, თავის რედაქტორსა და მეგობარს (სახელდახელოდ ფანტასტიკური პარალელი: რუსუდან ნიშნიანიძის წიგნში „შეხვედრები“ ერთი ქართველი ემიგრანტი გადმოგვცემს, რომ ჰოლივუდში ქართულ ცეკვას ასწავლიდა ქართველის როლის შემსრულებელ მსახიობს და დასძენს: „მაძლევდნენ დღეში 80 დოლარს... აი, ეს არის ჰოლივუდი... სახელი თუ გაქვს და ჰოლივუდშიც ხარ, გათავდა. ეს ფულია იქ. იმიტო, რომ მილიონები შედიოდა შიგნით“. ფიცჯერალდს რომ სახელი ჰქონდა, ვის დაესიზმრება?!)

კითხულობ სკოტ ფიცჯერალდის წერილებს შვილისადმი და ფიქრობ — როგორ უნდა ემაყა ყმაწვილქალს ასეთი სიყვარული ასეთი მამისაგან!

თქვენც არ მომიკვდეთ!

შემონახულა მისი საოცარი აღსარება: როცა სტუდენტი ვიყავი, მამის წერილს რომ მივიღებდი, უმალვე ვხსნიდი კონვერტს და ვანჯღრევდი იმის იმედით, რომ მაგიდაზე ჩეკი გადმოვარდებოდა, წერილს კი წაუკითხავად მაგიდის უჯრაში ვჩურთავდიო.

ეჰ, მართლაც რომ „საბრალო სკოტ ფიცჯერალდი“ — როგორც ბრძანა თავის ცნობილ მოთხრობაში ერნესტ ჰემინგუეიმ (სრულიად სხვა ამბავთან დაკავშირებით).

ასეთი რა სჭირდა ამ საწყალ ფიცჯერალდს, რომ ყველა თავში ურტყამდა: ცოლი, შვილი, მეგობარი ჰემინგუეი და მარჩენალი ჰოლივუდი?!

გარდაიცვალა 1940 წლის დამლევს. ორმოცდაოთხი წლისა იყო. ბოლო რომანი დაუმთავრებელი დარჩა...

/6

## მოზაიკა

### სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო

იმ დაუჯერებელ წარღვნას, კაცობრიობას რომ მოევლინა მონღოლთა სახით, XX საუკუნის ბარბაროსობანი თუ გაუტოლდება... სხვა არაფერი!

მონღოლთა რისხვას რას გადაურჩებოდა ულამაზესი ქალაქი ანისი, რომელსაც იმდენი ეკლესია ამშვენებდა, რომ ფიცის დადებისას ამბობდნენ ხოლმე: ანისის ათასერთ ეკლესიას ვფიცავო! ქალაქის მფლობელის შანშე მხარგრძელის უცნობელად ანისელებმა დახოცეს მონღოლთა ელჩები და ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ სასტიკი იქნებოდა მონღოლთა შურისძიება. იქაურობა მთლიანად დაანგრიეს, მცხოვრებთა უმრავლესობა ამოჟლიტეს და ვინც გადაურჩათ, გაშიშვლებულნი გარეკეს ტყვეობაში.

ქალაქ ყარსის მკვიდრნი უდრტვინველად შეეგუენ ბედს და დამორჩილება არჩიეს ბრძოლას, ვინაიდან უკვე სმენოდათ მონღოლთა საზარელი ნამოქმედარი. ქალაქის კლიტენი მიართვეს დამპყრობლებს, მაგრამ ძარცვა-გლეჯითა და ხოცვა-ჟლეტით ალტკინებული მონღოლები ურჩსა და მორჩილს ერთიმეორისგან ველარ არჩევდნენ, ყარსიც ააოხრეს და მოსახლეობას მუსრი გაავლეს.

არც ქრისტიანებს ინდობდნენ, არც მაჰმადიანებს.

მონღოლებმა ალყა შემოარტყეს განჯას. მცხოვრებნი თავთავიანთ სახლებში ჩაიკეტნენ, ცეცხლი წაუკიდეს და ჩაიბუგნენ, ოღონდ მძვინვარე მტერს ხელთ არ ჩავარდნოდნენ. განჯა უკაცრიელი და უდაბური რჩებოდა წლების მანძილზე.

იგივე ბედი ეწია შამქორს.

მერე — დმანისი, სამშვილდე, თბილისი...

ხვარაზმშაჰ ჯალალედინის ხუთწლიანი რბევა-თარეშის შედეგად საქართველო ისე იყო დაძაბუნებული, რომ ხვარაზმელთა კვალდაკვალ შემოსეული მონღოლებისათვის თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. რუსუდან მეფე, ასული თამარისა, სასწრაფოდ ქუთაისში გაიხიზნა და ბრძანება გასცა, რომ მონღოლების მოახლოებისთანავე თბილისი გადაეწვათ, რათა მტერი იქ ვერ გამაგრებულიყო.

დიდებულებმა მიჰბაძეს მეფეს და თავის გადასარჩენად უშიშარ ადგილებს შეაფარეს თავი. აღარც ქვეყნის ბედი აწუხებდათ და აღარც ხალხისა.

მოსახლეობას, რასაკვირველია, შიშის ზარი დაეცემოდა. უმწყემსოდ დარჩენილი ცხოვართა ფარა რას გაანწყობდა სისხლმოწყურებული მგლების ხროვასთან? გაქცევა მიუვალ მთებსა და უღრან ტყეებში — ასეთი იყო საყოველთაო სულისკვეთება.

სომეხი ისტორიკოსის სიტყვით, საქართველოს ამირსპასალარმა ავაგ მხარგრძელმა (ივანეს ძემ) იხილა უთვალავი სიმრავლე მტრისა და დაუყოვნებლივ დაბინავდა კაიენის ციხე-სიმაგრეში. მონღოლებმა შეიტყვეს მისი ადგილსამყოფელი და სასწრაფოდ მიადგნენ კაიენს. არაერთგზის გაუგზავნეს ელჩები, დაგვმორჩილდი და გვემსახურეო. ავაგმა, მათი გულის მოსაგებად, თავისი ასული და დიდძალი განძეულიც გაიმეტა, მაგრამ ამ ხარკის გადახდამ ვერაფერი უშველა. მონღოლები გადაჭრით მოითხოვდნენ დამორჩილებას. ციხე-სიმაგრეში მყოფნი მალე უწყლობამ შეაწუხა. ავაგი დარწმუნდა, რომ მონღოლები ალყის მოხსნას არ აპირებდნენ და დამორჩილება გადაწყვიტა.

როდესაც ავაგი ეახლა ჩორმაღონ-ნოინს, მან მოკრძალებით ჰკითხა: „ეს შენა ხარ ავაგი?“ სწორედ მე გახლავართო — იყო პასუხი.

ნოინმა დამორჩილებულ ავაგს დიდი ლხინი გაუმართა. საქართველოს ამირსპასალარი და მისი მხლებელნი არ გაეკარნენ კუმისს (ცხენის რძეს), მონღოლთა საყვარელი სასმელი რომ იყო. ჩორმაღონ-ნოინმა, თავისი კეთილგანწყობის ნიშნად, განკარგულება გასცა, სტუმრებს ღვინო მიართვითო. მერე კი უბრძანა თავის სარდლებს, რომ ავაგის კუთვნილი ქალაქებისა და ციხეებისათვის ალყა აღარ შემოერტყათ.

ავაგის ხათრით მრავალი მისი ქვეშევრდომი გაათავისუფლეს ტყვეობიდან.

სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო — კარგად ახსოვდა ავაგ მხარგრძელს ხალხური სიბრძნე.

„რაკი საქართველო მტრის ხანგრძლივი ნავარდისაგან მოქანცული იყო, ერთი მაგალითიც კმაროდა, რომ ავაგის გზას სხვებიც გაჰყოლოდნენ“, — გულისტკივილით შენიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ვილას უნდა დაეძრახა ისინი?!

## ქრონიკა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზში —“აუდიტორიუმი” უცხოეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორებთან ურთიერთობის სამინისტროსა და ფონდი “ერთგულების” თაოსნობით გაიმართა “ფიროსმანის” პრეზენტაცია — თურქეთ-საქართველოს ერთობლივი ორენოვანი ჟურნალის, რომელიც გამოდის სტამბოლში სამ თვეში ერთხელ. თურქეთიდან ჩამოვიდნენ ჟურნალის მთავარი რედაქტორი ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ბექა-ფარნავაზ ჩილაშვილი) და მისი გამომცემელი შენოლ თაბანი (ნიკო ღვინიაშვილი). მთავარმა რედაქტორმა აღნიშნა, რომ ამ საქმეს სათავეში უდგანან ისტორიული ბედუკუღმართობის გამო სამშობლოს მოწყვეტილი თურქეთელი ქართველები. დამსწრე საზოგადოების სიმპათია დაიმსახურა გამომცემლის იმერხეული ქართულით წარმოთქმულმა სიტყვამ.

სხდომას თავმჯდომარეობდა მინისტრი იულონ გაგოშიძე. სიტყვებით გამოვიდნენ კულტურის, სპორტისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა რურუა, პარლამენტარი ნუგზარ წერეთელი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ბუბა კუდავა, ფონდ “ერთგულების” თავმჯდომარე გიორგი ხაჩიძე, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ლია ჩლაიძე, მწერალი დათო ტურაშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მარიკა დიდებულიძე, ფესტივალ “ჩვენებურების” ორგანიზატორი დარეჯან კუხიანიძე, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ლალი ეზუგბაია, “ფიროსმანის” ქართული მხარის წარმომადგენელი ლელა დადიანი, ჟურნალის მთარგმნელთა საბჭოს წევრები ნანა კაჭარავა და ნანა ჯანაშია. პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა თავისი გამოსვლა დააგვირგვინა ლექსით “მითხარ, როგორაა მემლექეთი”.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ “ფიროსმანი” როგორც პოლიგრაფიული დონით, ისე შინაარსით არის მშვენიერი ჟურნალი; რომ მას სჭირდება არა მხოლოდ მორალური, არამედ ფინანსური თანადგომა, რათა არ დაიხუროს და შეძლოს არსებობა; რომ ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, სხვა დიასპორებსაც აქვთ პერიოდული გამოცემები, მაგრამ ორენოვანი არავის. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ “ფიროსმანმა” არ უნდა ჩაანაცვლოს ჟურნალი “ჩვენებური”, რომლის გამოცემას საფუძველი ჩაუყარა ოზქან მელაშვილმა — გაღმა დარჩენილი ქართველების ეროვნული სულისკვეთების გამღვივებელმა სულიერმა მამამ, რომ აუცილებელია “ჩვენებურმაც” გააგრძელოს არსებობა. თითქმის ყველა გამომსვლელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჰპირდებოდა ფიროსმანელებს დახმარებასა და გვერდით დგომას. გადაწყდა, რომ 2009 წლის ოთხივე ნომერს დააფინანსებს საქართველოს მხარე და თბილისში გაიხსნება ჟურნალ “ფიროსმანის” წარმომადგენლობა, საიდანაც ყველა მსურველს საშუალება ექნება გახდეს ჟურნალის აბონენტი, გამოიწეროს “ფიროსმანი”.

# „ფემინისტის“ იარლიყმა დამაზარალა“

ახლახან გამომცემლობა **„ინტელექტმა“ „ნობელის პრემიის ლაურეატების“** სერიით ინგლისელი მწერლის – **დორის ლესინგის „ნაპრალი“** გამოსცა (მთარგმნელი: **რუსუდან მახათაძე**).

2007 წლის ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში 88 წლის ბრიტანელმა მწერალმა ქალმა დორის ლესიმგმა მიიღო. ეს ჯილდო არასოდეს მიუღია ესოდენ ხანდაზმულ მწერალს, მწერალი თავს იმართლებდა და ასე ხუმრობდა: „ვერ ვიტყვი, რომ გაოგნებული ვარ. ნობელს გარდაცვლილ ადამიანს ხომ ვერ მიანიჭებდნენ! ალბათ ამიტომაც გადაწყვიტეს, სანამ საიქიოს გზას დავადგებოდი, მანამ აჯობებდა ჩემი დაჯილდოება... ამის იქით, ალბათ აღარაფერია... ისღა დამრჩენია, რომის პაპისგან თავზე ხელის გადასმას დაველოდო...“

დორის ლესინგი ინგლისურენოვან თანამედროვე მწერალთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სახელგანთქმულია. იგი მეთერთმეტე ქალია ლიტერატურის ნობელიანტთა შორის. მისი შემოქმედების მთავარი თემებია ფსიქოლოგია, ფემინიზმი და, რა უცნაურიც უნდა იყოს... კომუნიზმი. თხზულებები ავტობიოგრაფიულია; ბევრი მათგანი აფრიკული ცხოვრების გამოცდილებას ეფუძნება. იგი წერს კულტურათა დაპირისპირებაზე, რასობრივ უსამართლობაზე, ადამიანის შინაგან ბრძოლაზე, ინდივიდსა და საზოგადოებას შორის წინააღმდეგობაზე. მისი ანტიუტოპიები თანამედროვე ფანტასტიკის ანთოლოგიებში შედის. დამოუკიდებელ ქალებზე დაწერილი ნაწარმოებები იმდენად პოპულარულია, რომ ფემინისტთა სამაგიდო წიგნებად იქცა. ავტორი კი ფიქრობს, რომ „ფემინისტის“ იარლიყმა დააზარალა. მისი თქმით, ის მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას აღწერს. არ არის ფემინისტი და ინსტინქტურად ცდილობს გაექცეს ყოველგვარ მოძრაობას. არადა, მის ნაწარმოებებში გამომცემლობასაც გაუჭირდა ისეთი ნაწარმოების შერჩევა, რომელიც ავტორის ნათქვამში ჩვენც დაგვაჯერებდა.

დორის ლესინგმა „ნაპრალი“ გამოაქვეყნა ნობელის პრემიის მიღებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე. ამ წიგნის შექმნა მწერალს შთააგონა სამეცნიერო სტატიამ, რომელშიც გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ პირველი სახეობა ადამიანისა დედაკაცია (ისინი პართეროგენეზის პრინციპით მრავლდებოდნენ), მამაკაცი კი ბევრად უფრო გვიან მოსულა ამქვეყნად. ამ ისტორიაში მწერალი ასახავს პირველ დედაკაცთა სამყაროს უცნაური ახალშობილის გამოჩენამდე.
ნობელის კომიტეტის ფორმულირება ასეთია: მიენიჭოს პრემია „ქალური ეპიკური გამოცდილებისათვის, რომელმაც სკეპტიციზმით, ცეცხლოვანებით, წარმოსახვის ძალითა და კრიტიკული განსჯის უნარით გავლენა მოახდინა გახლეჩილ ცივილიზაციებზე.“
ერთი ცხადია, ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებანი ხშირად გვაოცებს.




1959 წელს გამოქვეყნდა დორის ლესინგის პირველი რომანი **„ბალახი მღერის“**. იგი ლიტერატურაში მოვლენად აღიარეს. ნაწარმოები ეხებოდა ზიმბაბველთა ცხოვრებას, აპარტეიდს (სწორედ ამ რომანის გამო ავტორს ზიმბაბვესა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩასვლა აეკრძალა). მისი ყველაზე ცნობილი წიგნებია: **„ოქროს რვეული“, „სისასტიკის შვილები“, „კეთილი ტერორისტი“, „მეხუთე შვილი“, „მარა და დანი“, „ალფრედი და ემილი“**...

ფანტასტიკურ რომანთა ციკლი აღინიშნა ჯეიმს ტეიტ ბლეკის პრემიით (საუკეთესო ბიოგრაფიული ნაწარმოებისათვის). 1995 წელს მიანიჭეს ჰარვარდის უნივერსიტეტის საპატიო სამეცნიერო ხარისხი. ნობელიანტის კალამს ეკუთვნის ნოველები, პიესების კრებული, ლიბრეტო ფილიპ გლასის ოპერისათვის. 1997 წელს მისი ავტობიოგრაფიის მეორე ტომი ლიტერატურულ კრიტიკოსთა წრის ნაციონალურ პრემიაზე იყოს ნომინირებული. ლესინგი დაჯილდოებულია არაერთი ლიტერატურული პრემიით.

**ნინო ყულოშვილი**



სოფელი მთაზე

თენგიზ მირზაშვილი